BRITISH COUNCIL

განათლების, მეცნიერებისა და
ახალგაზრდობის სამინისტრო

სსიპ მასწავლებელთა
პროფესიული განვითარების
ეროვნული ცენტრი

სახელმძღვანელო მასწავლებლებისათვის

საძიებო-სამოქმედო კვლევა

მაია არავიაშვილი, პაულა რებოლედო და რიჩარდ სმიტი

Araviashvili, M., Rebolledo Cortés, P., & Smith, R. (2026). Exploratory Action Research: A manual for teachers. British Council.

https://doi.org/10.57884/0PVK-DX45

არავიაშვილი,მ., რებოლედო კორტეს, პ., & სმიტი, რ. (2026) საძიებო-სამოქმედო კვლევა: სახელმძღვანელო მასწავლებლებისთვის. ბრიტანეთის საბჭო.

https://doi.org/10.57884/0PVK-DX45

სარჩევი

შესავალი 4

ნაწილი 1: მასწავლებლების მიერ განხორციელებული კვლევა – რატომ და როგორ? 13

1 რატომ არის კვლევა მნიშვნელოვანი და რატომ უნდა ატარებდეს მას მასწავლებელი? 14

2 რა არის საძიებო-სამოქმედო კვლევა? 27

ნაწილი 2: საძიებო-სამოქმედო კვლევა უფრო სიღრმისეული გაგებისთვის 41

3 რას იკვლევ? 42

4 რა არის თქვენი საკვლევი კითხვები? 54

5 რა მონაცემები გჭირდება? 66

6 როგორ შეაგროვებთ მონაცემებს? 80

7 კიდევ რა უნდა დაგეგმოთ? 96

8 რა აღმოაჩინეთ? 111

9 რა არის თქვენი შემდეგი ნაბიჯი? 130

ნაილი 3 სამოქმედო კვლევა – ცვლილების შესაფასებლად 143

10 როგორია არსებული სიტუაცია? 144

11 რა არის თქვენი ახალი მოქმედება? 155

12 როგორ შეაფასებდით ცვლილებას? 166

13 როგორ განახორ-ციელებთ გეგმას? 181

14 რა შედეგები მიიღეთ? 193

15 რა იქნება შემდეგი ნაბიჯი? 206

ნაწილი 4: მასწავლებლის კვლევის გაფართოება 215

16 გამოცდილების გაზიარება 216

17 გამოცდილების გაფართოვება 229

ნაწილი 5: დავალებების პასუხები 239

ნაწილი 6: დანართები 256

შესავალი

საქართველოში კვლევა სულ უფრო მნიშვნელოვან როლს ასრულებს მასწავლებელთა პროფესიულ განვითარებასა და კარიერულ წინსვლაში. კვლევა განიხილება პროფესიული წინსვლის სამიდან ერთ-ერთ მიმართულებად, სწავლა-სწავლებისა და მართვა/ადმინისტრირების მიმართულებებთან ერთად. მართლაც, ზოგადი განათლების სისტემაში მიმდინარე ცვლილებებმა მნიშვნელოვნად შეცვალა მასწავლებლის როლის გაგება. მასწავლებლები აღარ განიხილებიან მხოლოდ წინასწარ განსაზღვრული სასწავლო გეგმებისა და მეთოდების შემსრულებლებად; პირიქით, ისინი სულ უფრო მეტად მოიაზრებიან, როგორც სკოლის განვითარების პროცესში აქტიურად ჩართული პროფესიონალები. სასწავლო პროცესის დაგეგმვასთან ერთად, მათი როლი დღეს მოიცავს საკუთარი პრაქტიკის შეფასებას, ცვლილებების ინიცირებას და საგანმანათლებლო პროცესების ხარისხის უწყვეტ გაუმჯობესებას. ამ კონტექსტში კვლევა, განსაკუთრებით საძიებო-სამოქმედო კვლევა (Exploratory Action Research, EAR), რომელიც ამ პუბლიკაციაშია განხილული, მასწავლებლებს სთავაზობს პრაქტიკულ და მხარდამჭერ საშუალებებს, რათა გააანალიზონ საკუთარი ყოველდღიური პრაქტიკა, უკეთ გაიგონ სწავლების, სწავლისა და სკოლის მართვასთან დაკავშირებული რეალური და კონტექსტზე მორგებული გამოწვევები და მიიღონ ინფორმირებული გადაწყვეტილებები, რომლებიც მნიშვნელოვან როლს შეასრულებს სკოლის განვითარების პრიორიტეტების განხორციელებისას.

მასწავლებლის პროფესიული განვითარების და კარიერული წინსვლის ახალი სქემა სკოლებსა და საგანმანათლებლო რესურსცენტრებს მეტ პასუხისმგებლობას აკისრებს და ქმნის გარემოს, სადაც კვლევაზე დაფუძნებული პრაქტიკა პროფესიული საქმიანობის განუყოფელ ნაწილად იქცევა. საძიებო-სამოქმედო კვლევა ეხმარება მასწავლებლებს, საკუთარი ინდივიდუალური სწავლისა და

პროფესიული განვითარების მიზნები დააკავშირონ სკოლის გაუმჯობესების ფართო პროცესებთან, მათ შორის სკოლის თვითშეფასებასთან და ხარისხის უზრუნველყოფასთან. ამავე დროს, ის ხელს უწყობს სკოლებში უწყვეტი სწავლის კულტურის, გაზიარებული პასუხისმგებლობისა და პროფესიული ანგარიშვალდებულების გაძლიერებას.

ამ ცვლილებებზე საპასუხოდ, წინამდებარე სახელმძღვანელო საძიებო-სამოქმედო კვლევის შესახებ შექმნილია, როგორც პრაქტიკული პროფესიული რესურსი მასწავლებლებისთვის. მასში ეტაპობრივად არის წარმოდგენილი საძიებო-სამოქმედო კვლევის პროცესი და აღწერილია მისი ყველა ძირითადი ფაზა - პროფესიული განვითარების საჭიროებების იდენტიფიცირებიდან დაწყებული, სკოლის კონტექსტზე მორგებული კვლევის დაგეგმვითა და განხორციელებით დამთავრებული. სახელმძღვანელოში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა მცირე მასშტაბის, მაგრამ მიზანმიმართული კვლევების ჩატარებას კლასის, საგნობრივი ჯგუფის ან მთელი სკოლის დონეზე.

მიუხედავად იმისა, რომ ეს სახელმძღვანელო განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იქნება იმ მასწავლებლებისთვის, რომლებიც ირჩევენ განათლების კვლევასთან დაკავშირებულ კარიერულ განვითარებას, ის თანაბრად სასარგებლოა მათთვისაც, ვინც აირჩევს სწავლა-სწავლების ან მართვა/ადმინისტრირების მიმართულებებს, სადაც კვლევა წარმოადგენს მხარდამჭერ და გამჭოლ ინსტრუმენტს.

ამგვარად, პროფესიული განვითარების ახალ ჩარჩოში სამოქმედო კვლევა აღარ განიხილება როგორც დამატებითი აქტივობა. იგი აღიქმება მასწავლებლის პროფესიული პასუხისმგებლობის, განვითარებისა და კარიერული წინსვლის ერთ-ერთ ძირითად საფუძვლად.

სახელმძღვანელოს შექმნის საფუძველი

ეს სახელმძღვანელო შეიქმნა იმ გამოცდილების საფუძველზე, რომელიც დაგროვდა საძიებო-სამოქმედო კვლევის (Exploratory Action Research – EAR) პროგრამის განვითარების პროცესში. პროგრამა საქართველოში ხორციელდება ბრიტანეთის საბჭოს ხელმძღვანელობით და მიზნად ისახავს მასწავლებლების მხარდაჭერას საკუთარი კვლევითი პროექტების დაგეგმვასა და განხორციელებაში, იმ კითხვებზე დაყრდნობით, რომლებიც მათ ყოველდღიურ პრაქტიკაში ჩნდება.

პროგრამა 2021 წელს დაიწყო საძიებო-სამოქმედო კვლევის ონლაინ კურსის შექმნით. კურსი შემუშავდა Online Teaching Community (OTC)-ის პლატფორმის ფარგლებში -- ბრიტანეთის საბჭოს მიერ შექმნილ, თანასწავლებაზე დაფუძნებულ ონლაინ სივრცეში, რომელიც ინგლისური ენის მასწავლებლების პროფესიულ განვითარებას ემსახურება. კურსის მიზანი იყო მასწავლებლებისთვის საძიებო-სამოქმედო კვლევის პროცესის გაცნობა და საკუთარი პრაქტიკიდან წარმოშობილი კითხვების შესწავლა მენტორების მხარდაჭერითა.

პირველ წელს კურსში მონაწილეობდნენ მასწავლებლები ბალკანეთის სხვადასხვა ქვეყნიდან. პროგრამას ორი ფასილიტატორი ხელმძღვანელობდა, რომლებსაც ჰქონდათ მენტორობისა და პრაქტიკის კვლევის გამოცდილება, რომლებიც დაახლოებით ოც მასწავლებელს უწევდნენ მხარდაჭერას.

2022 წელს პროგრამამ ჩამოაყალიბა საკუთარი ქართული კოჰორტა, რომელმაც გააერთიანა ქვეყნის სხვადასხვა სკოლიდან ის მასწავლებლები, რომლებიც დაინტერესებული იყვნენ საკუთარი სწავლებითა და სასწავლო გარემოსთან დაკავშირებული საკითხების კვლევით.

შემდგომ ეტაპზე პროგრამის განვითარებაში მნიშვნელოვანი ნაბიჯი იყო ორი ყოფილი მონაწილის შერჩევა თანამენტორებად. ამით გაძლიერდა ადგილობრივი ექსპერტიზა, შეიქმნა პროფესიული განვითარების ახალი შესაძლებლობა და გაიზარდა პროგრამის მდგრადობა.

თანამენტორები საკუთარ სკოლაში კოლეგებისთვის ატარებენ სამუშაო შეხვედრას საძიებო-სამოქმედო კვლევის შესახებ.

2024 წელს პროგრამა კიდევ უფრო გაფართოვდა, როდესაც ჩვიდმეტმა ყოფილმა მონაწილემ გაიარა ტრენინგი, რათა თავად გამხდარიყვნენ მენტორები. თითოეულმა მათგანმა საკუთარ სკოლაში ჩაატარა საინფორმაციო შეხვედრა საძიებო-სამოქმედო კვლევის შესახებ და კოლეგები ჩართო კვლევით პროცესში. ამ ეტაპზე ონლაინ კურსის მასალები გამოიყენებოდა როგორც საცნობარო რესურსი, ხოლო მენტორები უშუალოდ სკოლებში უწევდნენ ფასილიტაციას კვლევის პროცესს (იხილეთ ქვემოთ მოცემული ფოტოები).

მასწავლებლები რეგულარულად ხვდებოდნენ ერთმანეთს, განსაზღვრავდნენ მათთვის მნიშვნელოვან საკითხებს და თანამშრომლობით გეგმავდნენ კვლევით პროექტებს. შვიდი თვის განმავლობაში ისინი გადიოდნენ საძიებო- სამოქმედო კვლევის სრულ ციკლს - თემის შერჩევიდან და კვლევითი კითხვების ფორმულირებიდან დაწყებული, მონაცემების შეგროვებით, ანალიზით, სამოქმედო გეგმის განხორციელებით დამიღებული შედეგების შეფასებით დამთავრებული.

სახელმძღვანელოში წარმოდგენილი მაგალითებისა და კვლევითი ანგარიშების უმეტესობა ეფუძნება სწორედ ამ პროგრამის ფარგლებში განხორციელებულ პროექტებს. ისინი ასახავს საქართველოს საგანმანათლებლო კონტექსტისთვის მნიშვნელოვან საკითხებს, მათ შორის: მოსწავლეთა მოტივაციასა და ჩართულობას, წაკითხულის გააზრებას, საშინაო დავალებებს, განმავითარებელ შეფასებას, თანამშრომლობით სწავლას და ინსტრუქციების გაგებასთან დაკავშირებულ სირთულეებს.

ასევე განხილულია სხვადასხვა სტრატეგია, რომლებიც ხელს უწყობს მოსწავლეთა მონაწილეობის მხარდაჭერას, გააზრების გაუმჯობესებას და უფრო საინტერესო და ეფექტური სასწავლო გარემოს შექმნას.

პროექტები შესრულებულია სხვადასხვა საგნისა და საფეხურის მასწავლებლების მიერ საქართველოს სხვადასხვა რეგიონში, რაც ნათლად წარმოაჩენს იმ მრავალფეროვან კონტექსტს, რომელშიც საძიებო-სამოქმედო კვლევა შეიძლება წარმატებით განხორციელდეს.

როგორ გამოვიყენოთ ეს სახელმძღვანელო

ამ სახელმძღვანელოს თითოეული თავი ორგანიზებულია სამ ძირითად ნაწილად:

- მოკლე კონცეპტუალური შესავალი,
- რეალურ საკლასო კვლევებზე დაფუძნებული მაგალითები,
- დავალებების ნაკრები.

ეს ელემენტები ერთმანეთთან არის დაკავშირებული და ეტაპობრივად გეხმარებათ საძიებო-სამოქმედო კვლევის დაგეგმვასა და განხორციელებაში - როგორც დამოუკიდებლად მუშაობისას, ისე თქვენი სკოლის ან სხვა სკოლების კოლეგებთან თანამშრომლობის პროცესში.

ბევრ თავში წარმოდგენილია რეფლექსიური კითხვებიც, რომლებიც გეხმარებათ შეჩერდეთ, გაანალიზოთ საკუთარი საკლასო პრაქტიკა და დააკვაშიროთ პირადი გამოცდილება განხილულ საკითხებთან. ზოგიერთი დავალება მიზნად ისახავს შეამოწმოთ, სწორად გაიგეთ თუ არა ძირითადი იდეები; სხვები დაგეხმარებათ საკუთარი კვლევითი კითხვების, ინსტრუმენტებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავებაში; ხოლო ნაწილი განკუთვნილია კოლეგებთან ერთობლივი მსჯელობისა და თანამშრომლობითი რეფლექსიის მხარდასაჭერად.

ამგვარად, ეს სახელმძღვანელო მხოლოდ წასაკითხად არ არის შექმნილი. იგი წარმოადგენს სამუშაო ინსტრუმენტს, რომელიც დაგეხმარებათ კვლევის პროცესის დაგეგმვაში, განხორციელებასა და გააზრებაში და ხელს შეუწყობს თქვენს პროფესიულ განვითარებას მკვლევარი მასწავლებლის როლში.

მადლობა

გვსურს მადლობა გადავუხადოთ ყველას, ვინც ამ ონლაინ გამოცემის შექმნაში შეიტანა წვლილი.

ბრიტანეთის საბჭოს მხრიდან მადლობას ვუხდით ზაზა ფურცელაძეს, მაია დარჩიას და ტატიანა სლიეპჩევიჩს.

განსაკუთრებულ მადლობას ვუხდით საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს, მინისტრის მოადგილეს, ქალბატონ თამარ მახარაშვილს, ასევე მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის წარმომადგენლებს: დირექტორს ეკატერინე ხუციშვილს, ნონა პოპიაშვილსა და ცენტრის ყოფილ დირექტორს, ბატონ ბერიკა შუკაკიძეს, გაწეული მხარდაჭერისა და თანამშრომლობისთვის.

სახელმძღვანელოს ადრეული ვერსიების გადახედვისთვის მადლობას ვუხდით ნატალია ბაღდავაძეს, ნათია ხარძიანს და ნინო ნიჟარაძეს.

განსაკუთრებული მადლობა ეკუთვნით პროგრამის პროფესიონალ მენტორებს: სირინ სოიოზს, ნატო კლდიაშვილს, სალომე ზარქუას და ინგა მდივანს. ნატო კლდიაშვილი, სალომე ზარქუა და ინგა მდივანი ქართველი მენტორები არიან, რომლებმაც მასწავლებელ-მკვლევრებად მუშაობის გამოცდილებაზე დაყრდნობით, პროფესიონალი მენტორების როლში მნიშვნელოვანი მხარდაჭერა გაუწიეს თავიანთ კოლეგებს.

ასევე მადლობას ვუხდით 16 ადგილობრივ თანასწორ-მენტორს, რომლებმაც მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს ამ სახელმძღვანელოში წარმოდგენილი კოლექტიური პროექტების განვითარებაში:

ლალი ტერტერაშვილი, დიანა ტაბატაძე, ინგა გოგალაძე, ლელა ცაგარეიშვილი, ნათია ქათამაძე, ნინო სტურუა, ნინო წერეთელი, რუსუდან კარკაძე, ციალა ჭანტურია, ეკა მეგრელიშვილი, ქეთევან გოგალაძე, ხათუნა ხარხელი, ლიკა ხურცილავა, ნინო გურგენაძე, ნინო კალანდია და თინათინ გაბუნია.

განსაკუთრებულ მადლობას ვუხდით მასწავლებელ-მკვლევარებს და ყველა იმ მონაწილეს, რომლებმაც მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს ამ სახელმძღვანელოში წარმოდგენილი კვლევით პროექტების განხორციელებაში:

მარინა სპიტარი
ია ძირკვაძე
ნინო ბიბილეიშვილი
მარინა ბოკუჩავა
ირმა კუჭუხიძე
ელენე გიორგაძე
ნანა გაბუნია
მაკა არევაძე
ხათუნა გაგნიძე
დარეჯანი გაჩეჩილაძე
თამარ ხადური
ნინო ფოფხაძე
ნანა ქათამაძე
გიული დავითაძე
მაია ფუტკარაძე
შორენა სარჯველაძე
ირმა ხინიკაძე
ელზა ლაბაძე
ცისანა კურტანიძე
მზია ბლიაძე
მაია ხუციშვილი
ინგა ჟორჟოლიანი
გიული ჯაფარიძე
ჯილდა გობაძე
ირმა შარაბიძე
მაია სირაძე
თეა სანიკიძე
მარიამ ბოლქვაძე
მაია მეზვრიშვილი
ნელი კახუბერაშვილი
ანა ნადირაძე
მარეხ მექვაბიშვილი
მაია მიხანაშვილი
ქეთევან ცერაძე
ლია მაჭარაშვილი
თეონა თავშავაძე
ასმათ მინდიაშვილი
ქეთევან მაისურაძე
ანნა სეხნიაშვილი
ნინო კიკნაძე
მორის დანდურიშვილი
ლელა გელაშვილი
მაია სამნიაშვილი
თამარი ოსიტაშვილი
ნუნუ ჯამბაზიშვილი
ანა ტეფნაძე
ლია მურვანიძე
ეკატერინე ზაზიკაშვილი
რუსუდან ნოზაძე
ნათია ლომიძე
თეა ლომიძე
მზია ლომსაძე
ნანული ბუხრიკიძე
მარინა ეგნატაშვილი
ნინო მჭედლიშვილი
ნანი თოთლაძე
ლია ნათენაძე
ბელა ჯანგავაძე
ზაირა მაკარიძე
ნანა ბარდაველიძე
ქეთევან გოდერიძე
დავითი აბაკელია
ხათუნა შარაშენიძე
ელისო ბოხოჩაძე
მედეა როგავა
კესო წურწუმია
ნესტან ვეკუა
მანანა სონგულია
ინგა რატია
ლია ქუჩულორია
ნანა ჯაბურია
ხათუნა ჯალაღონია
ნინო უბილავა
მარინე ფიფია
დიანა მორბედაძე
ინგა უჟუნაშვილი
ია ჩადუნელი
სალომე ასათიანი
ნინო ავალიანი
სოფიკო ვაშაკიძე
თამარი აბდალაძე
სალომე ბზარაშვილი
ნინო ბერძენიშვილი
დარეჯან ლორთქიფანიძე
ლეილა რაზმაძე
ინი ერიძე
ანა ჭყონია
ელენე ზერეკიძე
მაკა დვალიშვილი
დიანა ჯოჯუა-ლობჟანიძე
თამარ ლოლიშვილი
თინათინ გნოლიძე
ნათია ბედინაშვილი

დაბოლოს, მადლობას ვუხდით იმ სკოლების დირექტორებს, რომლებმაც მხარი დაუჭირეს მასწავლებლებს საძიებო-სამოქმედო კვლევის განხორციელებაში და წაახალისეს მათი მონაწილეობა ამ პროცესში. ასევე მადლობას ვუხდით იმ მოსწავლეებს, რომლებმაც თანხმობა განაცხადეს კვლევაში მონაწილეობაზე.

ნებართვების შესახებ განმარტება

ამ სახელმძღვანელოში წარმოდგენილი ყველა ფოტოსურათი მოწოდებულია იმ მასწავლებელ-მკვლევრების მიერ, რომლებიც პროგრამის ბოლო კოჰორტაში მონაწილეობდნენ. ბრიტანეთის საბჭოს პროტოკოლის შესაბამისად, ყველა ფოტო, რომლის გამოყენებაზეც შესაბამისი ნებართვა არ იყო მიღებული, ამოღებულია ან რედაქტირებულია ისე, რომ მოსწავლეთა იდენტიფიცირება შეუძლებელი იყოს.

ნაწილი 1: მასწავლებლების მიერ განხორციელებული კვლევა – რატომ და როგორ?

1 რატომ არის კვლევა მნიშვნელოვანი და რატომ უნდა ატარებდეს მას მასწავლებელი?

ეს სახელმძღვანელო მასწავლებლებისთვისაა განკუთვნილი და მასწავლებლებს ეხება - თქვენზე და თქვენთვის, იმ შესაძლებლობებზე, რომელიც გაქვთ, რომ გაანალიზოთ საკუთარი საკლასო გარემო, პროფესიულად განვითარდეთ და დადებითი ცვლილებები შეიტანოთ როგორც სწავლების პროცესში, ისე მოსწავლეების სწავლაში. წიგნი ეხება კვლევას, თუმცა არა მხოლოდ ტრადიციული, აკადემიური გაგებით. აქ საუბარია ისეთ კვლევაზე, რომელიც არა მხოლოდ უნივერსიტეტებს, არამედ სკოლასაც ეკუთვნის და იწყება მასწავლებლის გამოცდილებით, რეფლექსიითა და კითხვებით, რომლებიც სწავლების პროცესში ბუნებრივად ჩნდება.

მნიშვნელოვანია დავიწყოთ რამდენიმე ძირითადი კითხვით: რატომ არის საჭირო კვლევა? და უფრო კონკრეტულად: რატომ უნდა ატარებდეს კვლევას თავად მასწავლებელი?

კვლევა გვეხმარება უფრო ყურადღებით დავაკვირდეთ იმას, რაც საკლასო ოთახში ხდება. ის გვაძლევს შესაძლებლობას უკეთ გავიგოთ მოსწავლეების საჭიროებები, შევაფასოთ საკუთარი სწავლება და დავგეგმოთ ისეთი ცვლილებები, რომლებიც სწავლას უფრო ეფექტურს გახდის. კვლევა წარმოადგენს ფიქრის, კითხვების დასმისა და იმის გარკვევის საშუალებას, თუ რა მუშაობს რეალურად პრაქტიკაში.

თუმცა, როდესაც ეს საკითხი დგება, ბევრი მასწავლებელი თავდაპირველად ყოყმანობს. ხშირად არსებობს წინასწარი წარმოდგენები იმის შესახებ, თუ რას ნიშნავს კვლევა და ვისთვის არის ის განკუთვნილი. შესაძლოა გსმენიათ კოლეგებისგან მსგავსი მოსაზრებები:

„კვლევა ძალიან ბევრ დროს მოითხოვს, როგორც მასწავლებელს ამის დრო არ მაქვს.“
„კვლევის ჩატარება რთულად მეჩვენება.“

„მე მასწავლებელი ვარ და არა მეცნიერი, კვლევა აკადემიური სფეროს წარმომადგენლებისთვისაა და არა ჩვენთვის, ვინც კლასში ვმუშაობთ.“

„კვლევა რთული გასაგებია.“
„კვლევის პრაქტიკულად გამოყენება გაკვეთილზე რთულია.“

შეჩერდით და დაფიქრდით

ხომ არ გეცნობათ რომელიმე ეს მოსაზრება?

რომელს ეთანხმებით და რომელს - არა? რატომ?

რომელი არის ყველაზე ახლოს თქვენს გამოცდილებასთან?

რომელს მოსაზრებას არ ეთანხმებით ყველაზე მეტად და რატომ?

ბევრ მასწავლებელს აქვს კვლევის მიმართ მსგავსი დამოკიდებულება. თუმცა კვლევა არ უნდა აღიქმებოდეს როგორც დამთრგუნველი, ზედმეტად რთული და დიდი დროის მომთხოვნი პროცესი. პირიქით, ის შეიძლება იქცეს სასარგებლო, პრაქტიკულ და სასიამოვნო საშუალებად, რომელიც მასწავლებელს ეხმარება უკეთ გაანალიზოს სასწავლო პროცესი, გააცნობიეროს არსებული სირთულეები და დაგეგმოს ისეთი ცვლილებები, რომლებიც სასრგებლო იქნება როგორც მოსწავლეების სწავლისთვის, ისე მისი პროფესიული განვითარებისთვის. ამგვარად, კვლევა შეიძლება გახდეს მასწავლებლის ყოველდღიური პროფესიული საქმიანობის ნაწილი და არა მისგან განცალკევებული დამატებითი აქტივობა.

მაშ, რას ნიშნავს კვლევა?

სანამ საკითხის განხილვას გავაგრძელებთ, სასარგებლოა განვიხილოთ რამდენიმე მარტივი განმარტება. ისინი გვაჩვენებს, რომ კვლევა ყოველთვის არ გულისხმობს რთულ აკადემიურ პროცედურებს; ის შეიძლება იყოს სწავლებისა და მოსწავლეების სწავლის მიზანმიმართული და ორგანიზებული შესწავლა. ქვემოთ წარმოდგენილია კვლევის რამდენიმე ცნობილი განმარტება:

- „კვლევა არის ძიების პროცესი, რომელიც შედგება სამი ძირითადი ელემენტისგან: (1) კითხვა, პრობლემა ან ჰიპოთეზა, (2) მონაცემები და (3) მონაცემების ანალიზი და ინტერპრეტაცია.“
  ნუნანი (1992, გვ. 3)

- „ორგანიზებული, სისტემური ძიება პასუხების მოსაძებნად იმ კითხვებზე, რომლებსაც ვსვამთ.“
  ჰეჩი და ლაზარატონი (1991, გვ. 1)

- „სისტემური კვლევა, რომელიც საჯაროდ ხელმისაწვდომი ხდება.“
  სტენჰაუსი (1975, გვ. 4)

შეიძლება შეამჩნიოთ, რომ ყველა ამ განმარტებას ერთი საერთო მახასიათებელი აქვს: ისინი აღწერენ კვლევას როგორც კითხვების დასმისა და მტკიცებულებებზე დაფუძნებული პასუხების ძიების პროცესს. ამ თვალსაზრისით, კვლევა სწავლებისგან დაშორებული საქმიანობა არ არის. მასწავლებლები მას უკვე იყენებენ მაშინ, როდესაც მოსწავლეების უკუკავშირს ითვალისწინებენ საკუთარი სწავლების შესაცვლელად, როდესაც კოლეგებთან ერთად მსჯელობენ ყოველდღიურ საკლასო სიტუაციებზე, ან როდესაც სწავლების გასაუმჯობესებლად ახალ მიდგომებს ცდიან და აანალიზებენ.

რაც კვლევას განსაკუთრებულს ხდის, არის მისი მიზანმიმართული და ორგანიზებული ხასიათი. კვლევა ეხმარება მასწავლებელს საკუთარ საკლასო გარემოს უფრო გააზრებულად და სისტემურად დააკვირდეს. იგი ჩვეულებრივ რეფლექსიას აქცევს უფრო მკაფიო და ფოკუსირებულ პროცესად, რომელიც საშუალებას გვაძლევს უკეთ გავიგოთ, რა ხდება კლასში და რატომ. დაკვირვებისა და პრაქტიკაში გამოცდილი მოქმედებების გააზრებული ანალიზი მასწავლებლებს საშუალებას აძლევს შეამჩნიონ ისეთი დეტალები, რომლებიც მანამდე შესაძლოა შეუმჩნეველი რჩებოდა.

ახლა ვნახოთ, როგორ გამოიყურება ასეთი ტიპის კვლევა პრაქტიკაში. ქვემოთ წარმოდგენილია მასწავლებლის მიერ ჩატარებული კვლევის მაგალითი. გთხოვთ, დაუთმოთ რამდენიმე წუთი მის წაკითხვას.

მაგალითი 1: ,,როგორ განვავითაროთ დამოუკიდებლად სწავლის უნარები დაწყებითი კლასის მოსწავლეებში

ვასწავლი იმერეთის რეგიონში, ზესტაფონის №4 საჯარო სკოლაში, სადაც ვმუშაობ 29 მეოთხეკლასელისგან შემდგარ კლასთან. ეს ცხრა წლის მოსწავლეები ინგლისურ ენას პირველი კლასიდან სწავლობენ, თუმცა შევამჩნიე, რომ მათზე ჯერ კიდევ მძიმედ აისახება COVID-19 პანდემიის პერიოდის გავლენა. მათი სოციალური და სასწავლო უნარები, განსაკუთრებით კი დამოუკიდებლად მუშაობის უნარი, იმ წლებში მნიშვნელოვნად დაზარალდა. მიმდინარე წელს ხშირად ვაწყდებოდი დემოტივაციის განმეორებად ნიშნებს და მოსწავლეების ძლიერ დამოკიდებულებას ჩემს ინსტრუქციებზე, რამაც მიბიძგა გამომეკვლია, როგორ შემეძლო უკეთ დამეჭირა მხარი მათი ავტონომიური სწავლის უნარების განვითარებისთვის.

როდესაც კითხვარებისა და ფოკუს-ჯგუფების მონაცემები გავაანალიზე, რამდენიმე მნიშვნელოვანი რამ გამოიკვეთა. გამოვლინდა დიდი სხვაობა იმაში, თუ როგორ უმკლავდებიან მოსწავლეები საშინაო დავალებას: მაშინ როცა ერთმა მოსწავლემ დავალება ერთ საათზე ნაკლებ დროში დაასრულა, სხვებს ამოცანების დამოუკიდებლად შესრულებისთვის რვა საათამდეც კი სჭირდებოდათ.

საკლასო დაკვირვებამ აჩვენა, მიუხედავად იმისა, რომ მოსწავლეებს ვთავაზობდი აქტივობებს, როგორიცაა დიალოგების კითხვა და პრეზენტაციების მომზადება, ეს მცდელობები საკმარისად თანმიმდევრული არ იყო დამოუკიდებლად მუშაობის მდგრადი ჩვევების ჩამოსაყალიბებლად. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო კოლეგის დაკვირვება ურთიერთშეფასების პროცესში. მან აღნიშნა, რომ მიუხედავად იმისა, რომ ჩემი მიზანი მოსწავლეთა დამოუკიდებლობის განვითარება იყო, მეტი დიფერენცირება მჭირდებოდა. ინდივიდუალურად მორგებული მხარდაჭერის გარეშე სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე და სწავლაში სირთულეების მქონე მოსწავლეები თავს საკმარისად უსაფრთხოდ ვერ გრძნობდნენ დამოუკიდებლად მოქმედებისთვის. ნათელი გახდა, რომ ბევრს კვლავ მნიშვნელოვნად სჭირდებოდა ჩემი მხარდაჭერა, თუმცა ზოგი უკვე ავლენდა დამოუკიდებლობის ნიშნებს. მაგალითად, იყენებენ ინტერნეტს სიტყვების სათარგმნად, როდესაც სახლში ვერავინ ეხმარება.

მიღებული შედეგების გაანალიზების შედეგად დავასკვენი, რომ ჩემს მოსწავლეებს სწავლის სურვილი არ აკლიათ, მათ აკლიათ კონკრეტული ინსტრუმენტები დამოუკიდებლად მუშაობისთვის. ისინი დემოტივირდებიან, როცა არ იციან როგორ იმუშაონ დამოუკიდებლად.

ამ პრობლემის გადასაჭრელად ვგეგმავ შევთავაზო უფრო მკაფიო გზამკვლევები, მაგალითად, მარტივი რუბრიკები და საკონტროლო სიები (checklist) საშინაო დავალებისთვის, რათა მოსწავლეებმა უკეთ გაიგონ, რას ნიშნავს წარმატებით შესრულებული დავალება. ასევე ვიმუშავებთ დროის მართვაზე, დავაწესებთ რეალისტურ ვადებს და დროულად შესრულებული საკლასო სამუშაოსთვის გამოვიყენებთ მცირე წახალისებას, მაგალითად, სტიკერებს.

ვაპირებ უფრო ხშირად გამოვიყენო მოსწავლეებისთვის საინტერესო აქტივობები, როგორიცაა ონლაინ ქვიზები და თამაშზე დაფუძნებული დავალებები, მაგალითად, Minecraft-ი, რათა დამოუკიდებელი პრაქტიკა ნაკლებად აღიქმებოდეს როგორც ვალდებულება. ასევე, რეგულარულად დავნერგავ „გასასვლელი ბარათების“ (exit tickets) გამოყენებას, რათა მოსწავლეებმა შეძლონ შეჩერება და დაფიქრება იმაზე, რა ისწავლეს გაკვეთილის განმავლობაში.

ამ კვლევამ მასწავლა, რომ დამოუკიდებლობის განვითარება ეტაპობრივი და რეფლექსიური პროცესია. ამ გამოცდილების კოლეგებთან გაზიარებით იმედი მაქვს, შევძლებთ ერთად დავეხმაროთ მოსწავლეებს გახდნენ უფრო თავდაჯერებული და დამოუკიდებელი მსწავლელები.[1]

გახსოვთ, როგორ განვსაზღვრეთ მასწავლებლის კვლევა? ეს არ არის ლაბორატორიული ექსპერიმენტები ან რთული სტატისტიკური გამოთვლები. მასწავლებლის კვლევა არის მიზანმიმართული პროცესი, რომელიც იწყება შეკითხვით და პასუხების ძიებით, ინფორმაციის შეგროვებისა და გაანალიზების გზით.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ეს პროცესი შეიძლება სხვადასხვა ფორმით განხორციელდეს: მასწავლებელს შეუძლია ინდივიდუალურად იმუშაოს, რათა გამოიკვლიოს კონკრეტული საკითხი საკუთარ კლასში, ან კოლეგებთან ერთად ითანამშრომლოს საერთო პრობლემის გასაანალიზებლად, რომელსაც ყველანი ამჩნევთ.

[1] ეს ნარატივი დაფუძნებულია კვლევის ანგარიშზე, რომელიც თავდაპირველად ინგლისურად გამოქვეყნდა წიგნში მასწავლებლები იკვლევენ თავიაანთ პრაქტიკას: ძიება ქართულ საკლასო ოთახში (2024). იგი რედაქტირებულია და შემოკლებულია ამ სახელმძღვანელოს მიზნებისთვის.

მოცემულ მაგალითში ჩანს, როგორ შეიძლება ეს ორი გზა ერთმანეთს შეერწყას. მასწავლებელმა ყურადღება გაამახვილა საკუთარი კლასის საჭიროებებზე, თუმცა კოლეგებთანაც ითანამშრომლა, რათა მიეღო რჩევები და მხარდაჭერა საკლასო დაკვირვებების განხორციელებისას. ამ მაგალითში მასწავლებელი არ შემოიფარგლა მხოლოდ ვარაუდით, თუ რატომ უჭირდათ მის მოსწავლეებს. მან განსაზღვრა რეალური, ყოველდღიური პრობლემა, „პოსტპანდემიური“ პერიოდის შემდეგ დამოუკიდებლად მუშაობის სირთულე, რომელიც საკუთარი საკლასო დაკვირვებებიდან გამომდინარეობდა. შემდეგ მან მიზანმიმართულად შეაგროვა ინფორმაცია, გამოიყენა კითხვარები და მოსწავლეებთან საუბარი, რათა საფუძვლიანად გარკვეულიყო მიზეზებში. თუმცა ის მიზეზების დადგენით არ შემოიფარგლა. მიღებული შედეგების საფუძველზე მან დაგეგმა ახალი მიდგომები, მაგალითად, “ჩეკლისტების” გამოყენება და მოსწავლეებისათვის საინტერესო აქტივობების დანერგვა, რათა ენახა, იწვევდა თუ არა ეს ცვლილებები რეალურ გაუმჯობესებას. სწორედ ეს არის მასწავლებლის კვლევის არსი, ჩვენი საკლასო „ინტერესებისა“ და შეკითხვების გარდაქმნა მკაფიო გზად, რომელიც ეხმარება ჩვენს მოსწავლეებს უკეთესი შედეგების მიღწევაში.

მნიშვნელოვანია იმის გაცნობიერება, რომ აქ კვლევას ატარებს თავად მასწავლებელი, საკუთარი მიზნებისთვის და თავისი მოსწავლეების სასარგებლოდ. ეს არის პრაქტიკული და სასარგებლო საქმიანობა, რომელიც მჭიდროდ არის დაკავშირებული ყოველდღიურ სწავლებასთან და არა დამატებითი მძიმე ტვირთი. უფრო მეტიც, ეს არღვევს წარმოდგენას, რომ კვლევა განყენებული ან რთული პროცესია, და აჩვენებს, როგორ შეიძლება ის ბუნებრივად აღმოცენდეს მასწავლებელთა რეფლექსიებიდან და სწავლებისადმი მათი ერთგულებიდან.

მაშ, რა სარგებელი აქვს ასეთი ტიპის მასწავლებლის კვლევას? აი, რას ამბობს ზოგიერთი ქართველი მასწავლებელი:

“ კვლევამ დამანახა, რომ საკლასო ოთახში არსებული პრობლემების ზედაპირულად მოწესრიგებაში დროის დაკარგვას, სჯობს ამ პრობლემების ფესვები გავარკვიოთ და ისე დავიწყოთ მოგვარება. კვლევა მოსწავლეებთან ურთიერთობასაც განსხვავებულ ასპექტში აყალიბებს, მათი პრობლემებით დაინტერესება ბავშვებს მეტ ნდობას და მიმღებლობას უჩენს მასწავლებლის მიმართ.

[ნინო ავალიანი]

“ პედაგოგიური კვლევა საინტერესო გამოწვევა იყო ჩემს პრაქტიკაში. იგი დამეხმარა სრულყოფილად დამენახა მოსწავლეთა საჭიროებები და დინამიკაში დავკვირვებოდი იმას, თუ როგორ მუშაობს დაგეგმილი ინტერვენციები მოსწავლეთა საჭიროებების გაუმჯობესების პროცესში. მადლობა ამ შესაძლებლობებისათვის მთელ გუნდს.

[მაია სამნიაშვილი]

“ პედაგოგიური კვლევა დამეხმარა ზუსტი, კონკრეტული ინფორმაციის შეგროვებაში და მიზეზების დადგენაში თუ რატომ აქვს ზოგ მოსწავლეს პრობლემა ალგებრული და გეომეტრიული ამოცანების გააზრების და ამოხსნის დროს. ასევე კვლევა დამეხმარა ჩემი სწავლების მეთოდების უკეთ გაანალიზებაში და მოსწავლეთა საჭიროებების გათვალისწინებაში გაკვეთილების დაგეგმვის დროს.

[მაკა დვალიშვილი]

მასწავლებელ-მკვლევრის იდეა სულ უფრო მეტ მნიშვნელობას იძენს საქართველოში პროფესიული განვითარების კონტექსტში. ეს სახელმძღვანელო ნათლად და პრაქტიკულად გაგიძღვებათ თქვენი საკუთარი საკლასო კვლევის განხორციელების გზის ყველა ეტაპზე, რათა თავად შეძლოთ და შეიგრძნოთ, რომ ხართ მასწავლებელი-მკვლევარი. პირველმა მაგალითმა აჩვენა, როგორ შეუძლია ინდივიდუალურ მასწავლებელს სიღრმისეულად გამოიკვლიოს თავისი კლასის კონკრეტული საჭიროებები. მაგრამ რა ხდება მაშინ, როცა რამდენიმე კოლეგა ამჩნევს, რომ ერთი და იგივე გამოწვევა სხვადასხვა საფეხურზე ან საგნობრივ სფეროში იჩენს თავს?

ხშირად საკითხის სიღრმისეული გააზრება სწორედ მაშინ ხდება, როცა მასწავლებლები ერთად ფიქრობენ და იკვლევენ. საერთო ფოკუსის ირგვლივ თანამშრომლობით მასწავლებლებს შეუძლიათ გაანაწილონ პასუხისმგებლობები, გაცვალონ ხედვები და კრიტიკულად შეაფასონ, რამდენად ეფექტიანია ახალი მიდგომა სხვადასხვა კონტექსტში. მაგალითად, მე-10 კლასის საბუნებისმეტყველო მეცნიერებების გაკვეთილებზე და ასევე, მე-7 კლასის ხელოვნების გაკვეთილზე.

ახლა გადავიდეთ შემდეგ მაგალითზე, რომელიც აღწერს მასწავლებელთა ჯგუფს, რომლებმაც გადაწყვიტეს გაერთიანებულიყვნენ და ერთობლივად ეკვლიათ საერთო საკითხი.

მაგალით 2: განმავითარებელი შეფასების პრაქტიკების შესწავლა

ჩვენ ჯგუფში ექვსი მასწავლებლი გავერთიანდით, რომლებსაც სხვადასხვა პროფესიული გამოცდილება გვქონდა. ჯგუფის წევრები ვასწავლიდით სრულიად განსხვავებულ საგნებს: მათემატიკა, ინგლისური ენა, მოქალაქეობა, ისტორია და ქართული ენა. ვმუშაობდით პირველიდან მეთერთმეტე კლასამდე მოსწავლეებთან. ეს კვლევა დავიწყეთ იმიტომ, რომ გვინდოდა გაგვეგო, როგორ შეიძლება განმავითარებელი შეფასება, მაგალითად, სწრაფი უკუკავშირი და თანატოლთა შეფასება, დაეხმაროს ჩვენს მოსწავლეებს უკეთ სწავლაში და კლასში უფრო აქტიურ მონაწილეობაში.

დასაწყისისთვის საკუთარ თავს სამი ძირითადი კითხვა დავუსვით. პირველი, გვაინტერესებდა, ზუსტად როდის უნდა მიგვეცა უკუკავშირი, რათა მაქსიმალურად გაზრდილიყო მოსწავლეთა მოტივაცია. მეორე, გვინდოდა გაგვეგო, როგორ აღიქვამდნენ მოსწავლეები იმ უკუკავშირს, რომელსაც ვაძლევდით. და ბოლოს, გვაინტერესებდა, რა სტრატეგიებს იყენებდნენ ჩვენი კოლეგები საკუთარ კლასებში. პასუხების მოსაძებნად ინფორმაცია შევაგროვეთ კითხვარების მეშვეობით, დავაკვირდით ერთმანეთის გაკვეთილებს და ვაწარმოებდით რეფლექსიურ ჟურნალებს (დაკვირვების დღიური).

როდესაც ჩვენს ჩანაწერებს გადავხედეთ, მნიშვნელოვანი რამ აღმოვაჩინეთ. ბევრ მოსწავლეს რეალურად არ ესმოდა დავალებების მიზანი. მკაფიო და სასარგებლო უკუკავშირის გარეშე ისინი საკუთარ შესაძლებლობებში დარწმუნებულები არ იყვნენ და არ იცოდნენ, შეძლებდნენ თუ არა წარმატების მიღწევას. თუმცა მნიშვნელოვანი ცვლილება შევნიშნეთ მაშინ, როცა უკუკავშირი დროული და კონკრეტულად დავალებაზე მორგებული იყო, მოსწავლეები უცებ უფრო მოტივირებულები და თავდაჯერებულები გახდნენ. ასევე დავინახეთ, რომ როდესაც მათ ვაძლევდით შესაძლებლობას შეეფასებინათ საკუთარი ან თანატოლების ნამუშევარი, ისინი უფრო მეტად იღებდნენ პასუხისმგებლობას და ბევრად უკეთ თანამშრომლობდნენ.

ამ რეფლექსიების საფუძველზე გადავწყვიტეთ შეგვეცვალა ჩვენი ყოველდღიური პრაქტიკა. დავიწყეთ რუბრიკების გამოყენება, რათა მოსწავლეებს მკაფიოდ სცოდნოდათ, რას ველოდით მათგან. ასევე გადავედით მხოლოდ ნიშნების დაწერიდან უფრო რეგულარულ ზეპირ და წერილობით უკუკავშირზე, რათა მათ მეტი შესაძლებლობა ჰქონოდათ ეფიქრათ საკუთარ პროგრესზე.

ამას დრო დასჭირდა, მაგრამ საბოლოოდ დიდი ცვლილება დავინახეთ. ჩვენი მოსწავლეები გაცილებით მეტად თავდაჯერებულები გახდნენ საკუთარი ნამუშევრის შეფასებაში და უფრო ხშირად გამოთქვამდნენ მოსაზრებას გაკვეთილზე. საბოლოოდ ვნახეთ, რომ ისინი უფრო მოტივირებულები იყვნენ, დავალებებს უფრო რეგულარულად ასრულებდნენ და მათი ნამუშევრების ხარისხიც გაუმჯობესდა. მივხვდით, რომ განმავითარებელი შეფასება მხოლოდ ტექნიკური ნაბიჯი არ არის; ეს არის მარტივი და ეფექტური გზა, რომელიც მოსწავლეებს უფრო ქმედითუნარიანად და ჩართულად აგრძნობინებს თავს სწავლის პროცესში.[2]

ეს მაგალითი აჩვენებს, რომ კვლევის ჩატარება შეიძლება იყოს როგორც მარტივი, ისე სასარგებლო. სხვადასხვა საგნის მასწავლებლები ერთად მუშაობდნენ იმის შესასწავლად, თუ როგორ შეიძლება უკუკავშირმა, თანატოლთა შეფასებამ და მკაფიო კრიტერიუმებმა გააუმჯობესოს მოსწავლეთა სწავლა და ჩართულობა. მათ გამოიყენეს მონაცემების შეგროვების მარტივი მეთოდები, რაც მათ ყოველდღიურ პრაქტიკას დამატებით დატვირთვას არ უქმნიდა. შედეგებმა აჩვენა, რომ მცირე ცვლილებებმა, მაგალითად, რუბრიკების გამოყენებამ და უფრო რეგულარულმა უკუკავშირმა, სწრაფად შეუწყო ხელი მოსწავლეების თავდაჯერებისა და მოტივაციის ზრდას. ეს კიდევ ერთხელ ამტკიცებს, რომ კვლევა არ უნდა იყოს რთული ან შრომატევადი: მისი განხორციელება მკაფიო შედეგის მომტანი შეიძლება იყოს მაშინაც კი, თუ სხვადასხვა საგანს მოიცავს და მოაქვს პრაქტიკული სარგებელი როგორც მასწავლებლებისთვის, ისე მათი მოსწავლეებისთვის.

დავალებები

ზემოთ მოცემული მაგალითების საფუძველზე უპასუხეთ შემდეგ კითხვებს:

1. ქვემოთ ჩამოთვლილია მოქმედებები, რომლებიც მასწავლებლებმა ორივე მაგალითში განახორციელეს.
   ყოველი დებულების გვერდით მიუთითეთ **მაგალითი 1, მაგალითი 2 ან ორივე.**

[2] მოცემული კვლევა ჩატარდა მორის დანდურიშვილის, ნინო კიკნაძის, ლელა გელაშვილის, მაია სამნიაშვილის, თამარ ოსიტაშვილისა და ნინო მჭედლიშვილის მიერ, ნინო წერეთლის მენტორობით.

ა. ____ მასწავლებლები თანამშრომლობდნენ სხვადასხვა საგანისა და საფეხურის ფარგლებში.
ბ. ____ მასწავლებლებმა მოსწავლეთა ხედვების შესაგროვებლად გამოიყენეს კითხვარები.
გ. ____ მასწავლებლები აკვირდებოდნენ გაკვეთილებს, როგორც კვლევის პროცესის ნაწილს.
დ. ____ მასწავლებლები აწარმოებდნენ რეფლექსიურ ჩანაწერებს ან ჟურნალებს.
ე. ____ მასწავლებლებმა მოსწავლეთა მხარდასაჭერად დანერგეს რუბრიკები ან უფრო მკაფიო კრიტერიუმები.
ვ. ____ მასწავლებლებმა შეცვალეს საკლასო პრაქტიკა მიღებული გამოცდილების საფუძველზე.
ზ. ____ მასწავლებლების მიზანი იყო მოსწავლეთა დამოუკიდებლობისა და პასუხისმგებლობის გაზრდა.

2. ქვემოთ მოცემული ცხრილი შეავსეთ 1-ლი მაგალითიდან მიღებული ინფორმაციის გამოყენებით:

ვინ მიიღო სარგებელი	**როგორ დაეხმარა კვლევა?**
მასწავლებლები	_____
მოსწავლეები	_____

(გამოიყენეთ მაგალითიდან კონკრეტული მტკიცებულებები.)

3. აირჩიეთ საუკეთესო შეჯამება იმისა, რის გაგებასაც ცდილობდნენ მასწავლებლები მე-2 მაგალითში.
შემოხაზეთ სწორი პასუხი და მოკლედ დაასაბუთეთ თქვენი არჩევანი მაგალითიდან ერთი მტკიცებულების მითითებით.

ა. როგორ შეიძლება შემცირდეს მოსწავლეებისთვის სხვადასხვა საგანში მიცემული საშინაო დავალების რაოდენობა.
ბ. როგორ შეიძლება განმავითარებელი შეფასების პრაქტიკამ, განსაკუთრებით უკუკავშირმა, გააუმჯობესოს მოსწავლეთა მოტივაცია, თავდაჯერებულობა და მონაწილეობა.
გ. როგორ დაინერგოს მეტი ტექნოლოგია სხვადასხვა საგნობრივ სფეროში.
დ. როგორ გაუმჯობესდეს კლასში დისციპლინა და შემცირდეს რთული ქცევა.

კითხვები დისკუსიისთვის

- ფიქრობთ თუ არა, რომ მნიშვნელოვანია, ეს კვლევა თავად მასწავლებლებმა ჩაატარეს და არა აკადემიურმა მკვლევრებმა? რატომ / რატომ არა?

- რა განსხვავებას ქმნის ის ფაქტი, რომ ერთ შემთხვევაში კვლევა ჩაატარეს ერთი და იმავე საგნის მასწავლებლებმა, ხოლო მეორე შემთხვევაში, სხვადასხვა საგნის მასწავლებლებმა?

თქვენი კვლევის ჩანაწერები

გამოიყენეთ ეს სივრცე, რათა ჩაიწეროთ შენიშვნები თქვენი საკუთარი კვლევის შესახებ, ამ წიგნში მოცემულ აქტივობებზე მუშაობისას.

ამ თავის წაკითხვის შემდეგ, როგორ უყურებთ მასწავლებლების მიერ კვლევის ჩატარების იდეას? რა არის თქვენთვის საინტერესო? რა კითხვები ან ეჭვები გაქვთ ჯერ კიდევ?

ჩაწერეთ რამდენიმე სიტუაცია, კითხვა ან გამოწვევა თქვენი სწავლების პრაქტიკიდან, რომელზეც ხშირად ფიქრობთ. (ერთ-ერთი მათგანი შეიძლება გახდეს თქვენი საკუთარი კვლევის საწყისი წერტილი.)

ჩაწერეთ ამ თავში წარმოდგენილი ერთი იდეა, რომელმაც შეცვალა ან გააძლიერა თქვენი ხედვა კვლევის შესახებ.

2 რა არის საძიებო-სამოქმედო კვლევა?

მასწავლებლის ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული გზა საკუთარი საკლასო პრაქტიკის შესასწავლად არის ე.წ. სამოქმედო კვლევა/ პრაქტიკის კვლევა (action research).

მიუხედავად იმისა, რომ ეს ტერმინი შესაძლოა ტექნიკურად ჟღერდეს, სინამდვილეში ის ეფუძნება თქვენს ყოველდღიურ საქმიანობას და გულისხმობს, რომ ამჩნევთ თქვენს კლასში არსებულ გამოწვევას და ცდილობთ მის გადასაჭრელად ახალი მიდგომის გამოყენებას. ერთადერთი განსხვავება, რაც მას „კვლევად“ აქცევს, არის ინფორმაციის (ან მონაცემების) შეგროვების მიზანმიმართული პროცესი, რათა ნახოთ, მოახდინა თუ არა ამ ცვლილებამ ის გავლენა, რასაც ელოდით.

სამოქმედო კვლევაში მონაცემები ნიშნავს ინფორმაციას, რომელიც გროვდება შემდეგ კითხვაზე პასუხის გასაცემად:
რა ხდება მაშინ, როდესაც ვცდილობ ჩემი სწავლების გაუმჯობესებას, მუშაობს ეს თუ არა?

გაიხსენეთ მეორე მაგალითი, რომელიც ახლახან წავიკითხეთ. სხვადასხვა საგნის ექვსი მასწავლებლისგან შემდგარი ჯგუფი სწორედ სამოქმედო კვლევას ატარებდა, როდესაც გაერთიანდნენ იმისთვის, რომ გაეუმჯობესებინათ განმავითარებელი შეფასების გამოყენება. მათ უბრალოდ არ ივარაუდეს, რა იმუშავებდა; მათ დანერგეს კონკრეტული ცვლილებები. მაგალითად, გამოიყენეს რუბრიკები და ნიშნების დაწერიდან გადავიდნენ რეგულარულ ზეპირ უკუკავშირზე. შემდეგ კი ყურადღებით შეაგროვეს მონაცემები დღიურების, კითხვარებისა და კოლეგების დაკვირვებების საშუალებით, რათა შეემოწმებინათ შედეგები. სამოქმედო კვლევა, როგორც წესი, ციკლურია. მასწავლებლები გეგმავენ ცვლილებას, ახორციელებენ მას, აგროვებენ მონაცემებს და აანალიზებენ შედეგებს (იხილეთ ქვემოთ დიაგრამა). თუ შედეგები ჯერ კიდევ დამაკმაყოფილებელი არ არის, ისინი აუმჯობესებენ მიდგომას, ხელახლა ცდიან, აგროვებენ დამატებით მტკიცებულებებს და კვლავ აანალიზებენ. ამგვარად, გაუმჯობესება ხდება უწყვეტი და გააზრებული პროცესი და არა სიტუაციის გამოსწორების ერთჯერადი მცდელობა.



მოქმედება (Action) — კლასში ცვლილების განხორციელება
კვლევა (Research) — მონაცემების შეგროვება განხორციელებული ცვლილების შედეგების შესაფასებლად

მეორე მაგალითში, სამოქმედო კვლევის დაწყებამდე მნიშვნელოვანი რამ მოხდა. მასწავლებლებმა ჯერ დრო დაუთმეს სიტუაციის შესწავლას, საკუთარ თავს დაუსვეს კითხვები და შეაგროვეს ინფორმაცია იმის გასაგებად, თუ რა ხდებოდა. მხოლოდ მას შემდეგ, რაც პრობლემის მიზეზები გაიგეს, გადაწყვიტეს, რა ცვლილებები უნდა განეხორციელებინათ.

ამ პირველ ეტაპს ეწოდება საძიებო კვლევა, ინფორმაციის შეგროვებასა და ანალიზს, რათა ცვლილების მცდელობამდე შეისწავლოთ სიტუაცია.

დაუბრუნდით პირველ მაგალითს და ყურადღება გაამახვილეთ სწორედ ამ საძიებო ფაზაზე. შენიშნეთ, რომ მასწავლებლები არ იყვნენ დარწმუნებული, რატომ უჭირდათ მოსწავლეებს მათემატიკური ამოცანები. საკითხის შესწავლის შემდეგ გააცნობიერეს, რომ სირთულეები დაკავშირებული იყო ენასთან, ინსტრუქციებთან და სიმბოლოებთან. ამის გააზრების შემდეგ მათ დანერგეს მცირე ცვლილებები, რომლებიც უკეთ შეესაბამებოდა მოსწავლეთა საჭიროებებს.

შეჩერდით და დაფიქრდით

პირველ მაგალითში მასწავლებლებმა ცვლილებები მხოლოდ მას შემდეგ დანერგეს, რაც პრობლემის მიზეზები გაიგეს. თქვენი აზრით, რა სარგებელი მოაქვს იმას, რომ მოქმედებამდე დრო დავუთმოთ პრობლემის შესწავლასა და გააზრებას?

ამ საძიებო ეტაპში ჩართვას ბევრი უპირატესობა აქვს:

1. ის გეხმარებათ დარწმუნდეთ, რომ ნებისმიერი ცვლილება შეესაბამება თქვენს კონკრეტულ სიტუაციას და არ არის გარედან თავსმოხვეული.

2. გაძლევთ მკაფიო საწყის წერტილს (ბაზისურ მონაცემს), რათა მოგვიანებით ცვლილება გაზომოთ.

3. გაძლევთ შესაძლებლობას, რომ კვლევაში ეტაპობრივ ჩართოთ ის მასწავლებლები, ვინც ამ პროცესში ახალბედაა.

4. ზოგჯერ სიტუაციის სიღრმისეული გააზრება საკმარისიც არის. დამატებითი ქმედება აღარ არის საჭირო, რადგან თავად გააზრებას მოაქვს გაუმჯობესება.

როდესაც მასწავლებლები იწყებენ საძიებო კვლევით და შემდეგ გადადიან სამოქმედო კვლევაზე, ამას ვუწოდებთ საძიებო-სამოქმედო კვლევას (Exploratory Action Research — EAR).

საძიებო-სამოქმედო კვევა (EAR) ეხმარება მასწავლებლებს ჯერ სიღრმისეულად შეისწავლონ საკუთარი საკლასო სიტუაცია და შემდეგ გააზრებულად იმოქმედონ იმაზე დაყრდნობით, რაც აღმოაჩინეს. ამგვარად, კვლევა და ქმედება ერთად მუშაობს, ერთი ეტაპი ბუნებრივად გადადის მეორეში.

ქვემოთ მოცემული დიაგრამა აჩვენებს, როგორ არის დაკავშირებული ეს ორი ფაზა. კვლევის საძიებო ეტაპი ეხმარება მასწავლებლებს ყურადღებით დააკვირდნენ კლასს, შეაგროვონ ინფორმაცია და გაიგონ, რა ხდება. სამოქმედო ეტაპი კი ამ გაგებას ეყრდნობა - იგეგმება და ისინჯება/იცდება მცირე, გააზრებული ცვლილებები.

როდესაც მასწავლებლები გადიან ამ ეტაპებს: იკვლევენ, მოქმედებენ, აკვირდებიან და აანალიზებენ, მათ ეძლევათ შესაძლებლობა, ჯერ შეისწავლონ და გაიგონ საკლასო გამოწვევები და მხოლოდ შემდეგ დანერგონ ცვლილებები. ეს ასახავს რეალურ სასწავლო პრაქტიკას, სადაც კონტექსტისა და მოსწავლეთა საჭიროებების გათვალისწინება აუცილებელია. ამ პროცესის საშუალებით მასწავლებლები არა მხოლოდ პოულობენ ეფექტურ გზებს პრობლემების გადასაჭრელად, არამედ ავითარებენ პროფესიულ აზროვნებას და აგრძელებენ ზრდას.

დიაგრამაში აღმავალი მოძრაობა სწორედ ამ უწყვეტ განვითარებას გამოხატავს. ყოველი ციკლის განმავლობაში მასწავლებლები მეტად თავდაჯერებულები ხდებიან, უღრმავდებიან საკითხს და უძლიერდებათ უნარი, მიიღონ გააზრებული და ინფორმირებული გადაწყვეტილებები საკუთარი პრაქტიკის შესახებ.

მიუხედავად იმისა, რომ დიაგრამა ძიებას და მოქმედებას ერთმანეთისგან განასხვავებს, პრაქტიკაში ეს ეტაპები ხშირად გადაფარავს ერთმანეთს. მასწავლებლები იშვიათად მოძრაობენ სწორხაზოვნად. მცირე ცვლილების ცდისას ისინი შესაძლოა კვლავ აგრძელებდნენ საკითხის შესწავლას; რეფლექსიის დროს კი უკვე აკორექტირებდნენ მიდგომას. ასეთი წინ-უკან მოძრაობა ბუნებრივია და ასახავს საკლასო ცხოვრების დინამიურ ბუნებას.



ეს განვითარება მხოლოდ თეორიაში არ ჩანს, ის თავად ბევრმა მასწავლებელმა საკუთარ გამოცდილებაშიც გამოსცადა. აქ მოცემულია სამოქმედო კვლევაში ჩართვამდე საძიებო კვლევის გამოყენების უპირატესობები და სარგებელი, როგორც ამას ქართველი მასწავლებლები აღწერენ:

პედაგოგიური კვლევა ჩემთვის იყო ძალიან საინტერესო, დამეხმარა საგაკვეთილო პროცესში ნაკლებად ჩართული მოსწავლეების გასააქტიურებლად დამედგინა საჭირო სტრატეგიები. უცხო ენის გაკვეთილზე განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ყველა მოსწავლისთვის გასაგები იყოს ინსტრუქციის შინაარსი. მრავალფეროვანი მეთოდების და სტრატეგიების გამოყენებით, მოსწავლეების ჩართულობა გახდა უფრო აქტიური. მოსწავლეთა მოტივაცია ამაღლდა, გაუმჯობესდა თანამშრომლობა კლასში. მადლობა საინტერესო კვლევაში მონაწილეობისთვის.

[მარინა ეგნატაშვილი]

კვლევა დამეხმარა გამომეკვეთა მიზეზები,, თუ რატომ ვერ მიჰყვებიან მოსწავლეები მიცემულ ინსტრუქციებს და კოლეგებთან ერთად დამესახა პრობლემების გადაჭრის გზები. კვლევის შედეგად აღმოჩნდა, რომ მარტივი ენით გაცემული, ერთსაფეხურიანი, თვალსაჩინოებაზე დაფუძნებული, ნაბიჯ-ნაბიჯ მიცემული მითითებები დაეხმარა მოსწავლეებს გაცემული ინსტრუქციების გაგება-გააზრებაში. გაიზარდა მოსწავლეთა ჩართულობა სწავლა-სწავლების პროცესში. მადლობა კვლევის ორგანიზატორებს და ჩვენს მენტორს, ქეთევან გოგალაძეს, ამ შესაძლებლობისათვის.

[ნანული ბუხრიკიძე]

პედაგოგიური კვლევა ჩემთვის. საინტერესო გამოწვევა და გამოცდილება იყო. კვლევის პროცესში გამოკვეთილი პრობლემების საფუძველზე შევქმენით სამოქმედო გეგმა და დავნერგეთ საგაკვეთილო პროცესში. გარკვეული დროის შემდეგ დაკვირვებამ გამოავლინა რომ მოსწავლეების უმრავლესობას ინსტრუქციის გაგება ბევრად გაუმარტივდა. მადლობა!

[რუსუდან ნოზაძე]

ზემოთ წარმოდგენილი მაგალითები და რეფლექსიები აჩვენებს, რამდენად ღირებულია საძიებო კვლევა მოქმედებამდე. ის ეხმარება მასწავლებლებს უკეთ გაიგონ საკუთარი საკლასო გარემო და განახორციელონ ცვლილებები, რომლებიც ნამდვილად შეესაბამება მათ კონტექსტს.

იმის სანახავად, როგორ გამოიყურება ეს პროცესი დასაწყისიდან ბოლომდე, წაიკითხეთ ქვემოთ მოცემული საძიებო-სამოქმედი კვლევის ისტორია, რომელიც ასევე საქართველოში განხორციელდა. კითხვისას შეეცადეთ გამოავლინოთ EAR-ის სხვადასხვა ეტაპები — ძიებიდან/აღმოჩენიდან მოქმედებამდე და დააკვირდეთ, როგორ გადადის თითოეული ეტაპი ბუნებრივად შემდეგში.

მაგალითი 3: ინსტრუქციების მიცემის საერთო, სტრუქტურირებული მეთოდის შემუშავება და დანერგვა

ეს პროექტი განახორციელა დაწყებითი და საბაზო საფეხურის ათი მასწავლებლისგან შემდგარმა ჯგუფმა, მათ შორის ქართული ენისა და ლიტერატურის, საბუნებისმეტყველო მეცნიერებების, მათემატიკის, ინგლისურის, რუსულისა და საინფორმაციო ტექნოლოგიების მასწავლებლებმა, რომლებიც მუშაობდნენ 1-დან მე-8 კლასის მოსწავლეებთან. მათ სურდათ გაერკვიათ, რატომ უჭირდა ბევრ მოსწავლეს კლასში ინსტრუქციების შესრულება და რა შეიძლებოდა გაეკეთებინათ მასწავლებლებს იმისათვის, რომ მოსწავლეებს ინსტრუქციები უკეთ გაეგოთ.

ამ მიზნით მათ ჩამოაყალიბეს სამი საძიებო-სამოქმედო კვლევითი კითხვა, რომლებიც წარმართავდა მათ კვლევას:

1. რა სირთულეებს აწყდებიან მოსწავლეები ინსტრუქციების გაგებისა და შესრულებისას?
2. რა სტრატეგიებს ვიყენებ კლასში, რომლებიც ეხმარება მოსწავლეებს ინსტრუქციების გაგებაში?
3. რა დონეზე შეუძლიათ ჩემს მოსწავლეებს ინსტრუქციების შესრულება?

ამ კითხვებზე პასუხის გასაცემად მათ შეაგროვეს ინფორმაცია მოსწავლეთა აღქმების შესახებ მოსწავლეთა გამოკითხვის საშუალებით, რომელიც მიზნად ისახავდა გაერკვია, რამდენად გასაგები იყო ინსტრუქციები მოსწავლეებისთვის და რამდენად ასრულებდნენ მათ, რა სირთულეებს აწყდებოდნენ და სწავლების რომელი მეთოდები ეხმარებოდათ ყველაზე მეტად. მასწავლებლებმა ასევე აწარმოეს რეფლექსიური ჟურნალი, დამხმარე კითხვებით, რათა შეემჩნიათ და გაეანალიზებინათ, როდის და რამდენად უჭირდათ მოსწავლეებს ინსტრუქციების გაგება, ვის ეხებოდა ეს სირთულე და როგორ რეაგირებდნენ ისინი დაბნეულობის/გაუგებრობის დროს. ბოლოს, თითოეული მასწავლებელი აკვირდებოდა საკუთარ გაკვეთილებს, რათა შეეგროვებინა მტკიცებულებები იმის შესახებ, როგორ მიეწოდებოდა ინსტრუქციები კლასში, როგორ რეაგირებდნენ მოსწავლეები მათზე და რომელი სტრატეგიები უწყობდა ხელს გაგებას, ინსტრუქციების სიცხადისა და ეფექტიანობის შესაფასებლად.

მათ მიერ შეგროვებული ინფორმაციის ანალიზის შემდეგ დაადგინეს, რომ მოსწავლეებს ინსტრუქციების გაგება უჭირთ მაშინ, როცა ისინი გრძელია, რთულია ან მრავალ ეტაპს მოიცავს, განსაკუთრებით უცხო ენის გაკვეთილებზე. წერილობითი ინსტრუქციები უფრო რთულია, ვიდრე ზეპირი, ხოლო სწრაფი გადაცემა ამცირებს ინფორმაციის დამუშავების შესაძლებლობას.

მოსწავლეები საუკეთესოდ იგებენ მაშინ, როცა ინსტრუქციები მარტივია, ვიზუალურადაა წარმოდგენილი და ეტაპებად არის დაყოფილი, ჟესტებით, მაგალითებითა და მოდელირებით გამყარებული. მასწავლებლები უკვე იყენებდნენ სასარგებლო სტრატეგიებს, როგორიცაა ენის გამარტივება, გაგების შემოწმება, დავალებების მოდელირება, საჭიროების შემთხვევაში თარგმნა და მოსწავლებისათვის ეტაპობრივად მიმართულების მიცემა. ჯგუფური მუშაობის დროს თანატოლთა დახმარებაც ხელს უწყობდა გაგებას.

ამ ინფორმაციის საფუძველზე ჯგუფმა დაასკვნა, რომ საჭირო იყო ინსტრუქციების მიცემის საერთო, სტრუქტურირებული მეთოდი, რათა მასწავლებლებს შეძლებოდათ მკაფიო მითითებების მიცემა, გაგების შემოწმება და მოსწავლეთა მხარდაჭერა დავალების თითოეულ ეტაპზე. ამ მიზნით მათ შეიმუშავეს და სკოლაში დანერგეს მიდგომა სახელწოდებით CLEAR (Clarify — დააზუსტე, Listen & Check — მოუსმინე და შეამოწმე, Engage — ჩართე, Assist — დაეხმარე და Review & Reflect — გადაამოწმე და გააკეთე რეფლექსია).

ათივე მასწავლებელმა სამი კვირის განმავლობაში გამოიყენა ეს მიდგომა და მისი გავლენა შეაფასა მოსწავლეთა კითხვარის, კოლეგიალური დაკვირვებებისა და გასასვლელი ბარათების საშუალებით. მასწავლებლები აკვირდებოდნენ ერთმანეთის გაკვეთილებს, რათა ენახათ, როგორ მუშაობდა პროტოკოლი პრაქტიკაში და მიეცათ ერთმანეთისათვის უკუკავშირი, ხოლო მოსწავლეები აზიარებდნენ, რამდენად გასაგებად ესმოდათ ინსტრუქციები და სჭირდებოდათ თუ არა დამატებითი განმარტება.

შედეგებმა აჩვენა მოსწავლეთა უნარის აშკარა გაუმჯობესება ინსტრუქციების გაგებასა და შესრულებაში. გაკვეთილებზე დაკვირვებამ დაადასტურა ეს პროგრესი: მოსწავლეები ყურადღებით უსმენდნენ, სწორად ასრულებდნენ ნაბიჯებს და ნაკლებად საჭიროებდნენ შეხსენებებს. ერთ გაკვეთილზე მოსწავლეებმა წარმატებით შეასრულეს მრავალსაფეხურიანი „ჯიგსოუს“ (ფრაგმენტებად დაყოფილი თავსატეხი) აქტივობა და სწორად გადაანაწილეს როლები მასწავლებლის დახმარების გარეშე. გასასვლელი ბარათების ანალიზი ასევე მიუთითებდა უკეთეს გააზრებაზე, მოსწავლეები აღნიშნავდნენ, რომ დავალებები უფრო მარტივად აღსაქმელი იყო და ვიზუალურად მხარდამჭერი მასალები მათ ინსტრუქციების მიყოლაში ეხმარებოდა. მცირე ჯგუფს კვლავ სჭირდებოდა ინდივიდუალური განმარტება, განსაკუთრებით მათ, ვისაც ენობრივი კომპეტენცია შედარებით დაბალი ჰქონდა, თუმცა მთლიანობაში მოსწავლეები უფრო თავდაჯერებულები და დამოუკიდებლები გახდნენ ინსტრუქციების შესრულებისას.[3]

ამ მაგალითში შეგიძლიათ ნახოთ, როგორ მიიყვანა მასწავლებელთა კვლევამ ისინი მარტივი, პრაქტიკული და ადვილად დასამახსოვრებელი ინსტრუმენტის (CLEAR) შექმნამდე, რომელიც ყოველდღიურ საკლასო სწავლებას აადვილებს. ასევე გამოიკვეთა, როგორია საძიებო-სამოქმედი კვლევის პროცესი ეტაპობრივად: მასწავლებლებმა გამოავლინეს რეალური სირთულე კლასში, შეაგროვეს ინფორმაცია მოსწავლეებისგან და დაკვირვებების გზით, გამოსცადეს მცირე ცვლილებები და შემდეგ შეაფასეს შედეგები. მნიშვნელოვანია, რომ ეს გადაწყვეტა არ წარმოადგენდა მასწავლებლებისთვის დამატებით დატვირთვას, არამედ იყო იმ პრაქტიკის დახვეწა, რასაც უკვე იყენებდნენ, ინსტრუქციების უფრო გასაგებად ჩამოყალიბება და მოსწავლეებისათვის სწავლების ხელმისაწვდომობის უფრო მეტად მხარდაჭერა.

[3] მოცემული კვლევა ჩატარებულია ნანული ბუხრიკიძის, მზია ლომსაძის, ეკატერინე ზაზიკაშვილის, ნათია ლომიძის, ანა ტეფნაძის, თეა ლომიძის, ლელა იკაშვილის, მარინე ეგნატიშვილისა და ლია მურვანიძის მიერ ქეთევან გოგლაძის მენტორობით.

მაგალითი 4: საშინაო დავალებაზე ახალი იდეების განვითარება

ეს კვლევა ჩაატარა სხვადასხვა საგნის ხუთმა მასწავლებელმა: „მე და საზოგადოება“ (მე-3 კლასი), ქართული ენა და ლიტერატურა (მე-5 კლასი), ლიდერობა (მე-10 კლასი), ბიოლოგია (მე-11 კლასი) და კრიტიკული აზროვნება (მე-11 კლასი). მასწავლებლებს სურდათ გაეგოთ, რატომ უჭირდათ მოსწავლეებს საშინაო დავალების ხარისხიანად შესრულება და როგორ შეეძლოთ მასწავლებლებს ამ გამოწვევის დაძლევაში დახმარება.

ამის შესასწავლად მათ შეაგროვეს ინფორმაცია კითხვარების, ფოკუს ჯგუფებისა და რეფლექსიური ჟურნალების საშუალებით. მონაცემებმა აჩვენა, რომ მოსწავლეები ზოგადად საშინაო დავალებას სასარგებლოდ მიიჩნევდნენ სწავლებისთვის, თუმცა მათი მოტივაცია მნიშვნელოვნად იყო დამოკიდებული სამუშაოს მოცულობაზე, დავალებების სიცხადეზე და იმაზე, რამდენად საინტერესო ან პრაქტიკული იყო ისინი. მოსწავლეები ბევრად მეტად იყვნენ ჩართულები იმ დავალებებში, რომლებიც იყო შემოქმედებითი, რეალურ ცხოვრებასთან დაკავშირებული და თვითგამოხატვის შესაძლებლობას იძლეოდა, ხოლო გრძელი, დამახსოვრებაზე ორიენტირებული დავალებები მათ დემოტივაციას იწვევდა. მათ ასევე აღნიშნეს, რომ მასწავლებლის მხარდაჭერა, მკაფიო ინსტრუქციები და რესურსებზე ხელმისაწვდომობა მნიშვნელოვან გავლენას ახდენდა იმაზე, თუ როგორ ეკიდებოდნენ მოსწავლეები დავალებებს.

ამ შედეგების განხილვის შემდეგ მასწავლებლებმა შეიმუშავეს იდეები საშინაო დავალების გაუმჯობესების გეგმისთვის. მათი წინადადებები მოიცავდა: ნაკლები, მაგრამ უფრო მაღალი ხარისხის დავალებების მიცემას; შემოქმედებითი და პროექტზე დაფუძნებული აქტივობების გაზრდას; მკაფიო, ნაბიჯ-ნაბიჯ ინსტრუქციების მიწოდებას; შეფასების პროცესის მეტ გამჭვირვალობს; დროული უკუკავშირისა და მხარდაჭერის შეთავაზებას; დავალებების დიფერენცირებას სხვადასხვა დონის მოსწავლეებისთვის; და საშინაო დავალების პოლიტიკის რეგულარულ გადახედვას მოსწავლეთა უკუკავშირის საფუძველზე.

მასწავლებლებს ეს იდეები ჯერ არ ჰქონდათ განხორციელებული; მათი მთავარი ყურადღება მიმართული იყო მტკიცებულებების შესწავლაზე და იმაზე, რომ ჩამოეყალიბებინათ საერთო ხედვა იმის შესახებ, თუ როგორი უნდა იყოს ეფექტური საშინაო დავალება.[4]

[4] მოცემული კვლევა ჩაატარეს სალომე მზარაშვილმა, ანა ჭყონიამ, თამარ ლოლიშვილმა, დარეჯან ლორთქიფანიძემ, და მარიამ ბოლქვაძემ ლალი ტერტერაშვილის მენტორობით.

ამ მაგალითში შეგიძლიათ ნახოთ, თუ როგორ ეხმარება კვლევა მასწავლებლებს პრობლემის სიღრმისეულად გააზრებაში მანამდე, სანამ გადაწყვეტენ, რა უნდა შეცვალონ. მასწავლებლებმა ეტაპობრივად გაიარეს საძიებო-სამოქმედო კვლევის პროცესი: მათ დაადგინეს რეალური პრობლემა (მოსწავლეებს უჭირდათ საშინაო დავალების ხარისხიანად შესრულება), გამოიკვლიეს ის მოსწავლეებისგან ინფორმაციის შეგროვებისა და საკუთარი პრაქტიკის რეფლექსიის გზით, და მიღებულ ცოდნაზე დაყრდნობით შეიმუშავეს რეალისტური, მტკიცებულებებზე დაფუძნებული იდეები გაუმჯობესებისთვის.

ამ პროცესის ღირებულება იმაში მდგომარეობს, რომ მათ არ დასჭირვებიათ მასშტაბური ქმედებები ან დამატებითი სამუშაოს გაწევა. პირიქით, კვლევამ მასწავლებლებს უფრო მკაფიოდ დაანახა კარგად ნაცნობი პრობლემის გამომწვევი მიზეზები და დაეხმარა მათ ერთობლივად დაეგეგმათ უკეთესი გამოსავალი. ეს აჩვენებს, რომ კვლევა მხოლოდ ახალი მეთოდების გამოცდას არ ნიშნავს; იგი ასევე გულისხმობს სწავლას კვლევისა და რეფლექსიის გზით, რაც სწავლებასთან დაკავშირებულ გადაწყვეტილებებს უფრო ინფორმაციაზე დაფუძნებულსა და მიზანმიმართულს ხდის.

დავალება

ზემოთ მოცემულ მაგალითებზე დაყრდნობით უპასუხეთ შემდეგ კითხვებს:

1. ხელახლა წაიკითხეთ მაგალითი 3.
   დააკავშირეთ კვლევის პროცესის თითოეული ეტაპი (ა–ე) იმ ქმედებებთან (1–5), რომლებიც მასწავლებლებმა განახორციელეს.
   თითოეული ეტაპის გვერდით ჩაწერეთ შესაბამისი ნომერი.

   ეტაპები

   ა. საერთო პრობლემის იდენტიფიცირება
   ბ. ინფორმაციის შეგროვება
   გ. შედეგებზე რეფლექსია
   დ. გადაწყვეტის შემუშავება და განხორციელება
   ე. გავლენის შეფასება

ქმედებები

1. შეიმუშავეს CLEAR (Clarify — დააზუსტე, Listen & Check — მოუსმინე და შეამოწმე, Engage — ჩართე, Assist — დაეხმარე, Review & Reflect — გადაამოწმე და გააკეთე რეფლექსია) მიდგომა და სამი კვირის განმავლობაში გამოიყენეს.
2. შენიშნეს, რომ მოსწავლეებს უჭირდათ საკლასო ინსტრუქციების გაგება და შესრულება.
3. გამოიყენეს მოსწავლეთა კითხვარები, რეფლექსიური ჟურნალები და გაკვეთილზე დაკვირვება მტკიცებულებების შესაგროვებლად.
4. გააანალიზეს მონაცემები და დაასკვნეს, რომ გრძელი, რთული ინსტრუქციები და სწრაფი გადაცემა იწვევდა დაბნეულობას, ხოლო ვიზუალური მასალები და მოდელირება ხელს უწყობდა გაგებას.
5. გამოიყენეს გასასვლელი ბარათები, კოლეგიალური დაკვირვება და შემდგომი კითხვარი, რათა შეეფასებინათ მოსწავლეთა უნარის გაუმჯობესება ინსტრუქციების შესრულებაში.

2. შეხედეთ დავალება 4 -ს და განსაზღვრეთ, რომელი ინსტრუმენტები გამოიყენეს მასწავლებლებმა საშინაო დავალებასთან დაკავშირებული სირთულეების მიზეზების გამოსავლენად.

მონიშნეთ ყველა შესაბამისი პასუხი და თითოეულისთვის დაამატეთ ერთი წინადადება, რომელიც განმარტავს, როგორ დაეხმარა ის.

- ☐ მოსწავლეთა კითხვარები
- ☐ ფოკუს ჯგუფები
- ☐ კოლეგიალური დაკვირვება გაკვეთილზე
- ☐ რეფლექსიური ჟურნალები
- ☐ გასასვლელი ბარათები
- ☐ სკოლაში დანერგილი საერთო

კითხვები დისკუსიისათვის

1. როგორ შეიძლება პრობლემის რეალური მიზეზების იდენტიფიცირებამ და არა მხოლოდ მიზეზების ვარაუდმა, თქვენს სასწავლო კონტექსტში განსხვავებული ან უკეთესი გადაწყვეტილებების პოვნას შეუწყოს ხელი?
2. რა შეიძლება მოუტანოს მასწავლებლებს პრობლემის ერთობლივად შესწავლამ ქმედების დაწყებამდე? როგორ შეიძლება ამგვარმა თანამშრომლობამ გავლენა მოახდინოს საკლასო პრაქტიკაზე?

თქვენი კვლევის ჩანაწერები

გამოიყენეთ ეს სივრცე, რათა ჩაიწეროთ შენიშვნები თქვენი კვლევის შესახებ, ამ წიგნში მოცემულ აქტივობებზე მუშაობისას.

დაფიქრდით თქვენს კლასში არსებულ სიტუაციაზე, რომელიც თქვენთვის დამაბნეველი, რთული ან საინტერესოა. მოკლედ აღწერეთ იგი.

ამ ეტაპზე, გაწერე თავდაპირველი მოსაზრებები ან შესაძლო ახსნა-განმარტებები. ეს არის მარტივი იდეები, საძიებო-სამოქმედო კვლევის მიზანია იკვლიოს უფრო სიღრმისეულად.

რა კითხვები დაგებადა როცა ამ სიტუაციაზე ფიქრობდი?

დაწერეთ ამ თავში განხილული ისეთი საკითხის შესახებ, რომელიც დაგეხმარათ იმის გააზრებაში, თუ როგორ მუშაობს ერთად კვლევა (ძიება/შესწავლა) და ქმედება.

ნაწილი 2:
საძიებო-სამოქმედო კვლევა უფრო სიღრმისეული გაგებისთვის

3 რას იკვლევ?



წინა თავში თქვენ გაეცანით, როგორ გამოიყენეს საქართველოში მასწავლებლებმა საძიებო-სამოქმედო კვლევა, რათა უფრო ახლოდან დაკვირვებოდნენ იმას, რაც მათ კლასებში ხდებოდა, ჯერ შეისწავლეს სიტუაცია/პრობლემა და შემდეგ გადადგეს ნაბიჯები მის გასაუმჯობესებლად. ასევე წაიკითხეთ, რამდენად ღირებულად მიიჩნიეს მასწავლებლებმა ეს პროცესი როგორც მოსწავლეებისთვის, ისე საკუთარი პროფესიული ზრდისთვის.

ახლა დროა დაფიქრდეთ, როგორ შეგიძლიათ დაიწყოთ საკუთარი კვლევა.

კლასში ყოველთვის ბევრი რამ ხდება და მასწავლებლებს ხშირად ბევრი აზრი უტრიალებთ იმ სიტუაციებზე, რომლებსაც აწყდებიან. სინამდვილეში, მასწავლებლების უმეტესობა უკვე რეფლექსიას ახდენს და ცდილობს პრობლემების გადაჭრას სწავლების პროცესშივე, ამას მიჩვეულები ვართ! თუმცა ყოველთვის ვერ ვპოულობთ დროს, რომ ჩავუღრმავდეთ იმ საკითხებს, რომლებიც გზადაგზა გვხვდება. ხშირად გვგონია, რომ ამისთვის საკმარისი დრო ან ენერგია არ გვაქვს. მაგრამ, როგორც EAR-ის ისტორიებიდან ნახეთ, საკითხის შესასწავლად დამატებითი დროის გამოყოფა ძალიან ღირებულია.

მაშ, რა უნდა შეისწავლოთ, როცა სწავლების პროცესში ამდენი რამ ხდება?

პირველი ნაბიჯი უბრალოდ იდეების გენერირებაა. ჩამოწერეთ სხვადასხვა გამოწვევები, კითხვები ან თავსატეხები, რომლებიც თავში მოგდით, ჯერ არ გჭირდებათ ერთი საკითხის შერჩევა. შეიძლება გაგიადვილდეთ მათი სათითაოდ ჩამოწერა, ან გირჩევნიათ თავისუფლად წეროთ თქვენი კლასების შესახებ, მართლწერასა და გრამატიკაზე ფიქრის გარეშე.

რამდენიმე წუთის შემდეგ შეგიძლიათ დაუბრუნდეთ და მონიშნოთ ის საკითხები, რომლებიც განსაკუთრებით გაწუხებთ.

მაგალითად, წინა პროექტებში მასწავლებლები იკვლევდნენ ისეთ კითხვებს, როგორიცაა:

- რატომ დუმს ზოგი მოსწავლე ჯგუფური მუშაობის დროს?
- რა ტიპის უკუკავშირზე რეაგირებენ მოსწავლეები უკეთ?
- რატომ რჩება საშინაო დავალება ხშირად შეუსრულებელი ან ზედაპირულად შესრულებული?

ამგვარი კითხვები პირდაპირ ყოველდღიური სასწავლო გამოცდილებიდან მოდის. არ არის საჭირო ისინი „აკადემიურად“ ჟღერდეს, საკმარისია ასახავდეს იმას, რისი უკეთ გაგებაც ნამდვილად გსურთ.

ასევე სასარგებლოა დაფიქრება იმაზე, რა პროცესები მიდის კარგად თქვენს გაკვეთილებზე. წარმატებებიც, თუნდაც მცირე, შეიძლება შესანიშნავი დასაწყისი იყოს კვლევისთვის. შეიძლება გინდოდეთ გაიგოთ, რატომ მუშაობს რაღაც კარგად, რათა კიდევ უფრო გააუმჯობესოთ, ან სხვებს გაუზიაროთ.

მაგალითად, ზოგი მასწავლებელი იკვლევდა:

- რატომ არიან მოსწავლეები განსაკუთრებით მოტივირებულები პროექტულ მუშაობაში?
- რა განაპირობებს, რომ ზოგი წყვილური ან ჯგუფური აქტივობა უკეთეს კომუნიკაციას იწვევს?
- რატომ ზრდის ზოგიერთი უკუკავშირის ტექნიკა, მაგალითად, თანატოლთა უკუკავშირი ან შექება) მონაწილეობას?

იმის კვლევა, თუ რატომ არის რაღაც წარმატებული, ისეთივე ღირებულია, როგორც პრობლემის შესწავლა. ეს დაგეხმარებათ გაიგოთ ის პირობები, რომლებიც სწავლას ეფექტიანს ხდის, ეს კი მოგცემთ შესაძლებლობას, უფრო მეტად გამოიყენოთ ის, რაც ნამდვილად მუშაობს დროთა განმავლობაში, ასეთი ჩანაწერების რეგულარულად შესრულება, გაკვეთილის შემდეგ ან დღის ბოლოს, შეიძლება სასარგებლო ჩვევად იქცეს, თითქმის ისეთივე როგორც სასწავლო დღიურის წარმოებაა. ეს გეხმარებათ შენიშნოთ ტენდენციები, დააფიქსიროთ იდეები და დაიმახსოვროთ, რისი შესწავლა გსურთ მომავალში.

როდესაც თქვენი სია მზად იქნება, შემდეგი ნაბიჯია ერთი საკითხის არჩევა, რომელზეც ფოკუსირდებით, ეს შეიძლება იყოს პრობლემა, კითხვა ან წარმატება. ერთდროულად ბევრ საკითხზე ინფორმაციის შეგროვება რთულია, ამიტომ უმჯობესია მცირე მასშტაბით დაიწყოთ.

მაშ, როგორ გადაწყვიტოთ, რომელი თემა შეისწავლოთ?

შეგიძლიათ თემა აირჩიოთ იმის მიხედვით, რა არის „მოდური“ აკადემიურ წრეებსა თუ მეთოდურ ლიტერატურაში, თუმცა მასწავლებელთა კვლევის რეალური ღირებულება ისაა, რომ თემა მოდის თქვენი საკლასო ოთახიდან და გამოცდილებიდან. სწორედ ეს ხდის მას რელევანტურს, პირადსა და მნიშვნელოვანს. მნიშვნელობა არ აქვს, სხვებს აქვთ თუ არა

მსგავსი საკითხი შესწავლილი. მათი ნაშრომების წაკითხვა მოგვიანებითაც შეგიძლიათ. მთავარი ისაა, რომ ის, რისი უკეთ გაგებაც ნამდვილად გსურთ, თქვენ გეხებათ. ამიტომ, აკადემიური ლიტერატურის ან ბლოგების კითხვით დაწყების ნაცვლად, გთავაზობთ გადახედოთ თქვენს სიას და შესაძლო თემები შეაფასოთ MUSE კრიტერიუმებით. ამისთვის ჰკითხეთ საკუთარ თავს, თითოეული საკითხი არის თუ არა:

- მართვადი (Manageable) — შემიძლია რეალურად შევისწავლო?
- გადაუდებელი (Urgent) — საჭიროებს სწრაფ ყურადღებას?
- მნიშვნელოვანი (Significant) — მისი გაგება რეალურ ცვლილებას მოიტანს ჩემთვის და კოლეგებისთვის?
- საინტერესო (Engaging) — ნამდვილად მაინტერესებს?

ამ კითხვებზე ფიქრი დაგეხმარებათ შეამციროთ სია ერთ მნიშვნელოვან თემამდე — ისეთამდე, რომლის კვლევაც რეალისტური და ღირებულია.

უკვე ნახეთ, როგორ მუშაობს ეს ოთხი კრიტერიუმი პრაქტიკაში. მაგალითად, ორი მათემატიკის მასწავლებლის შესახებ ადრინდელ მაგალითში მათი თემა, მოსწავლეების სირთულეები ამოცანების ამოხსნისას, მართვადი იყო, რადგან ერთ კონკრეტულ საკითხზე ფოკუსირდებოდა ყოველდღიურ სწავლებაში. ის გადაუდებელი იყო, რადგან მოსწავლეებს უჭირდათ დავალებების გაგება, რაც ყოველდღიურად მოქმედებდა გაკვეთილებზე. მნიშვნელოვანი იყო, რადგან გაგების გაუმჯობესება დაეხმარებოდა როგორც მასწავლებლებს, ისე მოსწავლეებს მათემატიკის ბევრ ასპექტში. ამასთანავე, საინტერესო იყო, რადგან მასწავლებლებს ნამდვილად სურდათ გაეგოთ, რატომ უჭირდათ მოსწავლეებს და როგორ დახმარებოდნენ მათ.
მაშ, ახლა რას გადაწყვეტთ? რა იქნება თქვენი საკვლევი თემა?

შეჩერდით და დაფიქრდით

დაუთმეთ რამდენიმე წუთი საკუთარ კლასებზე ფიქრს.

- რა საკითხები, კითხვები ან თავსატეხები გახსენდებათ. ისეთი, რომლებიც განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს ან უკეთ გაგება გსურთ?
- რა მიდის კარგად ბოლო პერიოდში? რატომ ფიქრობთ, რომ ასეა?

სანამ საკუთარ თემას განსაზღვრავთ, წავიკითხოთ, როგორ გააკეთეს ეს სხვა მასწავლებლებმა.
ქვემოთ მოცემულია ორ ნაწილად გაყოფილი დიალოგი, რომელიც აჩვენებს ძიების პროცესის ორ მომენტს. პირველში მასწავლებელთა ჯგუფი იდეებს აგენერირებს შესაძლო თემებზე. მეორეში ისინი ცდილობენ შეამცირონ არჩევანი საერთო კვლევით ფოკუსამდე.
კითხვისას დააკვირდით, როგორ ვიწროვდება მათი მოსაზრებები, ფართო,ზოგადი საკლასო საკითხებიდან ერთ მკაფიო და მნიშვნელოვან თემამდე.

მენტორი კოლეგა ქეთევან გოგალაძე მუშაობის პროცესში მასწავლებლებთან საძიებო-სამოქმედო კვლევის ხელმძღვანელობისას.

დიალოგი. ნაწილი 1: თემებზე იდეების გენერირება

ქეთი: ნანული, რა ტიპის პრობლემებს აწყდები სწავლებაში?

ნანული: ამჟამად ვმუშაობ მე-4 და მე-5 კლასებთან. ძირითადად მათემატიკაში ჯგუფურ მუშაობასთან დაკავშირებულ პრობლემებს ვხედავ. მოსწავლეთა ჩართულობა დაბალია და ვერ ვახერხებ თითოეული მოსწავლის სრულად ჩართვას. ისინი ერთმანეთზე არიან დამოკიდებულები და ბოლომდე არ ვიცი, რა იწვევს ამას.

კიდევ ერთი პრობლემა ის არის, რომ მათემატიკის გაკვეთილებზე მოსწავლეებს უჭირთ წერილობითი დავალებების გაგება და დამუშავება.

ქეთი: სიმართლე გითხრა, მეც ზოგჯერ ვერიდები ჯგუფურ მუშაობას. ხშირად ქაოსში გადაიზრდება ხოლმე. მაქსიმალურად ვცდილობ მოსწავლეების ჩართვას, მაგრამ მაინც ვერ გამოდის და ჯგუფურ დავალებებს საბოლოოდ ერთი ან ორი მოსწავლე ასრულებს. ეს ჩემს კლასშიც ნამდვილად პრობლემაა.

ქეთი: ლიკა, ახლა შენი ჯერია , რა გამოწვევებს აწყდები შენს კლასში?

ლიკა: ჩემთვის ყველაზე დიდი გამოწვევა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე (სსსმ) მოსწავლეებთან მუშაობაა. როცა მათ მაღალ აკადემიურ შედეგიან მოსწავლეებთან ვაერთიანებ, სსსმ მოსწავლეები ხშირად ჩამორჩებიან. ხოლო თუ ვცდილობ ყველასთან უფრო თანაბრად ვიმუშაო, ძლიერი მოსწავლეები თითქოს მოტივაციას კარგავენ — აღარ არიან ისე ჩართულები ან ყურადღებიანები. შედეგად, მიჭირს ისეთი აქტივობების შექმნა, რომლებიც ყველას ერთნაირად დააინტერესებს და ყველას ჩართულობას უზრუნველყოფს.

კიდევ ერთი პრობლემა, რასაც სხვა კლასში ვამჩნევ, ზოგადად დაბალი მოტივაციაა.

ქეთი: ასე რომ, როგორც ჩანს, აქამდე გამოვლინდა რამდენიმე მთავარი საკითხი: ჯგუფურ მუშაობასთან დაკავშირებული სირთულეები, კლასის დისციპლინის პრობლემები, მოსწავლეთა მოტივაციის ზოგადი ნაკლებობა და სსსმ მოსწავლეების სწავლება.

დიალოგი. ნაწილი 2: ერთი თემის შერჩევა

ნანული: ვფიქრობ, ჯობია დავავიწროვოთ ფოკუსი. თუ რამდენიმე თემა გვექნება, შეიძლება ყურადღება გაგვეფანტოს. ავირჩიოთ რაღაც კონკრეტული.

ლიკა: თუ მოტივაციაზე გავამახვილებთ ყურადღებას, შეგვიძლია შევისწავლოთ, რომელი აქტივობები უზრუნველყოფს მოსწავლეებისთვის ყველაზე მეტ ჩართულობას., რა აღძრავს მათ ინტერესს, მაგალითად, რა ტიპის დავალებებს ანიჭებენ უპირატესობას: ჯგუფურს, ინდივიდუალურს თუ სხვას?

ნანული: თუ ჯგუფური მუშაობის საკითხს წამოვწევთ წინ, მოტივაცია ბუნებრივად იქნება მისი ნაწილი. თუ მოსწავლეები მეტად მოტივირებულები იქნებიან, მათი მონაწილეობაც გაიზრდება. ერთ-ერთი მთავარი მიზეზი, რის გამოც ისინი არ ერთვებიან, შეიძლება სწორედ მოტივაციის ნაკლებობა იყოს.

ნანული: და ლიკას წუხილი სსსმ მოსწავლეებთან დაკავშირებითაც შეიძლება ამ პროცესში განვიხილოთ. ლიკა, ადრე გამოგიყენებია ჯგუფური მუშაობა? როგორ იმუშავა?

ლიკა: ზედა კლასებში ხშირად ვიყენებ ჯგუფურ აქტივობებს. მაგრამ, როგორც წესი, აქტიურად მხოლოდ მაღალი ან საშუალო აკადემიური მოსწრების მქონე მოსწავლეები მონაწილეობენ. დანარჩენები მათზე არიან დამოკიდებულები და დიდი ძალისხმევის გარეშე „გადიან ფონს".

ნანული: ზუსტად ამას ვხედავ მეც.

ქეთი: ხედავთ, ეს დაკვირვებები სამივეს გვეხება: ჩვენ არ ვართ კმაყოფილი იმით, როგორ მიმდინარეობს ჯგუფური მუშაობა ჩვენს კლასებში. გვინდა უკეთ გავიგოთ, რატომ არ ერთვება კლასის უმეტესობა ჯგუფურ მუშაობაში. რატომ არ აქვთ მონაწილეობისთვის მოტივაცია...

ამიტომ შეგვიძლია ჯგუფური მუშაობა ავირჩიოთ კვლევის თემად. ეს ეხება როგორც დაწყებით, ისე ზედა კლასებს. პირადად ჩემთვის ძალიან

საინტერესოა — განსაკუთრებით იმიტომ, რომ ქვედა კლასებში რამდენჯერმე ვცადე ჯგუფური მუშაობა, მაგრამ კარგად არ ჩაიარა. მინდა გავიგო, რატომ მოხდა ასე, რა იყო ძირეული მიზეზები, რათა მომავალში იგივე შეცდომები აღარ გავიმეორო.

ლიკა, რომელ ასაკობრივ ჯგუფთან გიმუშავია ყველაზე ხშირად?

ლიკა: ვმუშაობდი მე-9–მე-10 კლასებთან და ახლა ვმუშაობ მე-10–მე-11 კლასებთან. უმცროსებთანაც ჩამიტარებია ჯგუფური აქტივობები, განსაკუთრებით მაშინ, როცა ენის სწავლას იწყებენ და ამ ეტაპზე დაახლოებით ერთ დონეზე არიან. ასეთ შემთხვევაში ნაკლებად ჩანს, თუ ვინმე ბოლომდე არ არის ჩართული.

მაგრამ უფროსებთან, სადაც დონის განსხვავებები უფრო აშკარაა, ძლიერებსა და სირთულეების მქონეებს შორის, ნათლად ჩანს, რომ მოსწავლეები თანაბრად არ ერთვებიან ჯგუფურ მუშაობაში.
ასევე შევამჩნიე, რომ თუ რამე ესმით და მარტივია მათთვის, სიამოვნებით ერთვებიან და უფრო აქტიურები ხდებიან. სურთ აჩვენონ, რომ გაიგეს. მაგრამ მაინც, მონაწილეობა ხშირად იმავე მოსწავლეებზეა კონცენტრირებული.

ქეთი: სწორედ ასეთი კითხვებია, რომლებიც უფრო სიღრმისეულად უნდა შევისწავლოთ. თუ გადავწყვეტთ ჯგუფური მუშაობის კვლევას, არის თუ არა ეს საკითხი ჩვენს კონტექსტში გადაუდებელი? შეგვიძლია რეალურად მისი კვლევა? საინტერესოა? მნიშვნელოვანია მისი შესწავლა?

მოდით ამ ოთხ კითხვაზე ვიფიქროთ, იქნება ეს ჯგუფური მუშაობა თუ სხვა თემა. და თუ არის რამე, რაც უფრო სასწრაფოდ საჭიროებს გაუმჯობესებას და უფრო გვაწუხებს, შეგვიძლია მასზე გავამახვილოთ ყურადღება. რას ფიქრობთ?

ნანული: მაინც ვფიქრობ, ლიკას მოტივაციის საკითხიც უნდა გავითვალისწინოთ. ამიტომ, ახლა რა თქმა უნდა, შეიძლება ფოკუსი გავაკეთოთ ჯგუფურ მუშაობაში მოტივაციაზე.

ქეთი: ანუ მოტივაციას პარალელურად შევისწავლით ჯგუფურ მუშაობასთან ერთად,, ხომ?

ნანული: დიახ, ზუსტად. მოტივაცია ბუნებრივად გამოვლინდება, როგორც ერთ-ერთი მთავარი ფაქტორი, რომელიც ჯგუფურ მუშაობაში სირთულეებს იწვევს.

ქეთი: ასე რომ, ნამდვილად ჩანს, რომ ჯგუფური მუშაობა პრობლემაა. არ ვართ კმაყოფილი, ან იმიტომ, რომ მოსწავლეები არ ერთვებიან, ან იმიტომ, რომ ვერ ვგეგმავთ ეფექტიანად. ნამდვილად საინტერესო თემაა კვლევისთვის.

დისკუსიის შედეგად გამოიკვეთა საერთო თემა: ჯგუფური მუშაობა ვერ აღწევდა მიზანს, ყველა მოსწავლის ჩართვას. მასწავლებელთა ხედვების დაახლოებამ საწყისი შეთანხმება **მოიტანა:** ჯგუფური მუშაობა იქნებოდა მათი კვლევის მთავარი ფოკუსი.

დისკუსიის ბოლოს გუნდი მზად იყო ჩამოეყალიბებინა მკაფიო, კვლევისთვის შესაფერისი ფოკუსი. ისინი გადავიდნენ ზოგადი პრეტენზიიდან („ჯგუფური მუშაობა არ მუშაობს“) უფრო ზუსტ, კვლევისთვის მნიშვნელოვან თემამდე:

როგორ შეიძლება გავზარდოთ მოსწავლეთა მოტივაცია, რათა ისინი შინაარსიანად ჩაერთონ ჯგუფურ მუშაობაში შესაძლებლობის სხვადასხვა დონეზე?

თემა ბუნებრივად ჩამოყალიბდა, არა გარედან დაწესებული ან ზემოდან მიღებული გადაწყვეტილების შედეგად, არამედ მასწავლებლების:

- საერთო გამოცდილების;
- კოლეგიალური რეფლექსიის;
- ღია დიალოგის;
- პრაქტიკული საკლასო საჭიროებების საფუძველზე.

ასევე, მასწავლებლების საბოლოო თემა - ჯგუფურ მუშაობაში მოსწავლეთა მონაწილეობისა და მოტივაციის გაუმჯობესება, ნათლად აკმაყოფილებდა ადრე განხილულ ოთხ კრიტერიუმს (MUSE):

- მართვადი იყო, რადგან ერთ კონკრეტულ პრაქტიკაზე (ჯგუფურ მუშაობაზე) ფოკუსირდებოდა, რომლის დაკვირვებაც მარტივია.
- გადაუდებელი იყო, რადგან ყოველდღიურ გაკვეთილებსა და ჩართულობაზე ახდენდა გავლენას.
- მნიშვნელოვანი იყო, რადგან სხვადასხვა შესაძლებლობის მქონე მოსწავლეთა სწავლას გააუმჯობესებდა.
- საინტერესო იყო, რადგან სამივე მასწავლებელი გულწრფელად იყო დაინტერესებული და პირადი გამოცდილება ჰქონდა ამ მიმართულებით.

სხვა სიტყვებით, მათ აირჩიეს თემა, რომელიც მნიშვნელოვანი იყო მათთვის, მათი მოსწავლეებისთვის და მათი სწავლებისთვის, და რომელიც რეალისტური იქნებოდა საძიებო-სამოქმედო კვლევისთვის.

დავალებები

წაიკითხეთ დიალოგი კიდევ ერთხელ და ამოწერეთ ის საწყისი საკითხები, რომლებიც თითოეულმა მასწავლებელმა ახსენა.

შემდეგ შეავსეთ ცხრილი.

მასწავლებელი	საკითხი
1. ნანული	
2. ქეთი	
3. ლიკა	

დისკუსიის კითხვები:

წყვილებში ან მცირე ჯგუფებში განიხილეთ:

1. რა დაეხმარა მასწავლებლებს ყურადღების გამახვილებაში (ფოკუსის დავიწროვებაში)?

2. რომელი კითხვები ან კომენტარები წაახალისებდა აზროვნების განვითარებას?

დაწერეთ 2 სტრატეგია, რომელიც თქვენი აზრით ყველაზე მეტად დაეხმარა პროცესს:

1.

2.

თემის შერჩევა

კოლეგასთან ერთად:

1. თითოეულმა გააზიარეთ ერთი საკლასო პრობლემა, რომელიც გაწუხებთ ან რომელიც გაინტერესებთ შესასწავლად.

2. დაუსვით ერთმანეთს დამაზუსტებელი კითხვები (როგორც დიალოგშია მოცემული).

3. გადაწყვიტეთ, რომელი საკითხია უფრო მართვადი, აქტუალური, მნიშვნელოვანი და საინტერესო პირველ რიგში გამოსაკვლევად.

თქვენი კვლევის ჩანაწერები

გამოიყენეთ ეს სივრცე, რათა ჩაინიშნოთ შენიშვნები თქვენს საკუთარ კვლევასთან დაკავშირებით, ამ წიგნში მოცემული აქტივობების შესრულების პროცესში.

რა საკლასო პრობლემები, საკითხები ან წარმატებები შენიშნეთ ბოლო პერიოდში? დაწერეთ 3-5 იდეა.

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

MUSE კრიტერიუმების გამოყენებით, მოკლედ გადაამოწმეთ თქვენი თემა:

მართვადი: _____

გადაუდებელი: _____

მნიშვნელოვანი: _____

საინტერესო: _____

ჩაწერეთ თქენი საძიებო-სამოქმედო თემა:

_____

_____

_____

_____

_____

4 რა არის თქვენი საკვლევი კითხვები?



წინა თავში, დაფიქრდით თემაზე ან საკითხზე, რომლის შესწავლაც გსურთ სწავლების პრაქტიკაში. მას შემდეგ, რაც ეს სფერო განსაზღვრეთ, შემდეგი ნაბიჯია იმ კითხვების ჩამოყალიბება, რომლებიც თქვენს კვლევას წარმართავს.

რატომ კითხვები? რადგან კვლევა ყოველთვის კითხვით იწყება. როგორც ადრე გაეცანით, კვლევის ერთ-ერთი განსაზღვრება მას აღწერს, როგორც „ძიების პროცესს, რომელიც მოიცავს კითხვას, მონაცემებს და ანალიზს.“ სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, კითხვები კვლევას აძლევს მიმართულებასა და მიზანს. ისინი გეხმარებათ დააზუსტოთ, რისი გაგება გსურთ, წარმართოთ თქვენი შემდგომი ნაბიჯები და დასაწყისიდან ბოლომდე შეინარჩუნოთ სამუშაოს ფოკუსი.

კვლევითი კითხვები განსაკუთრებით მნიშვნელოვანია პროექტის დაგეგმვისას, რადგან ისინი:

- გეხმარებათ თემაზე კონცენტრირებაში;
- უზრუნველყოფს მკაფიო მიმართულებას;
- წარმოადგენს სამუშაოს შეფასების საყრდენ ჩარჩოს;

- საშუალებას გაძლევთ პროექტი დაყოთ მართვად ამოცანებად;
- განსაზღვრავს, რა ტიპის ინფორმაციის (მონაცემების) შეგროვება შეიძლება დაგჭირდეთ;
- გეხმარებათ ჩამოაყალიბოთ უფრო მცირე და კონკრეტული ქვეკითხვები.

ამ თვალსაზრისით თქვენი მთავარი კითხვა შეიძლება ჯერ კიდევ ფართო და ზოგადადია, მაგალითად: „როგორ შემიძლია ამ მდგომარეობის გაუმჯობესება?“ ეს ბუნებრივია. თუმცა, სანამ ცვლილებების განხორციელებას შეეცდებით, გახსოვდეთ, რომ საძიებო-სამოქმედო კვლევის მიდგომაში პირველი ნაბიჯი სიტუაციის უფრო ღრმად გააზრებაა. ამიტომ, პირველ ეტაპზე კითხვები უნდა გეხმარებოდეთ შესწავლაში და არა დაუყოვნებლივ მოქმედებაში.

ყველაზე სასარგებლო საძიებო კითხვები არის ის კითხვები, რომლებიც გაძლევთ შესაძლებლობას აღმოაჩინოთ ის, რაც ჯერ არ იცით. სინამდვილეში, საუკეთესო კითხვები ხშირად ის არის, რომლებზეც პასუხი ჯერ არ გაქვთ. კითხვები, რომლებიც მიუთითებს გაურკვევლობებზე ან ცნობისმოყვარეობის სფეროებზე.

შეჩერდით და დაფიქრდით

მოიძიეთ მცირე დრო და დაფიქრდით იმ თემაზე, რომელიც ადრე დაასახელეთ.

- რა არის მთავარი პრობლემა ან სიტუაცია, რომლის უკეთ გაგებაც გსურთ?
- რა გგონიათ, უკვე რა იცით ამ საკითხის შესახებ?
- რაში არ ხართ ჯერ დარწმუნებელი?

თქვენ უკვე ნახეთ, როგორ მუშაობს ეს პრაქტიკაში. მესამე თავში CLEAR-ის მაგალითში მასწავლებლებმა სწავლების ტექნიკის შეცვლით კი არ დაიწყეს, მათ ჯერ დასვეს საძიებო კითხვები, როგორიცაა:

- რა სირთულეებს აწყდებიან მოსწავლეები ინსტრუქციების გაგებასა და შესრულებაში?
- რა სტრატეგიებს ვიყენებ ამჟამად, რომლებიც ეხმარება მოსწავლეებს ინსტრუქციების უკეთ გაგებაში?
- რამდენად ახერხებენ ჩემი მოსწავლეები ინსტრუქციების შესრულებას?

ამგვარი კითხვებით დაწყებამ მათ საშუალება მისცა, ცვლილებების დასახვამდე სიტუაცია უფრო სიღრმისეულად გაეგოთ. თქვენს კვლევით პროექტშიც საძიებო კითხვები სწორედ ასე იმუშავებს. პირველ რიგში დაგეხმარებათ დააკვირდეთ სიტუაციას და

გაანალიზოთ, რათა შემდგომი მოქმედება იყოს გააზრებული და მიზანმიმართული.

გაურკვევლობების აღმოჩენის კარგი გზა არის დიალოგი. მაგალითად, მენტორთან ან კოლეგასთან საუბარი, რომელიც დაგეხმარებათ ხმამაღლა იფიქროთ იმაზე, რა ხდება თქვენს კლასში. როდესაც ვინმე გთხოვთ, განმარტოთ რას გულისხმობთ ან სვამს კითხვებს თქვენს დაკვირვებებზე, თქვენ უკეთ ხედავთ იმას, რაც ჯერ სრულად არ გაქვთ გააზრებული.

წინა თავში თქვენ ნახეთ, როგორ განიხილავდა მასწავლებელთა ჯგუფი იმ გამოწვევებს, რომლებსაც თავიანთ საკლასო პრაქტიკაში აწყდებოდნენ, და ეტაპობრივად შეთანხმდნენ კვლევის საერთო თემაზე: მოსწავლეთა მოტივაცია ჯგუფურ მუშაობაში ჩართვისათვის. შემდეგი ამონარიდი აჩვენებს, რა მოხდა მათი განხილვის შემდეგ ეტაპზე. თემის შერჩევის შემდეგ, კოლეგა მენტორი ქეთი ეხმარება ჯგუფს დაფიქრდეს, როგორ შეიმუშაონ საძიებო კითხვები, რომლებიც მათ კვლევას წარმართავს. მიაქციეთ ყურადღება, როგორ ამხნევებს ის მასწავლებლებს, პირველ რიგში კონცენტრირდნენ სიტუაციის გაგებაზე, და არა იმაზე, რომ სწრაფად გადავიდნენ გადაწყვეტებზე.

დიალოგი

ქეთი: ახლა, როცა თემა შევარჩიეთ, უნდა ჩამოვაყალიბოთ ის სულ მცირე სამ წარმმართველ კითხვად. ეს კითხვები უნდა დაგვეხმაროს საკითხის უფრო ღრმად გააზრებაში: რა უშლის ხელს მოსწავლეების ჩართულობას? რა არის ძირითადი, ფარული მიზეზები? მთავარი ამოცანაა დავადგინოთ, რატომ დგება ეს პრობლემა, რატომ არ ერთვებიან მოსწავლეები და გამოვიყენოთ გამოკითხვა ან კითხვარები ამ ინფორმაციის მოსაგროვებლად. შემდეგ კი, მიღებულ შედეგებზე დაყრდნობით, შევძლებთ ჩვენი ინტერვენციების დაგეგმვას.

აუცილებელი არ არის, რომ პრობლემა დაუყოვნებლივ მოგვარდეს. თუნდაც ასე არ მოხდეს, ყველაზე მნიშვნელოვანი ის არის, რომ გამოიკვეთოს და გავიგოთ, რატომ ხდება ეს ჩვენს გაკვეთილებზე. თუ ეს გვაფიქრებს და მომავალში ცვლილებებისკენ გვიბიძგებს, ეს უკვე წარმატებაა.

შესაძლოა სასარგებლო იყოს ერთი და იმავე საკითხის განხილვა ერთი და იმავე კლასის სხვადასხვა საგანში, ან პარალელურ კლასებში. როგორც ეს დიალოგი აჩვენებს, იდეების სხვებთან განხილვა ერთ-ერთი ეფექტური გზაა საძიებო-სამოქმედო კვლევითი კითხვების ჩამოსაყალიბებლად. კლასში არსებულ საკითხზე საუბარი გეხმარებათ დააზუსტოთ, რისი გაგება გსურთ და ზოგადი თემა გადააქციოთ კონკრეტულ, ფოკუსირებულ კითხვებად.

რა თქმა უნდა, ეს მხოლოდ ერთი მიდგომაა. შეგიძლიათ კითხვები დამოუკიდებლადაც განავითაროთ, საკუთარი კლასის შესახებ რეფლექსიის გზით, იმაზე ფიქრით, რაც უკვე იცით და რაც ჯერ კიდევ გასარკვევი გაქვთ.

სიტუაციის სრულად გასაგებად ხშირად სასარგებლოა მისი სხვადასხვა კუთხიდან დანახვა. ამის ერთ-ერთი პრაქტიკული გზაა ისეთი კითხვების ჩამოყალიბება, რომლებიც სამ მიმართულებაზეა ორიენტირებული: თქვენს საკუთარ აღქმებზე, სხვების აღქმებზე და ქცევაზე (თქვენი და თქვენი მოსწავლეების ქცევაზე).

აღქმები ეხება იმას, თუ როგორ ფიქრობენ ადამიანები ან როგორ აღიქვამენ კონკრეტულ სიტუაციას. თქვენი საკუთარი აღქმები მოიცავს იმას, რაც გგონიათ, რომ თქვენს კლასში ხდება, ან რას ელით მოსწავლეებისგან. სხვების აღქმები კი გულისხმობს იმას, თუ როგორ ესმით თავად მოსწავლეებს ეს სიტუაცია — მაგალითად, ამბობენ თუ არა, რომ თავს თავდაჯერებულად გრძნობენ კლასში საუბრისას, ან ამჯობინებენ თუ არა ჯგუფში მუშაობას ინდივიდუალურ მუშაობას.

ქცევა კი, თავის მხრივ, ეხება იმას, რაც რეალურად ხდება კლასში — რას აკეთებთ თქვენ და რას აკეთებენ თქვენი მოსწავლეები. მაგალითად, შეგიძლიათ დააკვირდეთ, როდის ერთვებიან მოსწავლეები დისკუსიებში, ვინ საუბრობს და ვინ დუმს, როგორ ურთიერთობენ ჯგუფურ მუშაობაში, ან როგორ რეაგირებთ, როცა მოსწავლეები ყოყმანობენ და არ ერთვებიან.

ამ სამი პერსპექტივის შესწავლა დაგეხმარებათ სიტუაცია უფრო მკაფიოდ და დაბალანსებულად გაიაზროთ, სანამ რაიმე ქმედებას დაგეგმავთ.

ქვემოთ მოცემული მაგალითი აჩვენებს, როგორ შეიძლება ერთი საკლასო პრობლემა გამოიკვლიოთ ამ სამივე მიმართულებაზე ორიენტირებული კითხვების მეშვეობით.

გავრცელებული საკლასო პრობლემა:

ზოგი მოსწავლე იშვიათად ერთვება საერთო საკლასო დისკუსიებში.

ფოკუსის არეალი	საძიებო-სამოქმედო კვლევის კითხვები
თქვენი აღქმები (მოლოდინები)	როგორ წარმომიდგენია, როგორ უნდა გამოიყურებოდეს მოსწავლეთა მონაწილეობა ერთიანი საკლასო დისკუსიის შემთხვევაში?
სხვების აღქმები	რას ამბობენ მოსწავლეები რას გრძნობენ, როდესაც მთელი კლასის წინაშე უწევთ საუბარი?
ქცევა (თქვენი და მოსწავლეების)	როდის იღებენ მოსწავლეები მეტ ან ნაკლებ მონაწილეობას ერთიან საკლასო დისკუსიაში?

დავალება

თქვენ უკვე წაიკითხეთ მასწავლებლის შესახებ, რომელსაც სურდა გაეგო, რატომ უჭირდათ მოსწავლეებს ინსტრუქციების გაგება და შესრულება, და ამაზე პასუხად შეიმუშავა CLEAR მიდგომა.

კიდევ ერთხელ გადახედეთ მათ საძიებო კითხვებს:

რა სირთულეებს აწყდებიან მოსწავლეები ინსტრუქციების გაგებასა და შესრულებაში?

რა სტრატეგიებს ვიყენებ ამჟამად, რომლებიც ეხმარება მოსწავლეებს ინსტრუქციების გაგებაში?

რამდენად შეუძლიათ ჩემს მოსწავლეებს ინსტრუქციების შესრულება? დააკავშირეთ თითოეული კითხვა სამივე ფოკუსის ერთ-ერთ მიმართულებასთან:

საკვლევი საკითხი	ფოკუსის არეალი
რა სირთულეებს აწყდებიან მოსწავლეები ინსტრუქციების გაგებასა და შესრულებაში?	ა. თვითაღქმა ბ. სხვები როგორ აღიქვამენ გ. ქცევა
რა სტრატეგიებს ვიყენებ ამჟამად, რომლებიც ეხმარება მოსწავლეებს ინსტრუქციების უკეთ გაგებაში?	ა. თვითაღქმა ბ. სხვები როგორ აღიქვამენ გ. ქცევა
რამდენად ახერხებენ ჩემი მოსწავლეები ინსტრუქციების შესრულებას?	ა. თვითაღქმა ბ. სხვები როგორ აღიქვამენ გ. ქცევა

ამ მასწავლებლების მსგავსად, თქვენც შეგიძლიათ თითოეული საკვანძო სფეროსთვის ჩამოაყალიბოთ საძიებო კითხვები.

კიდევ ერთი სასარგებლო სტრატეგიაა კითხვის/კითხვების ჩარჩოების (question frames) გამოყენება. ისინი გეხმარებათ საძიებო კითხვების ჩამოყალიბებაში სამივე ფოკუსის მიმართულებით. ეს არის მარტივი წინადადების დასაწყისები, რომლებიც შეგიძლიათ შეავსოთ თქვენი საკუთარი საკლასო სიტუაციის მიხედვით.

მაგალითად, თუ თქვენი საკითხია, რომ მოსწავლეები იშვიათად ერთვებიან საერთო საკლასო დისკუსიებში, შეგიძლიათ გამოიყენოთ ასეთი ჩარჩო: „რას ფიქრობენ ან რას გრძნობენ ჩემი მოსწავლეები _____ შესახებ?“ და შეავსოთ ასე: „რას ფიქრობენ ან რას გრძნობენ ჩემი მოსწავლეები **საერთო საკლასო დისკუსიებში მონაწილეობის** შესახებ?“

ან შეგიძლიათ გამოიყენოთ შემდეგი ჩარჩო: „როდის ან რამდენად ხშირად ხდება _____?“ და დასვათ კითხვა: „რამდენად **ხშირად ერთვებიან ერთი და იგივე მოსწავლეები საერთო საკლასო დისკუსიებში**?“

ამ კითხვის ჩარჩოების გამოსაყენებლად, გადახედეთ თითოეულ წინადადებას და შეავსეთ ცარიელი ადგილი თქვენი საკუთარი საკლასო სიტუაციით. აირჩიეთ ის ვარიანტები, რომლებიც თქვენს თემასთან ყველაზე მეტად არის დაკავშირებული. ეს დაგეხმარებათ დაიწყოთ თქვენი სიტუაციის გაგება/აღქმა და კვლევა სხვადასხვა პერსპექტივიდან, რაც ახალ გზებს გახსნის იმის გააზრებისთვის, რა ხდება და რატომ.

თქვენი საკუთარი აღქმების შესწავლა

- რას ვგულისხმობ _____ -ში?
- რას ვფიქრობ ან რას ვგრძნობ _____ -ის შესახებ?
- რას მსურს, რომ ხდებოდეს _____ -ის ნაცვლად?
- რატომ არის _____ ჩემთვის მნიშვნელოვანი?

სხვების აღქმების შესწავლა

- რას ფიქრობენ ან რას გრძნობენ ჩემი მოსწავლეები _____ -ის შესახებ?
- რას ამბობენ, რას ამჯობინებენ, როდესაც _____?
- რას ფიქრობენ ჩემი კოლეგები _____ -ის შესახებ?
- რას ამბობენ ჩემი კოლეგები, რას აკეთებენ, როდესაც _____ ხდება?

ქცევის შესწავლა

- როდის ან რამდენად ხშირად ხდება _____?
- რას ვაკეთებ, როდესაც _____ ხდება?
- რას აკეთებენ ან რას ამბობენ ჩემი მოსწავლეები, როდესაც _____ ხდება?
- რა ხდება, როდესაც მე ან ჩემი მოსწავლეები _____?

დავალება

ახლა, როცა ნახეთ, როგორ მუშაობს სხვადასხვა ტიპის საძიებო კითხვები, გამოიყენეთ ფოკუსის სამი სფერო საკუთარი კითხვების შესაქმნელად. გაიხსენეთ თემა, რომელიც ადრე განსაზღვრეთ, და თითოეული სფეროსთვის ჩამოაყალიბეთ ერთი საძიებოკითხვა.

ფოკუსის არეალი	თქვენი საძიებო კითხვა
თქვენი აღქმები (თქვენი რწმენები, მოლოდინები ან ვარაუდები)	
სხვების აღქმები (მოსწავლეები, კოლეგები, მშობლები)	
ქცევა (რას აკეთებთ თქვენ და/ან თქვენი მოსწავლეები)	

რჩევა: შეგიძლიათ კითხვის ფორმულირების ჩარჩოები გამოიყენოთ როგორც მზა ვერსია, თუმცა მოარგეთ ისინი თქვენს კონტექსტს.

როდესაც დაასრულებთ, გადახედეთ თქვენს კითხვებს და საკუთარ თავს ჰკითხეთ:

- მეხმარება ეს კითხვები ჯერ შესწავლაში და შემდეგ მოქმედებაში?
- არის ისინი ფოკუსირებული და პასუხგაცემადი?
- ასახავს ისინი სხვადასხვა პერსპექტივას?

თუ გრძნობთ, რომ ,,გაიჭედეთ", დაუბრუნდით თქვენს ჩანაწერებს ან მოკლედ განიხილეთ თემა კოლეგასთან - ზოგჯერ იდეების ხმამაღლა წარმოთქმა აადვილებს კითხვების ჩამოყალიბებას.

ახლა თქვენ გაქვთ თქვენი საძიებო კითხვების პირველი ვერსია. ეს შესანიშნავი საწყისი წერტილია. სანამ გააგრძელებთ, კარგი იქნება შეამოწმოთ, დაგეხმარებათ თუ არა თქვენი კითხვები მკაფიო და ფოკუსირებულ კვლევაში. პირველ ეტაპზე ჩამოყალიბებული ყველა კითხვა ერთნაირად სასარგებლო არ არის, და მათი დახვეწა კვლევის პროცესის ნაწილია. მაგრამ რა გდააქცევს ნებისმიერ კითხვას კარგ კითხვად?

არსებობს მარტივი ინსტრუმენტი, რომელიც დაგეხმარებათ შეაფასოთ თქვენი კითხვების ხარისხი და დარწმუნდეთ, რომ ისინი მაქსიმალურად ეფექტურია: SMART კრიტერიუმები, ანუ კვლევაზე ორიენტირებული (Study-oriented), გაზომვადი (Measurable), ზუსტი (Accurate), რეალისტური (Realistic) და თემაზე ფოკუსირებული (Topic-focused).

იხილეთ თითოეული კრიტერიუმის მაგალითები ქვემოთ:

კვლევაზე ორიენტირებული – მიმართულია შესწავლასა და გამოკვლევაზე და არა მხოლოდ მოქმედებაზე ან ცვლილებაზე.

მაგალითი: რას ვაკეთებ ახლა ჩემი მოსწავლეების წერითი უნარების მხარდასაჭერად?

გაზომვადი – შესაძლებელია პასუხის გაცემა დაკვირვების ან მონაცემთა შეგროვების გზით.

მაგალითი: როგორ ვფიქრობ, რა არის ინგლისურის სწავლების ეფექტური გზები?

ზუსტი – საკმარისად კონკრეტული და მკაფიოა, რათა პასუხი გაეცეს საკლასო გამოცდილებაზე დაყრდნობით.

მაგალითი: რომელი აქტივობები მოსწონთ ჩემს მოსწავლეებს ყველაზე მეტად გაკვეთილზე?

რეალისტური – შესაძლებელია პასუხის გაცემა თქვენი დროისა და რესურსების ფარგლებში.

მაგალითი: რას ფიქრობენ ჩემი მოსწავლეები მათი სახელმძღვანელოს აქტივობებზე?

თემაზე ფოკუსირებული – მჭიდროდ დაკავშირებულია თქვენს მიერ შერჩეულ თემასთან.

მაგალითი: როგორ ვაძლევ ინსტრუქციებს სასაუბრო აქტივობებისთვის?

დავალება

განსაზღვრეთ, აკმაყოფილებს თუ არა თითოეული კითხვა SMART კრიტერიუმებს.

თუ არა, მიუთითეთ, რა აკლია ან რა არის გაურკვეველი.

კითხვა	SMART?	იმ შემთხვევაში თუ არა — რომელი კრიტერიუმი არ მოდის შესაბამისობაში?
1. რატომ არ არიან მოტივირებული ჩემი მოსწავლეები?	☐ კი ☐ არა	
2. როდის იღებენ ჩემი მოსწავლეები უფრო აქტიურ მონაწილეობას ჯგუფურ მუშაობაში?	☐ კი ☐ არა	
3. რა არის საუკეთესო გზა მოსმენის უნარების შესასწავლად?	☐ კი ☐ არა	
4. რამდენად ხშირად ვაძლევ გასაგებ, ნაბიჯ-ნაბიჯ ინსტრუქციებს აქტივობების დაწყებამდე?	☐ კი ☐ არა	
5. რატომ ვერ იგებს ზოგიერთი მოსწავლე გრამატიკულ ახსნა-განმარტებებს?	☐ კი ☐ არა	
6. რომელ საკლასო აქტივობებში ერთვებიან და საუბრობენ ჩემი წყნარი ან მორცხვი მოსწავლეები უფრო აქტიურად?	☐ კი ☐ არა	

დავალება

ახლა დაბრუნდით იმ საძიებო კითხვებთან, რომლებიც ადრე შექმენით. გამოიყენეთ SMART კრიტერიუმები თითოეულის შესამოწმებლად. ყოველი კითხვისთვის:

1. შეამოწმეთ, შეესაბამება თუ არა ის თითოეულ SMART ელემენტს.
2. თუ არ შეესაბამება, დაწერეთ კითხვა ისე, რომ აკმაყოფილებდეს კრიტერიუმებს.

თქვენი საძიებო კითხვა	SMART?
1.	
2.	
3.	
4.	

თქვენი კვლევის ჩანაწერები

გამოიყენეთ ეს სივრცე, რათა ჩაინიშნოთ შენიშვნები თქვენს საკუთარ კვლევასთან დაკავშირებით, ამ წიგნში მოცემული აქტივობების შესრულების პროცესში.

რა არის ის სასწავლო გარემო, რომლის კვლევაც აირჩიეთ?

_____

_____

დაწერეთ ერთი კითხვა თითოეული პერსპექტივისთვის.
ჩემი აღქმა (რას ვფიქრობ, რას ველი ან მჯერა ამ სიტუაციის შესახებ)

_____

_____

სხვების აღქმები (რისი სჯერათ ან რას გრძნობენ მოსწავლეები, კოლეგები ან სხვები)

_____

_____

ქცევა (სინამდვილეში რა ხდება კლასში)

_____

_____

გააზიარე შენი თემა და კითხვები კოლეგასთან ან მენტორთან.
სთხოვე მათ, გადაამოწმონ, აკმაყოფილებენ თუ არა შენი კითხვები SMART კრიტერიუმებს.
დაწერე ნებისმიერი შემოთავაზება/რჩევა, რომელსაც ისინი მოგცემენ.

_____

_____

_____

შენი კითხვების გადახედვის შემდეგ, დაწერე შენი საბოლოო საძიებო კითხვა ქვემოთ.

_____

_____

5 რა მონაცემები გჭირდება?



ახლა, როცა ჩამოაყალიბეთ თქვენი საძიებო კითხვები, შემდეგი ნაბიჯი არის განსაზღვროთ, როგორ უპასუხებთ მათ. ამისათვის დაგჭირდებათ ინფორმაციის შეგროვება თქვენი კლასიდან. ზოგადად კვლევაში ამ ინფორმაციას მონაცემებს (data) უწოდებენ.

რა არის „მონაცემი“? ეს ტექნიკური ტერმინი ძირითადად ნიშნავს ფაქტებს, რომლებიც შეგროვებულია ან გენერირებულია კონკრეტულ კითხვაზე პასუხის გასაცემად.

ზოგჯერ საჭირო ინფორმაცია უკვე „არსებობს“ და მზად არის შესაგროვებლად (მაგალითად, მოსწავლეთა საშინაო დავალებების ნიმუშები, თუ თქვენ გაწუხებთ და გაინტერესებთ მათი წერითი უნარების ანალიზი). სხვა შემთხვევაში კი საჭიროა მონაცემის გამოკითხვა ან „გენერირება“, მაგალითად ინტერვიუს ან კითხვარის საშუალებით. განსხვავება ძირითადად ის არის, რომ ერთ შემთხვევაში მონაცემი უკვე არსებობს, ხოლო მეორეში მისი შექმნა გჭირდებათ.

მონაცემების შეგროვებამდე კარგი იდეაა საკუთარ თავს შეახსენოთ, რატომ ატარებთ კვლევას. საძიებო კვლევის მიზანი არის იმ კითხვებზე პასუხების პოვნა, რომლებშიც ნამდვილად არ ხართ დარწმუნებული და არა იმის დამტკიცება, რისიც უკვე გჯერათ; და რადგან ეს მასწავლებლის მიერ

ჩატარებული კვლევაა, თქვენი მიზანი არ არის ისეთი შედეგების მიღება, რომელთა განზოგადება ყველგან და ყველასთვის იქნება შესაძლებელი. პირიქით, თქვენ ცდილობთ გაიგოთ, რა ხდება თქვენს კლასში, თქვენს მოსწავლეებთან და თქვენს კონკრეტულ კონტექსტში. ამას მნიშვნელოვანი გავლენა აქვს იმაზე, თუ რა ტიპის მონაცემები უნდა შეაგროვოთ და როგორ უნდა გააკეთოთ ეს.

კითხვარებსა და ინტერვიუებში შეგიძლიათ გამოიყენოთ დახურული ან ღია კითხვები. დახურული კითხვები კვლევის მონაწილეებს სთავაზობს პასუხის შეზღუდულ ვარიანტებს, მაგალითად: „ეთანხმებით თუ არა X-ს?“ ან „რამდენად ხშირად აკეთებთ Y-ს?“ ღია კითხვები კი აძლევს მათ საშუალებას, საკუთარი სიტყვებით უპასუხონ, მაგალითად: „რას ფიქრობთ X-ზე?“ ან „შეგიძლიათ აღწეროთ, რა ხდება, როცა Y ხდება?“ საძიებო კვლევაში განსაკუთრებით სასარგებლოა ღია კითხვები, რადგან თქვენი მიზანია აღმოაჩინოთ ის, რაც ჯერ არ იცით და არა წინასწარ ივარაუდოთ ადამიანების პასუხები. ღია კითხვები მოსწავლეებსა და კოლეგებს აძლევს შესაძლებლობას თავისუფლად გამოხატონ საკუთარი აზრები და ხშირად ავლენს ისეთ პერსპექტივებს, რომელთაც შესაძლოა არ ელოდეთ.

ამავე მიზეზით, <u>რაოდენობრივი მონაცემები</u> — მაგალითად, რიცხვები, რომლებიც აჩვენებს რამდენმა ადამიანმა გამოთქვა რაიმე მოსაზრება ან რამდენად ხშირად დაფიქსირდა გარკვეული ქცევა, შეიძლება სასარგებლო იყოს, თუმცა მხოლოდ ეს მონაცემები, როგორც წესი, ბევრს არ გვეუბნება სიტუაციის შესახებ. მაგალითად, იმის ცოდნა, რომ „რვა მოსწავლემ ასწია ხელი“ ან „მოსწავლეთა უმეტესობა დაეთანხმა დებულებას“, არ ხსნის, რატომ მოხდა ასე ან რას ნიშნავს ეს. სწორედ ამიტომ, საძიებო კვლევაში თვისებრივი მონაცემები ხშირად უფრო ღირებულია, ვიდრე რაოდენობრივი. თვისებრივი მონაცემები მოიცავს ადამიანების მოსაზრებებსა და ანალიზს, გამოხატულს საკუთარი სიტყვებით. მაგალითად, როდესაც მოსწავლე წერს: „ხელს არ ვწევ, რადგან დარწმუნებული არ ვარ, სწორად გავიგე თუ არა ინსტრუქცია.“ ასეთი ინფორმაცია გვთავაზობს მოულოდნელ პერსპექტივებს და გვეხმარება სიტუაციის უფრო სიღრმისეულად გააზრებაში, ნაცვლად იმისა, რომ მხოლოდ ის დავადასტუროთ, რაც უკვე გვეგონა.

ამ განსხვავების უკეთ გასაგებად და იმის საჩვენებლად, თუ რატომ იძლევა ხარისხობრივი მონაცემი ხშირად უფრო მდიდარ სურათს იმის შესახებ, რა ხდება რეალურად. ქვემოთ წარმოდგენილია ორივე ტიპის მონაცემის რამდენიმე მარტივი მაგალითი:

მონაცემის ტიპი	რა არის ეს	მარტივი მაგალითები
რაოდენობრივი მონაცემი	რაოდენობებით, რიცხვებით, სიხშირით ან რეიტინგით გამოხატული ინფორმაცია	• „რვა მოსწავლემ ასწია ხელი.“ • „მოსწავლეებმა აქტივობის დროს სამჯერ ითხოვეს დახმარება.“ • „15 მოსწავლიდან 10-მა დავალება დროულად დაასრულა.“ • „მოსწავლეებმა გაკვეთილი შეაფასეს 5-დან 4 ქულით.“
თვისებრივი მონაცემი	სიტყვებით გამოხატული ინფორმაცია: მოსაზრებები, განმარტებები, აღწერილობები ან დაკვირვებები	• „ხელი არ ავწიე, რადგან დარწმუნებული არ ვიყავი, სწორად გავიგე თუ არა.“ • „ჯგუფური მუშაობა უფრო თავდაჯერებულს მხდის.“ • დაკვირვების ჩანაწერები, რომლებიც აღწერს, რას აკეთებდნენ მოსწავლეები ინსტრუქციის მიღების შემდეგ. • მოსწავლეთა კომენტარები იმის შესახებ, რომელი აქტივობები მოსწონთ და რატომ.

ასე რომ, ახლა გავეცნოთ სხვადასხვა ტიპის მონაცემებს, რომლებსაც პედაგოგ-მკვლევარები სხვადასხვა კონტექსტში იყენებენ, და რა ტიპის კითხვებისთვის არის თითოეული მონაცემი შესაბამისი.

შემდეგი მაგალითი აჩვენებს, როგორ იყენებდა მათემატიკის ორი მასწავლებელი, რომლებიც მრავალენოვან რეგიონში მუშაობდნენ, სხვადასხვა ტიპის მონაცემებს, რათა შეესწავლათ გამოწვევა თავიანთ კლასებში. კითხვისას შეამჩნევთ, რა ტიპის ინფორმაცია შეაგროვეს და როგორ დაეხმარა ეს მათ სიტუაციის უკეთ გაგებაში.

მაგალითი 5: გავხადოთ მათემატიკა ხელმისაწვდომი თითოეული მოსწავლისთვის

სამცხე-ჯავახეთის სკოლებში ყოველდღე ვხედავთ ქართული, სომხური და სხვა კულტურების მშვენიერ თანაცხოვრებას. როგორც მათემატიკის ორი მასწავლებელი, რომელთაგან ერთი ვმუშაობთ მე-2 კლასთან, ხოლო მეორე მე-6 კლასთან, მივხვდით, რომ ეს მრავალფეროვნება განსხვავებულ გამოწვევას ქმნის ჩვენი გაკვეთილებისთვის. შევამჩნიეთ, რომ მოსწავლეებს ხშირად უჭირდათ მათემატიკის დავალებებთან გამკლავება, მაგრამ გვეგონა, რომ პრობლემა ძირითადად არა რიცხვებში, არამედ რთულ სიმბოლოებსადა ინსტრუქციებში იყო დამალული.

რადგან ჩვენი მოსწავლეები სხვადასხვა ენობრივი გარემოდან მოდიან, დავიწყეთ ფიქრი, ხომ არ ქმნიან სიმბოლოები, რთული ინსტრუქციები და ლექსიკური სიმწირე ბარიერს. სიტუაციის უკეთ გასაგებად, გადავწყვიტეთ ერთმანეთის გაკვეთილებზე დაკვირვება და დღიურების წარმოება, რომელშიც შენიშვნებს ჩავიწერდით. ასევე, პირდაპირ ვკითხეთ მოსწავლეებს კითხვარების საშუალებით. დავადგინეთ, რომ მე-2 კლასის მოსწავლეები ხშირად უბრალოდ იმიტომ ,,იჭედებოდნენ", რომ ჯერ კიდევ ქართულ სიტყვებს ითვისებდნენ. იმავდროულად, მე-6 კლასის მოსწავლეები თავს დათრგუნულად გრძნობდნენ, როდესაც მათემატიკური ამოცანა ძალიან გრძელი იყო ან ინსტრუქციები ბუნდოვანი.

გადავწყვიტეთ, რომ უნდა შეგვეცვალა მიდგომა, რათა მათემატიკა ყველასთვის ხელმისაწვდომი გამხდარიყო. დავიწყეთ გრძელი მათემატიკური ამოცანების დაყოფა მცირე, მართულ ნაბიჯებად, რათა მოსწავლეებს დათრგუნულად არ ეგრძნოთ თავი. პატარა მოსწავლეებისთვის კი დავიწყეთ რთული ინსტრუქციების თარგმნა მათ მშობლიურ ენაზე და უამრავი ვიზუალური საშუალების, დიაგრამებისა და გრაფიკების,გამოყენება, რათა მნიშვნელობა სიტყვების გარეშეც გასაგები ყოფილიყო. ასევე, რეალური ცხოვრების მაგალითების გამოყენება დავიწყეთ ჩვენი ადგილობრივი თემიდან, რათა მათემატიკა უფრო ნაცნობი გამხდარიყო მათთვის.

კლასში საოცარი ცვლილება მოხდა. მე-6 კლასის მოსწავლეებმა გვაცნობეს, რომ უფრო თავდაჯერებულები იყვნენ, როდესაც ამოცანები ნაწილებად იყო დაყოფილი. მე-2 კლასში, სურათები და თარგმნები ხიდის ფუნქციას ასრულებდნენ, ეხმარებოდნენ მათ ზუსტად გაეგოთ, რას ვთხოვდით. ორივე ჯგუფში, როდესაც მათემატიკა „რეალური“ და მათ ცხოვრებისთან დაკავშირებული იყო, მოსწავლეები ბევრად უფრო მოტივირებული იყვნენ.

ამ კვლევამ გვასწავლა, რომ ისეთ მრავალფეროვან რეგიონში, როგორიც ჩვენი რეგიონია, მათემატიკური პრობლემის გადაჭრა იწყება გასაგები და ნათელი კომუნიკაციით. მარტივი სტრატეგიების — ვიზუალური და ნათარგმნი მასალისა, თუ ნაბიჯ-ნაბიჯ დავალებების გამოყენებით, ჩვენ მხოლოდ მათემატიკა არ გავამარტივეთ; ჩვენ დავეხმარეთ მოსწავლეებს უფრო დამოუკიდებლად და აქტიურად მოკიდებოდნენ სწავლის პროცესს, მიუხედავად იმისა, რომელ ენაზე ლაპარაკობენ სახლში.[5]



მეორე კლასელი მოსწავლე ხსნის მათემატიკურ ამოცანას.

[5] ეს კვლევა ჩაატარეს მარინა სპირატიმ და მაია ხუციშვილმა მენტორ ლიკა ხურცილავას ხელმძღვანელობით.

მთავარი აქ ის არის, რომ მონაცემების სხვადასხვა ტიპი გამოსადეგია სხვადასხვა ტიპის კვლევითი კითხვებისთვის. ზემოთ მოცემულ მაგალითში მასწავლებლებმა რამდენიმე ინფორმაციის წყარო გააერთიანეს, რათა სიტუაცია სხვადასხვა პერსპექტივიდან გაეგოთ. კითხვარებმა მათ მოსწავლეების ხედვების შესწავლას შეუწყო ხელი, ხოლო დაკვირვებები და რეფლექსიური ჩანაწერები დაეხმარა გაეგოთ, რა ხდებოდა საკლასო ოთახში.

ბევრი მასწავლებელი ფიქრობს, რომ „კვლევის ჩატარება“ უბრალოდ „კითხვარის გამოყენებას“ ნიშნავს, რადგან კითხვარები ხშირად ასოცირდება კვლევასთან. თუმცა პრაქტიკაში კითხვარი მხოლოდ ერთ-ერთი შესაძლო ინსტრუმენტია და ყოველთვის არ არის ყველაზე შესაფერისი.

მაგალითად, თუ გსურთ გაიგოთ, რამდენად ეფექტურია თქვენი ინსტრუქციები სხვადასხვა დავალებისთვის, და ერთ-ერთი თქვენი კითხვა ამგვარად არის ფორმულირებული: „რას აკეთებენ მოსწავლეები, როცა ინსტრუქციებს ვაძლევ?“, ამ შემთხვევაში საჭიროა მოსწავლეთა ქცევის შესწავლა. ამიტომ კითხვარი, რომელიც მოსწავლეებს სთხოვს აღწერონ საკუთარი აღქმა, ძალიან ზუსტ ინფორმაციას ვერ მოგცემთ. შესაძლოა, მოსწავლეებმა არც კი იცოდნენ სრულად, როგორ რეაგირებენ იმ მომენტში. უკეთესი მონაცემი ამ შემთხვევაში იქნებოდა:

- კოლეგის დაკვირვების ჩანაწერები იმის შესახებ, როგორ რეაგირებენ თქვენი მოსწავლეები თქვენს ინსტრუქციებზე; ან
- თქვენივე დეტალური ჩანაწერები იმის შესახებ, თუ რა ხდება გაკვეთილზე, თქვენი ფოკუსირებული დაკვირვების საფუძველზე.

მეორე მხრივ, თუ თქვენი კითხვა არის: „ზოგადად რას ფიქრობენ მოსწავლეები ჩემს ინსტრუქციებზე?“, მაშინ მოსწავლეებისთვის პირდაპირ კითხვის დასმა სრულიად მიზანშეწონილია. ამ შემთხვევაში მონაცემი შეიძლება იყოს:

- მოსწავლეთა წერილობითი რეფლექსიები გაკვეთილის ბოლოს;
- ინტერვიუს ან არაფორმალური საუბრის ჩანაწერები;
- მოსწავლეთა პასუხები მარტივ კითხვარზე, სასურველია ღია კითხვების გამოყენებით ამ თემაზე.

შეჩერდით და დაფიქრდით

გადახედეთ კიდევ ერთხელ იმ საძიებო კვლევით კითხვებს, რომლებიც წინა ნაწილში შეიმუშავეთ.

ყოველი შეკითხვისთვის დაუსვით საკუთარ თავს კითხვა:

- რა ტიპის ინფორმაცია დამეხმარება ამ კითხვისთვის პასუხის გაცემაში?
- ეს კითხვა აღქმებს ეხება თუ ქცევას?

ზოგიერთი კითხვისთვის რიცხვებისა და სიხშირეების სახით წარმოდგენილი მონაცემები ნამდვილად შეიძლება სასარგებლო იყოს. მაგალითად, თუ თქვენი კითხვა ასეთია: „რამდენად ხშირად ითხოვენ მოსწავლეები დახმარებას წყვილში მუშაობის დროს?“, მაშინ რაოდენობრივი მონაცემების შეგროვება, მაგალითად, მარტივი აღრიცხვის ცხრილის ან მოკლე კითხვარის საშუალებით, მოგცემთ სასარგებლო ინფორმაციას. დახურული ტიპის კითხვარი შეიძლება ასე გამოიყურებოდეს:

რამდენად ხშირად ითხოვთ დახმარებას წყვილში მუშაობის დროს?

ა. ყოველთვის

ბ. ზოგჯერ

გ. იშვიათად

დ. არასდროს

მაგრამ თუ თქვენი კითხვა უფრო სიღრმისეულ საკითხს ეხება, მაგალითად: „რატომ ითხოვს ზოგიერთი მოსწავლე დახმარებას წყვილში მუშაობის დროს, ხოლო ზოგი — არა?“, მაშინ მხოლოდ დახურული კითხვებისგან შედგენილი კითხვარი დიდად ვერ დაგეხმარებათ. ძალიან რთულია წინასწარ განჭვრიტოთ ყველა შესაძლო მიზეზი, რომელიც მოსწავლეებმა შეიძლება დაასახელონ, და შეიძლება უნებლიედ შეზღუდოთ მათი პასუხები. ამ შემთხვევაში უკეთესია გამოიყენოთ ღია კითხვები, როგორიცაა: რატომ ითხოვთ დახმარებას წყვილში მუშაობის დროს?

შესაძლოა, სრულიად განსხვავებული ტიპის მონაცემიც აირჩიოთ, მაგალითად, მოსწავლეების მოკლე წერილობითი რეფლექსიები ან არაფორმალური საუბრებიდან გაკეთებული ჩანაწერები. ასეთი მიდგომები მოსწავლეებს საშუალებას აძლევს საკუთარი მოსაზრებები საკუთარი სიტყვებით გამოხატონ და გაძლევთ უფრო მდიდარ და მნიშვნელოვნად ღირებულ ინფორმაციას.

როდესაც უკვე ჩამოაყალიბებთ თქვენს საძიებო კვლევითკითხვებს, სასარგებლოა გადაამოწმოთ, შეესაბამება თუ არა მონაცემების ტიპი, რომლის შეგროვებასაც გეგმავთ, იმ კითხვის ფოკუსს, რომელსაც სვამთ. სხვადასხვა კითხვას სხვადასხვა ტიპის ინფორმაცია სჭირდება. ზოგადად, მასწავლებლების მიერ ჩამოყალიბებული საძიებო კითხვები სამ კატეგორიად იყოფა, და თითოეულის პასუხისთვის საჭირო მონაცემების ტიპიც შესაბამისად განსხვავდება:

1. კითხვები საკუთარი აღქმის შესახებ

   შესაბამისი მონაცემი შეიძლება იყოს:

   - თქვენი საკუთარი რეფლექსიური ჩანაწერები
   - წაკითხულ მასალაზე თქვენი რეაქციები (გააკეთეთ ჩანაწერები!)
   - კოლეგებთან საუბრების ჩანაწერები

2. კითხვები სხვათა (მაგალითად, მოსწავლეთა, მშობლების ან კოლეგების) აღქმის შესახებ

   შესაბამისი მონაცემი შეიძლება იყოს:

   - შესაბამისი პირების რეფლექსიური წერილები
   - ინდივიდუალური ან ფოკუს-ჯგუფის ინტერვიუს პასუხები
   - კითხვარის პასუხები

3. კითხვები ქცევის ან შესრულების შესახებ (მაგალითად, თქვენი ან მოსწავლეთა)

   ამ შემთხვევაში შეგიძლიათ გააანალიზოთ, მაგალითად:

   - წერილობითი ნამუშევრები
   - ზეპირი შესრულება
   - გაკვეთილის გეგმები
   - სხვა საკლასო მასალები

ქვემოთ მოცემული ცხრილი აჯამებს საძიებო კითხვების სამ ძირითად ტიპს და აჩვენებს, რომელი ინსტრუმენტებია ყველაზე შესაფერისი თითოეული მათგანისთვის, იქვე მოყვანილია მონაცემის მარტივი მაგალითები თითოეულ შემთხვევაში.

საძიებო კითხვის ტიპი	მონაცემის სახე/ ფორმა	მონაცემების მაგალითები, რომელიც შესაძლოა შეაგროვო
1. კითხვები საკუთარი აღქმის შესახებ (თქვენი რწმენები, მოლოდინები, ინტერპრეტაციები)	• რეფლექსიური წერა (თავისუფალი ან სტრუქტურირებული) • წაკითხული მასალის ჩანაწერები • კოლეგებთან საუბრების ჩანაწერები	• „ველოდები, რომ ჯგუფური მუშაობისას მოსწავლეები მშვიდად იმუშავებენ, თუმცა ეს მკაფიოდ არ ამიხსნია.“ • ჩანაწერი წაკითხვის შემდეგ: „ვაცნობიერებ, რომ იშვიათად ვაკეთებ ინსტრუქციის მოდელირებას.“ • კოლეგის კომენტარი: „ხშირად ერთდროულად რამდენიმე ინსტრუქციას აძლევ.“
2. კითხვები სხვათა აღქმის შესახებ (მოსწავლეთა, კოლეგების ან მშობლების შეხედულებები)	• მოსწავლეთა/ სხვა პირების რეფლექსიური წერილები • ინტერვიუების ან საუბრების პასუხები (ინდივიდუალური ან ჯგუფური) • კითხვარის პასუხები (დახურული კითხვები)* • კითხვარის პასუხები (ღია კითხვები)	• მოსწავლე წერს: „ვიბნევი, როცა ინსტრუქციები გრძელია.“ • ინტერვიუს ჩანაწერი: „რამდენიმე მოსწავლე ამჯობინებს მაგალითების ნახვას დავალების დაწყებამდე.“ • 14-მა მოსწავლემ აირჩია პასუხი: „ზოგჯერ მესმის ინსტრუქციები.“* • „მირჩევნია, როცა ინსტრუქციები დაფაზე წერია.“

საძიებო კითხვის ტიპი	მონაცემის სახე/ ფორმა	მონაცემების მაგალითები, რომელიც შესაძლოა შეაგროვო
3. კითხვები ქცევის ან შესრულების შესახებ (რას აკეთებთ რეალურად თქვენ ან მოსწავლეები)	• დაკვირვების ჩანაწერები (თქვენი ან კოლეგის) • დაკვირვების ჩარჩო/ საკონტროლო სია • მოსწავლეთა ნამუშევრების ნიმუშები • გაკვეთილის გეგმები ან საკლასო მასალები	• დაკვირვება: „20 მოსწავლიდან მხოლოდ 3-მა დაიწყო დავალება დაუყოვნებლივ.“ • დაკვირვება: „ინსტრუქციების გაცემის დროს მოსწავლეებმა 4-ჯერ მოითხოვეს დამატებითი განმარტება.“ • წერილობით ნამუშევრებში განმეორებით გვხვდება დავალების არასწორი ინტერპრეტაციით გამოწვეული შეცდომები. • გაკვეთილის გეგმაში ინსტრუქციებისთვის ვიზუალური მხარდაჭერა არ არის გათვალისწინებული.

*დახურული კითხვების გამოყენება კითხვარში მაინც შეგიძლიათ,, თუ ეს მიზანშეწონილია, თუმცა გახსოვდეთ, რომ ისინი შეზღუდულ ინფორმაციას იძლევა. უფრო სრულყოფილ სურათს მიიღებთ, თუ ჩართავთ მინიმუმ ერთ ან ორ ღია კითხვას.

მთავარი იდეა ასეთია: მონაცემის ტიპი, რომელსაც აგროვებთ, და ინსტრუმენტი, რომელსაც მის შესაგროვებლად იყენებთ, უნდა შეესაბამებოდეს იმ ტიპის კითხვას, რომელსაც სვამთ. თუ თქვენი კითხვა ეხება იმას, რას ფიქრობენ ადამიანები, საჭიროა ისეთი მონაცემი, რომელიც მათ მოსაზრებებს ასახავს. თუ თქვენი კითხვა ეხება იმას, რას აკეთებენ ადამიანები, საჭიროა მონაცემი, რომელიც რეალურ ქმედებებს ან დაკვირვებებს ეფუძნება. რაც უფრო ზუსტია ეს შესაბამისობა, მით უფრო სასარგებლო იქნება თქვენი კვლევის შედეგები.

ასევე გაითვალისწინეთ, რომ მონაცემი, რომელიც მხოლოდ „კი/არა“ პასუხებს ან წინასწარ განსაზღვრულ არჩევანს გვთავაზობს, შესაძლოა ბევრს ვერ გვეუბნებოდეს იმ საკითხზე, რომელსაც იკვლევთ. ხშირ შემთხვევაში უფრო ღირებულ ინფორმაციას მიიღებთ ისეთი მონაცემისგან, რომელიც მოსწავლეებს ან კოლეგებს საშუალებას აძლევს, საკუთარი აზრები თავიანთი სიტყვებით განმარტონ.

დავალება

წაიკითხეთ ქვემოთ მოცემული საძიებო კვლევითი კითხვები. თითოეულისათვის შეარჩიეთ ერთი შესაბამისი მონაცემის ტიპი ქვემოთ მოცემული სიიდან:

ა. მასწავლებლის რეფლექსიური ჩანაწერები

ბ. მოსწავლეთა პასუხების რაოდენობა კითხვარის ერთ კითხვაზე

გ. მოსწავლეებთან ინტერვიუს/საუბრის ჩანაწერები

დ. დაკვირვების ჩანაწერები ან საკონტროლო სია (checklist)

ე. მოსწავლეთა ნამუშევრების ნიმუშები

საძიებო კვლევითი კითხვები:

1. რატომ ვფიქრობ, რომ ინსტრუქციის მოდელირება მნიშვნელოვანია ჩემს გაკვეთილებზე?
   შესაბამისი მონაცემი: _____

2. რას ფიქრობენ ჩემი მოსწავლეები ჩემი ინსტრუქციების სიცხადეზე?
   შესაბამისი მონაცემი: _____

3. რას აკეთებენ რეალურად მოსწავლეები მას შემდეგ, რაც ჯგუფური მუშაობისთვის ინსტრუქციას ვაძლევ?
   შესაბამისი მონაცემი: _____

დავალება დისკუსიისთვის

იმუშავეთ პარტნიორთან ან მცირე ჯგუფთან და განიხილეთ:

1. როდის შეიძლება კითხვარი ნამდვილად სასარგებლო იყოს მასწავლებლის კვლევაში?

2. როდის შეიძლება კითხვარი იყოს შემზღუდავი, განსაკუთრებით მაშინ, თუ კითხვების უმეტესობა დახურულია?

   მხედველობაში იქონიეთ ორი მაგალითი ტექსტიდან:

   - „რამდენად ხშირად ითხოვენ მოსწავლეები დახმარებას?“
   - „რატომ ითხოვს ზოგიერთი მოსწავლე დახმარებას?“

   ურთიერთშეთანხმებით დაასრულეთ წინადადებები:

   - კითხვარი ყველაზე სასარგებლოა მაშინ, როდესაც

_____

_____

   - კითხვარი ნაკლებად სასარგებლოა მაშინ, როდესაც

_____

_____

დისკუსიის შემდეგ, შეადარეთ თქვენი იდეები შემოთავაზებულ პასუხს.

თქვენი კვლევის ჩანაწერები

გამოიყენეთ ეს სივრცე, რათა ჩაინიშნოთ შენიშვნები თქვენს საკუთარ კვლევასთან დაკავშირებით, ამ წიგნში მოცემული აქტივობების შესრულების პროცესში.

დაწერე შენი საძიებო კვლევითი კითხვა

_____

_____

_____

_____

_____

რა ტიპის ინფორმაცია გჭირდება, რომ უპასყხო თითოეულ შენს კვლევით კითხვას? (მაგალითად მოსწავლეების მოსაზრებები, დაკვირვების ჩანაწერები, მოსწავლეების ნამუშევრები, სიხშირის დათვლა, გაკვეთილის გეგმა, მასწავლებლის რეფლექსიები და სხვ.)

საძიებო კითხვა	ინფორმაციის ტიპი, რომელიც გჭირდება

6 როგორ შეაგროვებთ მონაცემებს?



როგორც წინა ნაწილში ვნახეთ, სხვადასხვა ტიპის მონაცემები სხვადასხვა ტიპის კითხვაზე პასუხის გასაცემად არის შესაფერისი. მაგრამ როგორ შეაგროვებთ ან შექმნით ასეთ მონაცემებს, თქვენს კითხვებთან დაკავშირებით?

თქვენს კითხვებზე პასუხების მისაღებად ინფორმაციის შეგროვების რამდენიმე გზა არსებობს.

მონაცემების შესაგროვებლად ან გენერირებისათვის რომელი მეთოდები იცით?

შეჩერდით და დაფიქრდით

წაკითხვამდე, გამოყავით ერთი წუთი, შეხედეთ ზოგად სურათს და დაფიქრდით, როგორი გზებით აგროვებენ ადამიანები ინფორმაციას.. ეს შეიძლება მოდიოდეს თქვენი სწავლების პრაქტიკიდან ან ყოველდღიური ცხოვრებიდან.

მაგალითად, გაიხსენეთ მომენტები, როდესაც თქვენ:

- გისვამდნენ კითხვებს ან მონაწილეობდით დისკუსიაში;
- შეავსეთ ფორმა;
- მოგცეს უკუკავშირი;
- მონაწილეობდით გამოკითხვაში ან კითხვარის/ ანკეტის შევსებაში, ან
- გამოთქვით მოსაზრებები სერვისზე ან გამოცდილებაზე.

როგორ შეაგროვეს თქვენგან ინფორმაცია იმ მეთოდებით? შეადგინეთ სწრაფი სია იმ მეთოდების, რაც შეგიძლიათ გაიხსენოთ, არ იდარდოთ თუკი ისინი არ არის კვლევისათვის შესაფერისი ამ ეტაპზე. პირველად ვნახავთ რამდენიმე მაგალითს, შემდეგ კი მოგვიწევს ისწავლოთ, როგორ გამოიყენოთ ეს ცოდნა საკუთარი კვლევითი ინსტრუმენტების შექმნისას.

როგორც ზემოთ ვნახეთ, სხვადასხვა ტიპის მონაცემი შესაბამისია სხვადასხვა ტიპის კვლევითი კითხვებისთვის. ქვემოთ შეჯამებულია სამი ძირითადი კითხვის ტიპი, შესაბამისი მონაცემები თითოეულისთვის და კვლევის ინსტრუმენტების მაგალითები, რომლებიც შეგიძლიათ გამოიყენოთ მონაცემების შესაგროვებლად ან გენერირებისთვის.

კითხვები საკუთარი აღქმის შესახებ მოიცავს კითხვებს როგორებიცაა: „რას ვგულისხმობ [მონაწილეობაში]?“ ან „რატომ მინდა, რომ მოსწავლეებმა შეასრულონ [კონკრეტული სახის] დავალებები?“ეს კითხვები ყურადღებას ამახვილებს თქვენს რწმენებზე, დაშვებებზე, მოლოდინებზე და ინტერპრეტაციებზე. ჩვეულებრივ, მათ შეგიძლიათ უპასუხოთ შემდეგი გზით:

1. <u>რეფლექსიური წერა:</u> ეს გულისხმობს თქვენი კითხვის შესახებ ფოკუსირებულად წერას. შეგიძლიათ გამოიყენოთ წინა კითხვები ან 20–30 წუთი თავისუფლად წერისთვის, ამგვარად გამოიკვლიეთ თქვენი მიმდინარე აღქმა სიღრმისეულად.

2. <u>კითხვა:</u> წაიკითხეთ მოკლე სტატიები, სასწავლო რესურსები ან პროფესიული რეკომენდაციები, რომლებიც უკავშირდება თქვენს კითხვას. კოლეგებთან საუბარიც დაგეხმარებათ, რათა გაირკვეს, რას ფიქრობთ. ორივე შემთხვევაში გააკეთეთ ჩანაწერები -- რა გესმით, რა გაკვირვებთ და რა უნდა გადააფასოთ.

კითხვები სხვათა აღქმის შესახებ (მაგალითები: მოსწავლეების, მშობლების, ან კოლეგების) „რას ამბობენ მოსწავლეები კლასში მონაწილეობაზე, როდის სურთ მონაწილეობა და როდის არა?“ ან „რა ტიპის საშინაო დავალების შესრულებაში ეხმარებიან ან ვერ ეხმარებიან მშობლები?“ მონაცემის შეგროვება შეგიძლიათ რამდენიმე გზით:

3. <u>მოსწავლეთა რეფლექსიური ჩანაწერები:</u> მოსწავლეებს შეგიძლიათ დაავალოთ 5–10 წუთით დაწერონ საკუთარი მოსაზრება გაკვეთილის ბოლოს. შეიძლება ანონიმურობა გამოიყენოთ, რათა წახალისდეს გულწრფელობა. ასეთი მოკლე ჩანაწერები ხშირად უზრუნველყოფს მდიდარ, ავთენტურ ინფორმაციას მოსწავლეების გამოცდილებისა და პრეფერენციების შესახებ.

4. <u>ინდივიდუალურ ან ჯგუფურ ინტერვიუები/საუბრები:</u> მოსწავლეებთან, მშობლებთან ან კოლეგებთან საუბარი დაგეხმარებათ უკეთ გააცნობიეროთ მათი აღქმა. საუბარი შეიძლება იყოს არაფორმალური ან სტრუქტურირებული. გააკეთეთ ჩანაწერები ან ჩაიწერეთ აუდიო ფაილი (ნებართვით), რათა შემდგომ გადაამოწმოთ.

5. <u>კითხვარის საშუალებით მიღებული პასუხები:</u> კითხვარი დაგეხმარებათ ფაქტობრივი ინფორმაციის შეგროვებაში დიდ ჯგუფში. ერთ-ერთ მომდევნო თავში, თქვენ შეისწავლით მარტივ, დროის დამზოგველ გზას კითხვარის შექმნისთვის, პირველადი რეფლექსიებიდან ან ინტერვიუებიდან მიღებული ცოდნის საფუძველზე.



მასწავლებელი აკვირდება კოლეგის გაკვეთილის, როგორც საძიებო-სამოქმედო კვლევის პროცესის ნაწილს.

კითხვები ქცევის ან შედეგების შესახებ (შენი საკუთარი ან მოსწავლის) შეიძლება ასე ჩამოყალიბდეს: „რომელი ტიპის აქტივობებში მონაწილეობენ მოსწავლეები ყველაზე მეტად?“ ან „რა არის მოსწავლეთა წერილობითი საშინაო დავალების მთავარი სისუსტეები?“
ამ ტიპის კითხვების შესასწავლად დაგჭირდებათ მონაცემი, რომელიც ეფუძნება დაკვირვებად ქმედებებს ან რეალურ ნამუშევარს. ეს შეიძლება მოიცავდეს:

6. <u>კლასის დაკვირვების ჩარჩო:</u> შექმენით მარტივი ინსტრუმენტი, რომელიც კოლეგას შეუძლია გამოიყენოს გაკვეთილზე დაკვირვებისთვის — ან გამოიყენოთ თავად გაკვეთილის დროს ან ვიდეოს ყურებისას (თუ შესაძლებელია). ჩარჩო უნდა იყოს ფოკუსირებული თქვენს კითხვაზე (მაგალითად, აქტივობების ტიპები, მონაწილეთა რაოდენობა, ინსტრუქციების მიცემის დროს მოსწავლეთა ქცევა).

7. <u>მოსწავლეთა ნამუშევრის შეფასების ჩარჩო:</u> თუ თქვენი კითხვა შეეხება შედეგებს (წერის, საშინაო დავალების ხარისხი, ზეპირი დავალებები), შექმენით მოკლე საკონტროლო სია ან გრადაცია, რომელიც დაგეხმარებათ კონკრეტული თვისებების ანალიზში. ამგვარად ანალიზი იქნება ფოკუსირებული და თანმიმდევრული.

შემდეგ გვერდებზე ნახავთ ამ ინსტრუმენტების მაგალითებს. წაკითხვისას მიაქციეთ ყურადღება, როგორ ემთხვევა თითოეული ინსტრუმენტი კითხვას, აღქმას თუ ქცევას, და როგორ იყენებენ მასწავლებლები მათ მკაფიო, სასარგებლო ინფორმაციის მოსაგროვებლად. გადამწყვეტია ასევე აღინიშნოს, რომ ამგვარი ინსტრუმენტები შედარებით მარტივია. პრინციპი ასეთია: არ დახარჯოთ ზედმეტი დრო კვლევითი ინსტრუმენტების შექმნაში და შეეცადეთ კვლევა ინტეგრირებული იყოს ჩვეულებრივ გაკვეთილში, რათა თავიდან აიცილოთ გადაღლა და მოსწავლეთა სასწავლო პროცესში ზედმეტი ჩარევა.

მაგალითი 1: კლასის დაკვირვების ჩარჩო

მეხუთე მაგალითში, გავაზიარეთ კვლევა, რომელიც ჩაატარა მათემატიკის ორმა მასწავლებელმა. მათ კვლევისათვის შეიმუშავეს მარტივი ფორმა, რომელიც კოლეგამ უნდა შეავსოს გაკვეთილზე დაკვირვებისას. მიზანი იყო მონაცემების შეგროვება ორ საძიებო კითხვაზე პასუხის მისაღებად:

„რა სტრატეგიებს ვიყენებ, რათა მოსწავლეებმა გაიგონ და გაანალიზონ მათემატიკური ამოცანები?“ და

„რა სირთულეებს აწყდებიან მოსწავლეები ძირითადად მათემატიკურ ამოცანებზე მუშაობისას?“

კითხვის დროს დააკვირდით, როგორ მოიცავს ინსტრუმენტი მკაფიო ინსტრუქციებს დამკვირვებლისთვის. ეს ინსტრუქციები ეხმარება დამკვირვებელს ზუსტად გაერკვეს, რას უნდა დააკვირდეს, რა უნდა ჩაწეროს და როგორ დაეხმარება მათი ჩანაწერები მასწავლებელს საძიებო კითხვებში. ეს უზრუნველყოფს, რომ შეგროვებული მონაცემები იყოს შესაბამისი, სასარგებლო და პირდაპირ დაკავშირებული მასწავლებლის მიზანთან.

გაკვეთილზე დაკვირვების ფორმა

ძვირფასო კოლეგა,
 გთხოვთ, დააკვირდეთ ჩემს გაკვეთილს და უპასუხოთ ქვემოთ მოცემულ კითხვებს. მომაწოდეთ რაც შეიძლება მეტი ინფორმაცია. ჩემი მიზანია გავიგო ჩემი მიდგომები მათემატიკური ამოცანების გაგება-ინტერპრეტაციის სწავლებისას. ასევე, ჩემი მოსწავლეების რეაქციები იმ სირთულეებზე, რომლებსაც ისინი აწყდებიან მსგავსი ამოცანების ამოხსნის პროცესში (ასევე გაითვალისწინეთ ენობრივი ბარიერებიც, თუკი ისინი შეინიშნება).

1. როგორ ამზადებს მასწავლებელი მოსწავლეებს დავალებისთვის?

ჩანაწერები:

2. როგორ აცნობს მასწავლებელი მოსწავლეებს ამოცანის პირობებს? (უპასუხეთ, გაითვალისწინეთ ენობრივი ბარიერი არაქართულენოვანი მოსწავლეებისთვის)

ჩანაწერები:

3. როგორ გადაამოწმებს მასწავლებელი, დაიმახსოვრეს თუ არა მოსწავლეებმა პრობლემა? (განსაკუთრებით არაქართულენოვანი მოსწავლეებისთვის)

ჩანაწერები:

4. როგორ იქცევიან მოსწავლეები პრობლემებზე მუშაობის დროს?

ჩანაწერები:

5. რა სტრატეგიებს იყენებენ მოსწავლეები პრობლემებზე მუშაობისას? რას აკეთებენ უკეთ გასაგებად და დავალების შესასრულებლად?

ჩანაწერები:

6. რა სირთულეებს აწყდებიან მოსწავლეები პრობლემის გაგებისა ან შესრულებისას? რა სირთულეებს აწყდებიან არაქართულენოვანი მოსწავლეები?

ჩანაწერები:

7. როგორ ეხმარება მასწავლებელი მოსწავლეებს, რომლებიც ვერ ასრულებენ დავალებას? რა დამატებით რესურსებს იყენებს მათ მხარდასაჭერად?

ჩანაწერები:

8. როგორ აწვდის მასწავლებელი უკუკავშირს მოსწავლეებს?

ჩანაწერები:

სახელმძღვანელო კითხვები

1. დღეს რა ტიპის საშინაო დავალება მივეცი მოსწავლეებს?
2. რამდენი დრო ჰქონდათ მოსწავლეებს მის შესასრულებლად?
3. რის მიღწევას ვცდილობ ამ საშინაო დავალებით? რა იყო ამ დავალების მიზანი?
4. რა სახის მხარდაჭერა გავუწიე მოსწავლეებს ამ საშინაო დავალების შესრულების პროცესში?
5. რა საბოლოო პროდუქტს მოითხოვს ეს დავალება: პასუხებს, პროექტს, დიაგრამას თუ სხვა რამეს?
6. როგორ ვაფასებ ამ დავალების სირთულის დონეს? რა სირთულის დონეს მივაკუთვნებ მას?
7. როგორ უზრუნველვყავი, რომ ეს დავალება მოსწავლეებისთვის საინტერესო ყოფილიყო?
8. როგორ შევაფასებ ამ დავალებას?
9. როგორ გამოვიყენებ ამ დავალებას მომავალ გაკვეთილებში?

დავალება

თქვენ ახლახან წაიკითხეთ მონაცემების შეგროვების ორი ინსტრუმენტის მაგალითი, რომლებიც საძიებო კვლევისას გამოიყენეს.

დავალების შესრულებამდე, კიდევ ერთხელ წაიკითხეთ ორივე მაგალითი. რა დროსაც ყურადღებას მიაქცევთ:

- რისი გაგება სურდა თითოეულ მასწავლებელს,
- როგორ შეესაბამება ინსტრუმენტის დიზაინი კითხვების ტიპს, და
- ინფორმაციის ტიპი, რომლის შეგროვებაშიც თითოეული ინსტრუმენტი ეხმარება მასწავლებელს.

ა.რის აღმოჩენას/შესწავლას ცდილობს მასწავლებელი?

აირჩიეთ ერთი: საკუთარი აღქმები / სხვების აღქმები / ქცევა ან შესრულება

პირველ მაგალითში წარმოდგენილი დაკვირვების ჩარჩო იკვლევს:

რა სახის ინფორმაციის შეგროვებაში ეხმარება ეს ინსტრუმენტი მასწავლებელს?

მეორე მაგალითში წარმოდგენილი რეფლექსიური ჩანაწერი იკვლევს:

რა სახის ინფორმაციის შეგროვებაში ეხმარება ეს ინსტრუმენტი მასწავლებელს?

ბ. რა ინსტრუმენტი იყო გამოყენებული თითოეულ მაგალითში?

აირჩიეთ ერთი: მასწავლებლის რეფლექსიური წერა / მოსწავლის წერითი ნამუშევარი / ინტერვიუ / დაკვირვება / კითხვარი

1. პირველ მაგალითში გამოყენებულია: _____
   შეგიძლიათ მოიფიქროთ სხვა ინსტრუმენტი, რომელიც იმავე კითხვის შესწავლაში დაგეხმარებოდათ?

2. მეორე მაგალითში გამოყენებულია: _____
   შეგიძლიათ მოიფიქროთ სხვა ინსტრუმენტი, რომელიც იმავე კითხვის შესწავლაში დაგეხმარებოდათ?

კითხვები დისკუსიისათვის

1. რა ხდის თითოეულ მაგალითს ეფექტურს? გაითვალისწინეთ სიცხადე, ფოკუსი, ინსტრუქციები ან გამოყენებადობა.

2. თუ ამ ინსტრუმენტებიდან ერთს თქვენს საკუთარ საძიებო კითხვაზე მოარგებდით, რას შეცვლიდით? რატომ?

3. რა სირთულეებს შეიძლება წააწყდეთ ამ ინსტრუმენტების გამოყენებისას თქვენს კონტექსტში? როგორ შეძლებდით მათ გადაჭრას?

ახლა გადადით თქვენს საკუთარ საძიებო კითხვებზე. რომელი ინსტრუმენტი, ან ინსტრუმენტების კომბინაცია, გგონიათ, რომ დაგეხმარებათ მათ უკეთ გამოკვლევაში? მცირე ხნით შეჩერდით და დაფიქრდით, რამ შეიძლება იმუშაოს თქვენს კლასში.

დავალება

ამ დავალებაში თქვენ აანალიზებთ კითხვარის ნიმუშს. მისი მიზანია დაეხმაროს მასწავლებელს ამ საძიებო კითხვაზე პასუხის გაცემაში:

„რატომ მონაწილეობს ზოგიერთი მოსწავლე ნაკლებად ჯგუფურ მუშაობაში?“

ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად მასწავლებელმა შექმნა მოკლე კითხვარი. თუმცა, ამ კითხვარს აქვს დიზაინის რამდენიმე პრობლემა, რაც შეიძლება ხელს უშლიდეს მასწავლებელს სასარგებლო მონაცემების მიღებაში.

თქვენი დავალებაა გააანალიზოთ ეს კითხვარი, გამოავლინოთ პრობლემები და შეადაროთ იგი გაუმჯობესებულ ვერსიას.

კითხვარი

ძვირფასო მოსწავლეებო,
ჩვენ ვცდილობთ გავიგოთ, როგორ აღიქვამთ ჯგუფურ მუშაობას კლასში. თქვენი პასუხები ანონიმურია. არ არსებობს სწორი ან არასწორი პასუხები. გთხოვთ, უპასუხოთ გულწრფელად.

გთხოვთ, თითო კითხვაზე მონიშნოთ მხოლოდ ერთი ვარიანტი, თუ ღია კითხვაზე პასუხი არ ითხოვს ჩაწერას. გმადლობთ.

1. მოგწონთ სკოლა?
   ☐ კი ☐ არა

2. როდესაც ჯგუფებში მუშაობთ, რატომ არ მონაწილეობთ, ხომ არ არის ეს თქვენი სიმორცხვით განპირობებული?
   ☐ კი ☐ არა

3. რამდენად ხშირად საუბრობთ თქვენს ჯგუფში?
   ☐ ხშირად ☐ ზოგჯერ ☐ იშვიათად ☐ არასდროს

4. რას ფიქრობთ ჯგუფურ მუშაობაზე და რა ქმნის კარგ ჯგუფს?

5. რატომ გსიამოვნებთ ჯგუფური მუშაობა?

   - იმიტომ, რომ მომწონს ჩემი მეგობრები
   - იმიტომ, რომ სახალისოა
   - იმიტომ, რომ უკეთ ვსწავლობ

6. რა გეხმარებათ უფრო აქტიურად მიიღოთ მონაწილეობა ჯგუფურ მუშაობაში?

   - მეგობრებთან ერთად ჯდომა და დავალებით სიამოვნების მიღება
   - კარგი ინსტრუქციები
   - მასალის ცოდნა

ყურადღებით წაიკითხეთ კითხვარი. შემდეგ უპასუხეთ ქვემოთ მოცემულ კითხვებს.

განმარტეთ, რატომ არის თითოეული საკითხი პრობლემური ამ საძიებო კვლევისთვის მონაცემების შეგროვების თვალსაზრისით.

1. რომელი კითხვა არის მიმართულების მიმცემი ან მიკერძოებული?

2. რომელი კითხვა სთავაზობს პასუხის ვარიანტს, რომელიც ორ მოსაზრებას მოიცავს?

3. რომელი კითხვა იძლევა მხოლოდ შეზღუდულ, რიცხვით მონაცემს გამომწვევი მიზეზების შესახებ ინფორმაციის გარეშე?

4. რომელი კითხვა აერთიანებს ორ იდეას (ორმაგი შინაარსის მქონეა)?

5. რომელი კითხვა არ შეესაბამება საძიებო მიზანს?

6. რომელი კითხვა გულისხმობს რაღაც დადებითს, რაც შეიძლება ყველა მოსწავლისთვის მართალი არ იყოს (ფარული დაშვება)?

დამატებითი დავალება: კითხვების გაუმჯობესება

ახლა, როცა კითხვარში არსებული ზოგიერთი პრობლემა უკვე გამოავლინეთ, სცადეთ მისი გაუმჯობესება.

გადააკეთეთ ერთი ან ორი პრობლემური კითხვა ისე, რომ მასწავლებელს დაეხმაროს უფრო სასარგებლო ინფორმაციის შეგროვებაში.

კითხვების გადაკეთებისას ეცადეთ:

- თავიდან აიცილოთ მიმართულების მიმცემი ან მიკერძოებული ფორმულირება,
- თავიდან აიცილოთ ერთ კითხვაში ორი იდეის გაერთიანება,
- მისცეთ მოსწავლეებს საკუთარი პასუხების ახსნის შესაძლებლობა.

დაწერეთ თქვენი გაუმჯობესებული კითხვები ქვემოთ.

გაუმჯობესებული კითხვა 1

გაუმჯობესებული კითხვა 2

დავალება

ახლა გაანალიზეთ ზემოთ წარმოდგენილი კითხვარის გაუმჯობესებული ვერსია. მიუხედავად იმისა, რომ ეს კითხვარი ძალიან მოკლეა იმისთვის, რომ სრულად უპასუხოს კვლევის კითხვას, მისი დიზაინი უფრო თანმიმდევრულია, კითხვები დაკავშირებულია მთავარ საძიებო კითხვასთან და მონაცემების ანალიზსაც ამარტივებს.

გაითვალისწინეთ მთავარი განსხვავება ამ და წინა ვერსიას შორის, ასევე დაფიქრდით შემდეგზე:

რა რისკები ან შეზღუდვები არსებობს ამ თემაზე კითხვარის გამოყენებისას? როგორ შეიძლება მათი დაძლევა?

ძვირფასო მოსწავლეებო,

გვინდა გავიგოთ თქვენი გამოცდილება ჯგუფური მუშაობის დროს, რათა ის უფრო ეფექტური გავხადოთ ყველასთვის.
თქვენი პასუხები ანონიმურია და გამოყენებული იქნება მხოლოდ გაკვეთილების გაუმჯობესების მიზნით.

გთხოვთ, უპასუხოთ ყველა კითხვას. შეგიძლიათ მონიშნოთ ერთზე მეტი ვარიანტი იქ, სადაც ეს დაშვებულია. ღია კითხვებში შეგიძლიათ დაწეროთ იმდენი დეტალი, რამდენიც გსურთ.

1. ჩვეულებრივ როგორ გრძნობთ თავს ჯგუფური მუშაობის დროს?
   ☐ კომფორტულად ☐ ზოგჯერ არ ვარ თავდაჯერებული
   ☐ არაკომფორტულად ☐ სხვა: _____

2. რა უფრო გეხმარებათ ჯუფრი მუშაობისას აქტიურ მონაწილეობაში?

3. რა გიქმნით სირთულეს ჯგუფურ მუშაობაში მონაწილეობისთვის?

4. დღევანდელ ჯგუფურ მუშაობაში რამდენად ხშირად საუბრობდით ან უზიარებდით მოსაზრებებს?
   ☐ ხშირად ☐ ზოგჯერ ☐ იშვიათად ☐ საერთოდ არა

5. როდესაც არ მონაწილეობთ, რა არის ამის მთავარი მიზეზები? (აირჩიეთ მაქსიმუმ სამი ვარიანტი.)
   ☐ ვერ ვიგებ დავალებას
   ☐ მრცხვენია
   ☐ ჩემი ჯგუფის წევრები ძალიან ბევრს საუბრობენ
   ☐ მოსმენა მირჩევნია
   ☐ თავს არ ვგრძნობ თავდაჯერებულად
   ☐ სხვა: _____

6. კიდევ რისი გაკეთება შეუძლია მასწავლებელს (რაც ახლა არ კეთდება), რათა დაგეხმაროთ უფრო აქტიურ მონაწილეობაში?

სადისკუსიო კითხვები

შეადარეთ და განიხილეთ შემდეგი კითხვები კოლეგასთან ან მცირე ჯგუფში:

1. რა მნიშვნელოვანი განსხვავებები შეამჩნიეთ პრობლემურ და გაუმჯობესებულ კითხვარებს შორის? დაფიქრდით სიცხადეზე, ნეიტრალობაზე, გამოყენებადობაზე და მიზანთან შესაბამისობაზე.

2. გაუმჯობესებულ ვერსიაში რომელი კითხვები იქნებოდა ყველაზე სასარგებლო მასწავლებლისთვის? რატომ?

3. თუ ამ კითხვარს საკუთარ საძიებო კვლევაზე მოარგებდით, რა ცვლილებებს გააკეთებდით?

4. არსებობს თუ არა რისკები ან შეზღუდვები ამ თემაზე კითხვარის გამოყენებისას? როგორ შეიძლება მათი გადაჭრა?

თქვენი კვლევის ჩანაწერები

გამოიყენეთ ეს ადგილი, რათა ჩაწეროთ შენიშვნები თქვენი საკუთარი კვლევის შესახებ, როცა ამ წიგნის აქტივობებზე მუშაობთ.

ჩაწერეთ თქვენი საძიებო კვლევის კითხვები.

_____

_____

_____

რომელი ინსტრუმენტები დაგეხმარებათ მათზე პასუხის გაცემაში?

კითხვა	ინსტრუმენტი	მონაცემის ტიპი რომელიც შეაგროვეთ

7 კიდევ რის დაგეგმვა გჭირდებათ?



როდესაც უკვე იცით თქვენი თემატიკა, განსაზღვრეთ საძიებო კვლევის კითხვები და მოამზადეთ ინსტრუმენტები მონაცემების შეგროვებისთვის, შემდეგი ნაბიჯი არის დაფიქრდეთ, როგორ განხორციელდება თქვენი კვლევა რეალურად. თუნდაც მცირე მასშტაბის კვლევა საუკეთესო შედეგს იძლევა, როდესაც ის ორგანიზებულად და გონივრულად არის დაგეგმილი. კარგი დაგეგმვა დაგეხმარებათ პროცესის ეთიკურად წარმართვასა და მართვაში, გააადვილებს კვლევის ბუნებრივ ინტეგრირებას ყოველდღიურ სწავლებაში დამატებითი წნეხის გარეშე.

ეს ნაწილი აერთიანებს კვლევის მომზადების ორ მჭიდროდ დაკავშირებულ ასპექტს. პირველი ასპექტი არის ეთიკურობა, რაც გულისხმობს თქვენი მოსწავლეების და სხვა დაინტერესებული მხარეების უფლებებისა და კეთილდღეობის დაცვას. მეორე ასპექტი არის პრაქტიკული ნაბიჯების დაგეგმვა, რომლებიც საჭიროა საძიებო ფაზის დაუბრკოლებელი განხორციელებისთვის.

როგორც მკვლევარ-მასწავლებელის, თქვენი მთავარი პასუხისმგებლობა ყოველთვის არის

თქვენი მოსწავლეების სწავლება და მათ კეთილდღეობაზე ზრუნვა. ეს ნიშნავს, რომ გულდასმით უნდა გაითვალისწინოთ თქვენი კვლევის შესაძლო შედეგები და მიიღოთ ზომები იმისათვის, რომ მონაწილეობის პროცესი იყოს უსაფრთხო, პატივისცემაზე დაფუძნებული და მოხალისეობრივი.

მონაცემების შეგროვების დაწყებამდე მნიშვნელოვანია, რომ შეატყობინოთ თქვენს სკოლას და ნებისმიერ დაინტერესებულ მხარეს, ვისაც შეიძლება შეეხოს თქვენი კვლევა. ეს ჩვეულებრივ მოიცავს:

- სკოლის ხელმძღვანელობას (მაგალითად, დირექტორი, დირექტორის მოადგილე ან დეპარტამენტის/განყოფილების ხელმძღვანელი),
- მოსწავლეებს,
- მშობლებს (თუ მოსწავლეები 18 წლამდე არიან), და
- კოლეგებს, რომლებიც შესაძლოა დაგეხმარონ, მაგალითად, დამკვირვებლების როლში.

კვლევის შესახებ ინფორმირება ნიშნავს, რომ ადამიანებს მკაფიოდ აუხსნათ, რა გსურთ გაიგოთ, რატომ შეისწავლით ამ თემას, რას მოიცავს მონაწილეობის პროცესი და რა მოხდება ინფორმაციის შეგროვებისთანავე.

მიუხედავად იმისა, რომ თქვენი კვლევა შესაძლოა იყოს მცირე მასშტაბის და მიმართული თქვენი სწავლების გაუმჯობესებაზე, მას შეიძლება ჰქონდეს ისეთი აქტივობები, როგორიცაა ინტერვიუები, რეფლექსიური ჩანაწერები, დაკვირვება, ფოტოები ან მოსწავლეების ნაშრომების ანალიზი. ეს ყველაფერი მოითხოვს გამჭვირვალობას და ზოგჯერ ოფიციალურ ნებართვას. საქართველოში, თუ მოსწავლეები არასრულწლოვნები არიან, ჩვეულებრივ მშობლები გასცემენ თანხმობას მათი შვილის კვლევაში მონაწილეობაზე, გარდა იმ შემთხვევისა, როცა სკოლის დირექტორი ახორციელებს კვლევას, რადგან ამ მიზნისთვის მშობლებს ჩვეულებრივ უკვე განცხადებული აქვთ თანხმობა. ნებისმიერ შემთხვევაში, მნიშვნელოვანია წინასწარ შეამოწმოთ თქვენი სკოლის მოთხოვნები და პროცედურები.

ეთიკური პრაქტიკისა და გამჭვირვალობის მხარდასაჭერად სასარგებლოა მონაწილეებს და მათ ოჯახებს მიაწოდოთ კვლევის მკაფიო, წერილობითი ახსნა. ინფორმირებული თანხმობის ფორმა ხელს უწყობს იმის უზრუნველყოფას, რომ მონაწილეებმა ან მათმა მშობლებმა, გაიგონ კვლევის მიზანი, რას მოიცავს მონაწილეობის პროცესი, შესაძლო რისკები ან სარგებელი, მონაცემების გამოყენების გზა და მათი უფლება ნებისმიერ დროს გამოთხოვაზე. თანხმობის მიღება არა მხოლოდ ეთიკური მოთხოვნაა; ეს ასევე ხელს უწყობს ნდობის დამყარებას თქვენ, თქვენს მოსწავლეებსა და სკოლის საზოგადოებას შორის.

ქვემოთ მოცემულია ინფორმირებული თანხმობის ფორმის მაგალითი, რომელიცშეგიძლიათ მოარგოთ თქვენს საკუთარ კონტექსტს.

ფორმულირება უნდა მოარგოთ თქვენი კვლევის ფოკუსს, მოსწავლეების ასაკს, სკოლის მოთხოვნებსა და ნებისმიერ ეროვნულ ან ინსტიტუციურ რეგულაციებს. ფორმის გამოყენების წინ რეკომენდებულია მისი გაზიარება სკოლის ხელმძღვანელობასთან და, თუ შესაძლებელია, კოლეგასთან, რათა დარწმუნდეთ, რომ ფორმა მკაფიო, შესაბამისი და სრულყოფილია.

თანხმობის ფორმა

ძვირფასო მშობელო ან მეურვეო,

თქვენი შვილის/მოსწავლის მასწავლებელი _____ მიიწვიეს საძიებო-სამოქმედო კვლევაში _____ მონაწილეობის მისაღებად. ამ კვლევაში, მასწავლებლები შეისწავლიან თავიანთ სასწავლო პრაქტიკას, რათა საუკეთესო გზა იპოვონ მოსწავლეების საჭიროებების დასაკმაყოფილებლად პროცესის მეშვეობით, რომელსაც ეწოდება საძიებო-სამოქმედო კვლევა. ეს პროცესი მათ აძლევს შესაძლებლობას, შეაგროვონ მტკიცებულება თავიანთი სწავლების და მოსწავლეების სწავლის შესახებ _____ თვის განმავლობაში.

კვლევის მიზანია შემდეგი საკითხის სიღრმისეული შესწავლა და გაგება:

_____

_____

ამ მიზნით, მასწავლებელი შეაგროვებს მოსწავლეების ნაშრომებს, გაესაუბრება მათ და დაკვირვებას მოახდენს, რათა გაიგოს, როგორ და რას სწავლობენ ისინი. მოსწავლეებს არ მოეთხოვებათ რაიმეს გაკეთება განსხვავებულად, ვიდრე ჩვეულებრივ გაკვეთილზე ხდება.

მოსწავლეების პერსონალური მონაცემები დაცული იქნება კანონით განსაზღვრულ ფარგლებში. არ შეგროვდება ან არ გავრცელდება პირადობის ამსახველი ან მგრძნობიარე ინფორმაცია. მოსწავლეების ნამუშევრები დაცული იქნება, ხოლო მონიშვნები - ამოღებული, თუ ინფორმაცია გავრცელდება. შეგროვებული მონაცემები შესაძლოა გამოყენებულ იქნეს კონფერენციებზე პრეზენტაციებისთვის და პუბლიკაციებისთვის, მაგრამ შენარჩუნებული იქნება სრული ანონიმურობა.

თქვენი შვილის/მოსწავლის მონაწილეობა ამ კვლევაში სრულიად მოხალისეობრივია და თქვენ გაქვთ უფლება ნებისმიერ დროს უპირობოდ გააუქმოთ თანხმობა მონაწილეობის შესახებ.

მოცემულ კვლევასთან დაკავშირებით კითხვების შემთხვევაში, გთხოვთ, დაუკავშირდეთ თქვენი შვილის/მოსწავლის მასწავლებელს.

ინფორმირებული თანხმობა მონაწილეობის შესახებ

ვადასტურებ, რომ წაკითხული მაქვს ზემოთ მოცემული ინფორმაცია და თანახმა ვარ, რომ ჩემმას შვილმა/მოსწავლემ მიიღოს მონაწილეობა ამ კვლევაში. შესაბამისად, ვეთანხმები, რომ მათი ნამუშევრები და სხვა შესაბამისი მტკიცებულება შეისწავლონ და შეაგროვონ კვლევის მიზნით.

მოცემული თანხმობის ფორმაზე ხელმოწერით ვადასტურებ ზემოთ განსაზღვრულ პირობებს.

მშობლის ან მეურვის სახელი და გვარი

_____

შვილის ან მოსწავლის სახელი და გვარი

_____

ხელმოწერა და თარიღი: _____

ტელ:	e-mail:
_____	_____

მონაცემთა დაცვა

მონაცემები ინახება საქართველოს მონაცემთა დაცვის კანონმდებლობის შესაბამისად. თქვენ გაქვთ უფლება მოითხოვოთ თქვენს შესახებ ჩვენს მიერ შენახული ინფორმაციის ასლი და მოითხოვოთ ნებისმიერი უზუსტობის გასწორება. თუ გაქვთ შეშფოთება იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ გამოვიყენეთ თქვენი პერსონალური ინფორმაცია, გაქვთ უფლება მიმართოთ პერსონალურ მონაცემთა დაცვის მარეგულირებელ ორგანოს.

ზემოთ მოცემული თანხმობის ფორმის წაკითხვისას, შეამჩნევდით, რომ იგი შეიცავს რამდენიმე მნიშვნელოვან ელემენტს, რომლებიც უზრუნველყოფენ კვლევის ეთიკურობას, გამჭვირვალეობას და პატივისცემას. ეს ელემენტები უნდა არსებობდეს ნებისმიერ თანხმობის ფორმაში, რომელსაც თქვენ შექმნით, მიუხედავად იმისა, რომ სიტყვები ან თანმიმდევრობა შეიძლება განსხვავდებოდეს. ქვემოთ მოცემული სია დაგეხმარებათ ეს ელემენტები ამოიცნოთ მაგალითში და მოგვიანებით გამოიყენოთ როგორც შემოწმების საკონტროლო ჩამონათვალი (checklist) თქვენი საკუთარი პროექტისთვის.

კარგად შემუშავებული თანხმობის ფორმა ჩვეულებრივ შეიცავს:

- მოკლე ახსნა კვლევის მიზნის შესახებ (რის გაგებას ცდილობს მასწავლებელი);
- მოკლე აღწერა იმისა, რას მოიცავს მონაწილეობის პროცესი (რას გააკეთებენ მოსწავლეები და რა ხანგრძლივობით);
- მკაფიო განცხადება, რომ მონაწილეობა არის მოხალისეობრივი და თანხმობის მოხსნა შესაძლებელია ნებისმიერ დროს, წინაპირობების გარეშე;
- ინფორმაცია შესაძლო რისკების ან სარგებლის შესახებ (თუნდაც რისკები მინიმალური იყოს ან არ იყოს მოსალოდნელი);
- ახსნა, როგორ მოხდება მონაცემების შეგროვება (მაგალითად, დაკვირვება, მოსწავლეების ნამუშევრების ანალიზი ან საუბრები);
- განცხადება, რომელიც განმარტავს, როგორ დაიცვან კონფიდენციალურობა და ანონიმურობა;
- ინფორმაცია, როგორ შეიძლება გამოყენებულ იქნეს მონაცემები (მაგალითად, პროფესიული განვითარებისთვის, პრეზენტაციებისთვის ან პუბლიკაციებისათვის);
- მკვლევარი-მასწავლებლის საკონტაქტო მონაცემები;
- ფორმალური თანხმობის ნაწილი, რომელიც მოიცავს სახელებს, ხელმოწერებს და თარიღებს.

როდესაც შეამოწმებთ თანხმობის ფორმის ნიმუშს, სცადეთ იპოვოთ თითოეული ეს ელემენტი. ეს დაგეხმარებათ არა მხოლოდ იმის გაგებაში, როგორ გამოიყურება თანხმობის ფორმა, არამედ იმისაც, რატომ არის მნიშვნელოვანი თითოეული ნაწილი მოსწავლეების პერსონალური მონაცემების დაცვისა და ოჯახებთან და სკოლებთან ნდობის შესაქმნელად.

შეჩერდით და დაფიქრდით

ზემოთ მოცემული თანხმობის ფორმა შექმნილია საქართველოს სკოლების კონტექსტის გათვალისწინებით. მიუხედავად ამისა, შეიძლება საჭირო იყოს მცირე ადაპტაციები თქვენი გარემოსა და კვლევის ფოკუსის მიხედვით. აქ მიზანი არ არის ფორმის სრულად გადატანა, არამედ დაფიქრება იმაზე, როგორ შეიძლება ის მოარგოთ ისე, რომ ეფექტურად და ეთიკურად ფუნქციონირებდეს თქვენს სკოლაში.

დაფიქრდით რამდენიმე წუთით შემდეგზე:

- შეესაბამება თუ არა ეს თანხმობის ფორმა იმ ასაკობრივ ჯგუფს, რომელსაც თქვენ შეისწავლით, და იმ მონაცემებს, რომელის შეგროვებასაც გეგმავთ? თუ არა, რა მცირე ცვლილებებია საჭირო?
- გვხვდება თუ არა ფორმაში ისეთი ნაწილები, რომელსაც შეამსუბუქებდით ან ახსნიდით სხვაგვარად, რათა მშობლებსა და მოსწავლეებს ნათლად ესმოდეთ კვლევის მიზანი?
- მშობელს ან მოსწავლეს კვლევაში მონაწილეობა უქმნის შფოთს/ეჭვებს, რას გაითვალისწინებდით ფორმაში?

თუ მოსწავლე ან მშობელი უარს იტყვის მონაწილეობაზე, აუცილებელია პატივი სცეთ ამ გადაწყვეტილებას და გაითვალისწინოთ, როგორ გამოირიცხოს მათი მონაცემები სამართლიანი და პრაქტიკული გზით. ყველა კვლევის ინსტრუმენტი არ მოიცავს მოსწავლეების უშუალო მონაწილეობას. მაგალითად, დაკვირვების ინსტრუმენტი, რომელიც ფოკუსირებულია თქვენს სასწავლო მოქმედებებზე, შესაძლოა საერთოდ არ საჭიროებდეს მოსწავლეების მონაწილეობას.

ყველა კვლევა უნდა უზრუნველყოფდეს ზიანის თავიდან არიდებას, იქნება ეს ფიზიკური, აკადემიური, ემოციური თუ სოციალური. მკვლევარი-მასწავლებლისათვის ეს ჩვეულებრივ გულისხმობს:

- არ შეამცირონ სასწავლო დრო კვლევის სასარგებლოდ;
- მოერიდონ აქტივობებს, რომლებიც მოსწავლეებს უხერხულობას უქმნის ან წნეხში ამყოფებს;
- უზრუნველყონ, რომ არც ერთი მოსწავლე არ იყოს დაუცველი მონაწილეობის ან არ მონაწილეობის გამო;
- მოერიდონ თემებს, რომლებმაც შესაძლოა გავლენა მოახდინოს მოსწავლეების ემოციურ კეთილდღეობაზე.

მოსწავლეებმა არასდროს უნდა იგრძნონ აუცილებლობა გაუზიარონ პირადი ინფორმაცია, რომელიც მათთვის უხერხულია.

სხვა მნიშვნელოვანი საკითხია კონფიდენციალურობა. ეს მოიცავს მოსწავლეების სახელების ანონიმურობის დაცვას ჩანაწერებში, ფოტოების ან ვიდეოების გამოყენების თავიდან აცილებას, რომელიც მოსწავლეები ჩანან, თუ არ გაქვთ მკაფიო თანხმობა, და თანხმობის ფორმების და შეგროვებული მონაცემების უსაფრთხოდ შენახვის შესაძლებლობა. თქვენი შედეგების აღწერისას ამოიღეთ ნებისმიერი დეტალი, რომელიც კონკრეტულ მოსწავლეს გამოავლენს. თუ მოგვიანებით წარუდგენთ ან გამოქვეყნებთ კვლევას, მხოლოდ სრულად ანონიმური მაგალითები უნდა გაიზიაროთ.

ეთიკური საკითხების მომზადება უნდა ხდებოდეს საძიებო-სამოქმედო კვლევის პარალელურად პრაქტიკული ნაბიჯების დაგეგმვასთან ერთად. გაკვეთილის დაგეგმვის მსგავსად, კვლევის დაგეგმვაც გულისხმობს წინასწარ ფიქრს, გამოწვევების პროგნოზირებას და რეალისტურ შეფასებას, რისი მიღწევა შეგიძლიათ.

მონაცემების შეგროვების დაწყებამდე სასარგებლოა განსაზღვროთ კვლევის ძირითადი ამოცანები და დაფიქრდეთ, როდის განხორციელდება თითოეული მათგანი. დაგეგმვა, თუ რამდენი დრო შეიძლება დასჭირდეს თითოეულ ეტაპს, დაგეხმარებათ პროცესი მართოთ და სტრესი თავიდან აიცილოთ. დაგეგმვა შეიძლება მოიცავდეს შემდეგ ეტაპებს:

- სკოლის ინფორმირება და საჭირო თანხმობის მიღება (დაახლოებით 1 კვირა)
- მონაცემების შეგროვების ინსტრუმენტების შექმნა, როგორიცაა კითხვარები, დაკვირვების ფორმები ან მიმართულების მიმცემი კითხვები (დაახლოებით 2–3 კვირა)
- დაკვირვებების, ინტერვიუების ან სხვა მონაცემების შეგროვების აქტივობების განსაზღვრა ისე, რომ თავსედებოდეს თქვენს სასწავლო განრიგთან (დაახლოებით 1 კვირა)
- მონაცემების შეგროვება და ორგანიზება (დაახლოებით 3 კვირა)
- შეგროვებული ინფორმაციის ანალიზი და ინტერპრეტაცია კვლევის კითხვებზე პასუხის გასაცემად (დაახლოებით 3 კვირა)
- კოლეგებთან შედეგების გაზიარებისთვის მომზადება, მაგალითად მოკლე პრეზენტაციის ან მიმოხილვის ბზით (დაახლოებით 2 კვირა).

ეს ვადები დაახლოებითია და შეიძლება მოერგოს თქვენს კონტექსტს, სამუშაოს მოცულობასა და სკოლის კალენდარს. მთავარი

იდეაა რეალისტურად დაგეგმოთ და თითოეული ეტაპისთვის საკმარისი დროის გამოყოთ ზედმეტი წნეხის თავიდან ასაცილებლად.

თითოეულ დიდ დავალებას ახლავს პატარა დავალებები. მაგალითად, „ინსტრუმენტების შექმნა“ შეიძლება მოიცავდეს ინტერვიუების კითხვების შედგენას, მათ კოლეგასთან დატესტვას და საბოლოო ვერსიის დაბეჭდვას.

მარტივი დროული გრაფიკი, მორგებული თქვენი სკოლის კალენდარზე, დაგეხმარებათ ორგანიზებულობის შენარჩუნებაში მთელი საძიებო-სამოქმედო კვლევის პროცესის განმავლობაში. ეს გრაფიკი უნდა მოიცავდეს არა მხოლოდ მონაცემების შეგროვებას, არამედ წინარე ეტაპებს, როგორიცაა თანხმობის მიღება და ინსტრუმენტების შექმნა, ასევე მოგვიანებით ეტაპებს, როგორიცაა მონაცემების ანალიზი და მიღებული ცოდნის გაზიარება.

გრაფიკის დაგეგმვისას გაითვალისწინეთ არდადეგები, გამოცდები, სკოლის ღონისძიებები და სხვა პერიოდები, როდესაც სასწავლო რუტინა შეიძლება შეიცვალოს. ყველაზე ყურადღებით შემუშავებულ გეგმაზეც კი შეიძლება იქონიოს გავლენა სკოლის ყოველდღიურობაში არსებულმა რეალობამ: მოსწავლეებმა შეიძლება გააცდინონ გაკვეთილები, გაკვეთილების ცხრილი შეიძლება გადაიგეგმოს, ან მშობლებს შესაძლოა მეტი დრო დასჭირდეთ თანხმობის ფორმების დაბრუნებისთვის.

ამ მიზეზთა გამო სასარგებლოა წინასწარ დაფიქრება და “გეგმა ბ-სა” და საჭიროების შემთხვევაში, “გეგმა გ-ს” მომზადება იმ შემთხვევისთვის, თუ თქვენი თავდაპირველი გეგმა ვერ განხორციელდება ისე, როგორც მოსალოდნელი იყო. ეს შეიძლება მოიცავდეს აქტივობების დროზე მორგებას, კვლევის ინსტრუმენტის გამარტივებას, ნაკლები მონაცემის შეგროვებას ან გარკვეული ეტაპების თანმიმდევრობის შეცვლას.

მოქნილობა საძიებო-სამოქმედო კვლევის სუსტი მხარე არ არის; ეს არის პროცესის არსებითი ნაწილი. კვლევის პროცესში შეიძლება გადაწყვიტოთ თქვენი კითხვების დახვეწა, ინსტრუმენტების ადაპტირება ან ფოკუსის მსუბუქად შეცვლა. მთავარი არის, რომ პროცესი დარჩეს მართვადი, ეთიკური და მჭიდროდ დაკავშირებული თქვენს ყოველდღიურ სწავლებასთან.

ქვემოთ მოცემული ცხრილი აჩვენებს მაგალითს, როგორ შეიძლება სრულად განხორციელდეს საძიებო-სამოქმედო კვლევის (EAR) პროცესი საგანმანათლებლო წლის განმავლობაში. იგი აერთიანებს ყველა ეტაპს, რაზეც წიგნში ამ დრომდე წაიკითხეთ

- დაგეგმვა, კვლევა და ა.შ.; და აჩვენებს, როგორ შეიძლება ისინი განაწილდეს დროში რეალისტურად და მართვადად.

ეს არ არის ფიქსირებული მოდელი ან სავალდებულო გრაფიკი. ეს არის დაგეგმვის სახელმძღვანელო, რომელიც დაგეხმარებათ გაიაზროთ, როგორ უკავშირდება ერთმანეთს კვლევის სხვადასხვა აქტივობა და რამდენი დრო შეიძლება დასჭირდეს თითოეულ ეტაპს. თქვენი საკუთარი დროის გრაფიკი შეიძლება იყოს უფრო მოკლე ან უფრო გრძელი, ხოლო ზოგიერთი ეტაპი შესაძლოა გადაფარულიც იყოს კონტექსტის, სასწავლო დატვირთვის და სკოლის კალენდრის გათვალისწინებით.

დროის გრაფიკზე დაკვირვებისას შეამჩნევთ, რომ:

- საძიებო-სამოქმედო გეგმა არ ტარდება სწრაფად. სიტუაციის გაგებას, ცვლილებების გამოცდას და რეფლექსიას დრო სჭირდება.
- ზოგიერთი ეტაპი (როგორიცაა კითხვების განსაზღვრა, მონაცემების შეგროვება ან შედეგების ანალიზი) ხშირად რამდენიმე კვირას მოიცავს.
- პროცესი არ მიმდინარეობს სწორხაზოვანად, ის ციკლურად მოძრაობს ფიქრს, მოქმედებასა და რეფლექსიას შორის.
- დაგეგმვა და მოქნილობა თავიდანვე გათვალისწინებულია.

გამოიყენეთ ეს მაგალითი თქვენი კვლევის დაგეგმვისას. შეიძლება მოისურვოთ დროში ცვლილებების შეტანა, კვირების გაერთიანება ან ციკლის მხოლოდ გარკვეულ ნაწილზე ფოკუსირება, რაც დამოკიდებულია თქვენს მიზნებსა და შეზღუდვებზე.

საძიებო-სამოქმედო კვლევის გეგმა-გრაფიკი

თვე	კვირა	საძიებო-სამოქმედო კვლევის ფაზა/საფეხური	კვლევის აქტივობა
სექტემბერი	1		ჯგუფის ფორმირება
	2	დაგეგმე ძიება (საძიებო კვლევა)	კვლევის ფოკუსის განსაზღვრა
	3		კვლევის ფოკუსის განსაზღვრა
	4		კვლევის კითხვის განსაზღვრა
ოქტომბერი	5		კვლევის კითხვის განსაზღვრა/ ინსტრუმენტების შემუშავება
	6		ინსტრუმენტების შემუშავება
	7		ინსტრუმენტების შემუშავება
	8	ძიება/შესწავლა	მონაცემების შეგროვება
	9		მონაცემების შეგროვება
ნოემბერი	10		მონაცემების შეგროვება
	11		მონაცემების შეგროვება
	12	ანალიზი და რეფლექსია	მონაცემების ანალიზი
	13		მონაცემების ანალიზი
დეკემბერი	14		მონაცემების ანალიზი
	15		მონაცემების ანალიზი
	16	ქმედების დაგეგმვა	ცვლილების გეგმა/ ინტერვენციის სტრატეგია
იანვარი	17		ცვლილების გეგმა/ ინტერვენციის სტრატეგია
	18		ცვლილების გეგმა/ ინტერვენციის სტრატეგია
	19	ქმედება/დაკვირვება	ცვლილების დანერგვა/ ცვლილების შეფასება
თებერვალი	20		ცვლილების დანერგვა/ ცვლილების შეფასება
	21		ცვლილების დანერგვა/ ცვლილების შეფასება
	22		ცვლილების დანერგვა/ ცვლილების შეფასება
	23	რეფლექსია	შედეგების ანალიზი/დასკვნების გაკეთება
მარტი	24		შედეგების ანალიზი/დასკვნების გაკეთება
	25		შედეგების ანალიზი/დასკვნების გაკეთება
	26		შედეგების გაზიარება

დავალება 1

გადაიკითხეთ ეს ნაწილი კიდევ ერთხელ და ყურადღებით დააკვირდით თანხმობის ნიმუშის ფორმას.

ქვემოთ მოცემულია მასწავლებელთა კვლევის დაგეგმვასთან და ეთიკურ საკითხებთან დაკავშირებული ქმედებების სია.

მონიშნეთ მხოლოდ ის მოქმედებები, რომლებიც უნდა შესრულდეს მონაცემების შეგროვების დაწყებამდე თქვენი საძიებო-სამოქმედო კვლევისათვის.

- ☐ შეატყობინოთ სკოლის ხელმძღვანელობას თქვენი კვლევის შესახებ
- ☐ დაუყოვნებლივ დაიწყოთ მონაცემების შეგროვება კითხვების შედგენის შემდეგ
- ☐ აუხსნათ მოსწავლეებს კვლევის მიზანი
- ☐ მიიღოთ მშობლების თანხმობა, თუ მოსწავლეები არასრულწლოვნები არიან
- ☐ გადაწყვიტოთ, როგორ დაიცვათ კონფიდენციალურობა და ანონიმურობა
- ☐ დაგეგმოთ, როგორ გამოირიცხოს მონაცემები მათთვის, ვინც არ თანხმდება კვლევაში მონაწილეობას

დავალება 2

გადახედეთ ზემოთ მოცემულ გეგმა-გრაფიკს და დაასახელეთ:

- ერთი ეტაპი, რომელიც თქვენთვის ნაცნობი ან მარტივად მართვადია;
- ერთი ეტაპი, რომელიც თქვენს კონტექსტში შესაძლოა უფრო ხანგრძლივი იყოს.

ახლა დაფიქრდით თქვენს საკუთარ სასწავლო სიტუაციაზე:

- არის თუ არა კვირები ან თვეები, როცა კვლევის ჩატარება უფრო რთული იქნება (მაგალითად, გამოცდები, ანგარიშების წარდგენის პერიოდები, არდადეგები)?
- რომელი ეტაპები შეიძლება იყოს მოკლე, გრძელი ან გაერთიანდეს?

ცალკე ფურცელზე ან თქვენს კვლევის წიგნაკში გააკეთეთ საკუთარი კვლევის მიახლოებითი გეგმა-გრაფიკი:

- ზუსტი თარიღები არ არის საჭირო.
- უბრალოდ დაასახელეთ ეტაპების თანმიმდევრობა და რეალისტური დრო თითოეული ეტაპისთვის.

გახსოვდეთ: მიზანი არაა გეგმა-გრაფიკის სრულყოფილად შესრულება, არამედ რეალისტურად დაგეგმვა და მოქნილობის შენარჩუნება, რადგან თქვენი კვლევა და სწავლება ერთდროულად ვითარდება.

თქვენი კვლევის ჩანაწერები

გამოიყენეთ ეს ადგილი, რათა ჩაწეროთ შენიშვნები თქვენი საკუთარი კვლევის შესახებ, როცა ამ წიგნის აქტივობებზე მუშაობთ.

ჩემი საძიებო-სამოქმედო კვლევის გეგმა-გრაფიკი

გამოიყენეთ ქვემოთ მოცემული ცხრილი თქვენი საძიებო კვლევის მიახლოებითი გეგმა გრაფიკის შესამუშავებლად.

ზუსტი თარიღები არ არის საჭირო. მიაქციეთ ყურადღება ეტაპების თანმიმდევრობას და თითოეული ნაბიჯისთვის რეალისტურ დროის ხანგრძლივობას.

კვლევის ეტაპები	მთავარი აქტივობები/ საქმიანობა	მიახლოებით საჭირო დრო	ჩემს მიერ დაგეგმილი დრო
საკვლევი თემის შერჩევა	დაადგინეთ და დააზუსტეთ საკლასო საკითხი/პრობლემა ან სფერო, რომლის შესწავლაც გსურთ	~2 კვირა	
საკვლევის კითხვებისათვის საბოლოო სახის მიცემა	გადახედეთ და დახვეწეთ საძიებო კვლევის კითხვები	~1 კვირა	
კვლევის ინსტრუმენტების შემუშავება	შექმენით კითხვარები, დაკვირვების ფორმები, რეფლექსიის კითხვები ან სხვა ინსტრუმენტები	~2–3 კვირა	
მომზადება და ნებართვები	შეატყობინეთ სკოლის ხელმძღვანელობას, აუხსენით მოსწავლეებს კვლევის მიზანი, მიიღეთ მშობლების თანხმობა საჭიროების შემთხვევაში	~1კვირა	
მონაცემების შეგროვების დაგეგმვა	განსაზღვრეთ, როდის და როგორ ჩატარდება დაკვირვებები, ინტერვიუები ან მოხდება რეფლექსია	~1 კვირა	
მონაცემების შეგროვება	შეაგროვეთ კლასიდან მონაცემები, თქვენს მიერ შემუშავებული ინსტრუმენტებით	~3 კვირა	

კვლევის ეტაპები	მთავარი აქტივობები/ საქმიანობა	მიახლოებით საჭირო დრო	ჩემს მიერ დაგეგმილი დრო
მონაცემების ორგანიზება და ანალიზი	გადახედეთ ჩანაწერებს, გამოავლინეთ ტენდენციები და გააკეთეთ ინტერპრეტაცია, რას აჩვენებს მონაცემები	~3 კვირა	
ქმედების დაგეგმვა (თუკი მიზანშეწონი-ლია)	თქვენი შედეგების საფუძველზე გადაწყვიტეთ, საჭიროა თუ არა ცვლილება ან ინტერვენცია	~2კვირა	
ცვლილებების დანერგვა	გააცანით და გამოიყენეთ დაგეგმილი ცვლილება თქვენს გაკვეთილებზე	~3 კვირა	
ცვლილებების შეფასება	დააკვირდით, რა ხდება ცვლილების შემდეგ და შეაგროვეთ მტკიცებულებები მისი გავლენის შესახებ	~2 კვირა	
დასკვნების გაკეთება	გაანალიზეთ შედეგები რეფლექსიის საშუალებით და უპასუხეთ თქვენს კვლევის კითხვებს	~2 კვირა	
კვლევის მიგნებების გაზიარება	წარუდგინეთ ან განიხილეთ თქვენი მიგნებები კოლეგებთან ან მენტორებთან	~1–2 კვირა	

8 რა აღმოაჩინეთ?



თქვენ, სავარაუდოდ, კვლევის პროცესში თანდათან უკეთ გაიგეთ საკვლევი საკითხი, და სასარგებლოა, ეს იდეები ჩაიწეროთ მაშინვე, როგორც კი გაგიჩნდებათ, ერთგვარ სამუშაო ჩანაწერებში, რომელსაც კვლევის განმავლობაში შეინახავთ. თუმცა, ყოველთვის არ არის შესაძლებელი შეგროვებული მონაცემების სრულად ან სიღრმისეულად გააზრება მხოლოდ მათი მიღების პროცესში გადახედვით. ეს იმიტომ, რომ პირველადი შთაბეჭდილებები ყოველთვის საკმარისი არ არის სიტუაციის სრულყოფილად გასაგებად. ამიტომ, მონაცემთა ანალიზი არ ნიშნავს რაიმე რთული ან აკადემიური პროცესის ჩატარებას. ის უბრალოდ ნიშნავს დროის გამოყოფას, რომ დააორგანიზოთ/დაალაგოთ შეგროვებული ინფორმაცია და ყურადღებით დააკვირდეთ მას, რათა უფრო ღრმად გაიაზროთ.

ჩვენი გამოცდილებით, მასწავლებლებთან მუშაობისას ხშირად შევნიშნეთ, რომ როცა ისინი „ანალიზზე“ ფიქრობენ, პირველ რიგში რიცხვები ახსენდებათ. მაგალითად, ასეთ კითხვებზე პასუხები:

- რამდენმა მოსწავლემ შეასრულა დავალება?
- რამდენმა მოსწავლემ ასწია ხელი?
- რამდენად ხშირად ითხოვდნენ მოსწავლეები დახმარებას წყვილებში მუშაობის დროს?
- რამდენმა მოსწავლემ აირჩია ა, ბ ან გ ვარიანტი კითხვარში?

ასეთი ტიპის ინფორმაცია გამოიხატება რიცხვებში, სიხშირეებში ან რეიტინგებში და მას რაოდენობრივი მონაცემები ეწოდება. რაოდენობრივი მონაცემები ხშირად მიიღება დათვლით ან იმის აღრიცხვით, თუ რამდენად ხშირად ხდება რაღაც, ან შეფასების სკალების გამოყენებით. მაგალითები:

- გაკვეთილზე დაკვირვების შესამოწმებელი სიიდან (checklist) მიღებული მონაცემი: „18 მოსწავლიდან 10-მა დაასრულა დავალება დროულად.“

- დაკვირვების დროს დათვლილი შემთხვევები: „მოსწავლეებმა აქტივობის განმავლობაში 4-ჯერ მოითხოვეს განმარტება.“

- კითხვარის/ანკეტირების შედეგი შეფასების სკალით: „მოსწავლეთა უმრავლესობამ გაკვეთილი შეაფასა 5-დან 3 ქულით.“

რაოდენობრივი მონაცემები შეიძლება ძალიან სასარგებლო იყოს, განსაკუთრებით მაშინ, როცა თქვენი კითხვა ეხება იმას, რამდენად ხშირად ხდება რაღაც ან რამდენად ფართოდაა გავრცელებული პრობლემა. თუმცა, მხოლოდ რიცხვები, როგორც წესი, არ ხსნის იმას თუ რა ხდება რეალურად. მაგალითად, იმის ცოდნა, რომ კლასის მხოლოდ ნახევარმა დაასრულა დავალება, არ გვაძლევს პასუხს კითხვაზე, რატომ მოხდა ასე. ამიტომ, როცა ასეთ მონაცემებს აგროვებთ, მნიშვნელოვანია დაამატოთ კიდევ ერთი ნაბიჯი: დაფიქრდეთ, რას ნიშნავს ეს რიცხვები. ეს ჩვეულებრივ გულისხმობს თქვენს კვლევის კითხვებთან დაბრუნებას და კავშირების მოძებნას მონაცემებსა და იმ საკითხს შორის, რომლის გაგებაც გსურთ.

შეადარეთ ზემოთ მოცემული მაგალითები ხარისხობრივი მონაცემების ამ მაგალითებს:

- მოსწავლე წერს: „დავალება არ დამიწყია, რადგან ზუსტად არ ვიცოდი, რა უნდა გაგვეკეთებინა.“

- კოლეგა აღნიშნავს: „რამდენიმე მოსწავლე ერთმანეთისკენ იყურებოდა დაწყებამდე და ელოდა, ვინ დაიწყებდა პირველი.“

- ინტერვიუში მოსწავლე ამბობს: „უკეთ მესმის, როცა მასწავლებელი ჯერ მაგალითს გვიჩვენებს.“

- თქვენს საკუთარ დაკვირვების დღიურში წერთ: „მივხვდი, რომ ინსტრუქციები ძალიან სწრაფად მივეცი და არ შევამოწმე, რამდენად გაიგეს მოსწავლეებმა.“

თვისებრივი მონაცემები ეფუძნება სიტყვებს და არა რიცხვებს. იგი მოიცავს ადამიანების ახსნა-განმარტებებს, მოსაზრებებს, აღწერებსა და დაკვირვებებს. ასეთი მონაცემები გეხმარებათ გაიგოთ არა მხოლოდ რა მოხდა, არამედ რატომ მოხდა და როგორ აღიქვეს ეს ადამიანებმა. ხშირად ის გამოავლენს ისეთ პერსპექტივებს, რომლებიც მანამდე არ გაგითვალისწინებიათ. სწორედ ამიტომ, თვისებრივი მონაცემები ხშირად ცენტრალურ როლს ასრულებს მასწავლებლის კვლევაში.

თუმცა, რადგან თვისებრივი მონაცემები მდიდარი და დეტალურია, მისი ანალიზი შეიძლება მეტ დროს მოითხოვდეს, რადგან საჭიროა უფრო ორგანიზებული, ეტაპობრივად განხორციელებული მიდგომა. პირველი ნაბიჯია დარწმუნდეთ, რომ თქვენი ყველა მონაცემი ორგანიზებულია და ტექსტურ ფორმაშია წარმოდგენილი. ეს შეიძლება მოიცავდეს წერილობით ჩანაწერებს:

- მოსწავლეთა წერილობითი რეფლექსიებიდან,
- ინტერვიუებიდან ან არაფორმალური საუბრებიდან,
- გაკვეთილის დაკვირვებებიდან (თქვენი ან კოლეგის),
- თქვენი საკუთარი რეფლექსიური ჩანაწერებიდან.

თუ თქვენი მონაცემების ნაწილი აუდიოჩანაწერებიდან მოდის, საჭიროა ჩანაწერების გარკვეული ნაწილების ტრანსკრიფტის მომზადება (გასიტყვება). ტრანსკრიფტის მომზადებას დრო სჭირდება, მაგრამ ხშირად ავლენს მცირე, თუმცა მნიშვნელოვან დეტალებს, როგორიცაა ყოყმანი, გამეორება ან საუბრის ტონი, რომლებიც სხვა შემთხვევაში შეიძლება გამოგრჩეთ. ასევე შეგიძლიათ მოსმენის პროცესში გააკეთოთ ჩანაწერები, შესაბამისი ნაწილების შესახებ.

მას შემდეგ, რაც თქვენი მონაცემები ტექსტურ ფორმაში იქნება ორგანიზებული, წაიკითხეთ ისინი ნელა. კითხვისას, თითოეულ იდეას მიუწერეთ მოკლე სიტყვა ან ფრაზა, რომელიც ასახავს მის ძირითად შინაარსს. ასეთ მოკლე ნიშნებს ხშირად „კოდებს“ უწოდებენ. კოდი აჯამებს იმას, რაც ნათქვამია.

გადახედეთ ქვემოთ მოცემულ მაგალითებს, რომლებიც მოსწავლეებთან ჩატარებული ინტერვიუებიდან მიღებულ თვისებრივ მონაცემებს წარმოადგენს. ყურადღება მიაქციეთ, როგორ არის მათ შემთხვევაში კოდები გამოყენებული და როგორ მეორდება ერთი და იგივე კოდი რამდენჯერმე.

თვისებრივი მონაცემები	**შესაძლო კოდი/ები**
,,არ დამიწყია გაკეთება რადგან არ ვიყავი დარწმუნებული რა უნდა გამეკეთებინა”	ბუნდოვანი ინსტრუქცია
,.ინსტრუქციები გრძელი იყო და დავიბენი”	ბუნდოვანი ინსტრუქცია/ დაბნეულობა
,, მე მომწონს მაგალითები დაფაზე, რადგან ვხდები რა იგულისხმება”	მოდელირების საჭიროება / ბუნდოვანი ინსტრუქცია
,,ჯერ ველოდები დავინახო სხვები რას გააკეთებენ.”	დაბალი თავდაჯერებულობა / სხვებზე დამოკიდებულება
,,მეშინია სხვების თანდასწრებით შეცდომები არ დავუშვა”	დაბალი თავდაჯერებულობა
,, როცა მასწავლებელი ხნის ნაბიჯ-ნაბიჯ ყველა ეტაპს, თავს უფრო თავდაჯერებულად ვგრძნობ” “	ნათელი ინსტრუქცია / გაზრდილი თავდაჯერებულობა

როგორც ხედავთ, ერთი და იგივე კოდები კვლავ და კვლავ მეორდება. ზოგიერთი კომენტარი ერთზე მეტი კოდითაც არის მონიშნული, რაც გვაჩვენებს, როგორ არის იდეები ერთმანეთთან დაკავშირებული.

შემდეგი ნაბიჯია იმის ნახვა, რომელი კოდები მეორდება ყველაზე ხშირად და რომლებია ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებული. მაგალითად, შეიძლება შენიშნოთ ისეთი განმეორებადი კოდები, როგორიცაა:

- გაურკვეველი ინსტრუქციები,
- მოდელირების საჭიროება,
- დაბალი თავდაჯერებულობა.

შემდეგ შეგიძლიათ ეს დაკავშირებული კოდები დააჯგუფოთ და უფრო ფართო სახელწოდება მიანიჭოთ. ასეთ ფართო კატეგორიებს თემები ეწოდება. მაგალითად:

- ინსტრუქციების გაურკვევლობა (გაურკვეველი ინსტრუქციები, მოდელირების საჭიროება);
- მოსწავლეთა თავდაჯერებულობა (დაბალი თავდაჯერებულობა, შეცდომის შიში, გაზრდილი თავდაჯერებულობა).

ყველა კომენტარი არ მოერგება ზუსტად რომელიმე თემას, და ეს სრულიად ნორმალურია. შეგიძლიათ შექმნათ „სხვადასხვა“ კატეგორია ცალკეული კომენტარებისთვის. ზოგჯერ ერთი კომენტარიც კი შეიძლება ძალიან მნიშვნელოვანი იყოს, განსაკუთრებით მაშინ, თუ ის აჩვენებს საკითხს, რომელზეც მანამდე არ გიფიქრიათ.

მას შემდეგ, რაც თემებს გამოავლენთ, გაცილებით მარტივი ხდება თქვენი მონაცემების შეჯამება და ისეთი დასკვნების გამოტანა, რომლებიც პასუხობს თქვენს კვლევის კითხვებს. მაგალითად, თუ ბევრი კომენტარი უკავშირდება გაურკვეველ ინსტრუქციებს და დაბალ თავდაჯერებულობას, შეგიძლიათ დაასკვნათ, რომ უფრო მკაფიო, ეტაპობრივი ინსტრუქციები და მოდელირება ხელს შეუწყობს მოსწავლეთა თავდაჯერებულობისა და ჩართულობის ზრდას.

სურვილის შემთხვევაში, შეგიძლიათ დაამატოთ მარტივი რაოდენობრივი ეტაპიც ამ გაგების გასამყარებლად. ეს შეიძლება მოიცავდეს თითოეულ თემასთან დაკავშირებული კომენტარების რაოდენობის დათვლას, დაკვირვებას, რამდენად ხშირად ჩნდება ერთი და იგივე საკითხი სხვადასხვა კლასში, ან შემოწმებას, ჩნდება თუ არა იგივე თემები როგორც მოსწავლეთა კომენტარებში, ასევე თქვენს დაკვირვებებში. ასეთი მარტივი დათვლები არ ცვლის თვისებრივ ანალიზს, მაგრამ გეხმარებათ დაინახოთ, რომელი საკითხებია ყველაზე მძლავრად წარმოდგენილი თქვენს მონაცემებში.

თუ გადაწყვეტთ მონაცემების შეგროვებისთვის კითხვარის გამოყენებას, გირჩევთ, იგი ააგოთ თქვენი თვისებრივი მიგნებების საფუძველზე. ამ შემთხვევაში, კითხვარი დაეფუძნება რეალურ საკლასო მონაცემებსა და მოსწავლეთა გამოცდილებას და არა ვარაუდებს. როდესაც კითხვარი უფრო ფართო ჯგუფს

მიეწოდება, ის გაძლევთ საშუალებას გადაამოწმოთ, არის თუ არა ეს იდეები უფრო ფართოდ გავრცელებული. ამგვარად, კითხვარი/ანკეტა ადასტურებს უკვე აღმოჩენილ ნიმუშებს და აძლიერებს თქვენს მიგნებებს, რადგან შედეგები უფრო მეტად ასახავს იმას, რას ფიქრობენ რეალურად მოსწავლეები.

მაგალითად, თუ თქვენი თვისებრივი მონაცემებიდან გამოავლინეთ თემები, როგორიცაა ინსტრუქციების ბუნდოვანება (მაგ:., ბუნდოვანი ინსტრუქციები, მოდელირების საჭიროება) და მოსწავლეთა თავდაჯერებულობა (მაგ:, შეცდომის შიში, დაბალი თავდაჯერებულობა), შეგიძლიათ კითხვარში შეიტანოთ ასეთი ტიპის შეკითხვა:

როცა ახალ დავალებას იწყებთ, ყველაზე ხშირად რა გირთულებთ დაწყებას?
(აირჩიეთ ის ვარიანტი, რომელიც ყველაზე მეტად შეესაბამება თქვენს გამოცდილებას.)

- ☐ ინსტრუქციები საკმარისად გასაგები არ არის
- ☐ მჭირდება მაგალითის ნახვა დაწყებამდე
- ☐ მეშინია შეცდომების დაშვების
- ☐ არ ვარ დარწმუნებული, რომ დავალებას კარგად შევასრულებ
- ☐ სხვა (გთხოვთ, განმარტოთ): _____

ამ ტიპის შეკითხვა სასარგებლოა, რადგან იგი ეფუძნება იმ საკითხებს, რომლებიც უკვე ამოვიღეთ თავად მოსწავლეთა სიტყვებიდან. ის გაძლევთ საშუალებას დაინახოთ, რომელი თემები გვხვდება უფრო ხშირად მთელ კლასში, ამავე დროს მაინც ტოვებს სივრცეს იმისთვის, რომ მოსწავლეებმა დაამატონ სხვა პერსპექტივებიც, რომლებიც შესაძლოა თქვენ წინასწარ არ გაგითვალისწინებიათ.

ამ პროცესის დასრულების შემდეგ, თქვენ უნდა გქონდეთ ისეთი მიგნებების ერთობლიობა, რომელიც პირდაპირ თქვენი მონაცემებიდან გამომდინარეობს. ქვემოთ მოცემული დიაგრამა აჯამებს ძირითად ნაბიჯებს. ის აჩვენებს, როგორ გადადიან მასწავლებლები შეგროვებული მონაცემებიდან ძირითადი იდეების (კოდების) გამოვლენაზე, შემდეგ მათ თემებად დაჯგუფებაზე და საბოლოოდ, იმ ტენდენციებზე დაფუძნებული მიგნებების ჩამოყალიბებაზე, რომლებსაც დააკვირდნენ.

ნაბიჯი 1. მონაცემები
„არ დავიწყე, რადგან არ ვიყავი დარწმუნებული, რა უნდა გამეკეთებინა.“
„ინსტრუქციები გრძელი იყო და დავიბენი.“
„მომწონს დაფაზე არსებული მაგალითები, რადგან ვხვდები, რა იგულისხმება.“
„ველოდები, სანამ სხვები პირველები გააკეთებენ.“
„მეშინია შეცდომების საჯაროდ დაშვების.“
„როცა მასწავლებელი ნაბიჯ-ნაბიჯ ხსნის, თავს უფრო თავდაჯერებულად ვგრძნობ.“

ნაბიჯი 2. კოდები
არასაკმარისი ინსტრუქციები
გაფანტულობა / დაბნეულობა
მოდელირების/გამარტივების საჭიროება
დაბალი თავდაჯერებულობა
შეცდომების შიში
მკაფიო ინსტრუქციები

ნაბიჯი 3. თემები
ინსტრუქციების ბუნდოვანება (არასაკმარისი ინსტრუქციები, დაბნეულობა, მოდელირების/გამარტივების საჭიროება)
მოსწავლის თავდაჯერებულობა (დაბალი თავდაჯერებულობა, შეცდომების შიში, თავდაჯერებულობის ზრდა)

ნაბიჯი 4. მიგნებები
მოსწავლეებს შესაძლოა გაუჭირდეთ დავალების დაწყება, როცა ინსტრუქციები არ არის მკაფიო ან როცა თავდაჯერებულობა აკლიათ. უფრო ნათელი ახსნა-განმარტებები და მაგალითების მიწოდება შეიძლება დაეხმაროს მოსწავლეებს დავალებების უფრო თავდაჯერებულად დაწყებაში.

მოკლედ, მონაცემების ანალიზი ნიშნავს მუდმივ გადაადგილებას სიტყვებსა და ციფრებს შორის, დანახული ნიმუშების დაკვირვებასა და მათი გავრცელების შემოწმებას შორის. რაოდენობრივი მონაცემები დაგეხმარებათ გაიგოთ, რამდენად ხშირად ხდება რაღაც, ხოლო თვისებრივი მონაცემები, რატომ ხდება ეს. ერთობლივად გამოყენების შემთხვევაში, ისინი საშუალებას გაძლევთ შექმნათ უფრო სუფთა სურათი იმისა, რაც ხდება თქვენს კლასში და როგორ უკავშირდება ეს კითხვებს, რომელთა შესასწავლადაც მიდიხართ.

შეკჩერდით და დაფიქრდით

როცა კითხულობთ თვისებრივი მონაცემების კოდირებისა და თემების განსაზღვრის შესახებ, დაფიქრდით იმ სახის ინფორმაციაზე, რომელიც უკვე შეგროვებული გაქვთ, ან გეგმავთ შეგროვებას, თქვენი საძიებო-სამოქმედო კვლევის ფარგლებში.

- რა ტიპის კომენტარები, ქცევები ან გამოცდილებები შეიძლება გამოიკვეთოს თქვენს მონაცემებში?
- რა ნიმუშები ან პრობლემები შეიძლება განვითარდეს, როცა დაიწყებთ მონაცემების ზუსტად განხილვას?
- არის რაიმე ასპექტი თქვენი კლასის სიტუაციიდან გამომდინარე, რომლის უფრო სიღრმისეულად გაგება განსაკუთრებით გაინტერესებთ?

წაიკითხეთ ქვემოთ მოცემული საძიებო-სამოქმედო კვლევის სრული ანგარიში. ყურადღება გაამახვილეთ იმაზე, როგორ შეისწავლეს მასწავლებლებმა შეგროვებული ინფორმაცია, რა ნიმუშები გამოვლინდა მონაცემებში და როგორ დაეხმარა ეს აღმოჩენები მათ გადაეწყვიტათ, რა ცვლილებები მოესინჯათ.

მაგალითი 6: მოსწავლეების მოტივაციის გაზრდა პროექტებზე დაფუძნებული სწავლების მეშვეობით

ხუთმა მასწავლებელმა, რომლებიც ასწავლიდნენ მე-7, მე-8 და მე-9 კლასებში მათემატიკას, ბიოლოგიას და ქართულ ენასა და ლიტერატურას, გადაწყვიტეს შეესწავლათ საერთო პრობლემა: მოსწავლეთა დიდი ნაწილი გაკვეთილზე პასიურია გაკვეთილის განმავლობაში. მასწავლებლებს სურდათ გაეგოთ, რატომ არ ერთვებოდა ზოგიერთი მოსწავლე და კლასის რა პრაქტიკებს შეიძლებოდა დახმარება გაეწია მათი მოტივაციისა და ჩართულობის გაზრდაში.

პრობლემის შესასწავლად, მასწავლებლებმა ინფორმაცია რამდენიმე საშუალებით შეაგროვეს. პირველ რიგში, ისინი აწარმოებდნენ რეფლექსიურ ჟურნალებს, რეგულარულად წერდნენ თავიანთი გაკვეთილების შესახებ და პასუხობდნენ მიმართულების მიმცემ კითხვებს. ეს დაეხმარათ მათ შეენიშნათ, რომელი სასწავლო სტრატეგიები და ინტერაქციის ტიპები გამოავლენდა მოსწავლეების უფრო აქტიურ ჩართულობას. მათ ასევე დააორგანიზეს ფოკუს-ჯგუფების შეხვედრები მოსწავლეებთან. ამ საუბრის დროს მოსწავლეები საუბრობდნენ იმ ფაქტორებზე, რომლებიც მათ მოტივაციაზე ახდენდა გავლენას, მათ შორის: მოცემული დავალებების ტიპი, აქტივობების ორგანიზება, მასწავლებლებისგან მიღებული უკუკავშირი და საერთო სასწავლო გარემო. დამატებით, მასწავლებლები ერთმანეთის გაკვეთილებს აკვირდებოდნენ, რათა შეესწავლათ, როგორ გავლენას ახდენს გაკვეთილის დიზაინი, მასწავლებლის ქცევა, კლასში ინტერაქცია და უკუკავშირი მოსწავლეების ჩართულობაზე.

შეგროვებულმა ინფორმაციამ გამოავლინა რამდენიმე ნიმუში. როცა მოსწავლეები მოტივირებული არ იყვნენ, ისინი ხშირად ეთიშებოდნენ გაკვეთილს. ზოგი პასიურად იქცეოდა: თამაშობდნენ სასწავლო ნივთებით, ხატავდნენ რვეულში ან ფანჯრიდან იყურებოდნენ. სხვები ჩუმად საუბრობდნენ თანაკლასელებთან ან უბრალოდ ელოდნენ გაკვეთილის დასრულებას. ჯგუფურ სამუშაოებში, მოტივაციის არმქონე მოსწავლეებს ხშირად არ ჰქონდათ როლი და წყვეტდნენ მონაწილეობას. ზოგიერთი საერთოდ ერიდებოდა ჩართულობას, მაგალითად, უარს აცხადებდნენ დაფასთან გამოსვლაზე ან დავალებების შესრულებაზე, რომლებიც რთული ან უინტერესო ეჩვენებოდათ.

მასწავლებლები სხვადასხვა გზით პასუხობდნენ ამ სიტუაციებს. როცა შენიშნავდნენ მოსწავლეების ინტერესის დაკარგვას, ცდილობდნენ აეხსნათ აქტივობის მიზანი, რათა მოსწავლეებს გაეგოთ, რატომ არის მნიშვნელოვანი. ასევე იყენებდნენ მოკლე ჩართულ აქტივობებს, როგორიცაა ,,გამოსაფხიზლებელი" (energisers) ან „ჭეშმარიტი თუ მცდარი" დავალებები, რათა მოსწავლეები დაბრუნებოდნენ გაკვეთილს. მასწავლებლები სვამდნენ მარტივ კითხვებს წყნარი მოსწავლეების ჩასართავად, ახალ ხელმისაწვდომობას უქმნიდნენ მოსწავლეებს აზრების გაზიარებისას და იყენებდნენ საქებარ სიტყვებს თვითდაჯერებულობის გასაზრდელად. ჩართულობის მხარდასაჭერად გამოიყენებოდა ინტერაქტიული დავალებები, ნათელი ინსტრუქციები, ნიმუშები, სტრატეგიული წყვილები.

ამავდროულად, მასწავლებლები აფასებდნენ თავიანთ პრაქტიკას და განსაზღვრავდნენ მიმართულებებს, რომლებიც შეიძლება გასაუმჯობესებელი ყოფილიყო. მათ შეამჩნიეს, რომ ზოგჯერ გაკვეთილებზე პროცესი გადადიოდა შემდეგ აქტივობაზე საკმარისი უკუკავშირის გარეშე, რაც ამცირებდა მოსწავლეების მოტივაციას. მათ ასევე შენიშნეს, რომ გაკვეთილები, სადაც მასწავლებელი მეტად საუბრობდა, ხშირად იწვევდა მოსწავლეების პასიურობას, რაც ხაზს უსვამდა ინტერაქტიული აქტივობების მნიშვნელობას. მასწავლებლები აცხადებდნენ, რომ იყენებდნენ სხვადასხვა სტრატეგიას ჩართულობის მხარდასაჭერად, მათ შორის: პოზიტიური უკუკავშირი, დიფერენცირებული დავალებები, კითხვების ტექნიკა, ეტაპობრივი დახმარება და აქტივობები, რომლებიც აძლიერებდა თანამშრომლობას. ისინი ცდილობდნენ მოსწავლეებისთვის შეეხსენებინათ, რომ შეცდომების დაშვება სწავლის ბუნებრივი და ღირებული ნაწილია.

მოსწავლეების მოსაზრებებმა კიდევ უფრო ნათელი გახადა სურათი. ყველა კლასში მოსწავლეები ამბობდნენ, რომ განსაკუთრებით მოსწონდათ ინტერაქტიული და ვიზუალურად მხარდაჭერილი აქტივობები, როგორიცაა პრეზენტაციები, ქვიზები, ვიდეოები, როლური თამაშები, ჯგუფური სამუშაოები და პროექტები. თუმცა, ისინი ნაკლებად იყვნენ მოტივირებული, როცა დავალებები რთული იყო გასაგებად ან საჭიროებდა ინტენსიურ დამახსოვრებას ან ანალიზს საკმარისი მითითებების გარეშე.

ამ ყველაფერმა ერთად, აჩვენა, რომ დაბალი მოტივაცია ხშირად იყო დაკავშირებული განმეორებად აქტივობებთადთან, შეზღუდულ ინტერაქციასთან, დავალების ბუნდოვან მიზნებთან და არასაკმარის უკუკავშირთან. მიუხედავად იმისა, რომ ჯგუფური სამუშაოები და თამაშები ზოგჯერ ზრდიდნენ ჩართულობას, ისინი ყოველთვის ეფექტური არ იყო, როცა აქტივობები არ იყო მკაფიოდ ახსნილი ან მხარდაჭერილი.

ამ მიგნებების საფუძველზე, მასწავლებლებმა გადაწყვიტეს შეეტანათ პროექტზე დაფუძნებული სწავლება (PBL). მათ დაიწყეს გაკვეთილების დაგეგმვა მნიშვნელოვანი პროექტების გარშემო, რომლებიც მოითხოვდა მოსწავლეების თანამშრომლობას, მკაფიო მიზნების დასახვას და სწავლების დაკავშირებას რეალურ ცხოვრებასთან. PBL-ი აირჩიეს, რადგან იგი ხელს უწყობს დამოუკიდებლობას, გუნდურ მუშაობას და ძლიერი პასუხისმგებლობის გრძნობას სწავლების პროცესზე.

შედეგები იმედის მომცემი იყო. პროექტზე დაფუძნებული გაკვეთილების დროს მოსწავლეები უფრო აქტიურად მონაწილეობდნენ, უფრო ეფექტურად თანამშრომლობდნენ და უფრო დიდი ინტერესი გამოაჩინეს იმ საგნებში, რომელსაც სწავლობდნენ. მასწავლებლებმა შენიშნეს, რომ მოსწავლეები უფრო მზად იყვნენ მოსაზრებების შეთავაზებისთვისა და კლასის აქტივობებში ჩართვისათვის. მოსწავლეებიც აღნიშნავდნენ, რომ უფრო ჩართულები და დაინტერესებულები იყვნენ სასწავლო პროცესში. საერთო ჯამში, პროექტმა აჩვენა, რომ კარგად დაგეგმილი და მხარდაჭერილი პროექტზე დაფუძნებული სწავლება ეფექტური გზაა მოსწავლეების მოტივაციისა და ჩართულობის ზრდისთვის კლასში.[6]

მონაცემების მაგალითები

ზემოთ მოცემულ კვლევის ანგარიშში, მასწავლებელ-მკვლევრებმა დაასკვნეს, რომ მოტივაციისა და ჩართულობის გაზრდისთვის გამოყენებული სტრატეგიები მოიცავდა პოზიტიური უკუკავშირის, დიფერენცირებული დავალებების, ინტერაქტიული აქტივობების, კითხვის ტექნიკებისა და ეტაპობრივი მხარდაჭერის ("სკაფოლდინგის") კომბინაციას. მათ ასევე შეგნებულად გაუსვეს ხაზი, რომ შეცდომების დაშვება სწავლის ბუნებრივი და ღირებული ნაწილია. ქვემოთ გაეცანით პირველად მონაცემებს, რომლებმაც ისინი ამ დასკვნამდე მიიყვანა. დააკვირდით, რა საერთო ნიმუშები იკვეთება სხვადასხვა დონესა და მონაცემთა ერთობლიობებში.

[6] მოცემული კვლევა ჩატარებულია ნინო ბერძენიშვილის, ინგა ჟორჟოლიანის, ცისანა კურტანიძის, მზია ბლიაძის და ელზა ლაბაძის მიერ ინგა გოგალაძის მენტორობით.

კლასი	მონაცემების ტიპი	მონაცემები
მეშვიდე კლასი – მოქალაქეობა	რეფლექსიური ჟურნალი (მასწავლებელი)	• მოსწავლეებს ვაძლევ პოზიტიურ უკუკავშირს. თუ მოსწავლეების მიერ გამოთქმულ აზრებს დადებითად შევაფასებ, ეს ხელს უწყობს მათი სასწავლო უნარებისა და მოტივაციის განვითარებას.“ • „მოსწავლეებს ვახალისებ დამოუკიდებლად მოძებნონ ახალი სასწავლო სტრატეგიები და ხშირად ვახსენებ მათ სწავლის სტრატეგიებს, რათა სწავლების პროცესი უფრო მარტივი გახდეს.“
	გაკვეთილზე დაკვირვება	• „როცა მასწავლებელი ლექციის მეთოდს იყენებს, მოსწავლეები პასიურები ხდებიან და იწყებენ ხმაურს.“ • „მასწავლებელი იძლევა პოზიტიურ უკუკავშირს და საჯაროდ არ აკრიტიკებს მოსწავლეებს.“
მეშვიდე კლასი – მათემატიკა	რეფლექსიური ჟურნალი (მასწავლებელი)	• მოსწავლეების მოტივაციის გასაზრდელად ვიყენებ სხვადასხვა სირთულის დავალებას და ვახდენ დიფერენცირებას.” • „მოსწავლეებს ხშირად ვახსენებ, რომ შეცდომებზე ვსწავლობთ.“
	გაკვეთილზე დაკვირვება	• „მასწავლებელი იყენებს სხვადასხვა სირთულის დავალებებს და დიფერენცირებას.“ • „მასწავლებელი ყოველი აქტივობის შემდეგ უზრუნველყოფს პოზიტიურ უკუკავშირს.“

კლასი	მონაცემების ტიპი	მონაცემები
მერვე კლასი – ქართული (ა კლასი)	რეფლექსიური ჟურნალი (მასწავლებელი)	• „როცა მოტივაცია დაბალია, ვირჩევ სახალისო აქტივობას, მაგალითად, „ჭეშმარიტი თუ მცდარი?“ თამაშს.“ • „ვიყენებ სხვადასხვა სირთულის დავალებებს.“ • „ყოველი აქტივობის ბოლოს ვაძლევ უკუკავშირს.“
	გაკვეთილზე დაკვირვება	• „თუ მოსწავლე არ მონაწილეობს, მასწავლებელი ცდილობს მის გააქტიურებას მარტივი კითხვების დასმით.“ • „მასწავლებელი იძლევა პოზიტიურ უკუკავშირს, თუმცა თუ ეს უკუკავშირი არ გამოიყენება ახალ აქტივობაზე გადასვლამდე, მოსწავლეების მოტივაცია მცირდება.“
მერვე კლასი - ქართული (ბ კლასი)	რეფლექსიური ჟურნალი (მასწავლებელი)	• „ვაძლევ გამამხნევებელ უკუკავშირს.“ • „ვიყენებ სხვადასხვა სირთულის დავალებას.“
	გაკვეთილზე დაკვირვება	• „მასწავლებელი ახალ აქტივობაზე გადასვლისას იძლევა მკაფიო ინსტრუქციებს.“ • „თუ მოსწავლე ჩართული არ არის, მასწავლებელი ცდილობს მის გააქტიურებას მარტივი კითხვების დასმით.“

კლასი	მონაცემების ტიპი	მონაცემები
მეცხრე კლასი – ბიოლოგია	რეფლექსიური ჟურნალი (მასწავლებელი)	• „როცა მოსწავლეები მოტივირებული არ არიან, ვიყენებ ინტერაქტიულ აქტივობებს, როგორიცაა „იპოვე შენი წყვილი“.“ • „ვაძლევ მკაფიო ინსტრუქციებს და მაგალითებს, რათა მოსწავლეები უფრო თავდაჯერებულად გრძნობდნენ თავს.“ • „ვცდილობ დავალებების სირთულის დონე შეესაბამებოდეს მოსწავლეების შესაძლებლობებსა და ინტერესებს.“
	გაკვეთილზე დაკვირვება	• „თუმოსწავლე ჩართული არ არის, მასწავლებელი აძლევს მარტივ დავალებას, რომელსაც ის ადვილად გაუმკლავდება.“ • „მასწავლებელი ყოველ აქტივობის შემდეგ აძლევს პოზიტიურ უკუკავშირს მოტივაციის გასაზრდელად.“
მეცხრე კლასი – ქართული	რეფლექსიური ჟურნალი (მასწავლებელი)	• ნაკლებად აქტიურ მოსწავლეებში „მოტივაციის გასაზრდელად, ვირჩევ ისეთ კითხვებს, რომლებზე პასუხის გაცემასაც ისინი შეძლებენ.“ • „მოსწავლეს ვთხოვ დაფასთან გამოსვლას და ვეხმარები დავალების შესრულებაში ეტაპობრივი მხარდაჭერის (“სკაფოლდინგი”) გამოყენებით.“
	გაკვეთილზე დაკვირვება	• „თუ მოსწავლე არ მონაწილეობს, მასწავლებელი გააქტიურებს მას მარტივი დავალების მიცემით. • „მასწავლებელი ყოველი აქტივობის შემდეგ იძლევა პოზიტიურ უკუკავშირს.“

მაგალითი 6 აჩვენებს, როგორ ამოიცნეს მასწავლებლებმა ტენდენციები სხვადასხვა მონაცემთა წყაროდან, როგორიცაა ჟურნალები და გაკვეთილების მონიტორინგი. მსგავსი პროცესი შეიძლება დაინახოთ შემდეგ მოკლე მაგალითში, სადაც მასწავლებლებმა გაანალიზეს კითხვარები, ფოკუს-ჯგუფები და კოლეგების დაკვირვებები, რათა გაეგოთ მოსწავლეების წაკითხულის გააზრების დონე.

მაგალითი 7: წაკითხულის გააზრების შესწავლა

ეს კვლევა ჩაატარა რვა მასწავლებელმა სხვადასხვა საგანში, მათ შორის: ქართული ენა და ლიტერატურა (მე-2, მე-3 და მე-6 კლასი), მათემატიკა (მე-4 და მე-7 კლასი), ინგლისური ენა (მე-4 კლასი) და რუსული ენა (მე-7 კლასი). მასწავლებლებს სურდათ გაეგოთ, კლასში ჩატარებული აქტივობებიდან რომელი უწყობს ხელს ყველაზე მეტად მოსწავლეებში წაკითხულის გააზრებას და როგორ აღიქვამენ ისინი ამ აქტივობებს.

ამ კითხვების შესასწავლად, მასწავლებლებმა მონაცემები მოაგროვეს კითხვარების, ფოკუს-ჯგუფების და ურთიერთდაკვირვებების საშუალებით. მონაცემების ანალიზის დროს, ისინი სწავლობდნენ მოსწავლეების კომენტარებში და კლასის დაკვირვებებში განმეორებად იდეებსა და ნიმუშებს.

რამდენიმე თემა განმეორდა სხვადასხვა მონაცემთა წყაროებში. მოსწავლეები აცხადებდნენ, რომ განსაკუთრებით სარგებლის მომტანი იყო აქტივობები, როგორიცაა ხმამაღლა კითხვა, ექო-კითხვა ან ჯგუფური კითხვა, პარაფრაზირება და ვიზუალიზაცია. ეს აქტივობები უადვილებდა მათ ტექსტზე კონცენტრირებას და უკეთ გაგების შესაძლებლობას. ერთდროულად, მონაცემებმა აჩვენა ზოგადი სირთულეებიც: სხვადასხვა საგნებში მასწავლებლები და მოსწავლეები იხსენებდნენ პრობლემებს, როგორიცაა სიტყვის არასწორი გამოთქმა, პუნქტუაციის წესების შეზღუდული ცოდნა, დროის სიმცირე და კითხვის სტრატეგიების თანმიმდევრულად გამოყენების სირთულეები.

ამ მიგნების საფუძველზე, მასწავლებლებმა დანერგეს მართული კითხვის სტრატეგია სტრუქტურირებული ნაბიჯებით, რომელიც მოიცავდა: კითხვამდე აქტივობებს, ჩუმ კითხვას, როლზე დაფუძნებულ კითხვას, ჯგუფურ ან ექო-კითხვას, კითხვის შემდგომ დისკუსიას და რეფლექსიას.

ამ მიდგომის განხორციელების შემდეგ, მასწავლებლებმა შენიშნეს გაუმჯობესება გამოთქმაში, კითხვის ტემპში და პუნქტუაციაში, მაშინ როცა მოსწავლეებმა დისკუსიისა და თანამშრომლობის საშუალებით უფრო სიღრმისეული გააზრება აჩვენეს. ბევრი მოსწავლე აცხადებდა, რომ უფრო თავდაჯერებულები იყვნენ კითხვის სტრატეგიების გამოყენების დროს. თუმცა, მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ ზოგიერთი მოსწავლე კვლავ საჭიროებდა დამატებით ეტაპობრივ მხარდაჭერას და დიფერენცირებულ დახმარებას. ეს მიუთითებდა კითხვის აქტივობების ადაპტირების მნიშვნელობაზე მოსწავლეების განსხვავებული საჭიროებების შესაბამისად.

მთლიანობაში, აღმოჩენებმა დაადასტურა, რომ მართული კითხვის საშუალებით, როცა ის სტრუქტურირებულია და მხარდაჭერილია, შესაძლოა გავაუმჯობესოთ გაგება და დამაროთვეხ მოსწავლეებს გახდნენ უფრო თავდაჯერებული მკითხველები.[7]

[7] აღნიშნული კვლევა ჩაატარებულია დიანა ჯოჯუას, ხათუნა შარაშენიძის, ინგა ჟუჟუნაშვილის, დიანა მორბედაძის, ნინო უბილავას, მაკა დვალიშვილისა და ელისო ბოხოჩაძის მიერ, ნინო გურგენიძის მენტორობის ქვეშ.

მოსწავლეები მონაწილეობენ საძიებო-სამოქმედო კვლევის პროცესში კითხვის აქტივობაში.

დავალება

ყურადღებით წაიკითხეთ ქვემოთ მოცემული თითოეული ციტატა. თითოეულისთვის დაწერეთ ერთი მოკლე კოდი (სიტყვა ან მოკლე ფრაზა), რომელიც მოკლედ ასახავს აღწერილ სტრატეგიას. კოდები შეგიძლიათ დაწეროთ გვერდზე ან ცალკე სიაში.

შეეცადეთ

- ყურადღება გაამახვილოთ იმაზე, რას აკეთებს მასწავლებელი მოსწავლეების მოტივაციის გასაზრდელად,
- გამოიყენოთ მარტივი, კონკრეტული ფორმულირება,
- გამოიყენოთ იგივე კოდი, თუ იგივე იდეა განმეორდება.

1. მონაცემების ციტატები კოდირებისთვის
2. „როცა მოტივაცია დაბალია, ვირჩევ სახალისო აქტივობას, მაგალითად, „ჭეშმარიტი თუ მცდარი?“ თამაშს.“
3. „მოსწავლეებს ვაძლევ პოზიტიურ უკუკავშირს. თუ მოსწავლეების მიერ გამოთქმულ მოსაზრებებს დადებითად შევაფასებ, ეს ხელს უწყობს მათ მოტივაციას.“
4. „თუ მოსწავლე არ მონაწილეობს, მასწავლებელი ცდილობს მის გააქტიურებას მარტივი კითხვების დასმით.“
5. „მოსწავლეების მოტივაციის გასაზრდელად ვიყენებ სხვადასხვა სირთულის დავალებებს და ვახორციელებ დიფერენცირებას.“
6. „ვახალისებ მოსწავლეებს გამოხატონ თავიანთი მოსაზრებები, მაშინაც კი, თუ ისინი მცდარია, და ვახსენებ, რომ შეცდომები სწავლის ნაწილია.“
7. „თუ მოსწავლე ჩართული არ არის, მასწავლებელი აძლევს მარტივ დავალებას, რომელსაც ის ადვილად გაუმკლავდება.“
8. „მასწავლებელი ყოველი აქტივობის შემდეგ აძლევს პოზიტიურ უკუკავშირს, რაც ზრდის მოსწავლეების მოტივაციას და ჩართულობას.“
9. „როცა მოსწავლეები მოტივირებული არ არიან, ვიყენებ ინტერაქტიულ აქტივობებს, როგორიცაა „მოიძიე შენი წყვილი“.
10. „ვირჩევ კითხვებს, რომლებსაც მოსწავლეები უპასუხებენ და ვეხმარები დავალების შესრულებაში ეტაპობრივი მხარდაჭერის გამოყენებით.“
11. „ხშირად ვახსენებ მოსწავლეებს, რომ შეცდომებზე ვსწავლობთ.“

კითხვები დისკუსიისთვის

1. როგორ ეხმარება სხვადასხვა კლასებში განმეორებითი მტკიცებულებების დანახვა მასწავლებლებს საკუთარი დასკვნების გამყარებაში?

2. როგორ აძლიერებს შედეგებს სხვადასხვა ტიპის მონაცემების (მაგალითად, რეფლექსური ჟურნალები და გაკვეთილებზე დაკვირვებები) გამოყენება?

3. კვლევის ანალიზის პროცესში რომელი ნაბიჯები არის ყველაზე მნიშვნელოვანი სწრაფი ან არამყარი დასკვნების თავიდან ასაცილებლად?

თქვენი კვლევის ჩანაწერები

გამოიყენეთ ეს ადგილი, რათა ჩაწეროთ შენიშვნები თქვენი საკუთარი კვლევის შესახებ, როცა ამ წიგნის აქტივობებზე მუშაობთ.

ჩემი კვლევის კითხვა/კითხვები:

საინტერესო კომენტარები, დაკვირვებები, მტკიცებულების წყაროები

მოსაზრებები ან ტენდენციები, რომლებიც რამდენჯერმე გამოვლინდა

შესაძლო ახსნა რისი შესწავლაც უფრო მეტად მსურს

კითხვები, რომელიც ჩემი მონაცემების შესახებ დამრჩა

9 რა არის თქვენი შემდეგი ნაბიჯი?



ახლა თქვენ შეაგროვეთ და გააანალიზეთ მონაცემები საძიებო კვლევის კითხვებთან მიმართებით, შესანიშნავია! თქვენ ყურადღებით დააკვირდით თქვენს საკუთარ საკლასო გარემოს, მოუსმინეთ მოსწავლეებს და სცადეთ სიტუაციის უფრო სიღრმისეულად გაგება. ეს უკვე წარმოადგენს კვლევის პროცესის მნიშვნელოვან შედეგს. მაგრამ ზუსტად რა „აღმოაჩინეთ“?

პირველი და ყველაზე პრაქტიკული შემდეგი ნაბიჯია დაუბრუნდეთ თქვენს კვლევით კითხვებს და შეამოწმოთ, უპასუხეთ თუ არა თითოეულ მათგანს. თითოეული კითხვისთვის სცადეთ დაწეროთ მოკლე შემაჯამებელი პასუხი, მხოლოდ რამდენიმე წინადადება თითოეული კითხვის ქვეშ.

მაგალითად:

- თუ თქვენი კითხვა იყო: „რას აკეთებენ მოსწავლეები, როცა ინსტრუქციებს ვაძლევ?“, შეგიძლიათ დაწეროთ: „ბევრი მოსწავლე დაწყებამდე ელოდება. რამდენიმეჯერ შეხედავს თანაკლასელებს, ზოგი კი განმარტებას ითხოვს. ეს მიუთითებს გაურკვევლობაზე და არა მოტივაციის ნაკლებობაზე.“

- თუ თქვენი კითხვა იყო: „რას ფიქრობენ მოსწავლეები ჯგუფურ მუშაობაზე?“, შეგიძლიათ დაწეროთ: „მოსწავლეების უმრავლესობა ამბობს, რომ სიამოვნებთ ჯგუფურად მუშაობა, თუმცა ზოგი თავს არაკომფორტულად

გრძნობს საუბრისას, რადგან შეცდომის დაშვების ეშინია.“

ამ მოკლე შეჯამებების დაწერა გეხმარებათ გადახვიდეთ პირველადი მონაცემებიდან მკაფიო მიგნებებზე.

ჰკითხეთ საკუთარ თავს, რომელი კითხვებია მკაფიოდ პასუხგაცემული მონაცემებით და რომელი მხოლოდ ნაწილობრივ. თუ ზოგიერთი კითხვა კვლავ ბუნდოვანია, შესაძლოა დაგჭირდეთ ხელახლა გადახედოთ მონაცემებს, გადააფასოთ მათი ანალიზის გზა ან შეაგროვოთ მცირე დამატებითი ინფორმაცია. ეს საძიებო კვლევის ბუნებრივი ნაწილია და დაგეხმარებათ სიტუაციის უფრო სიღრმისეულად გაგებაში.

ასევე შეიძლება შენიშნოთ წინააღმდეგობები თქვენს მონაცემებში, მაგალითად, მოსწავლეები ამბობენ, რომ მოსწონთ ჯგუფური მუშაობა, მაგრამ მაინც ერიდებიან საუბარს. ასეთი მომენტები ხშირად განსაკუთრებით ღირებულია, რადგან მიუთითებს უფრო სიღრმისეულ საკითხებზე, რომლებიც შემდგომ კვლევას საჭიროებს. როდესაც თითოეულ კვლევით კითხვაზე მოკლე შემაჯამებელ პასუხებს დაწერთ, შემდეგი ნაბიჯია გააზრება, რას შეიძლება ნიშნავდეს ეს პასუხები. მონაცემთა ინტერპრეტაცია არ ნიშნავს „სწორი“ ახსნის პოვნას, არამედ გულისხმობს გააზრებულად იმის ახსნას, რასაც ხედავთ, მტკიცებულებებზე დაყრდნობით. ამ ეტაპზე თქვენ ფაქტობრივად სვამთ კითხვას: „რა იქნება შემდეგი ნაბიჯი?“

სხვა სიტყვებით: რატომ არის ეს მიგნებები მნიშვნელოვანი? რა გეხმარებათ უკეთ გაერკვეთ სიტუაციაში? რა მიანიშნებს იმაზე, თუ რეალურად რა ხდება თქვენს საკლასო გარემოში?

კითხვა „რა იქნება შემდეგი ნაბიჯი?“ გეხმარებათ გადახვიდეთ შედეგების ჩამოთვლიდან მათი მნიშვნელობის გააზრებაზე თქვენი სწავლებისა და მოსწავლეების სწავლისთვის.

შეჩერდით და დაფიქრდით

დაუთმეთ ცოტა დრო ამ იდეებზე დაფიქრებას:

- რატომ არის მნიშვნელოვანი თავდაპირველ კვლევით კითხვებთან დაბრუნება, სანამ მიგნებებს განსაზღვრავთ?
- როგორ შეიძლება მიგნებების უფრო ფრთხილად ინტერპრეტაციამ უფრო ეფექტურ სასწავლო ცვლილებებამდე მიგიყვანოთ?

ამის გაკეთების ერთ-ერთი სასარგებლო გზაა კვლავ გადახედოთ თქვენს შეჯამებებს და დაუსვათ საკუთარ თავს მარტივი კითხვები, როგორიცაა:

- რა ტენდენციები იკვეთება სხვადასხვა მონაცემებში? ეძებეთ ის, რაც განმეორებით ჩნდება. მაგალითად, მსგავსი კომენტარები მოსწავლეებისგან სხვადასხვა ტიპის მონაცემებში, განმეორებადი ქცევები გაკვეთილებზე ან საკითხები,

რომლებიც ჩანს როგორც თქვენს ჩანაწერებში, ასევე მოსწავლეების რეფლექსიებში.

- რა ახდენს გავლენას მოსწავლის ქცევაზე ან პასუხებზე? მონაცემების გამოყენებით დაფიქრდით იმ შესაძლო მიზეზებზე, რაც თქვენს დაკვირვებებს უდევს საფუძვლად. მაგალითად, მოსწავლეები ყოყმანობენ იმიტომ, რომ ინსტრუქციები გაურკვეველია, დავალებები რთულია, თუ მათ თავდაჯერება აკლიათ? რაზე მიანიშნებს მტკიცებულება?

- რომელი ახსნებია მონაცემებით მხარდაჭერილი და რომელი ვარაუდები კი არა? შეადარეთ თქვენი თავდაპირველი იდეები იმას, რასაც მონაცემები აჩვენებს. შესაძლოა აღმოაჩინოთ, რომ ზოგიერთი ვარაუდი დასტურდება, ხოლო ზოგი საჭიროებს გადახედვას.

მაგალითად, იმის შემჩნევა, რომ მოსწავლეები დავალების დაწყებამდე ყოყმანობენ, თანაკლასელებს უყურებენ და განმარტებას ითხოვენ, მხოლოდ ქცევის აღწერით არ შემოიფარგლება. ამ დაკვირვებების ერთობლიობამ შეიძლება მიანიშნოს ინსტრუქციების გაურკვევლობაზე და არა ძალისხმევის ან მოტივაციის ნაკლებობაზე. ეს არის ინტერპრეტაცია, გააზრებული ახსნა, რომელიც თქვენს მონაცემებზეა დაფუძნებული.

შემდეგ, ერთგვარად „უკან დაიხიეთ“ და ჰკითხეთ საკუთარ თავს, რა ისწავლეთ მთლიანობაში? გახდა თუ არა სიტუაცია უფრო ნათელი? იყო რამე მოულოდნელი? მაგალითად, შესაძლოა გეგონათ, რომ მოსწავლეები არ იყვნენ ჩართულები, მაგრამ მონაცემებმა აჩვენა, რომ მათ რეალურად სურთ მონაწილეობა და ამას ხელს უშლის დაბალი თავდაჯერება ან გაურკვეველი ინსტრუქციები. ასეთი მოულოდნელი მიგნებების აღმოჩენა საძიებო კვლევის ერთ-ერთი მთავარი სარგებელია.

ასევე სასარგებლოა დაფიქრება, შეიცვალა თუ არა რამე უკვე მას შემდეგ, რაც კვლევა დაიწყეთ. ზოგ შემთხვევაში, თავად კვლევის პროცესიც იწვევს გაუმჯობესებას. მაგალითად, მასწავლებლები ხშირად ამჩნევენ, რომ როცა მოსწავლეებს აზრს ეკითხებიან, რეფლექსიური წერის ან არაფორმალური საუბრების საშუალებით, მოსწავლეები უფრო აქტიურდებიან, რადგან გრძნობენ, რომ მათ უსმენენ. შესაძლოა შეამჩნიოთ, რომ მოსწავლეები უფრო ხშირად სვამენ კითხვებს, უფრო აქტიურად მონაწილეობენ, ან უკეთ აცნობიერებენ გაკვეთილის მიზნებს. ასეთი ცვლილებები მნიშვნელოვანია, მაშინაც კი, თუ ისინი თქვენი თავდაპირველი გეგმის ნაწილი არ იყო. თქვენ შეიძლება საკუთარ თავზეც ბევრი რამ ისწავლეთ, როგორც მასწავლებელმა. შესაძლოა გააცნობიერეთ, რომ ერთდროულად ძალიან ბევრ ინსტრუქციას აძლევთ ან რომ მოსწავლეებს რეალურად უფრო უჭირთ თქვენს მიერ გაცემული ინსტრუქციების გაგება, ვიდრე თქვენ გგონიათ. ასევე შეიძლება იგრძნოთ, რომ

უფრო თავდაჯერებული გახდით საკუთარი სწავლების დაკვირვებაში ან უფრო მეტი მიმღებლობა გაგიჩნდათ მოსწავლეების პერსპექტივების მიმართ. თქვენი აზროვნების, რწმენებისა და დამოკიდებულებების ცვლილებებიც მნიშვნელოვანი მიგნებებია, მაშინაც კი, თუ ისინი კვლევით კითხვებში პირდაპირ არ იყო ასახული.

ამ ეტაპზე შეგიძლიათ გადაწყვიტოთ, გაუზიაროთ თქვენი მიგნებები კოლეგებს. ეს სულაც არ არის საჭირო იყოს ფორმალური. მაგალითად, შეგიძლიათ:

- მოკლედ აღწეროთ, რა აღმოაჩინეთ პედაგოგთა შეხვედრაზე,
- განიხილოთ თქვენი მიგნებები იმ კოლეგასთან, ვინც თქვენს გაკვეთილს აკვირდებოდა, ან
- დაწეროთ მოკლე შეჯამება პროფესიული განვითარების ჯგუფისთვის.

ასევე შეგიძლიათ დაელოდოთ სამოქმედო კვლევის ეტაპის დასრულებას და შემდეგ უფრო ფართოდ გააზიაროთ. ნებისმიერ შემთხვევაში, ქვემოთ, მე-16-ე თავში მოცემული რეკომენდაციები, თქვენთვის სასარგებლო იქნება.

შემდეგ ეტაპზე გადასვლამდე მნიშვნელოვანია დაფიქრება, ნამდვილად არის თუ არა საჭირო დამატებითი მოქმედება. ზოგ შემთხვევაში, ის საკითხი, რომლითაც დაიწყეთ, შესაძლოა უკვე გაუმჯობესდა რეფლექსიისა და იმ მცირე ცვლილებების შედეგად, რაც გზადაგზა განახორციელეთ. მაგალითად, ინსტრუქციების უფრო მკაფიოდ მოდელირებამ ან გაგების უფრო ხშირმა შემოწმებამ შეიძლება უკვე შეამცირა გაურკვევლობა.

სხვა შემთხვევაში შეიძლება იგრძნოთ, რომ საჭიროა სიტუაციის უფრო სიღრმისეული კვლევა. შესაძლოა გაჩნდა ახალი კითხვები ან მიხვდით, რომ ჯერ კიდევ არ გაქვთ შესწავლილი გარკვეული ასპექტები, მაგალითად განსხვავებები ჯგუფებსა თუ დავალებებს შორის. ასეთ შემთხვევაში შეგიძლიათ დაბრუნდეთ პროცესის ადრეულ ეტაპებზე (მე-2თავი და მე-3 თავი) და დაგეგმოთ კვლევის კიდევ ერთი ციკლი.

ამ ეტაპზე მნიშვნელოვანია შეჩერდეთ და გააცნობიეროთ, რომ მონაცემების ფრთხილი ინტერპრეტაცია, ნასწავლის რეფლექსია და სიტუაციის ახალი თვალით შეხედვა აუცილებელია მოქმედებამდე. რეფლექსიის ეს ეტაპი გეხმარებათ თავიდან აიცილოთ ნაჩქარევი გადაწყვეტილებები. ჩვენი გამოცდილებით, საქართველოში მასწავლებელთა მენტორობის პროცესში, ეფექტური კვლევა მოითხოვს ბალანსს სიტუაციის შესწავლასა და მოქმედებას შორის. მასწავლებლებს ხშირად სურთ თავიანთი საკლასო პრაქტიკის გაუმჯობესება და შეიძლება ცდუნება ჰქონდეთ დაუყოვნებლივ გადავიდნენ მოქმედებაზე. როგორც ერთმა მენტორმა აღნიშნა: „მასწავლებლებს ხშირად უნდოდათ დაუყოვნებლივ დაეწყოთ მოქმედება, ჯერ კიდევ მანამდე,

სანამ პრობლემას შევისწავლიდით და ზუსტად გავიგებდით, რისი განხორციელება იყო საჭირო.“ მიუხედავად იმისა, რომ ასეთი სურვილი მაღალი მოტივაციისა და პროფესსიისადმი თავდადების ნიშანია, ნაჩქარევმა მოქმედებამ შეიძლება შეამციროს კვლევის ეფექტიანობა. როდესაც პრობლემა საკმარისად სიღრმისეულად არ არის შესწავლილი, მოქმედებები შეიძლება იყოს ფრაგმენტული ან გადაჭარბებული, ხოლო განხორციელებული ცვლილებები, ვერ პასუხობდეს რეალურ პრობლემას. სიტუაციის სრულად გაგებისთვის დროის დათმობა აძლიერებს ნებისმიერი შემდგომი ქმედების ხარისხსა და ეფექტიანობას.

თუმცა, ბევრი მასწავლებელი, მას შემდეგ რაც ყურადღებით განიხილავს თავის მონაცემებს და გააანალიზებს მთელ პროცესს, გრძნობს, რომ მზად არის იმოქმედოს იმაზე დაყრდნობით, რაც შეისწავლა. თუ ეს თქვენს შემთხვევაშიც ასეა, შემდეგი ნაწილი დაგეხმარებათ სამოქმედო კვლევის ეტაპის გავლაში. ის გაჩვენებთ, როგორ დაგეგმოთ და გამოსცადოთ ცვლილებები თქვენს მიგნებებზე დაყრდნობით, და როგორ დააკვირდეთ და გააანალიზოთ მათი გავლენა.

წაიკითხეთ ქვემოთ წარმოდგენილი საძიებო-სამოქმედო კვლევის პროექტი, რომელიც ქართველმა მასწავლებლებმა განახორციელეს. კითხვისას ყურადღება მიაქციეთ, როგორ გადადიან მასწავლებლები სხვადასხვა ტიპის მონაცემების შეგროვებიდან თავიანთ კვლევით კითხვებზე მოკლე და მკაფიო პასუხების გაცემაზე. ასევე დააკვირდით, როგორ იწყებენ ისინი მონაცემების ინტერპრეტაციას, ანუ რას შეიძლება ნიშნავდეს ეს მონაცემები გარდა იმისა, რაც მოხდა მათ გაკვეთილებზე და რაც აღწერეს.

მაგალითი 8: ჯგუფურ მუშაობაში მონაწილეობის გააზრება

ეს კვლევა ჩაატარა ოთხი სხვადასხვა საგნის მასწავლებელმა, რომლებიც მუშაობდნენ I კლასის (მათემატიკა), V კლასის (ისტორია), VII კლასის (ბიოლოგია) და IX კლასის (ქიმია) მოსწავლეებთან. კვლევა მიზნად ისახავდა მოსწავლეთა მოტივაციისა და მონაწილეობის გაგებას ჯგუფური მუშაობის დროს. ისინი შეთანხმდნენ, რომ შეისწავლიდნენ, რა სტრატეგიებს იყენებდნენ მასწავლებლები მოსწავლეთა მოტივაციის გასაზრდელად ჯგუფურ მუშაობაში, როგორ იქცეოდნენ მოსწავლეები ჯგუფებში მუშაობისას და როგორ აღიქვამდნენ ისინი ჯგუფურ აქტივობებს.

ამ საკითხების შესასწავლად მასწავლებლებმა მონაცემები შეაგროვეს სხვადასხვა წყაროდან, მათ შორის: გაკვეთილებზე დაკვირვებიდან, მოსწავლეთა კითხვარებიდან, ფოკუს-ჯგუფის დისკუსიებიდან და რეფლექსიური დღიურებიდან.

ანალიზის პროცესში მასწავლებლები ეძებდნენ ტენდენციებს ყველა მონაცემში. ჩანაწერებისა და ტრანსკრიპტების გადახედვისას მათ შენიშნეს რამდენიმე განმეორებადი იდეა:

- მოსწავლეები უფრო ჩართულები იყვნენ, როცა დავალებებს ახლდა მკაფიო ინსტრუქციები და მაგალითები;
- ჯგუფური მუშაობა უფრო წარმატებული იყო, როცა მოსწავლეებს ჰქონდათ კონკრეტული როლები;
- მოსწავლეებს მოსწონდათ ერთად მუშაობა, თუმცა მონაწილეობა ხშირად არათანაბარი იყო;
- შედარებით სუსტი ან უფრო ჩუმი მოსწავლეები ხშირად ეყრდნობოდნენ ძლიერ თანაკლასელებს.

ამავე დროს, მასწავლებლებმა მონაცემებში წინააღმდეგობაც შენიშნეს. ბევრი მოსწავლე ამბობდა, რომ მოსწონდა ჯგუფური მუშაობა და იგი მოტივაციას აძლევდა, თუმცა დაკვირვებები აჩვენებდა, რომ ყველა მოსწავლე აქტიურად არ მონაწილეობდა.

ამის გასააზრებლად მასწავლებლებმა თითოეული კვლევითი კითხვის ქვეშ დაწერეს მოკლე შემაჯამებელი პასუხები. ამ პასუხებმა აჩვენა, რომ ისეთი მიდგომები, როგორიცაა ნაბიჯ-ნაბიჯ ინსტრუქციები, პრაქტიკული აქტივობები, ვიზუალური რესურსები, გემიფიკაცია (თამაშის ელემენტებისა და მექანიკის გამოყენება) და დავალებების დაკავშირება რეალურ ცხოვრებასთან, ყველაზე ეფექტური იყო ჩართულობის გასაზრდელად. მათ ასევე დაასკვნეს, რომ მოსწავლეები ზოგადად უფრო ჩართულები არიან ჯგუფურ მუშაობაში, ვიდრე ინდივიდუალურ დავალებებში, თუმცა მონაწილეობა არათანაბარია. ზოგი მოსწავლე ლიდერის როლს იღებს, ხოლო სხვები ჩუმად რჩებიან ან სხვებზე არიან დამოკიდებულნი. ამასთან, მოსწავლეთა უმეტესობა აღნიშნავს, რომ სიამოვნებს ჯგუფური მუშაობა და ის მოტივაციას აძლევს. თუმცა ზოგი თავს არაკომფორტულად გრძნობს საუბრისას, განსაკუთრებით მაშინ, როცა საკუთარ პასუხებში დარწმუნებული არ არის.

ამ ეტაპზე მასწავლებლები აღწერიდან გადავიდნენ ინტერპრეტაციაზე და დაიწყეს იმის გააზრება, რას ნიშნავდა ეს მიგნებები. მათ საკუთარ თავს ჰკითხეს, რატომ ამბობენ მოსწავლეები, რომ მოსწონთ ჯგუფური მუშაობა, მაგრამ მაინც ერიდებიან საუბარს, და რა შეიძლება ხსნიდეს არათანაბარ მონაწილეობას.

მონაცემებზე ხელახლა დაკვირვებისას მათ გააცნობიერეს, რომ სიამოვნება თავისთავად არ უზრუნველყოფს აქტიურ ჩართულობას. მტკიცებულებები მიუთითებდა, რომ მოსწავლეთა ქცევაზე გავლენას ახდენდა სტრუქტურის ნაკლებობა, გაურკვეველი მოლოდინები და შეცდომის დაშვების შიში.

მონაცემების ერთობლიობამ მიანიშნა მნიშვნელოვან დასკვნაზე: მოსწავლეებს მოტივაცია კი არ აკლდათ, მათ სჭირდებოდათ უფრო მკაფიო მიმართულებები, განსაზღვრული როლები და დარწმუნება იმაში, რომ შეცდომების დაშვება მისაღებია.

ამ პრობლემების გადასაჭრელად მასწავლებლებმა შეიმუშავეს თანამშრომლობითი სწავლის დაკვირვების პროტოკოლი (Collaborative Learning Observation Protocol – CLOP). ეს მოიცავდა ჯგუფების ორგანიზებისთვის მკაფიო მითითებებს, გასაგები ინსტრუქციების მიცემას, დავალებების მრავალფეროვნებას, განსაზღვრული როლების მინიჭებას, დროულ უკუკავშირს და ჯგუფური მუშაობის შეფასებას რუბრიკებისა და თანატოლთა შეფასების საშუალებით.

შედეგებმა აჩვენა, რომ მოსწავლეები უფრო აქტიურად ჩაერთნენ, განსაკუთრებით მაშინ, როცა გაკვეთილები დაკავშირებული იყო რეალურ კონტექსტებთან და როცა ჯგუფში როლების მინიჭება ხელს უწყობდა უფრო წყნარი მოსწავლეების მონაწილეობას. მასწავლებლებმა შენიშნეს უფრო მაღალი დონის თანამშრომლობა, ენთუზიაზმი და უფრო სიღრმისეული გაგება-გააზრება სხვადასხვა საგანში.[8]

მეცხრე კლასელი მოსწავლეები მუშაობენ ჯგუფებში კვლევის განმავლობაში.

წაიკითხეთ ქვემოთ წარმოდგენილი საძიებო-სამოქმედო კვლევის პროექტის მოკლე შეჯამება, რომელიც ქართველმა მასწავლებლებმა განახორციელეს. კითხვისას დააკვირდით, როგორ ახდენენ მასწავლებლები მიგნებების ინტერპრეტაციას და როგორ აღიარებენ როგორც მიღწეულ გაუმჯობესებას, ასევე დარჩენილ გამოწვევებს. განსაკუთრებული ყურადღება მიაქციეთ, როგორ მიდიან იმ დასკვნამდე, რომ საჭიროა შემდგომი კვლევა და არა დაუყოვნებლივ დამატებითი მოქმედების დაწყება.

[8] აღნიშნული კვლევა ჩატარებულია მარინე ფიფიას, ნესტან ვეკუას, მანანა სონგულიას და ინგა რატიას მიერ, ციალა ჭანტურიას მენტორობით.

მაგალითი 9: მოსწავლეთა კითხვის სირთულეების მიზეზების შესწავლა

ეს საძიებო-სამოქმედო კვლევა ჩაატარა სხვადასხვა საგნის და კლასის შვიდმა მასწავლებელმა, მათ შორის ინგლისური ენა, ქართული ენა და ლიტერატურა, მათემატიკა და გეოგრაფია. მასწავლებლებს სურდათ უკეთ გაეგოთ, რატომ უჭირდა ბევრ მოსწავლეს ტექსტის გააზრება, რა სახის მხარდაჭერა იყო ეფექტური უკვე და როგორ აღიქვამდნენ თავად მოსწავლეები კითხვის დავალებებს.

ამ საკითხების შესასწავლად მასწავლებლებმა მონაცემები შეაგროვეს კითხვარების, გაკვეთილებზე დაკვირვებისა და რეფლექსიური დღიურების საშუალებით. მონაცემებმა აჩვენა, რომ მოსწავლეებს ხშირად უჭირდათ საკვანძო სიტყვების გაგება, მნიშვნელოვანი ინფორმაციის ამოცნობა და კითხვის ისეთი სტრატეგიების გამოყენება, როგორიცაა წინარე ცოდნის გააქტიურება, ტექსტის მცირე ნაწილებად დაყოფა ან ხელახლა გადაკითხვა მაშინ, როცა მნიშვნელობა გაურკვეველი იყო. ბევრ მოსწავლეს ასევე უჭირდა დასკვნების გამოტანა, ხოლო შეზღუდული ლექსიკური მარაგი სხვადასხვა საგანში კიდევ უფრო ართულებდა გაგებას.

ამ მიგნებებზე დაყრდნობით მასწავლებლებმა დანერგეს კითხვის სტრუქტურირებული სქემა, რომელიც მოიცავდა აქტივობებს კითხვის წინ, კითხვის დროსა და შემდეგ. მათ შორის იყო სათაურებისა და ვიზუალური მასალის წინასწარი განხილვა, შინაარსის წინასწარი პროგნოზირება და მარტივი რეფლექსიური დავალებები, როგორიცაა 3-2-1 აქტივობა. ამ მიდგომის შეფასებისას მათ შენიშნეს გარკვეული დადებითი ცვლილებები: მოსწავლეები უფრო ჩართულები იყვნენ, განსაკუთრებით კითხვის დავალებების დასაწყისში, და უფრო მეტად იყვნენ მზად მონაწილეობისთვის. თუმცა, წაკითხვის გააზრების მნიშვნელოვანი გაუმჯობესება მაინც ვერ მოხდა.

მიგნებების ინტერპრეტაციისას მასწავლებლებმა გააცნობიერეს, რომ მიუხედავად იმისა, რომ ახალი სტრუქტურა მოსწავლეებს უფრო თავდაჯერებულს ხდიდა, იგი სრულად ვერ აგვარებდა უფრო ღრმა პრობლემებს, როგორიცაა კითხვის სტრატეგიების ნაკლებობა და შეზღუდული ლექსიკური მარაგი. იმის ნაცვლად, რომ სწრაფად გადასულიყვნენ დამატებით ცვლილებებზე, მათ დაასკვნეს, რომ საჭირო იყო ამ საკითხების უფრო სიღრმისეული შესწავლა. მათ გააცნობიერეს, რომ კითხვის სტრატეგიების პირდაპირი სწავლების გაძლიერება, ლექსიკის განვითარების და თანატოლთა მხარდაჭერის წახალისება საჭიროებდა კვლევის კიდევ ერთ ციკლს, სანამ უფრო მიზნობრივ ქმედებებს დაგეგმავდნენ.[9]

[9] ეს კვლევა ჩაატარეს ანი სეხნიაშვილმა, თეონა თავშავაძემ, ნუნუ ჯამბაზიშვილმა, ქეთევან მაისურაძემ, ლია მაჭარაშვილმა, ნანი თოთლაძემ და ასმათ მინდიაშვილმა,ეკატერინე მეგრელიშვილის მენტორობით.

დავალებები

კვლევის შეჯამება კიდევ ერთხელ წაიკითხეთ.

ქვემოთ მოცემული თითოეული მტკიცებისთვის განსაზღვრეთ, არის თუ არა იგი:

ა = მიგნება (რას აჩვენებს მონაცემები)

ბ = ინტერპრეტაცია (რას ფიქრობენ მასწავლებლები, რას ნიშნავს ეს მიგნებები)

გ = გადაწყვეტილება, თუ რა უნდა გაკეთდეს შემდეგ

მიუწერეთ ა, ბ ან გ თითოეულ დებულებას.

1. მოსწავლეებს უჭირდათ საკვანძო სიტყვების გაგება და ტექსტებში მნიშვნელოვანი ინფორმაციის ამოცნობა.

2. მოსწავლეები უფრო ჩართულები იყვნენ კითხვის წინარე აქტივობების დროს, როგორიცაა პროგნოზირება და ვიზუალური მასალის განხილვა.

3. შეზღუდული ლექსიკა და კითხვის სტრატეგიების ნაკლებობა გავლენას ახდენდა საერთო გააზრებაზე.

4. კითხვის სტრუქტურირებულმა სქემამ გაზარდა თავდაჯერებულობა, მაგრამ გააზრების გაუმჯობესება არასაკმარისი იყო.

5. მასწავლებლებმა გადაწყვიტეს, რომ დამატებითი ძიების ციკლი იყო საჭირო სანამ ქმედებაზე გადავიდოდნენ.

დავალება 2:

დახედეთ ქვემოთ მოცემულ ცხრილს და შეავსეთ ის კვლევის მოკლე შინაარსის საფუძველზე.

ნაბიჯები კვლევის პროცესში	რა გააკეთეს მასწავლებლებმა
პასუხგაცემული კვლევითი კითხვები	
დარჩენილი პრობლემების იდენტიფიცირება	
მიგნებების ინტერპრეტაცია	
გადაწყვეტილების მიღება შემდეგი ნაბიჯების შესახებ	

კითხვები დისკუსიისთვის

1. როგორ აიცილეს თავიდან მასწავლებლებმა უშუალოდ მიგნებებიდან პირდაპირ მოქმედებაზე გადასვლა ამ მაგალითში? რატომ არის ეს მნიშვნელოვანი საძიებო კვლევის დროს?

2. მონაცემებში რა ნიშნები მიუთითებდა, რომ საჭირო იყო შემდგომი კვლევა, ვიდრე დაუყოვნებელი ცვლილება?

3. გქონიათ შემთხვევა, როცა ცვლილება შეიტანეთ თქვენი სწავლების პროცესში პრობლემის სრულად გაგებამდე? რა მოხდა?

4. საკუთარ კვლევით კითხვებზე დაყრდნობით, როგორ გადაწყვეტთ, მზად ხართ მოქმედებისთვის თუ საჭიროა კვლევის კიდევ ერთი ციკლი?

5. პროცესის რომელ ნაწილში გიჭირთ ყველაზე მეტად: მონაცემების ანალიზში, მიგნებების ინტერპრეტაციაში თუ გადაწყვეტილების მიღებაში, რა ნაბიჯების გადადგმაა საჭირო? რატომ?

თქვენი კვლევის ჩანაწერები

გამოიყენეთ ეს ადგილი, რათა ჩაწეროთ შენიშვნები თქვენი საკუთარი კვლევის შესახებ, როცა ამ წიგნის აქტივობებზე მუშაობთ.

დაწერე მოკლე პასუხები შენს პასუხგაცემულ თითოეულ კითხვაზე, რომელიც ეფუძნება შენს მიერ შეგროვებულ მონაცემებს.

კითხვა 1

_____

_____

_____

კითხვა 2

_____

_____

_____

კითხვა 3

_____

_____

_____

რა ტენდენციები გამოიკვეთა ჩემს მონაცემებში?

_____

_____

რას შეიძლება ნიშნავდეს ეს მიგნებები?

_____

_____

იწვევს თუ არა რაიმე ჩემს გაკვირვებას?

_____

_____

ნაწილი 3: სამოქმედო კვლევა – ცვლილების შესაფასებლად

10 როგორია არსებული სიტუაცია?



თუ თქვენ უკვე ჩაატარეთ საძიებო კვლევითი სამუშაო ისეთი სასწავლო სიტუაციის შესახებ, რომელიც პრობლემურად ან დამაბნევლად გეჩვენებოდათ, მაშინ გაცილებით მკაფიო წარმოდგენა უნდა გქონდეთ იმაზე, თუ რეალურად რა ხდება თქვენს კლასში, იმ კითხვებზე მიღებული პასუხების საფუძველზე, რომლებიც თქვენს კვლევას წარმართავდა. ეს პასუხები ახლა შეიძლება გახდეს საწყისი წერტილი თქვენი სამოქმედო კვლევის (Action Research) შემდეგი ეტაპისთვის.

სამოქმედო კვლევის საწყის წერტილს ეწოდება „საბაზისო/ საწყისი დონე“ (baseline).
 საბაზისო დონე არის არსებული მდგომარეობის მკაფიო სურათი, მანამდე, სანამ რაიმე ცვლილების დანერგვას შეეცდებით. შეგიძლიათ ეს აღიქვათ როგორც „ცვლილებამდე გადაღებული ფოტო“, რათა შემდეგ შეადაროთ „ცვლილების შემდეგ“ მიღებულ შედეგს და ნათლად დაინახოთ, რა შეიცვალა. მაგალითად, მე-9-ე თავში მასწავლებლები ჯგუფურ მუშაობას იკვლევდნენ, რადგან არ იყვნენ დარწმუნებულნი, რატომ იყო მონაწილეობა არათანაბარი. მონაცემების შეგროვებისა და ანალიზის შემდეგ მათ მკაფიოდ დაინახეს, რომ ჯგუფური

დავალებების შესრულებისას ძირითადად მხოლოდ რამდენიმე თავდაჯერებული მოსწავლე საუბრობდა. ეს იყო მათი საბაზისო დონე და ამის საფუძველზე მათ შეძლეს ჯგუფებში უფრო მკაფიო ინსტრუქციებისა და როლების შემოღება და შემოწმება, ჩაერთო თუ არა მეტი მოსწავლე.

ანალოგიურად, თქვენი კვლევის მიგნებები (იხილეთ თავი 8) მოგცემთ როგორც საბაზისო მონაცემებს, ასევე დაგეხმარებათ გადაწყვიტოთ, რის გაუმჯობესება გსურთ და რატომ, რასაც უფრო დეტალურად განვიხილავთ შემდეგ თავში (თავი 11).

ამრიგად, სამოქმედო კვლევა განსხვავდება ყოველდღიურ სწავლებაში უბრალოდ „რაღაც ახლის მოსინჯვისგან“. თქვენ უბრალოდ არ ნერგავთ ნებისმიერ ცვლილებას, ცვლილება ეფუძნება შეგროვებულ მონაცემებს და თქვენ შეაფასებთ მის გავლენას დამატებითი მონაცემების საშუალებით, რათა შეადაროთ ის საბაზისო დონეს. შესაბამისად, საბაზისო მონაცემებთან მიმართებაში დაგჭირდებათ დაგეგმოთ:

1. რა ცვლილებას განხორციელებას აპირებთ;

2. როგორ შეაფასებთ ამ ცვლილების (ცვლილებების) ეფექტს.

შეჩერდით და დაფიქრდით

გაიხსენეთ სიტუაციები, როდესაც სცადეთ რაიმეს გაუმჯობესება თქვენს სწავლებაში.

- გქონდათ თუ არა მკაფიო წარმოდგენა იმაზე, რა ხდებოდა ცვლილებამდე?
- როგორ მიხვდით, იმუშავა თუ არა ცვლილებამ?
- რა ტიპის მტკიცებულებებს ეყრდნობოდით (მაგალითად, საკუთარ შთაბეჭდილებებს, მოსწავლეთა რეაქციებს, დაკვირვების ჩანაწერებს თუ მოსწავლეთა ნამუშევრებს)?

რაც ამ პროცესს თქვენს მიერ პრაქტიკის გაუმჯობესების მიზნით განხორციელებული ცვლილებების ნაცვლად აქცევს სამოქმედო კვლევად (Action Research) არის ის, რომ თქვენ ადარებთ ცვლილებამდე არსებულ (საბაზისო) მდგომარეობას იმას, რაც ხდება ცვლილების დროს და მის შემდეგ. თქვენ გაქვთ მკაფიო სურათი და შესაძლებლობა, არა მხოლოდ თქვენს ვარაუდებს დაეყრდნოთ, არამედ მტკიცებულებებს. შესაბამისად, იმ ცვლილებების ეფექტის შეფასება, რომელთა განხორციელებაც გსურთ, კვლავ მონაცემების შეგროვებას მოიცავს. რასაც უფრო დეტალურად განვიხილავთ მე-12 თავში.
თუ ამ წიგნს ამ ეტაპიდან იწყებთ და არ გაგივლიათ საძიებო კვლევის (Exploratory Research) ეტაპი, მაინც დაგჭირდებათ საბაზისო დონის განსაზღვრა. მაგალითად, შეგიძლიათ:

- დაწეროთ მოკლე რეფლექსიური ჩანაწერი იმაზე, რასაც აკვირდებით;
- სთხოვოთ მოსწავლეებს, ანონიმურად დაწერონ მოკლე კომენტარები პრობლემასთან დაკავშირებით;
- გამოიყენოთ ერთი გაკვეთილის განმავლობაში მარტივად დასაკვირვებელი საკითხების სია (checklist).

ეს საბაზისო დონე დაგეხმარებათ შესაბამისი ცვლილების დაგეგმვაში და შემდეგ იმის შეფასებაში, მოახდინა თუ არა ცვლილებამ გავლენა.

თუნდაც უკვე სრულად გქონდეთ ჩატარებული საძიებო კვლევითი (Exploratory Research) ეტაპი, როგორც ეს წიგნშია რეკომენდებული, და ფიქრობდეთ, რომ კარგად გესმით არსებული მდგომარეობა, მაინც შეიძლება სასარგებლო იყოს სამოქმედო კვლევის დაწყება დამატებითი „საბაზისო მონაცემების“ შეგროვებით. ეს დამატებითი მონაცემების შეგროვება არ უნდა იყოს რთული ან შრომატევადი. მთავარი მიზანია უბრალოდ შექმნათ საკმარისად მკაფიო „ცვლილებამდე არსებული სურათი“, რათა შემდეგ მარტივად შეადაროთ მას „ცვლილების შემდეგ სურათი“ (იხილეთ მე-14 თავი). ამის ერთ-ერთი პრაქტიკული გზა არის საბაზისო მონაცემებზე მცირე რაოდენობრივი კომპონენტის დამატება. მაგალითად, თუ თქვენი კვლევითი მონაცემების უმეტესობა თვისებრივია (მოსწავლეთა კომენტარები, რეფლექსიები, ინტერვიუს ჩანაწერები ან დაკვირვების ჩანაწერები), შეგიძლიათ გამოარჩიოთ რამდენიმე ძირითადი იდეა, რომლებიც ხშირად მეორდება, და გადააქციოთ ისინი მოკლე კითხვარად.

ეს დაგეხმარებათ დაინახოთ, რამდენად არის გავრცელებული გარკვეული მოსაზრებები ან გამოცდილებები მთელ კლასში და არა მხოლოდ რამდენიმე ინდივიდუალურ კომენტარში. ასევე, ეს საშუალებას გაძლევთ იგივე კითხვარი მოგვიანებითაც გამოიყენოთ (თქვენი ჩარევის/ ინტერვენციის შემდეგ) და შეამოწმოთ, შეიცვალა თუ არა მოსწავლეთა მოსაზრებები ან გამოცდილებები. (თვისებრივი შედეგების კითხვარის ელემენტებად გარდაქმნის შესახებ დამატებითი ინფორმაცია იხილეთ მე-8 თავის ბოლოს.)

მაგალითად, წარმოიდგინეთ, რომ თქვენი საძიებო კვლევა აჩვენებს, რომ მოსწავლეები ხშირად ყოყმანობენ დავალებების დაწყებისას, რადგან ინსტრუქციები არ არის მკაფიო. ამ შემთხვევაში შეგიძლიათ შექმნათ საბაზისო მონაცემების შესაგროვებლად კითხვარის მარტივი ნიმუში, მაგალითად:

„მასწავლებელის ინსტრუქციების შემდეგ, ჩვეულებრივ, თავს თავდაჯერებულად ვგრძნობ, რადგან ვიცი, რაც უნდა გავაკეთო” (სრულიად ვეთანხმები / ვეთანხმები / მეტ-ნაკლებად ვეთანხმები / არ ვეთანხმები / სრულიად არ ვეთანხმები)

ან, თუ აღმოაჩინეთ, რომ მოსწავლეებს მოსწონთ ჯგუფური მუშაობა, მაგრამ მონაწილეობა არათანაბარია, შეგიძლიათ

დაამატოთ ასეთი პუნქტი:

„ჯგუფურ მუშაობაში ყველას მკაფიო როლი აქვს და იღებს მონაწილეობას.“
(ყოველთვის / ხშირად / ზოგჯერ / იშვიათად / არასდროს)

ასევე, შეგიძლიათ დაამატოთ დამატებითი ღია შეკითხვა ბოლოს, მაგალითად:

„რა გეხმარებათ იმაში, რომ დავალების დაწყებისას თავი თავდაჯერებულად იგრძნოთ?“

ასეთი ტიპის საბაზისო მონაცემები გაძლევთ მკაფიო სურათს, რომელსაც მოგვიანებით არსებულ სიტუაციასთან შეადარებთ. თუ თქვენი ჩარევის შემდეგ უფრო მეტი მოსწავლე აირჩევს პასუხებს „ვეთანხმები“ ან „ხშირად/ყოველთვის“, გექნებათ მტკიცებულება, რომ თქვენი ცვლილება შესაძლოა ეხმარება პროცესს. ხოლო ღია შეკითხვაზე მიღებული პასუხები მოგცემთ დამატებით, უფრო თვისებრივ მტკიცებულებებს.

მოკლედ, სამოქმედო კვლევისთვის, როგორც წესი, საჭიროა საბაზისო მონაცემების თუნდაც მცირე რაოდენობა, რადგან ეს გეხმარებათ გააკეთოთ ობიექტური შედარება „ცვლილებამდე“ და „ცვლილების შემდეგ“ მდგომარეობებს შორის, ნაცვლად იმისა, რომ მხოლოდ სუბიექტურ შთაბეჭდილებებს დაეყრდნოთ იმის შესახებ თუ, რა შეიცვალა.

ქვემოთ მოცემულია ორი მოკლე მაგალითი საძიებო-სამოქმედო კვლევითი პროექტებისა, რომლებიც ქართველმა მასწავლებლებმა განახორციელეს. კითხვისას დააკვირდით, როგორ გადადის თითოეული პროექტი ფოკუსის სფეროდან და კვლევითი კითხვებიდან შედეგებამდე (მკაფიო „ცვლილებამდე სურათი“). შემდეგ კვლევის ეს შედეგები ეხმარება მასწავლებლებს დაგეგმონ, რა ცვლილება სცადონ სამოქმედო კვლევის ფარგლებში და როგორ შეაფასონ, მოახდენს თუ არა ის განსხვავებას. კითხვისას შეეცადეთ ამოიცნოთ თითოეულ მაგალითში სამი ელემენტი: კვლევითი კითხვები, ძირითადი შედეგები და შესაძლო ქმედებები, რომლებიც მასწავლებლებმა შემდგომ განიხილეს.

მაგალითი 10: რატომ უჭირთ მოსწავლეებს საშინაო დავალებების შესრულება

მოცემული საძიებო-სამოქმედო კვლევა ჩაატარა სხვადასხვა საგნის ხუთმა მასწავლებელმა: ქართული ენა და ლიტერატურა (მე-9 კლასი), ქიმია (მე-11 კლასი), მათემატიკა (მე-10 კლასი), ისტორია (მე-10 კლასი) და ბიოლოგია (მე-9 კლასი). მასწავლებლები წუხდნენ, რომ შესრულებული საშინაო დავალებების არათანაბარი ხარისხი ჰქონდა და სურდათ უკეთ გაეგოთ მოსწავლეთა გამოცდილება, სანამ ცვლილებების შეტანას გადაწყვეტდნენ.

მათი საძიებო კითხვები მოიცავდა:

- რას ფიქრობენ ჩემი მოსწავლეები საშინაო დავალებებზე?
- რა ტიპის საშინაო დავალებებს აძლევს მასწავლებელი?
- როგორ ასრულებენ მოსწავლეები საშინაო დავალებებს?

ამ კითხვების შესასწავლად მასწავლებლებმა მონაცემები შეაგროვეს მოსწავლეთა კითხვარის, გაკვეთილების შემდეგ მასწავლებლების მიერ დაწერილი რეფლექსიური ჩანაწერებისა და მოსწავლეთა საშინაო დავალებების დოკუმენტური ანალიზის საშუალებით, რომელიც შეფასების რუბრიკის გამოყენებით განხორციელდა.

საძიებო კვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ მოსწავლეთა უმეტესობა საშინაო დავალებას სასწავლოდ სასარგებლოდ მიიჩნევდა, მაშინ როდესაც დავალებები იყო მკაფიო, მიზანმიმართული და შესაბამისი სირთულის. მოსწავლეები აღნიშნავდნენ, რომ უფრო მოტივირებულები იყვნენ, როცა დავალებები არჩევანის გარკვეულ თავისუფლებას აძლევდა, შეესაბამებოდა მათ ინტერესებს და შეეფერებოდა მათ შესაძლებლობებს. ასევე, დავალებების წარმატებით შესრულებაზე მნიშვნელოვანი გავლენა ჰქონდა მკაფიო ინსტრუქციებსა და დროულ უკუკავშირს.

თუმცა, მონაცემებმა ასევე აჩვენა, რომ ზოგჯერ მოსწავლეები თავს იმედგაცრუებულად გრძნობდნენ, როცა საშინაო დავალებები იყო გაუგებარი, ხშირად განმეორებადი ან არ შეიცავდა შესრულებისთვის საჭირო განმარტებას. მასწავლებელთა რეფლექსიებმაც აჩვენა, რომ როდესაც ინსტრუქციები მოკლე იყო ან უკუკავშირი იგვიანებდა, მოსწავლეები უფრო ხშირად აბარებდნენ დაუმთავრებელ ან დაბალი ხარისხის ნამუშევრებს.

ამ შედეგებზე დაყრდნობით, მასწავლებლებმა განიხილეს სამოქმედო კვლევის შემდეგ ეტაპზე შესაძლო ცვლილებები. მაგალითად, მათ იმსჯელეს,რომ საჭირო იყო, უფრო მკაფიო, ეტაპობრივი ინსტრუქციების შემოღება, დიფერენცირებული დავალებები ან ფორმატის არჩევანის შეთავაზება და საშინაო დავალებებზე უფრო სტრუქტურირებული უკუკავშირის მიწოდება.[10]

[10] აღნიშნული კლევა ჩატარდა ნანა ქათამაძის, შორენა სარჯველაძის, გიული დავითაძის, მაია ფუტკარაძის და ირმა ხინიკაძის მიერ, მენტორ თინათინ გაბუნიას ხელმძღვანელობით

მაგალითი 11: მოსწავლეთა ჩართულობის შესწავლა საკლასო აქტივობების დროს

ქვემოთ მოცემული საძიებო-სამოქმედო კვლევა ჩაატარა სხვადასხვა საგნის ხუთმა მასწავლებელმა: ბიოლოგია (მე-7 კლასი), გეოგრაფია (მე-9 კლასი), ინფორმაციული ტექნოლოგიები (მე-4 კლასი), სპორტი (მე-3 კლასი) და ხელოვნება (მე-10 კლასი). მასწავლებლებს აინტერესებდათ, რატომ იყო ზოგიერთი მოსწავლე გაკვეთილების დროს მეტად ჩართული, მაშინ როცა სხვები ნაკლებად აქტიურად მონაწილეობდნენ.

მათი საძიებო კითხვები მოიცავდა:

- რა ტიპის აქტივობებს თვლიან მოსწავლეები ყველაზე მეტად გაკვეთილების დროს ჩართულობის მამოტივირებლად?
- როგორ მონაწილეობენ მოსწავლეები საკლასო აქტივობებში?
- რას აკეთებენ მასწავლებლები, როცა მოსწავლეები აქტიურად არ ერთვებიან?

ამ კითხვების შესასწავლად, მასწავლებლებმა მონაცემები შეაგროვეს მოსწავლეთა კითხვარების, გაკვეთილზე დაკვირვების ფორმებისა და მოსწავლეებთან ფოკუს-ჯგუფის დისკუსიების საშუალებით.

საძიებო კვლევის მიგნებებმა აჩვენა, რომ მოსწავლეები უფრო აქტიურად ერთვებოდნენ მაშინ, როცა გაკვეთილები მოიცავდა ინტერაქტიულ და თანამშრომლობაზე დაფუძნებულ აქტივობებს. ჯგუფური პროექტები, პრაქტიკული დავალებები და შემოქმედებითი სამუშაოები მოსწავლეების მიერ ხშირად სახელდებოდა, როგორც განსაკუთრებით საინტერესო. მოსწავლეებმა ასევე ხაზი გაუსვეს აქტივობების დროს მკაფიო ინსტრუქციებისა და მასწავლებლის ხელმძღვანელობის მნიშვნელობას.

ამავდროულად, მონაცემებმა აჩვენა, რომ მონაწილეობაზე რამდენიმე ფაქტორი მოქმედებდა. ზოგიერთი მოსწავლე ყოყმანობდა ჩართვაზე დაბალი თვითდაჯერებულობის ან შეცდომის დაშვების შიშით. სხვები ნაკლებად ერთვებოდნენ, როცა დავალებები ერთფეროვანი ჩანდა ან როცა მოლოდინები მკაფიოდ არ იყო განმარტებული. დაკვირვებებმა და მოსწავლეებთან დისკუსიებმა გამოკვეთა, რომ მხარდამჭერი საკლასო გარემო და შესაძლებლობა, საჯაროდ გაზიარებამდე წინასწარ მოემზადებინათ საკუთარი იდეები, ხელს უწყობდა უფრო ფართო ჩართულობას.

ეს შედეგები დაეხმარა მასწავლებლებს სამოქმედო კვლევის შემდეგ ეტაპზე შესაძლო ნაბიჯების დაგეგმვაში. მათ განიხილეს თანატოლთა სტრუქტურირებული უკუკავშირის, რეფლექსიის ან თვითშეფასების ინსტრუმენტების დანერგვა, რათა მოსწავლეებს უკეთ გაეაზრებინათ საკუთარი მონაწილეობა. ასევე იმსჯელეს მოესინჯათ ჯგუფური მუშაობისა და დისკუსიების დროს უფრო მკაფიო მონაწილეობითი წესების დანერგვა.[11]



მასწავლებელ-მკვლევრები, რომლებიც მოსწავლეთა ჩართულობის შესახებ საკუთარ კვლევაზე მუშაობენ, მენტორთან ერთად.

[11] მოცემული კვლევა ჩაატარეს მედეა როგავამ, ნანა ჯაბურიამ, ხათუნა ჯალაღონიამ, კესო წურწუმიამ და ლია კუჩულორიამ მათივე კოლეგისა და მენტორის, ნინო კალანდიას ხელმძღვანელობით.

დავალებები

უპასუხეთ კითხვებს მე-10- და მე-11 მაგალითების შესახებ.

1. მე-10 მაგალითში, რა იყო ერთ-ერთი მთავარი მიგნება იმასთან დაკავშირებით, თუ რა ახდენს გავლენას მოსწავლეთა საშინაო დავალების შესრულების ძალისხმევასა და ხარისხზე?
   აირჩიეთ ერთი პასუხი:

   ა. მოსწავლეებს სირთულეები აქვთ მხოლოდ იმიტომ, რომ ისინი ზარმაცები არიან
   ბ. მოსწავლეებს ურჩევნიათ გრძელი და დამახსოვრებაზე ორიენტირებული დავალებები
   გ. მოსწავლეები უფრო მოტივირებულნი არიან, როცა დავალება არის მკაფიო, მიზანმიმართული და მათ საჭიროებებს შეესაბამება
   დ. საშინაო დავალების ხარისხი მხოლოდ საგანზეა დამოკიდებული

2. მე-11 მაგალითში, რა გამოავლინა საძიებო კვლევის მიგნებებმა კითხვის დავალებებთან დაკავშირებით მოსწავლეების სირთულეების შესახებ?
   აირჩიეთ ერთი პასუხი:

   ა. მოსწავლეებს ურჩევნიათ ტექსტების დაზეპირება, ვიდრე მათი გაგება
   ბ. მოსწავლეებს უჭირთ რთული ტექსტებისა და უცნობი ლექსიკის ინტერპრეტაცია
   გ. მოსწავლეები უარს ამბობენ ერთ გვერდზე გრძელი ტექსტების კითხვაზე
   დ. მოსწავლეებს კითხვა არც ერთ საგანში არ აინტერესებთ

კითხვები დისკუსიისთვის

- თითოეულ მაგალითში, რა ტიპის მონაცემები დაეხმარა მასწავლებლებს „საწყისი სურათის“ (მაგ., კითხვარები, რეფლექსიები, დაკვირვებები) შექმნაში? თქვენი აზრით, რატომ იყო ეს მნიშვნელოვანი?

- რატომ არის სარისკო პირდაპირ ქმედებაზე გადასვლა მკაფიო საწყისი/საბაზისო მონაცემების გარეშე? რა შეიძლება წარიმართოს არასწორად?

- თქვენს კონტექსტში, რა იქნებოდა ყველაზე მარტივი გზა საწყისი მონაცემების სწრაფად შეგროვებისთვის (დამატებითი დატვირთვის შექმნის გარეშე)?

თქვენი კვლევის ჩანაწერები

გამოიყენეთ ეს სივრცე, რათა ჩაიწეროთ შენიშვნები თქვენი კვლევის შესახებ, ამ წიგნში მოცემულ აქტივობებზე მუშაობის პროცესში.

დაწერეთ ორი ან სამი მთავარი მიგნება, რომელიც გამოვლინდა თქვენი მონაცემებიდან.
ეს მიგნებები უნდა აღწერდეს იმას, რაც აღმოაჩინეთ თქვენს საკლასო გარემოსთან დაკავშირებით.
მაგალითი: „ბევრი მოსწავლე ყოყმანობს დავალების დაწყებამდე, რადგან ინსტრუქციებში დარწმუნებული არ არის.“

_____

_____

_____

_____

_____

თქვენი მიგნებების საფუძველზე, განსაზღვრეთ ერთი კონკრეტული ასპექტი, რომლის შეცვლა ან გაუმჯობესება გსურთ.
მაგალითი:
„ჯგუფურ დისკუსიებში მონაწილე მოსწავლეთა რაოდენობის გაზრდა.“

_____

_____

_____

_____

_____

11 რა არის თქვენი ახალი მოქმედება?



როდესაც უკვე გაქვთ არსებული მდგომარეობის მკაფიო სურათი, მონაცემებზე დაფუძნებული გაგება იმისა, თუ რეალურად რა ხდება თქვენს საკლასო ოთახში და ზოგადად იცით, რისი გაუმჯობესება გსურთ, შემდეგი ნაბიჯია გადაწყვიტოთ, რა ტიპის ცვლილების განხორციელებას აპირებთ. სწორედ ამ ეტაპზე, საჭიროა შეჩერდეთ და საკუთარ თავს ჰკითხოთ: რას ეფუძნება იდეები ცვლილების შესახებ? როგორ გადავწყვიტო, რა ვცადო?

სამოქმედო კვლევაში ცვლილების იდეები, როგორც წესი, ერთ წყაროს არ ეფუძნება. პირიქით, მასწავლებლები ხშირად ერთდროულად რამდენიმე წყაროს ეყრდნობიან და ისე აერთიანებენ, რომ მათი საკუთარი კონტექსტისთვის იყოს შესაფერისი.

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წყარო თქვენი მოსწავლეები არიან. საძიებო კვლევის ეტაპზე მოსწავლეებმა შესაძლოა უკვე გაგიზიარეს მნიშვნელოვანი საკითხები კითხვარების, რეფლექსიური წერილების, ინტერვიუების, ფოკუს-ჯგუფების ან არაფორმალური საუბრების მეშვეობით. ზოგჯერ მოსწავლეებს შეუძლიათ ძალიან მკაფიოდ აღწერონ, რა ეხმარებათ სწავლაში, რა ართულებს პროცესს,

ან რას თვლიან დამაბნევლად ან რა აკარგვინებთ მოტივაციას. მაგალითად, მოსწავლეებმა შეიძლება თქვან, რომ დავალებები ძალიან გრძელია, ინსტრუქციები გაუგებარია, ან მათ უჭირთ სხვების წინაშე საუბარი და განიცდიან შფოთვას. ასეთი კომენტარები შეიძლება გახდეს ცვლილების ძალიან პრაქტიკული საწყისი წერტილი, რადგან ისინი პირდაპირ არის დაკავშირებული თქვენს ყოველდღიურ საკლასო რეალობასთან.

კიდევ ერთი წყარო შესაძლოა თქვენი კოლეგები იყვნენ. კოლეგამ შეიძლება უკვე გამოსცადა სტრატეგია, რომელმაც მსგავსი ტიპის მოსწავლეებთან კარგად იმუშავა, ან შემოგთავაზათ მცირე ცვლილება, რომელზეც თქვენ მანამდე არ გიფიქრიათ. იდეები შეიძლება გაჩნდეს მასწავლებელთა შეხვედრებზე, პროფესიული განვითარების საზოგადოებებში, სამუშაო შეხვედრებზე, კონფერენციებზე ან სამასწავლებლოში არაფორმალური საუბრებისას. გარდა ამისა, ბევრი მასწავლებელი შთაგონებას საგანმანათლებლო ბლოგებში პოულობს, მოკლე სატრენინგო ვიდეოებში, მასწავლებელთა ონლაინ ჯგუფებში ან გამოქვეყნებულ სასწავლო რესურსებში. მონაცემთა ამ წყაროების გაცნობა განსაკუთრებით სასარგებლოა მაშინ, როცა კონკრეტული პრობლემის გადაჭრაზე მუშაობთ და გსურთ ნახოთ, როგორ გაუმკლავდნენ მსგავს საკითხებს სხვები.

მესამე და ძალიან მნიშვნელოვანი იდეების წყაროა თქვენი პირადი გამოცდილება და შემოქმედობითობა. როგორც მასწავლებელს, უკვე დაგიგროვდათ მნიშვნელოვანი გამოცდილება. თქვენ კარგად იცნობთ თქვენს მოსწავლეებს, სკოლის კონტექსტს და იმას, თუ თქვენს გაკვეთილებზე რა შეიძლება მუშაობდეს, ან არ მუშაობდეს. ძალიან ხშირად ეფექტური ცვლილებები სრულიად „ახალი“ იდეები კი არ არის, არამედ მცირე, გააზრებული კორექტირებებია, რომლებიც დაკვირვებისა და რეფლექსიის შედეგად ყალიბდება. სამოქმედო კვლევა მოუწოდებს მასწავლებლებს, ენდონ ამ პროფესიულ ცოდნას და გამოიყენონ იგი, როგორც ინოვაციის ლეგიტიმური წყარო.

თუმცა, მნიშვნელოვანია გახსოვდეთ, რომ ყველა იდეა ავტომატურად შესაფერისი არ არის მხოლოდ იმიტომ, რომ საინტერესოდ ჟღერს ან კარგი მონაცემების წყაროა. სასარგებლო იდეებიც საჭიროებს ფრთხილად გააზრებას და ხშირად, ადაპტირებასაც.

ამის გასაგებად შეგიძლიათ ამ თანმიმდევრობით გააკეთოთ ანალიზი:

1. პირველ რიგში, განიხილეთ იდეა თქვენი საკლასო გარემოსა და საწყისი კვლევით მიღებული ინფორმაციის პრიზმაში. ეხება თუ არა ეს იდეა იმას, რაც თქვენ გამოავლინეთ საძიებო ეტაპზე? პასუხობს თუ არა ის იმ რეალურ პრობლემას, რომლის გაგებასა და გაუმჯობესებასაც ცდილობთ?

2. შემდეგ გადაწყვიტეთ, არის თუ არა ეს იდეა რეალისტური და შესაბამისი თქვენი მოსწავლეებისთვის, სწავლების

მიზნებისთვის და სკოლის კონტექსტისთვის.
იმუშავებს ეს ჩემს მოსწავლეებთან? შეესაბამება ჩემს სასწავლო მიზნებს, სასწავლო გეგმას, ჩემს ხელთ არსებულ დროსა და სკოლის გარემოს?

მაგალითად, მოსწავლეებმა შეიძლება შემოგთავაზონ: „გვინდა ვუყუროთ YouTube-ის ვიდეოებს და ვისწავლოთ საკუთარი ტემპით.“ ეს შეიძლება იყოს გულწრფელი და სასარგებლო წინადადება. ის შეიძლება დაეხმაროს მოტივაციას, მოსმენის უნარის განვითარებასა და დამოუკიდებელ სწავლებას. თუმცა, როგორც მასწავლებლები, საჭიროა უფრო მეტად დაფიქრდეთ: რა არის მთავარი პრობლემა, რომლის გაუმჯობესებასაც ცდილობთ? პასუხობს თუ არა ეს იდეა მას? დაეხმარება თუ არა ეს მოსწავლეთა სწავლების განვითარებას?

თუ თქვენი კვლევით დადგინდა, რომ მოსწავლეებს უჭირთ ზეპირი კომუნიკაცია ან მათ სჭირდებათ გამოცდებისთვის მომზადება, რომლებიც მოითხოვს საუბარს ან წერას, მაშინ მხოლოდ YouTube-ზე დაფუძნებული სწავლება შესაძლოა არ იყოს საკმარისი. ასეთ შემთხვევაში, შეგიძლიათ იდეა სრულად კი არ უარყოთ, არამედ მოარგოთ თქვენი კლასის საგანმანათლებლო საჭიროებას. მაგალითად, გამოიყენოთ მოკლე ვიდეოები, როგორც საწყისი მასალა, და შემდეგ დაუმატოთ ზეპირი დავალებები, წყვილებში განხილვა ან გამოცდის ფორმატთან ახლოს მდგომი სავარჯიშოები.
მთავარი აზრი ასეთია: სამოქმედო კვლევაში ცვლილების იდეები არ უნდა შეირჩეს შემთხვევით. სტრატეგია შეიძლება იყოს პოპულარული, კრეატიული ან მოდური, მაგრამ ეფექტური იქნება მხოლოდ მაშინ, თუ პირდაპირ პასუხობს იმ საკითხებს, რომლებიც თქვენ შეისწავლეთ და გაიაზრეთ თქვენს კონკრეტულ კონტექსტში.

შეჩერდით და დაფიქრდით

იფიქრეთ თქვენი საკუთარი საძიებო კვლევის შედეგებზე:

- რა არის მთავარი პრობლემა, რომლის გაუმჯობესებაც გსურთ?
- რა ტიპის ცვლილებები ან სტრატეგიები შეიძლება პასუხობდეს ამ პრობლემას

სხვაგვარად რომ ვთქვათ, სამოქმედო კვლევის მთავარი ღირებულება სიღრმისეული საძიებო კვლევის ეტაპია, რომლის შემდგომაც თქვენი ინტერვენცია ეფუძნება მტკიცებულებებს და არა უბრალოდ სხვაგან ნანახ ახალ იდეებს.

სანამ გადაწყვეტთ, რა ცვლილება უნდა სცადოთ, მნიშვნელოვანია ყურადღებით გააანალიზოთ, რა შეისწავლეთ საძიებო ეტაპზე. ქვემოთ მოცემული მაგალითი აჩვენებს, როგორ გამოიყენეს მასწავლებლებმა მოსწავლეთა კითხვის სირთულეებზე მიღებული მონაცემები კონკრეტული საკლასო სტრატეგიების დასაგეგმად. კითხვისას დააკვირდით, როგორ გამომდინარეობს თითოეული მოქმედება პირდაპირ საძიებო კვლევის იმ მიგნებებიდან , რომლებიც მასწავლებლებმა თავიანთ მონაცემებში ნახეს.

მაგალითი 12: კითხვის გააზრების მხარდასაჭერად სტრუქტურირებული ("სკაფოლდინგის") მიდგომის დანერგვა

ეს საძიებო-სამოქმედო კვლევა ჩაატარა, სხვადასხვა საგნის ექვსმა მასწავლებელმა, მათ შორის ინგლისურ ენის (მე-6, მე-7 და მე-8 კლასები), ქართულ ენისა და ლიტერატურისა (მე-6 და მე-8 კლასები) და მათემატიკის (მე-9 კლასი) საგნები. საძიებო ეტაპზე მასწავლებლებმა შენიშნეს, რომ ბევრ მოსწავლეს უჭირდა რთული ტექსტების გაგება, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც კითხულობდნენ საგნობრივ მასალას.

პრობლემის უფრო სიღრმისეულად შესასწავლად, მასწავლებლებმა მონაცემები შეაგროვეს რეფლექსიური ჟურნალების, მოსწავლეთა კითხვარებისა და კოლეგებთან ინტერვიუების საშუალებით. მიღებულმა შედეგებმა გამოავლინა რამდენიმე განმეორებადი ტენდენცია. მიუხედავად იმისა, რომ ბევრი მოსწავლე საკუთარ კითხვის უნარს დამაკმაყოფილებლად აფასებდა, მათ ხშირად უჭირდათ უცნობი სიტყვების გააზრება ან რთული განმარტებების მიყოლა. მასწავლებლებმაც შეამჩნიეს, რომ მოსწავლეები უფრო წარმატებით ერთვებოდნენ ტექსტის გააზრებაში მაშინ, როცა კითხვის პროცესი მკაფიოდ იყო სტრუქტურირებული და მხარდაჭერილი.

ეს აღმოჩენები მასწავლებლებს დაეხმარა გამოეყოთ რამდენიმე კონკრეტული მიმართულება, რომელშიც სწავლების მიდგომის ცვლილება შეიძლება უფრო ეფექტურად დახმარებოდა მოსწავლეებს, ვიდრე სრულიად ახალი მეთოდის დანერგვა. ამდენად, მათ გადაწყვიტეს შეექმნათ სტრუქტურირებული კითხვის რუტინა, რომელიც პირდაპირ უპასუხებდა მათ მიერ გამოვლენილ სირთულეებს.

მაგალითად, მონაცემებმა აჩვენა, რომ მოსწავლეები ხშირად არ იყვნენ დარწმუნებული, როგორ დაეწყოთ ახალი ტექსტის კითხვა. ამის საპასუხოდ, მასწავლებლებმა შემოიღეს კითხვამდე აქტივობების გამოყენება, რათა გაეაქტიურებინათ მოსწავლეთა წინარე ცოდნა და გამოეკვეთათ საკვანძო სიტყვები კითხვის დაწყებამდე.

მონაცემებმა ასევე აჩვენა, რომ მოსწავლეები ზოგჯერ კითხვის პროცესში კარგავდნენ მთავარი იდეის ხაზს. ამ პრობლემის გადასაჭრელად, მასწავლებლებმა დაამატეს მოკლე დავალებები კითხვის დროს. მაგალითად, სთხოვდნენ მოსწავლეებს გამოეყოთ მნიშვნელოვანი წინადადებები და შეეჯამებინათ მთავარი აზრი.

საბოლოოდ, მოსწავლეებმა აღნიშნეს, რომ განხილვა და კრეატიული პასუხები მათ ეხმარებოდა ტექსტის უფრო სიღრმისეულად გაგებაში. ამ დაკვირვებაზე დაყრდნობით, მასწავლებლებმა შემოიღეს ინტერაქტიული აქტივობები, როგორიცაა ილუსტრაციების შექმნა, კომიქსების დახატვა ან მთავარი იდეის საკუთარი სიტყვებით გადმოცემა.

ერთობლივად, ეს ნაბიჯები ქმნიდა სტრუქტურირებული კითხვის სტრატეგიას, რომელიც ეტაპობრივად ეხმარებოდა მოსწავლეებს კითხვის პროცესში, მომზადებიდან რეფლექსიამდე.[12]

ეს მაგალითი აჩვენებს, როგორ შეუძლიათ მასწავლებლებს საძიებო ეტაპზე მიღებული ცოდნის გარდაქმნა კონკრეტულ საკლასო მოქმედებებად. სრულიად ახალი მეთოდის დანერგვის ნაცვლად, მასწავლებლებმა შეიმუშავეს სტრუქტურირებული კითხვის რუტინა, რომელიც პირდაპირ პასუხობდა იმ სირთულეებს, რომლებიც მათ მონაცემებში გამოეკვეთათ. სამოქმედო კვლევაში ბევრი ინტერვენცია სწორედ ამ ფორმას იღებს: მცირე, მიზანმიმართული ცვლილებები, რომლებიც ეყრდნობა მასწავლებელთა არსებულ პრაქტიკას და მიზნად ისახავს მკაფიოდ იდენტიფიცირებული პრობლემის გადაჭრას.

ქვემოთ მოცემული მე-13 მაგალითი აჩვენებს, როგორ გამოიკვლია მასწავლებელთა ჯგუფმა საშინაო დავალებასთან დაკავშირებული საერთო პრობლემა და შემდეგ ერთობლივად შეიმუშავა სამოქმედო გეგმა. კითხვისას დააკვირდით, როგორ გამომდინარეობს მათი სამოქმედო იდეები, არა წინასწარ მიღებული გადაწყვეტილებებიდან, არამედ პირდაპირ იმ გამოცდილებიდან, რაც მათ მოსწავლეებისგან შეიტყვეს. აქ მთავარი აქცენტი არ არის „იდეალური“ ინტერვენციის პოვნაზე, არამედ საშინაო დავალების პრაქტიკაში მცირე, გააზრებული ცვლილებების შეტანასა და იმაზე დაკვირვებაზე, რა შედეგს მოიტანს ეს ცვლილებები.

[12] ეს კვლევა განხორციელდა მარინა ბოკუჩვას, ნანა გაბუნიას, ირმა კუჭუხიძის, ელენე გიორგაძის, ია ძირკვაძის და ნინო ბიბილეიშვილის მიერ, კოლეგა მენტორის, ნინო სტურუას ხელმძღვანელობით.

მაგალითი 13: საშინაო დავალებაში ჩართულობის გაუმჯობესება

ეს საძიებო-სამოქმედო კვლევა ჩაატარა სხვადასხვა საგნის ხუთმა მასწავლებელმა, ქართული ენა და ლიტერატურა (8 კლასი), რუსული ენა (8 კლასი), ინგლისური ენა (7 კლასი), ქიმია (9 კლასი) და ბიოლოგია (7 კლასი). მიუხედავად იმისა, რომ ისინი სხვადასხვა საკლასო გარემოში მუშაობდნენ, მათ საერთო პრობლემა ჰქონდათ: მოსწავლეები ხშირად არარეგულარულად და გაუაზრებლად ასრულებდნენ დავალებებს.

მასწავლებლებმა შენიშნეს, რომ ზოგი მოსწავლე სიამოვნებით ასრულებდა კრეატიულ დავალებებს, მაშინ როცა სხვა ტიპის დავალებებს, განსაკუთრებით ესეებსა და ღია კითხვებზე დაფუძნებულ აქტივობებს, ხშირად თავს არიდებდნენ. ამან უბიძგა მათ დაფიქრებულიყვნენ: პრობლემა მხოლოდ მოსწავლეთა მოტივაციაშია, თუ საშინაო დავალების დიზაინი და მასწავლებლის მხარდაჭერაც თამაშობს მნიშვნელოვან როლს? სწრაფი გადაწყვეტილებების მიღების ნაცვლად, მათ გადაწყვიტეს საკითხი უფრო სიღრმისეულად შეესწავლათ და დასვეს შემდეგი საკვლევი კითხვები:

- რა ტიპის საშინაო დავალებებს ანიჭებენ მოსწავლეები უპირატესობას?
- რა არის მოსწავლეებისთვის მთავარი სირთულე საშინაო დავალების შესრულებისას?
- როგორ შემიძლია დავეხმარო მოსწავლეებს მოტივაციისა და ჩართულობის გაზრდაში?

როგორ გამოიკვლიეს საკითხი

სიტუაციის სხვადასხვა პერსპექტივიდან გასაანალიზებლად, მასწავლებლებმა გამოიყენეს რამდენიმე ინსტრუმენტის კომბინაცია: კითხვარები მოსწავლეთა შეხედულებების შესაგროვებლად, გაკვეთილებზე დაკვირვება წარმოდგენილ დავალებებსა და შემდგომ უკუკავშირზე რეფლექსიისათვის, და ფოკუს-ჯგუფები მოსწავლეების გამოცდილებების სიღრმისეული ახსნისათვის.

რა აღმოაჩინეს

მოსწავლეებმა ძალიან მკაფიოდ გამოხატეს რას ანიჭებდნენ უპირატესობას. მათ მოსწონდათ კრეატიული და მრავალფეროვანი დავალებები, როგორიცაა პრეზენტაციები, პროექტები და სტრუქტურირებული ტესტები. ესეები და ღია დავალებები გაცილებით ნაკლებად პოპულარული იყო, განსაკუთრებით მაშინ, როცა ინსტრუქციები არ იყო ნათელი.

ბევრმა მოსწავლემ აღნიშნა, რომ სხვადასხვა საგნიდან მიღებული საშინაო დავალებების რაოდენობა მათთვის დამღლელი იყო. სხვებს უჭირდათ, რადგან ბოლომდე ვერ იგებდნენ, რა მოეთხოვებოდათ. ხშირად გამეორებული მოსაზრება იყო ის, რომ დავალების მიცემის შემდეგ მოსწავლეები თავს „მარტოდ“ გრძნობდნენ, მიაჩნდათ, რომ შეზღუდული იყო მხარდაჭერისა და უკუკავშირის შესაძლებლობები. აღმოჩენებიდან მოქმედებამდე: რა შეიძლებოდა შეცვლილიყო?

მასწავლებლებმა გააცნობიერეს, რომ ჩართულობის გაუმჯობესება მხოლოდ ცალკეული დავალებების შეცვლით არ მოხდებოდა. საჭირო იყო უფრო სტრუქტურირებული და მხარდამჭერი მიდგომა. სწორედ ამ მიზნით, მათ შეიმუშავეს საშინაო დავალების გაუმჯობესების პროტოკოლი, რომელიც ეფუძნებოდა მათ მიერ შეგროვებულ მონაცემებს.

ქმედების გეგმა: საშინაო დავალების გაუმჯობესების პროტოკოლი

პროტოკოლი მიზნად ისახავდა ოთხი ძირითადი პრობლემის გადაჭრას:

1. საშინაო დავალების დატვირთვის შემცირება. მასწავლებლები შეთანხმდნენ, რომ მისცემდნენ მხოლოდ აუცილებელ დავალებებს, რომლებიც მკაფიოდ უკავშირდებოდა სასწავლო მიზნებს. მათ კოორდინაცია გააძლიერეს კოლეგებთან, რათა ერთდროულად ზედმეტად ბევრი დავალება არ მიეცათ და ყურადღება გაამახვილეს ნაკლებ, მაგრამ უფრო მნიშვნელოვან აქტივობებზე.

2. საშინაო დავალებისათვის უფრო საინტერესო ხასიათის მიცემა. რადგან მოსწავლეები უპირატესობას ანიჭებდნენ კრეატიულ დავალებებს, მასწავლებლებმა გაზარდეს პრეზენტაციების, პროექტებისა და სტრუქტურირებული ტესტების გამოყენება. შესაძლებლობის ფარგლებში, მოსწავლეებს მიეცათ არჩევანის უფლება. მაგალითად, შეეძლოთ აერჩიათ პრეზენტაცია თუ წერითი დავალება. ასევე დაინერგა რეალურ ცხოვრებასთან დაკავშირებული და თანამშრომლობითი აქტივობები.

3. ინსტრუქციების დაზუსტება და დავალებების სტრუქტურირება. ესეებისა და ღია დავალებების გასამარტივებლად, მასწავლებლებმა დავალებები დაყვეს მკაფიო ეტაპებად, განსაზღვრეს ვადები და შუალედური შემოწმების ეტაპები. მათ მიაწოდეს მაგალითები და შაბლონები; ინსტრუქციები გახადეს მოკლე და ადვილად გასაგები.

4. მხარდაჭერისა და უკუკავშირის გაძლიერება. მასწავლებლები წინასწარ ამოწმებდნენ, სწორად გაიგეს თუ არა მოსწავლეებმა დავალება, ქმნიდნენ კითხვების დასმის შესაძლებლობებს და უზრუნველყოფდნენ დროულ და სტრუქტურირებულ უკუკავშირს. ასევე დაინერგა თანატოლთა უკუკავშირის აქტივობები, რათა მოსწავლეებს ერთმანეთის დახმარება და საკუთარი ნამუშევრების გააზრება შეძლებოდათ.

პროტოკოლი განხორციელდა სამი კვირის განმავლობაში, ძირითადად წერითი დავალებების ფარგლებში. მასწავლებლებმა მისი გავლენა შეაფასეს რეფლექსიური ჟურნალებისა და მოსწავლეთა კითხვარის მეშვეობით, სადაც დასვეს კითხვა: როგორ მოქმედებს ეს პროტოკოლი მოსწავლეთა მოტივაციასა და საშინაო დავალების შესრულებაზე?

რა შეიცვალა?

მასწავლებლებმა დააფიქსირეს უფრო მაღალი ჩართულობა და ნამუშევრების გაუმჯობესებული ხარისხი. მოსწავლეებმა აღნიშნეს, რომ დავალებების შესრულებისას უფრო თავდაჯერებულები და დამოუკიდებლები გახდნენ, და ბევრმა თქვა, რომ მოტივაციაც გაეზარდა. რეფლექსიურმა ჩანაწერებმა აჩვენა, რომ მოსწავლეები უფრო მზად იყვნენ იდეების გაზიარებისთვის და საკუთარ სწავლაზე პასუხისმგებლობის ასაღებად.
ზოგიერთი გამოწვევა კვლავ დარჩა, რაც მიუთითებს, რომ საშინაო დავალებაში ჩართულობაზე მრავალი ფაქტორი მოქმედებს. თუმცა, ამ პროექტმა ნათლად აჩვენა, რომ მკაფიო ინსტრუქციები, მხარდამჭერი უკუკავშირი და მრავალფეროვანი დავალებები მნიშვნელოვნად ამარტივებს და აზრიანს ხდის საშინაო დავალებას მოსწავლეებისთვის.[13]

დავალებები

ნაწილი I

წაკითხულ ინფორმაციაზე დაყრდნობით უპასუხეთ ქვემოთ მოცემულ კითხვებს.

1. რატომ ითვლებიან მოსწავლეები ცვლილების იდეების შემუშავებისთვის მნიშვნელოვან წყაროდ?

   ა. მათ ჩვეულებრივ სწავლების ყველაზე კარგი მეთოდები იციან
   ბ. მათ შეუძლიათ ისეთი ხედვების გაზიარება, რომლებიც მჭიდროდ არის დაკავშირებული საკლასო რეალობასთან
   გ. ისინი კრეატიულ აქტივობებს ანიჭებენ უპირატესობას
   დ. ისინი პასუხისმგებლები არიან სასწავლო პრობლემების გადაჭრაზე

2. ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელი ასახავს საუკეთესოდ მასწავლებლის როლს ცვლილების იდეების შერჩევისას?

   ა. მოსწავლეთა წინადადებების უცვლელად მიღება
   ბ. ყველაზე პოპულარული ან საინტერესო იდეის არჩევა
   გ. იდეების ადაპტირება ისე, რომ ისინი პასუხობდეს კვლევის შედეგებსა და კონტექსტს
   დ. სხვების მიერ შემოთავაზებული იდეების თავიდან აცილება

[13] ეს კვლევა განხორციელდა გიული ჯაფარიძის, ჯილდა გობაძის, ირმა შარაბიძის, მაია სირაძის და თეა სანიკიძის მიერ, კოლეგა მენტორის, ნათია ქათამაძის ხელმძღვანელობით.

3. დაასრულეთ წინადადება სწორი ვარიანტის არჩევით.
   საძიებო-სამოქმედო კვლევაში ქმედების ცვლილების/ინტერვენციის გეგმის ღირებულება ის არის, რომ იგი

   _____

   ა. კრეატიულია და განსხვავდება წინა პრაქტიკისგან
   ბ. ეფუძნება საძიებო ეტაპზე შეგროვებულ მტკიცებულებებს
   გ. ადვილად გამოიყენება ნებისმიერ საკლასო გარემოში
   დ. რეკომენდებულია კოლეგების ან ექსპერტების მიერ

ნაწილი II

წაიკითხეთ ზემოთ აღწერილი საძიებო-სამოქმედო კვლევის პროექტის შედეგები და შეუსაბამეთ ისინი იმ მოქმედებებს, რომლებიც მათ პასუხობს.

მიგნებები	ქმედებები
1. მოსწავლეები თავს გადატვირთულად გრძნობდნენ საშინაო დავალებების რაოდენობის გამო.	ა. დავალებების ეტაპებად დაყოფა შუალედური შემოწმების მონაკვეთებით
2. მოსწავლეები უპირატესობას ანიჭებდნენ კრეატიულ და მრავალფეროვან დავალებებს.	ბ. დავალებების რაოდენობის შემცირება
3. მოსწავლეებს უჭირდათ ინსტრუქციების გაგება.	გ. პროექტებზე დაფუძნებული და კრეატიული დავალებების გაზრდა
4. მოსწავლეები გრძნობდნენ, რომ იღებდნენ შეზღუდულ მხარდაჭერასა და უკუკავშირს.	დ. მასწავლებლისა და თანატოლთა უკუკავშირის გაძლიერება

კითხვები დისკუსიისთვის

1. დაფიქრდით თქვენი საკუთარი საკლასო გარემოს კონტექსტზე. ჩვეულებრივ, რომელ წყაროებს ეყრდნობით, როდესაც გადაწყვეტთ, რა უნდა შეცვალოთ? (მოსწავლეები, კოლეგები, თქვენი გამოცდილება, ონლაინ რესურსები)?

2. თქვენი აზრით, რას ეყრდნობოდა საშინაო დავალების გაუმჯობესების პროტოკოლის იდეები და რა მაგალითი გაძლევთ ამის თქმის საფუძველს?

3. მასწავლებლებმა შექმნეს ერთი ქმედების გეგმა პროტოკოლის სახით, რომელიც შედგება რამდენიმე მცირე, ურთიერთდაკავშირებული მოქმედებისგან. რა შეიძლება იყოს ამის უპირატესობები და გამოწვევები?

თქვენი კვლევის ჩანაწერები

გამოიყენეთ ეს სივრცე, რათა ჩაიწეროთ შენიშვნები თქვენი კვლევის შესახებ, ამ წიგნში მოცემულ აქტივობებზე მუშაობის პროცესში.

მოკლედ გადახედეთ და წარმოადგინეთ ის საკლასო პრობლემა, რომელიც საძიებო კვლევის დროს გამოავლინეთ.

_____

_____

_____

აღწერეთ სტრატეგია, აქტივობა ან ცვლილება, რომელსაც განიხილავთ. მაგალითი: ჯგუფურ აქტივობებში მოსწავლეებს მიანიჭეთ კონკრეტული როლები, რათა ყველას ჰქონდეს ფუნქცია.

_____

_____

_____

ახსენით როგორ უკავშირდება თქვენი ცვლილების იდეა იმ შედეგებს, რომლებიც საძიებო კვლევის დროს გამოავლინეთ.

_____

_____

_____

_____

12 როგორ შეაფასებდით ცვლილებას?



მოდი დავფიქრდეთ და შევაჯამოთ. ახლა თქვენ გაქვთ დაგეგმილი ახალი ქმედება/აქტივობა, თქვენს საკლასო გარემოში, კონკრეტული სიტუაციის გასაუმჯობესებლად. ეს ქმედება/ აქტივობა შემთხვევითი არ არის, ის ეფუძნება იმას, რაც აღმოაჩინეთ საძიებო ეტაპზე. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ის ეყრდნობა იმას, რაც რეალურად ხდებოდა. ბუნებრივია, თქვენ ელით, რომ ახალი აქტივობა დადებით შედეგს მოიტანს, მაგრამ როგორ გაიგებთ, მართლაც მუშაობს თუ არა ის?

მასწავლებლები მუდმივად ცდიან ახალ იდეებს. ჩვენ ვცვლით აქტივობებს, ვნერგავთ ახალ ტექნიკებს, ვაკეთებთ ინსტრუქციების კორექტირებას ან ვიყენებთ განსხვავებულ მასალას. ამის შემდეგ ხშირად ვფიქრდებით და ვეკითხებით საკუთარ თავს: იმუშავა ამ ყველაფერმა? საკუთარი პრაქტიკის ამგვარი შეფასების პროცესი მნიშვნელოვანია და კარგ სწავლებაში შედის. თუმცა, სამოქმედო კვლევა გამზადებთ დამატებითი ნაბიჯის გადასადგმელად. საკუთარი შთაბეჭდილებების ან ინტუიციის ნაცვლად, თქვენ აგროვებთ მტკიცებულებებს, რათა უფრო ობიექტურად შეაფასოთ ცვლილება. ამიტომ კვლავ შეაგროვეთ მონაცემები, იმის მსგავსად,

როგორც შეაგროვეთ საწყისი მონაცემები, რათა შეადაროთ „წინა“ სურათი „შემდეგთან“.

ამ ეტაპზე თქვენი კვლევის კითხვა იცვლის ფოკუსს. სიტუაციის შესწავლის ნაცვლად, ახლა შეაფასებთ იმ ცვლილების ეფექტს, რომელიც შეიტანეთ. სხვა სიტყვებით, კითხვა გადადის სიტუაციის გაგებიდან იმაზე, რა ხდება ახალი ქმედების განხორციელებისას. თქვენი მთავარი კვლევის კითხვა ხდება:

“როგორ ცვლის X-ი სიტუაციას (თუ საერთოდ ცვლის)?”

ან

“რა იცვლება (თუ რაიმე იცვლება), როცა მე ვნერგავ X-ს?”

ამ კითხვებში „X“-ი აღნიშნავს იმ ქმედებას, რომლის განხორციელებაც გადაწყვიტეთ (იხილეთ მე-11 თავი), მაგალითად: ინსტრუქციების გამარტივება, საშინაო დავალების პროტოკოლის დანერგვა ან რეგულარული უკუკავშირის მიწოდება. კარგი შეფასების კითხვა მოიცავს ორ ელემენტს: სიტუაციას, რომელიც გამოვლინდა საძიებო კვლევის მიგნებებში, რას აჩვენებდა თქვენი მონაცემები საკლასო გარემოში და ქმედებას, რომელიც შეიტანეთ ამ აღმოჩენების საპასუხოდ. მიზანია შეაფასოთ, ცვლის თუ არა და როგორ ცვლის ეს ქმედება სიტუაციას. კითხვაზე სათანადოდ პასუხის გასაცემად, დაგჭირდებათ ცვლილების მტკიცებულება, რაც ჩვეულებრივ გულისხმობს საწყის მონაცემებთან დაბრუნებას და მონაცემების შეგროვებას, რაც საშუალებას მოგცემთ შეადაროთ „წინარე“ და „შემდგომი“ სიტუაცია.

საშინაო დავალების პროექტში, რომელუც მე-13 მაგალითშია აღწერილი, მასწავლებლებმა საძიებო ეტაპზე აღმოაჩინეს, რომ მოსწავლეები ხშირად არ იყვნენ ჩართულნი საშინაო დავალების რეგულარულ ან ზედმიწევნით შესრულებაში. ამ პრობლემის მოსაგვარებლად, მათ დანერგეს საშინაო დავალების გაუმჯობესების პროტოკოლი.

მათი შეფასების კითხვა, შესაბამისად, შეიძლება ასე იყოს ფორმულირებული:

როგორ ცვლის საშინაო დავალების გაუმჯობესების პროტოკოლი მოსწავლეთა ჩართულობას საშინაო დავალებაში?

ან

რა (თუ რაიმე) იცვლება მოსწავლეთა საშინაო დავალების შესრულებაში,, როცა დანერგილია საშინაო დავალების გაუმჯობესების პროტოკოლი?

საძიებო კვლევის მიგნებები მე-12 მაგალითში აჩვენებდა, რომ მიუხედავად იმისა, რომ მოსწავლეები თვლიდნენ, რომ მათი კითხვის უნარები დამაკმაყოფილებელია, ბევრს უჭირდა რთული ტექსტების გაგება, განსაკუთრებით მაშინ, როცა ლექსიკური მარაგი მწირი ჰქონდათ ან ტექსტებში რამდენიმე ახალი იდეა ფიგურირებდა. მასწავლებლებმაც შენიშნეს, რომ მოსწავლეები უფრო წარმატებით ერთვებოდნენ ტექსტის გააზრებაში, როცა კითხვის დავალებები მკაფიოდ სტრუქტურირებული და ეტაპობრივად მხარდაჭერილი იყო. ამის მოსაგვარებლად, მასწავლებლებმა დანერგეს

სტრუქტურირებული კითხვის პროცესი, რომელიც მოიცავდა კითხვამდე ლექსიკის გააქტიურებას, მიმართულების მიმცემ პირველ კითხვას და შემდგომ გააზრებაზე დაფუძნებულ დავალებებს.

ამდენად შეფასების კითხვა ამგვარი იქნებოდა:

- როგორ მოქმედებს სტრუქტურირებული კითხვის რუტინა მოსწავლეების უნარზე გაიაზრონ რთული ტექსტები?

  ან

- რა ცვლილებები (თუ რაიმე) ხდება მოსწავლეების კითხვის გაგებაში, როცა დანერგილია სტრუქტურირებული კითხვის რუტინა?

როდესაც ასეთ კითხვებს ჩამოაყალიბებთ, შემდეგი ნაბიჯია დაფიქრდეთ, როგორ შეაგროვებთ მტკიცებულებებს მათზე პასუხის გასაცემად. შეფასების ინსტრუმენტების დაგეგმვისას შეიძლება დაგეხმაროთ მე-6 თავში მოცემული მაგალითების გამოყენება. თუმცა ამჯერად, თქვენი ინსტრუმენტები უნდა ფოკუსირდნენ კონკრეტულად იმაზე, რა შეიცვალა, და არა მხოლოდ მიმდინარე სიტუაციის აღწერაზე.

ამის გაკეთების ორი ძირითადი გზა არსებობს:

1. კვლავ მიუბრუნდით საბაზისო მონაცემებს (შედარებისათვის)

ცვლილების გაზომვის ყველაზე მარტივი გზა არის შეაგროვოთ ნაწილი იმავე ტიპის მონაცემებისა, რომელიც ადრე შეაგროვეთ. ეს არ ნიშნავს ყველაფრის ზუსტად გამეორებას. ამის ნაცვლად:

- დაიტოვეთ ზოგი ძირითადი კითხვა ან კრიტერიუმი იგივე, რათა შეძლოთ შედეგების შედარება.

- დაამატეთ რამდენიმე ახალი საკითხი, რომელიც პირდაპირ ფოკუსირდება იმ ინტერვენციაზე/ცვლილებაზე, რომელიც დანერგეთ.

მაგალითად, თუ გაინტერესებდათ ჯგუფურ მოშაობაზე მოსწავლეების გამოცდილება, შეიძლება გამოიყენოთ საძიებო კითხვარი, რომელიც მოიცავს დებულებებს, რომლებსაც მოსწავლეები დაეთანხმებიან ან არ დაეთანხმებიან, მაგალითად: "ჯგუფურ სამუშაოებში მონაწილეობისას თავს თავდაჯერებულად ვგრძობ" ამის შემდეგ ეს კითხვა უნდა გაიმეოროთ ცვლილებების დანერგვის შემდეგ, როგორიცაა უფრო გასაგები ინსტრუქციები ან სტრუქტურირებული ჯგუფური დავალებები. ეს საშუალებას მოგცემთ შეადაროთ მოსწავლეების პასუხები ცვლილებებამდე და მათ შემდეგ.

ამავდროულად შეგიძლიათ დაამატოთ ახალი კითხვები, მაგალითად:

- "რა დაგეხმარათ, რომ დღეს უფრო აქტიურად მონაწილეობოდით ჯგუფურ მუშაობაში?"

- "რამ გაგიადვილათ ან გაგირთულათ ჯგუფურ აქტივობაში მონაწილეობის მიღება?"

გაიმეორებული კითხვები აჩვენებს, შეიცვალა თუ არა რამე, ხოლო ახალი კითხვები გეხმარებათ გაიგოთ, როგორ გამოადგათ მოსწავლეებს ახალი სტრატეგია.

მეცხრე კლასის მოსწავლეები ავსებენ კითხვარს დანერგილი ცვლილებების შესახებ.

შეჩერდით და დაფიქრდით

დაფიქრდით ცვლილებაზე ან ინტერვენციაზე, რომელსაც გეგმავთ საკუთარ სამოქმედო კვლევაში.

- რა ტიპის ინფორმაცია დაგეხმარებათ გაიგოთ, მოიტანა თუ არა შედეგი ცვლილებამ?
- რომელი კითხვები ან ინსტრუმენტები შეგიძლიათ გაიმეოროთ საძიებო კვლევის ეტაპიდან იმისათვის, რომ შეძლოთ სიტუაციის შედარება ინტერვენციამდე და მის შემდეგ?
- რა ახალი კითხვები შეგიძლიათ დაამატოთ, რათა გაიგოთ, როგორ აღიქვამენ მოსწავლეები ახალ სტრატეგიას?

მე-11 თავის მე-13 მაგალითში განხილული საშინაო დავალების პროტოკოლის შედეგის შესაფასებლად გამოიყენეს კითხვარი. ამ პროექტში, მასწავლებლებმა შექმნეს საშინაო დავალებების ახალი სტრუქტურა, რათა გაუმჯობესებულიყო მოსწავლეთა ჩართულობა და გაგება.

კითხვისას ყურადღება მიაქციეთ კითხვარის დიზაინის რამდენიმე მხარეს. პირველ რიგში, ზოგიერთი კითხვა საშუალებას აძლევს მასწავლებელს გაიგოს მოსწავლეების ზოგადი დამოკიდებულება და გამოცდილება საშინაო დავალებებთან დაკავშირებით. ეს კითხვები შესაძლებლობას მოგცემთ მონაცემები შეადაროთ საძიებო ეტაპზე შეგროვებულ ინფორმაციას. მეორეც, სხვა კითხვები სპეციალურად ახალი საშინაო დავალების სტრუქტურაზე ფოკუსირდება, ეკითხება მოსწავლეებს, როგორ აისახა მათი ინტერვენცია მოსწავლეების დამოკიდებულებაზე, ინტერესსა და გაგებაზე. ბოლოს კი შეამჩნევთ, რომ კითხვარი აერთიანებს დახურულ კითხვებს (სადაც მოსწავლეები არჩევენ ან აფასებენ პასუხებს) ღია კითხვებთან, რომლებიც საშუალებას აძლევს მოსწავლეებს უფრო დეტალურად ახსნან თავიანთი გამოცდილება.

ცვლილების დანერგვის შემდგომი კითხვარი

1. რა არის თქვენი ზოგადი დამოკიდებულება საშინაო დავალების მიმართ? (აირჩიეთ ერთი პასუხი)
   ☐ ძალიან მომწონს, საინტერესოა
   ☐ ზოგჯერ მომწონს, როცა საინტერესოა
   ☐ ხშირად არ მომწონს, რთულია და დამღლელი
   ☐ საერთოდ არ მომწონს

2. რას ფიქრობთ, როგორ შეცვალა დავალებების ახალმა სტრუქტურამ თქვენი დამოკიდებულება? (აირჩიეთ ერთი პასუხი)
   ☐ დავალებების შესრულება უფრო მომეწონა
   ☐ ცოტა უფრო საინტერესო აღმოჩნდა
   ☐ ცვლილება არ მომხდარა
   ☐ დავალებების შესრულება უფრო რთული გახდა

3. როგორ შეაფასებთ ამჟამად მიღებული დავალებების ტიპებს? (შეფასება 1-5, სადაც 1 – არ მომწონს, 5 – ძალიან მომწონს)
   • პროექტზე/კვლევაზე დაფუძნებული დავალებები: ○○○○○
   • პრაქტიკული დავალებები (რეალურ ცხოვრებასთან დაკავშირებული): ○○○○○
   • კრეატიული დავალებები (ვიდეო, პრეზენტაცია, ესკიზები და სხვ.): ○○○○○
   • ტექსტის დამახსოვრება: ○○○○○
   • წერითი/თეორიული დავალებები: ○○○○○

4. რამდენად გასაგებია დავალებების ინსტრუქციები? (აირჩიეთ ერთი პასუხი)
   ☐ ყოველთვის გასაგებია
   ☐ უმეტესად გასაგებია
   ☐ ზოგჯერ მიჭირს გაგება
   ☐ ხშირად ვერ ვიგებ, როგორ უნდა შესრულდეს

5. როგორ გგონიათ, საშინაო დავალება ეხმარება გაკვეთილების უკეთ გაგებაში? (აირჩიეთ ერთი პასუხი)
   ☐ ძალიან ეხმარება
   ☐ ზოგჯერ ეხმარება
   ☐ ცოტათი ეხმარება
   ☐ საერთოდ არ ეხმარება

6. რა ტიპის დახმარება დაგჭირდებათ, რათა დავალებების შესრულება უფრო მარტივი იყოს? (აირჩიეთ მაქსიმუმ 2 პასუხი)
   - ☐ დამატებითი ახსნა გაკვეთილზე
   - ☐ მასწავლებლის მიერ ნაჩვენები მაგალითები
   - ☐ წვდომა ონლაინ რესურსებზე
   - ☐ მეტი დრო დავალებების შესასრულებლად
   - ☐ ჯგუფური დავალებები

7. რა არის თქვენი საერთო შთაბეჭდილება ახალი საშინაო დავალების სტრუქტურის შესახებ? (აირჩიეთ ერთი პასუხი)
   - ☐ ძალიან მომწონს, უკეთესია
   - ☐ მომწონს, მაგრამ არის რაღაც, რაც შეიძლება გაუმჯობესდეს
   - ☐ არ შემიმჩნევია ცვლილებები
   - ☐ არ მომწონს, მირჩევნია ძველი წესით

II. ღია კითხვები

8. რა ტიპის დავალებები მოგწონთ ყველაზე მეტად და რატომ?

_____

9. რა გირთულდებათ ყველაზე მეტად დავალებების შესრულებისას?

_____

10. თქვენი აზრით, რა უნდა შეიცვალოს იმისათვის, რომ დავალებები იყოს უფრო საინტერესო და სასარგებლო?

_____

11. თუ გეძლევათ შესაძლებლობა, თავად აირჩიოთ დავალების ფორმატი (მაგალითად: პრეზენტაცია, ესე, ვიდეო, პროექტი), იყენებთ ამ შესაძლებლობას? რატომ?

_____

12. გაქვთ თუ არა რაიმე რეკომენდაცია, თუ როგორ შეგვიძლია დავალებები კიდევ უფრო საინტერესო გავხადოთ?

_____

იგივე პრინციპი გამოიყენება სხვა ინსტრუმენტების შემთხვევაშიც:

- თუ ვინმემ აკვირდებოდა თქვენს გაკვეთილს ამ მიდგომის გამოყენებამდე, სთხოვეთ ისევ იგივე მეთოდოლოგიით დააკვირდეს თქვენს გაკვეთილს. შემდეგ დაამატეთ შეფასების ერთი ან ორი საკითხი, რომელიც ფოკუსირებულია თქვენს ახალ სტრატეგიაზე.

- თუ გაანალიზეთ წერითი დავალებები ან საშინაო დავალება გარკვეული კრიტერიუმებით, გამოიყენეთ ისევ იგივე კრიტერიუმები გაუმჯობესების შესამოწმებლად. შემდეგ დაამატეთ ერთი ან ორი კრიტერიუმი, რომელიც პირდაპირ უკავშირდება თქვენს ჩარევას.

- თუ გამოიყენეთ მოკლე ტესტი საწყის მონაცემებში (მაგალითად, კითხვის გაგების, მათემატიკური პრობლემების გადაწყვეტის ან საგნობრივი ძირითადი შინაარსის გაგების შესამოწმებლად), შეგიძლიათ მსგავსი ტესტი გაიმეოროთ შემდგომ. თუმცა, ტესტები გამოსადეგია მხოლოდ მაშინ, როცა თქვენი მიზანია აკადემიური შედეგების გაზომვა. ხოლო მაშინ როცა თქვენი მიზანია მონაწილეობის, თავდაჯერებულობის ან ჩართულობის გაზომვა მიზანშეწონილია გამოიყენოთ ისეთი ინსტრუმენტები, როგორიცაა დაკვირვება ან კითხვარები.

2. პირდაპირ ჰკითხეთ ცვლილების შესახებ (აღქმები და ახსნები)

ცვლილების შეფასების კიდევ ერთი გზაა ვკითხოთ მონაწილეებს პირდაპირ, რა ცვლილებები შენიშნეს მათ. მაგალითად, თუ თქვენი მიზანი იყო ჯგუფურ მუშაობაში ჩართულობის გაუმჯობესება, შეგიძლიათ მოსწავლეებს ჰკითხოთ:

- "როგორ შეაფასებთ ამჟამინდელ თქვენს ჩართულობას ჯგუფურ მუშაობაში,, წინა პერიოდთან მიმართებით?"

- "რა დაგეხმარათ უფრო მეტად (ან ნაკლებად) მონაწილეობაში?"

ასევე შეგიძლიათ თავად დაფიქრდეთ ამ კითხვებზე ან ჰკითხოთ კოლეგას, რომელიც დააკვირდა თქვენს გაკვეთილს. ამ მიდგომის გამოყენებისას, თავი შეიკავეთ პასუხების მაპროვოცირებელი/ გეზის მიმცემი კითხვებისგან. მაგალითად, შეკითხვა "გრძნობთ თუ არა, რომ ახლა უკეთ მონაწილეობთ?" შეცვალეთ ნეიტრალური კითხვებით, როგორიცაა: "რა განსხვავებები შენიშნეთ, თუ საერთოდ შეგინიშნავთ განსხვავებები?"

მნიშვნელოვანია სხვადასხვა პერსპექტივებიდან ინფორმაციის შეგროვებაც. მაგალითად, მოსწავლეების მოსაზრებები და კოლეგის დაკვირვებები, ან თქვენი საკუთარი რეფლექსია და მოსწავლეების უკუკავშირი. სიტუაციის სხვადასხვა კუთხიდან განხილვა გაზრდის დასკვნათა სანდოობას.

მოკლედ, ცვლილების შეფასება ნიშნავს:

- „წინა“ და „შემდეგი“ პერიოდების შედარებას, და
- ფრთხილად დასმულ შეკითხვას, რა შეიცვალა და რატომ.

ეს ისაა, რაც სამოქმედო კვლევას სისტემურს ხდის. თქვენ უბრალოდ კი არ ცდით სიახლის დანერგვას, თქვენ გიწევთ სიფრთხილით შემოწმება, ნამდვილად მოიტანა თუ არა ცვლილებამ შედეგი.

ერთმნიშვნელოვანი რამ, რაც უნდა გახსოვდეთ: თქვენი მიზანი არაა დაამტკიცოთ, რომ ცვლილება წარმატებული იყო. სამოქმედო კვლევის მიზანი არ არის მიღწევები, არამედ იმის გააზრება, რა მოხდა რეალურად. მაგალითად, შესაძლოა ჯგუფური როლების დანერგვით გაზარდოთ მონაწილეობის დონე და შენიშნოთ, რომ მხოლოდ ზოგიერთი მოსწავლე ხდება უფრო აქტიური, ხოლო სხვები რჩებიან პასიურები. ეს წარუმატებლობა არაა, ეს ღირებული ინფორმაციაა! შეინარჩუნეთ ისეთივე ცნობიესმოყვარეობა ცვლილებების გავლენების მიმართ, როგორც საძიებო ეტაპზე.

შედეგად, თქვენი მიზანი არაა „ყველაფრის გამოსწორება“ ნებისმიერ ფასად. თქვენი მიზანია გაიგოთ, იმუშავა თუ არა ცვლილებამ, როგორ იმუშავა და რა პირობებში. იმ შემთხვევაში თუ ვერ იმუშავა, თქვენ ალბათ ბევრად მეტი რამ გაიგეთ, რამდენადაც ახალ ინფორმაციას ფლობთ იმის შესახებ, თუ რა მუშაობს და რა არა თქვენს საკლასო გარემოში!

იმას, თუ პრაქტიკაში როგორ მუშაობს ეს მიდგომა, აჩვენებს შემდეგი მაგალითი: გაკვეთილზე დაკვირვების ფორმა, რომელიც გამოიყენეს საკლასო ჩარევის გავლენის შესაფასებლად. ეს უკავშირდება **მე-5 მაგალითს (იხ. მაგალითი 5)**, სადაც დაკვირვება გამოყენებული იყო საძიებო ეტაპზე. აქ იგივე ინსტრუმენტი გამოიყენება იმის შესაფასებლად, რა შეიცვალა ჩარევის შემდეგ. კითხვის პროცესში ყურადღება მიაქციეთ, როგორ მეორდება ზოგიერთი კითხვა, რათა შესაძლებელი იყოს შედარება ცვლილებამდე და ცვლილების შემდეგ, მაშინ როცა სხვა კითხვები ყურადღებას ამახვილებს დანერგილ სტრატეგიებზე. ფორმა ასახავს როგორც იმას, თუ რას კეთებენ მასწავლებლები, ასევე იმასაც, როგორ პასუხობენ მოსწავლეები.

გაკვეთილზე დაკვირვების ფორმა

მიზანი: გაკვეთილზე დაკვირვების მიზანია შეაფასოს ჩემი არაქართულენოვანი მოსწავლეების მიერ მათემატიკის ამოცანების გააზრების გასაუმჯობესებლად განხორციელებული ქმედებების წარმატება.

1. რამდენად ნათელი იყო მოსწავლეებისთვის მიცემული ინსტრუქციები? შეძლეს თუ არა მოსწავლეებმა მათი მიყოლა და დავალების შესრულება?

2. რა სირთულეებს წააწყდნენ მოსწავლეები მათემატიკის დავალებაზე/ პრობლემებზე მუშაობისას?

3. როგორ გაუმკლავდნენ მოსწავლეები რთულ ტერმინოლოგიას?

4. ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელი ინტერვენცია იქნა გაკვეთილზე გამოყენებული?

- ზეპირი თარგმანი?
- წერილობითი თარგმანი?
- ვიზუალური დამხმარე საშუალებები?
- რეალური კონტექსტ-მაგალითები?
- ამოცანის ნაწილებად დაშლა?

5. რამდენად დაეხმარა გამოყენებული ინტერვენციები მოსწავლეებს დავალებების/ამოცანების გააზრებაში? ახსენით თითოეული მათგანი.

6. რომელი ინტერვენცია იყო ყველაზე ეფექტური? რატომ?

7. სხვა რა სახის მხარდაჭერა გაუწია მასწავლებელმა მოსწავლეებს რათა დახმარებოდა მათ ამოცანების/დავალებების გაგებაში? როგორ დაეხმარა გაწეული მხარდაჭერა მოსწავლეებს?

8. როგორი იყო მოსწავლეთა ჩართულობის დონე გაკვეთილზე?

9. ახერხებენ თუ არა მოსწავლეები მათემატიკური ამოცანების/ დავალებების გაგება-გააზრებას და შესაბამისად წარმატებით შესრულებას? დიახ / არა / ნაწილობრივ. გთხოვთ ამიხსნათ.

დავალება

1. ამ ერთეულში ისწავლეთ, თუ როგორ ქმნიან მასწავლებლები ინსტრუმენტებს საკლასო ინტერვენციის გავლენის შესაფასებლად. ამ მიზნისთვის ჩამოაყალიბეთ შეფასების კითხვები.

   ა. მასწავლებელს ჯგუფურ მუშაობაში შემოაქვს მკაფიო დისკუსიის როლები, რადგან, როგორც წესი, მხოლოდ რამდენიმე მოსწავლე მონაწილეობს.

   _____?

   ბ. მასწავლებელი იყენებს ვიზუალურ დროით გეგმა-გრაფიკებს, რათა მოსწავლეებს დაეხმაროს ისტორიული მოვლენების გაგებაში.

   _____?

   გ. მასწავლებელი იწყებს თანატოლთა მოკლე უკუკავშირის აქტივობების დანერგვას მოსწავლეების წერითი უნარების გასაუმჯობესებლად.

2. თქვენ ახლახან იხილეთ გაკვეთილის დაკვირვების ფორმა, რომელიც გამოიყენება კლასში ინტერვენციის გავლენის შესაფასებლად. ქვემოთ მოცემულია დაკვირვების ფორმა, რომელიც გამოყენებული იყო კვლევის საძიებო ფაზის ადრეულ ეტაპზე (იხ. მაგალითი 5). რა იყო ამ ინსტრუმენტის მთავარი მიზანი?

გაკვეთილზე დაკვირვების ფორმა

ძვირფასო კოლეგავ,
გთხოვთ, დააკვირდეთ ჩემს გაკვეთილს და უპასუხოთ ქვემოთ მოცემულ კითხვებს. მომაწოდეთ მაქსიმალურად დეტალური ინფორმაცია.
ჩემი მიზანია გავიგო, როგორ ვასწავლი მათემატიკური ამოცანების გააზრებასა და ინტერპრეტაციას, აგრეთვე როგორ რეაგირებენ მოსწავლეები იმ სირთულეებზე, რომლებსაც მსგავსი ამოცანების შესრულებისას აწყდებიან (გთხოვთ, ასევე გაითვალისწინოთ ენობრივი ბარიერები, თუკი პროცესში შეინიშნება).

1. როგორ ამზადებს მასწავლებელი მოსწავლეებს დავალებისთვის?
   შენიშვნა-ჩანაწერები:

2. როგორ წარადგენს/ხსნის მასწავლებელი ამოცანის პირობებს მოსწავლეებისთვუს? (პასუხისას გთხოვთ, გაითვალისწინოთ ენობრივი ბარიერი არაქართულენოვანი მოსწავლეებისთვის.)
   შენიშვნა-ჩანაწერები:

3. როგორ ამოწმებს მასწავლებელი, გაიგეს თუ არა მოსწავლეებმა ამოცანა?
   (განსაკუთრებით არაქართულენოვანი მოსწავლეებისთვის.)
   შენიშვნა-ჩანაწერები:

4. როგორ იქცევიან მოსწავლეები ამოცანებზე მუშაობის დროს?
   შენიშვნა-ჩანაწერები:

5. რა სტრატეგიებს იყენებენ მოსწავლეები ამოცანებზე მუშაობისას? რას აკეთებენ, რათა უკეთ გაიგონ და შეასრულონ დავალებები?
   შენიშვნა-ჩანაწერები:

6. რა სირთულეებს აწყდებიან მოსწავლეები ამოცანის გაგების ან შესრულებისას? რა სირთულეებს აწყდებიან არაქართულენოვანი მოსწავლეები?
   შენიშვნა-ჩანაწერები:

7. როგორ უჭერს მხარს მასწავლებელი იმ მოსწავლეებს, რომლებიც ვერ ასრულებენ დავალებას? რა დამატებით რესურსებს იყენებს მათ დასახმარებლად?
   შენიშვნა-ჩანაწერები:

8. როგორ აძლევს მასწავლებელი უკუკავშირს მოსწავლეებს?
   შენიშვნა-ჩანაწერები:

3. შეადარეთ დაკვირვების ორი ინსტრუმენტი და უპასუხეთ ქვემოთ მოცემულ კითხვებს. ქვემოთ ჩამოთვლილი კითხვების რომელი ტიპები გვხვდება ორივე დაკვირვების ინსტრუმენტში? მონიშნეთ ✔ დიახ ან ✖ არა.

ინფორმაციის ტიპი	✔ დიახ/ ✖ არა.
ა. კითხვები ამოცანების ამოხსნისას მოსწავლეების სირთულეების შესახებ	
ბ. კითხვები იმის შესახებ, როგორ ეხმარება მასწავლებელი მოსწავლეებს	
გ. კითხვები გაკვეთილის განმავლობაში გამოყენებული კონკრეტული ინტერვენციების შესახებ	
დ. კითხვები დავალების შესრულებისას მოსწავლეების ჩართულობის შესახებ	

4. რომელი კითხვები გვხვდება მხოლოდ შეფასების დაკვირვების ინსტრუმენტში? მონიშნეთ ორი პასუხი.

- კითხვები იმის შესახებ, თუ რომელი ინტერვენცია იქნა გამოყენებული გაკვეთილის განმავლობაში
- კითხვები იმის შესახებ, თუ როგორ წარადგენს მასწავლებელი მათემატიკურ ამოცანას
- კითხვები იმის შესახებ, თუ რომელი ინტერნვეცია იყო ყველაზე ეფექტური
- კითხვები იმის შესახებ, თუ როგორ იქცევიან მოსწავლეები ამოცანებზე მუშაობისას

კითხვები დისკუსიისათვის

1. თქვენი სასწავლო პრაქტიკის ცვლილების შეფასების დროს, ნაცვლად იმისა, რომ დაეყრდნოთ პირად შთაბეჭდილებებს, რატომ არის სასარგებლო მტკიცებულებების შეგროვება?

2. რა გზებით შეიძლება მოსწავლეების პერსპექტივები დაეხმაროს მასწავლებლებს გაიგონ, რამდენად წარმატებული იყო კლასში განხორციელებული ცვლილება?

3. რატომ არის მნიშვნელოვანი სამოქმედო კვლევაში არა მხოლოდ იმის გარკვევა, რა შეიცვალა, არამედ იმის გაგება, რატომ შეიცვალა ან არ შეიცვალა?

თქვენი კვლევის ჩანაწერები

გამოიყენეთ ეს სივრცე, რათა ჩაიწეროთ შენიშვნები თქვენი კვლევის შესახებ, ამ წიგნში მოცემულ აქტივობებზე მუშაობის პროცესში.

მოკლედ აღწერეთ სიტუაცია, რომელიც ამოვიდა თქვენი საძიებო კვლევის შედეგებიდან.

_____

_____

რომელი ცვლილება (მოქმედება) დაგეგმეთ ამ სიტუაციაზე რეაგირების ფარგლებში?

_____

_____

_____

ჩაწერეთ თქვენი შეფასების კითხვა ერთ-ერთი ფორმატით:
როგორ ცვლის X სიტუაციას (თუ საერთოდ ცვლის)? ან რა (თუ რაიმე) იცვლება, როცა ვახორციელებ X-ს?

_____

_____

_____

რა ტიპის ინფორმაცია დაგეხმარებათ იმის გასაგებად, შეიცვალა რამე თქვენი ინტერვენციის შემდეგ თუ არა? მაგალითად: კითხვარის ერთი და იგივე კითხვის განმეორება, მოსწავლეების ნაშრომების ნიმუშების შედარება, მოსწავლეებისათვის თხოვნა დაწერონ მოკლე რეფლექსიები და ა.შ

_____

_____

_____

13 როგორ განახორ-ციელებთ გეგმას?



მას შემდეგ, რაც გადაწყვეტთ, რა გსურთ შეცვალოთ (თავი 11) და როგორ შეაფასებთ ამ ცვლილებას (თავი 12), შემდეგი ნაბიჯია, მკაფიო და რეალისტური გეგმის შედგენა. თქვენ უნდა განსაზღვროთ:

- როდის დანერგავთ ცვლილებას;
- როგორ დანერგავთ მას;
- როდის და როგორ შეაგროვებთ მონაცემებს მის შესაფასებლად.

იმისათვის რომ დაგეგმოთ როდის და როგორ დანერგავთ ცვლილებას, უნდა დაფიქრდეთ ისეთ კითხვებზე, როგორებიცაა:

- უნდა აუხსნათ თუ არა ცვლილება თქვენს მოსწავლეებს (და შესაძლოა მშობლებსაც)?
- ცვლილებას დანერგავთ ყველა გაკვეთილზე თუ მხოლოდ ზოგიერთზე?
- თუ მხოლოდ ზოგიერთ გაკვეთილზე, რომელებზე და რატომ?
- გაქვთ თუ არა საკმარისი დრო მასალების მოსამზადებლად?
- საჭიროების შემთხვევაში, იქნება თუ არა დამკვირვებელი ხელმისაწვდომი?
- როდის შეაგროვებთ მოსწავლეების უკუკავშირს?

მნიშვნელოვანია გახსოვდეთ, რომ

ცვლილება უნდა განახორციელოთ საკმარისი ხანგრძლივობით. თუ ახალ სტრატეგიას მხოლოდ ერთ ან ორ გაკვეთილზე გამოცდით, ძალიან რთული იქნება იმის გარკვევა, ნამდვილად მოახდინა თუ არა მან გავლენა. ინტერვენციის პერიოდი შესაძლოა უბრალოდ ზედმეტად მოკლე იყოს რაიმე მნიშვნელოვანი ცვლილების დასაფიქსირებლად. მიუხედავად იმისა, რომ ყოველთვის ადვილი არ არის იმის განსაზღვრა, რამდენ ხანს უნდა გაგრძელდეს ინტერვენცია, ჩვენ გირჩევთ ცვლილების დანერგოთ მინიმუმ ექვსი გაკვეთილის, ან დაახლოებით ექვსი კვირის განმავლობაში. ეს მოსწავლეებს აძლევს ადაპტაციის დროს, საშუალებას იძლევა სტრატეგია თანმიმდევრულად გამოიყენოთ და ამარტივებს მისი რეალური გავლენის შეფასებას.

შეჩერდით და დაფიქრდით

დაფიქრდით იმ ცვლილებაზე, რომლის დანერგვასაც გეგმავთ.

- რამდენ ხანს შეძლებთ რეალისტურად ამ ინტერვენციის განხორციელებას სწავლების პროცესში?
- რომელ გაკვეთილებზე ან თემებზე შეიძლება ამან კარგად იმოქმედოს?
- რა პრაქტიკული სირთულეები შეიძლება ახდენდეს გავლენას თქვენს გეგმაზე (მაგალითად: გეგმა-გრაფიკის შეზღუდვები, მოსწავლეთა არყოფნა, მომზადების დრო ან სკოლის ღონისძიებები)?
- რა მცირე კორექციები შეიძლება დაგეხმაროთ ცვლილების თანმიმდევრულად დანერგვაში რამდენიმე გაკვეთილის განმავლობაში?

თქვენი სამოქმედო კვლევის კვლევითი ნაწილისთვის, ანუ იმ ნაწილისთვის, სადაც აგროვებთ მტკიცებულებებს ცვლილების გავლენის შესახებ, დაგეხმარებათ მე-7 თავის გადახედვა. იქ აღწერილი ყველა ეტაპი აქაც მოქმედებს და შეგიძლიათ ეს ეტაპები გამოიყენოთ როგორც საკონტროლო სია, რათა შეამოწმოთ, რამდენად კარგად ხართ მომზადებული. შეაფასეთ, რამდენი დრო დაგჭირდებათ შემდეგი ამოცანებისთვის და

შესაბამისად, ჩაწერეთ, როდის განახორციელებთ მათ თქვენი გეგმა-გრაფიკით.

- თქვენი სკოლის ინფორმირება და საჭირო ნებართვების მიღება [ეს უნდა გააკეთოთ, თუ ეს ჯერ არ გაგიკეთებიათ საძიებო კვლევის ეტაპზე]
- მონაცემების შეგროვების ინსტრუმენტების შექმნა, როგორიცაა კითხვარები, დაკვირვების ფორმები ან სახელმძღვანელო კითხვები
- დაკვირვებების, ინტერვიუების ან სხვა მონაცემთა შეგროვების აქტივობების დაგეგმვა ისე, რომ ისინი შეესაბამებოდეს თქვენი სწავლების განრიგს
- მონაცემების შეგროვება და ორგანიზება
- შეგროვებული მონაცემების ანალიზი და ინტერპრეტაცია, რათა უპასუხოთ თქვენს კვლევით კითხვებს
- შედეგების კოლეგებთან გაზიარებისთვის მომზადება, მაგალითად, მოკლე პრეზენტაციის ან დისკუსიის სახით

აწარმოეთ მკაფიო ჩანაწერი იმისა, თუ რას აკეთებთ თითოეულ გაკვეთილზე. ჩაინიშნეთ, რა ცვლილებები შეიტანეთ, რა მონაცემები და როდის შეაგროვეთ. ეს დაგეხმარებათ მოგვიანებით თქვენი პროცესის ზუსტად აღწერაში (იხ. თავი 16). ამავდროულად, იყავით მოქნილი. სკოლის ცხოვრება არაპროგნოზირებადია, გაკვეთილები შეიძლება გაუქმდეს, მოსწავლეები შეიძლება არ გამოცხადდნენ ან გეგმების შეცვლა გახდეს საჭირო. გონივრულია გქონდეთ გეგმა ბ (ან თუნდაც გეგმა გ), იმ შემთხვევაში თუ ვერ შეძლებთ ზუსტად იმის შესრულებას, რაც დაგეგმეთ.

თქვენი სამოქმედო კვლევის განხორციელებისა და შეფასების ორგანიზებისთვის, სასარგებლოა თქვენი გეგმის შეჯამება მარტივ სამოქმედო კვლევის გეგმაში. ეს საშუალებას გაძლევთ, თქვენი პროექტის ძირითადი ელემენტები ერთ სივრცეში გააერთიანოთ: საძიებო კვლევის ეტაპიდან მიღებული მთავარი მიგნებები, ცვლილება/ინტერვენცია, რომლის დანერგვასაც გეგმავთ, ინტერვენციის დროის ჩარჩო და მისი გავლენის შეფასების გზა. ქვემოთ მოცემული ფორმა წარმოადგენს მაგალითს, თუ როგორ შეგიძლიათ თქვენი სამოქმედო გეგმის სტრუქტურირება. იგი ორ ნაწილად არის გაყოფილი. პირველი ნაწილი ფოკუსირებულია ცვლილების დიზაინსა და განხორციელებაზე, მათ შორის კონტექსტზე, რომელზე ჩარევაც განხორციელდება, ძირითად მიგნებებზე, რომლებსაც ცვლილება დაეფუძნა, სტრატეგიაზე, რომლის გამოყენებასაც გეგმავთ, და იმაზე, რამდენ ხანს და როდის განხორციელდება იგი. მეორე ნაწილი ფოკუსირებულია ცვლილების შეფასებაზე, მათ შორის შეფასებით კვლევით კითხვაზე და იმ ინსტრუმენტებზე, რომლებსაც გამოიყენებთ მტკიცებულებების შესაგროვებლად, იმის გასარკვევად თუ რა შეიცვალა.

ასეთი გეგმის შევსება დაგეხმარებათ წინასწარ გაიაზროთ თქვენი პროექტის პრაქტიკული ასპექტები,

რაც პროცესს უფრო ნათელს და მართვადს გახდის. იგი ასევე შეიძლება გახდეს სასარგებლო საყრდენი ინტერვენციის განხორციელებისა და მონაცემების შეგროვების პროცესში. ქვემოთ მოცემული ცხრილი აჩვენებს, როგორ შეიძლება გამოიყურებოდეს ასეთი გეგმა პრაქტიკაში:

სამოქმედო კვლევის გეგმა

ნაწილი 1. დიზაინი და ცვლილებების დანერგვა		
	აღწერა	**შენი კვლევა**
	სამიზნე კლასი და საფეხური, რომელზეც დაგეგმილია ინტერვენციების გამოყენება	ისტორია - მეხუთე კლასის მოსწავლეები (დაწყებითი)
ა	**შენი მთავარი მიგნებები. ეს მიგნებები საძიებო კვლევის პროცესიდან მიიღეთ?** (ეს უნდა იყოს მოკლე შეჯამება იმ პასუხების, რომელიც საძიებო კველვის კითხვებზე მიიღეთ)	• მოსწავლეები აქტიურად არ მონაწილეობენ გაკვეთილზე, ადვილად ეფანტებათ ყურადღება, რაც იწვევს დაბნეულობას და ზღუდავს სწავლას. • ყველა გაკვეთილზე მონაწილეობს მოსწავლეების ერთი და იგივე ჯგუფი, მაშინ როდესაც დანარჩენებს თითქოს აკლიათ თავდაჯერებულობა და არ გამოთქვამენ მონაწილეობის სურვილს. • გაკვეთილის აქტივობები არ უწყობს ხელს კლასის ჩართულობას და ვერ ავითარებს კრიტიკულ აზროვნებას სასურველ დონეზე.

ბ	**აღწერე ინტერვენციების სტრატეგია/ები, რომლის დანერგვასაც გეგმავ.**	სტრუქტურირებული მონაწილეობა მეთოდით იფიქრე–დაწყვილდი-გააზიარე და დანიშნული სადისკუსიო როლების გამოყენებით. იმის ნაცვლად, რომ მასწავლებელმა კითხვები მთელ კლასს დაუსვას და მოხალისეებს დაელოდოს, ის ჯერ აძლევს მოსწავლეებს დროს ინდივიდუალურად დაფიქრდნენ, შემდეგ განიხილონ საკუთარი იდეები პარტნიორთან, და ბოლოს გაუზიარონ ისინი მთელ კლასს. წყვილებში ან მცირე ჯგუფებში მუშაობის დროს მოსწავლეებს ენიჭებათ მარტივი როლები (მაგალითად: მომხსენებელი, ჩანაწერების მწარმოებელი, შემაჯამებელი ან კითხვების დამსმელი), რათა თითოეულ მოსწავლეს ჰქონდეს მკაფიო პასუხისმგებლობა
გ	**რამდენ ხანს იქნება ეს სტრატეგია/ები გამოყენებაში?**	4 კვირა
დ	**შენი საგაკვეთილო პროცესისას რომელ მონაკვეთში იქნება ეს სტრატეგია/ები გამოყენებული?**	გამოყენებული იქნება გაკვეთილის მიმდინარეობისას მინიმუმ ორჯერ.

ნაწილი 2. ცვლილებების შეფასება		
ე	**'შეფასებითი კვლევითი კითხვა** (ეს არის ისეთი კვლევის კითხვა რომელიც მოგცემთ მიმართულებას მოამზადოთ შეფასების ინსტრუმენტების დიზაინი).	როგორ აუმჯობესებს სტრუქტურირებული მონაწილეობის სტრატეგია მოსწავლეთა აქტიურ ჩართულობას კლასში?
ვ	როგორ შეაფასებ შენს აქტივობებს (მაგ: ინტერვიუები, თანატოლთა დაკვირვება, კითხვარები)	თანატოლთა დაკვირვება, რეფლექსიური ჟურნალი, კითხვარები
ზ	**როდის შეაფასებ მათ?** აღნიშნე როდის გამოიყენებ კვლევის თითოეულ ინსტრუმენტს	• ურთიერთდაკვირვება (Peer-observation): ჩარევის პროცესში. დაკვირვება განხორციელდება ორ გაკვეთილზე. • რეფლექსიური ჟურნალი: ჟურნალი წარმოებული იქნება განხორციელების მთელი პერიოდის განმავლობაში. რეფლექსიური ჩანაწერები გაკეთდება დაუყოვნებლივ, ყოველი იმ გაკვეთილის შემდეგ, სადაც სტრატეგია იქნა გამოყენებული. • კითხვარი: ინტერვენციის პერიოდის ბოლოს.

როდესაც დაასრულებთ თქვენი სამოქმედო კვლევის გეგმას, შემდეგი ნაბიჯია პროექტის სხვადასხვა ეტაპის დროში ორგანიზება. მცირე საკლასო კვლევაც კი მოიცავს რამდენიმე აქტივობას: ცვლილების განხორციელებას, გაკვეთილების მიმდინარეობისას დაკვირვებასა და რეფლექსიას, მონაცემების შეგროვებას და შედეგების შეფასებას. ამ აქტივობების დროში დაგეგმვა უზრუნველყოფს, რომ ინტერვენცია თანმიმდევრულად განხორციელდეს და მისი ეფექტების შესაფასებლად საკმარისი ინფორმაცია შეგროვდეს. მარტივი გეგმა-გრაფიკი დაგეხმარებათ ამ ეტაპების რეალისტურად ორგანიზებაში. ის გაძლევთ შესაძლებლობას დაინახოთ, როდის განხორციელდება სტრატეგია და როდის შეგროვდება სხვადასხვა ტიპის მონაცემები.

ქვემოთ წარმოდგენილი სამოქმედო კვლევის გეგმა-გრაფიკი აჩვენებს ერთ-ერთ მაგალითს, თუ როგორ შეიძლება მასწავლებელმა რამდენიმე კვირის განმავლობაში დააორგანიზოს ინტერვენცია და შეფასების აქტივობები. თქვენი საკუთარი გეგმა შეიძლება განსხვავებული იყოს თქვენი სასწავლო განრიგის, დანერგილი სტრატეგიის ტიპისა და შეფასების ინსტრუმენტების მიხედვით. მთავარია, რომ საკმარისი დრო გაითვალისწინოთ ცვლილების თანმიმდევრულად განსახორციელებლად და ინტერვენციის სხვადასხვა ეტაპზე მონაცემების შესაგროვებლად.

სამოქმედო კვლევის გეგმა-გრაფიკი

კვირა	რომელი აქტივობის განხორციელებაა დაგეგმილი?
კვირა 1	→ გამოიყენეთ სტრატეგია ორ გაკვეთილზე → გააკეთეთ რეფლექსიური ჟურნალის ჩანაწერები ყოველი გაკვეთილის შემდეგ
კვირა 2	→ გამოიყენეთ სტრატეგია ორ გაკვეთილზე → გაკვეთილზე დაკვირვება კოლეგის მიერ → გააკეთეთ რეფლექსიური ჟურნალის ჩანაწერები
კვირა 3	→ გამოიყენეთ სტრატეგია ორ გაკვეთილზე → გააკეთეთ რეფლექსიური ჟურნალის ჩანაწერები
კვირა 4	→ გამოიყენეთ სტრატეგია ორ გაკვეთილზე → გაკვეთილზე დაკვირვება კოლეგის მიერ → გააკეთეთ რეფლექსიური ჟურნალის ჩანაწერები → ადმინისტრირება გაუწიეთ მოსწავლეთა კითხვარის შევსებას

ასეთი მარტივი გეგმა-გრაფიკის შექმნა დაგეხმარებათ თქვენი სამოქმედო კვლევის პროექტის სხვადასხვა ეტაპის ორგანიზებაში და უზრუნველყოფს, რომ ცვლილება განხორციელდეს თანმიმდევრულად, ხოლო მტკიცებულებები შეგროვდეს შესაბამის დროს.

ამავდროულად, საკლასო კვლევა ყოველთვის ზუსტად გეგმის მიხედვით არ მიმდინარეობს. გაკვეთილები შეიძლება შეიცვალოს, მოსწავლეები შეიძლება არ იყვნენ სკოლაში, ან შეიძლება მოხდეს მოულოდნელი შემთხვევა. ეს სწავლების ჩვეულებრივი ნაწილია. ყველაზე მნიშვნელოვანია, რომ თქვენ აწარმოოთ მკაფიო ჩანაწერი იმის შესახებ, რაც რეალურად ხდება და განაგრძოთ დაკვირვება იმაზე, თუ როგორ ახდენს ცვლილება გავლენას თქვენს კლასზე.

დავალება

1. რატომ არის მნიშვნელოვანი საკლასო ჩარევის განხორციელება რამდენიმე გაკვეთილის ან კვირის განმავლობაში, ნაცვლად იმისა, რომ იგი მხოლოდ ერთხელ ან ორჯერ გამოიყენოთ?

2. ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელი გადაწყვეტილებები უნდა მიიღოთ სამოქმედო კვლევის ინტერვენციის დაგეგმვისას? მონიშნეთ სამი პასუხი.
   - ☐ როდესაც განხორციელდება ცვლილება
   - ☐ როგორ შეფასდებიან მოსწავლეები კურსის ბოლოს
   - ☐ რამდენ ხანს გაგრძელდება ჩარევა
   - ☐ როგორ შეგროვდება მონაცემები ცვლილების შესაფასებლად
   - ☐ რომელი სახელმძღვანელო იქნება გამოყენებული მომავალ წელს

3. წაიკითხეთ ქვემოთ მოცემული მოკლე ამონარიდი სამოქმედო კვლევის გეგმა-გრაფიკიდან. რა არის ამ გეგმის ერთი პრობლემა? ახსენით, რატომ გაუჭირდება ამ შემთხვევაში ინტერვენციის სწორად შეფასება.

კვირა	რომელი აქტივობები განხორციელდება?
კვირა 1	დანერგეთ მონაწილეობის ახალი სტრატეგია ერთ გაკვეთილზე
კვირა 2	სტრატეგიის გამოყენება არ ხდება
კვირა 3	კვლავ გამოიყენეთ სტრატეგია ერთ გაკვეთილზე
კვირა 4	მოსწავლეებს მიეცით კითხვარი სტრატეგიის გავლენის შესახებ

კითხვები დისკუსიისთვის

1. როდესაც გეგმავთ თქვენს კლასში ცვლილების დანერგვას, რა პრაქტიკული ფაქტორები (მაგალითად, განრიგის შეზღუდვები, მოსამზადებელი დრო, მოსწავლეთა გაცდენები ან სასკოლო ღონისძიებები) შეიძლება ახდენდეს გავლენას იმაზე, თუ როგორ დააორგანიზებთ თქვენს ინტერვენციას?

2. რამდენად რეალისტურია ახალი სტრატეგიის თანმიმდევრული განხორციელება რამდენიმე კვირის განმავლობაში თქვენს სასწავლო კონტექსტში? რა შეიძლება დაგეხმაროთ, რომ ეს უფრო მარტივი გახდეს?

3. საკლასო კვლევის დაგეგმვისას, როგორ შეუძლიათ მასწავლებლებს ბალანსის დაცვა ფრთხილ დაგეგმვასა და მოქნილობის შენარჩუნებას შორის, როდესაც მოულოდნელი სიტუაციები წარმოიშობა?

თქვენი კვლევის ჩანაწერები

გამოიყენეთ ეს სივრცე, რათა ჩაიწეროთ შენიშვნები თქვენი კვლევის შესახებ, ამ წიგნში მოცემულ აქტივობებზე მუშაობის პროცესში.

გამოიყენეთ ქვემოთ მოცემული სამოქმედო კვლევის გეგმა თქვენი პროექტის ორგანიზებისთვის.

თქვენი სამოქმედო კვლევის გეგმა

	აღწერა	თქვენი კვლევა
	რომელ კლასს ასწავლით საგანს და რომელ საფეხურზე (იგულისხმება კლასი რომელშიც განხორციელდება ინტერვენცია):	
ა	**თქვენი ძირითადი მიგნებები. რა იყო კვლევის საძიებო ეტაპის ძირითადი მიგნებები?** (ეს უნდა იყოს თქვენი ყველა საძიებო კითხვის შეჯამება)	
ბ	**აღწერეთ სტრატეგია ან ინტერვენციები, რომლებსაც განახორციელებთ.**	
გ	**რამდენ ხანს გამოიყენებთ მათ?** (გახსოვდეთ, ქმედებები უნდა განხორციელდეს მინიმუმ 3 კვირის განმავლობაში ან ეკვივალენტურად ექვსი გაკვეთილის განმავლობაში)	
დ	**გაკვეთილის განმავლობაში, როდის განხორციელდება ინტერვენციები?**	
ე	**‘„შეფასებითი“ კვლევითი კითხვა** („როგორ ცვლის X სიტუაციას (თუ საერთოდ ცვლის)?“ ან „რა (თუ რამე) იცვლება, როდესაც X-ს ვნერგავ?“)	
ვ	**როგორ შეაფასებთ თქვენს ქმედებებს?** (მაგალითად, ინტერვიუების, კოლეგების მიერ დაკვირვების, კითხვარების საშუალებით და სხვ.)	
ზ	**როდის შეაფასებთ მათ?** მიუთითეთ, როდის გეგმავთ თითოეული შეფასების ინსტრუმენტის გამოყენებას	

გამოიყენეთ ქვემოთ მოცემული გეგმა-გრაფიკი თქვენი კვლევის სამოქმედო ფაზის ორგანიზებისთვის. მიუთითეთ, რა მოხდება თითოეულ კვირაში თქვენი ჩარევის განხორციელების პერიოდში.

ყოველი კვირისთვის მიუთითეთ ორი ტიპის აქტივობა:

განსახორციელებელი აქტივობები, როგორ და როდის გამოიყენებთ სტრატეგიას თქვენი გაკვეთილების მსვლელობისას.

მონაცემების შეგროვების აქტივობები, როგორ შეაგროვებთ მტკიცებულებებს ჩარევის გავლენის შესახებ (მაგალითად, რეფლექსიური ჩანაწერები, გაკვეთილზე დაკვირვება, მოსწავლეთა ნამუშევრები ან უკუკავშირი).

სამოქმედო კვლევის გეგმა-გრაფიკი

კვირა	**განსახორციელებელი აქტივობები (როგორ გამოიყენებთ სტრატეგიას თქვენს გაკვეთილებზე?)**	**მონაცემების შეგროვების აქტივობები (რა მტკიცებულებებს შეაგროვებთ ამ კვირაში?)**
კვირა 1	(მაგ., სტრატეგიის დანერგვა; მისი გამოყენება ორ გაკვეთილზე; ამის ახსნა მოსწავლეებისთვის)	(მაგ., გააკეთეთ რეფლექსიური ჩანაწერები; შეაგროვეთ მოსწავლეთა ნამუშევრების ნიმუშები)
კვირა 2	(მაგ., განაგრძეთ სტრატეგიის გამოყენება; საჭიროების შემთხვევაში შეიტანეთ ცვლილებები)	(მაგ., რეფლექსიური ჟურნალი; კოლეგის მიერ დაკვირვება)
კვირა 3	(მაგ., სტრატეგიის კვლავ გამოყენება შერჩეულ გაკვეთილებზე)	(მაგ., რეფლექსიური ჩანაწერები; მოსწავლეთა არაფორმალური უკუკავშირი)
კვირა 6	(მაგ., სტრატეგიის გამოყენების ბოლო კვირები)	(მაგ., კითხვარი; მოსწავლეებთან ინტერვიუ; საბოლოო რეფლექსია)

14 რა შედეგები მიიღეთ?



მას შემდეგ, რაც კლასში დანერგეთ დაგეგმილი ცვლილება და შეაგროვეთ მონაცემები მისი გავლენის შესაფასებლად, ახლა უკვე გაქვთ მონაცემების ორი ნაკრები: ინტერვენციამდე შეგროვებული საწყისი მონაცემები და ინტერვენციის დროს ან შემდეგ შეგროვებული მონაცემები. ამ ეტაპზე თქვენი ამოცანაა ამ ორი ინფორმაციის წყაროს გამოყენებით შექმნათ მტკიცებულებებზე დაფუძნებული სურათი, რომელიც უპასუხებს თქვენს სამოქმედო კვლევის შეკითხვას: „როგორ ცვლის X-ი სიტუაციას (თუ საერთოდ ცვლის)?“

ახლა შეგიძლიათ ამ შეკითხვაზე პასუხის გაცემა, რადგან გაქვთ მტკიცებულებები, რომლებიც გაძლევთ საშუალებას:

- შეადაროთ სიტუაცია ცვლილებამდე და ცვლილების შემდეგ,
- უშუალოდ მონაწილეებისგან გაიგოთ, მათი აზრით რა შეიცვალა, ან
- გამოიყენოთ ორივე მიდგომა ერთად.

სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, შეგიძლიათ გააანალიზოთ, როგორ განვითარდა სიტუაცია „მანამდე“ და „შემდეგ“ მონაცემების შედარებით, ან მოსწავლეების, კოლეგების, დამკვირვებლების აღქმების ანალიზით (მათ შორის, საკუთარი რეფლექსიური ჩანაწერების გამოყენებით).

„მანამდე“ და „შემდეგ“ მონაცემების შედარებისას მნიშვნელოვანია, რომ ერთმანეთს შეადაროთ მსგავსი ტიპის ინფორმაცია. მაგალითად, საძიებო ეტაპზე შესაძლოა გააანალიზეთ

ყველა შეგროვებული მონაცემი (კითხვარები, მოსწავლეების კომენტარები, დაკვირვებები და მასწავლებლის რეფლექსიები) და გამოავლინეთ ისეთი ძირითადი მიგნებები, როგორიცაა:

- თავდაჯერებული მოსწავლეების მხოლოდ მცირე ჯგუფი მონაწილეობს რეგულარულად საკლასო დისკუსიებში.
- ბევრი მოსწავლე ყოყმანობს საუბრისას, რადგან არ არის დარწმუნებული საკუთარ პასუხებში.
- მოსწავლეები ზოგჯერ კარგავენ კონცენტრაციას ისეთ აქტივობებში, რომლებიც აქტიურ მონაწილეობას არ მოითხოვს.

იმის გასაგებად, რა შეიცვალა, საჭიროა ახალი მონაცემების ანალიზიც ანალოგიური გზით. ეს შეიძლება მოიცავდეს, მაგალითად, ინტერვიუს მონაცემების კოდირებას და თემების ხელახლა გამოვლენას (თუ გჭირდებათ ამ პროცესის შეხსენება, იხილეთ თავი 8), ასევე დამკვირვებლის მიერ თქვენი გაკვეთილის მიმდინარეობისას ჩანაწერების გაკეთებას.

ახალი სტრატეგიის დანერგვის შემდეგ მასწავლებელი აანალიზებს ინტერვენციის პერიოდში შეგროვებულ ახალ მონაცემებს და გამოავლენს ისეთ ნიმუშებს, როგორიცაა:

- მოსწავლეების უმრავლესობა იზიარებს იდეებს საკლასო აქტივობების დროს.
- მოსწავლეების უმეტესობა უფრო თავდაჯერებულად გამოიყურება, როცა აქვთ დრო პასუხების მოსამზადებლად.
- ზოგი მოსწავლე კვლავ ეყრდნობა უფრო თავდაჯერებულ თანაკლასელებს ჯგუფური მუშაობის დროს.

ეს ნიმუშები უკვე შეიძლება შედარდეს საწყის მიგნებებთან, რათა განისაზღვროს, როგორ შეიცვალა სიტუაცია.

შემდეგ, ერთ-ერთი მარტივი ტექნიკაა, მონიშნოთ ის დებულებები, რომლებიც გაუმჯობესებაზე მიუთითებს „+“ ნიშნით, ხოლო ის დებულებები, რომლებიც აჩვენებს, რომ პრობლემა კვლავ არსებობს, „–“ ნიშნით. ეს დაგეხმარებათ დაადგინოთ, არსებობს თუ არა აღქმებსა ან ქცევაში საერთო ცვლილება.

აი, როგორ შეიძლება მასწავლებელმა მონიშნოს დებულებები ახალი მონაცემების გადახედვის შემდეგ:

- „დღევანდელ გაკვეთილზე მოსწავლეების უმრავლესობამ ნებაყოფლობით გასცა პასუხები.“ (+)
- „მოსწავლეების უმეტესობა მზად იყო, იდეები პარტნიორთან გაეზიარებინა კლასის წინაშე საუბრამდე.“ (+)
- „რამდენიმე მოსწავლე კვლავ თავს არიდებდა მთელი კლასის დისკუსიაში მონაწილეობას.“ (–)

დადებითი და უარყოფითი ნიშნების ბალანსის გაანალიზება ეხმარება მასწავლებელს დაინახოს, უმჯობესდება თუ არა საერთო ჯამში მონაწილეობისა და ჩართულობის დონე, თუ კვლავ რჩება გარკვეული სირთულეები.

შეჩერდით და დაფიქრდით

იფიქრეთ თქვენი საკუთარი საძიებო ეტაპის მიგნებებსა და იმ მონაცემებზე, რომლებიც ცვლილების დანერგვის შემდეგ შეაგროვეთ:

- რა იყო თქვენი საწყისი/საბაზისო მონაცემების ძირითადი მიგნებები?
- რა ტენდენციებს ამჩნევთ ინტერვენციის შემდეგ შეგროვებულ ახალ მონაცემებში?
- ხედავთ თუ არა რაიმე მსგავსებას ან განსხვავებას მონაცემთა ამ ორ ნაკრებს შორის?

ზოგჯერ, როდესაც ყურადღებით აანალიზებთ თქვენს მონაცემებს, შეიძლება აღმოაჩინოთ ახალი საკითხები, რომლებიც ადრე არ შეგიმჩნევიათ. ეს სრულიად ნორმალურია და შეიძლება ძალიან სასარგებლოც იყოს, რადგან გეხმარებათ თქვენი საკლასო სიტუაციის უფრო მკაფიოდ გაგებაში.

თუ თქვენი მონაცემები მოიცავს რაოდენობრივ ინფორმაციას, მაგალითად, კითხვარიდან მიღებულ მონაცემებს (იხილეთ თავი 10), ინტერვენციამდე და შემდეგ არსებული მდგომარეობის შედარება შესაძლოა შედარებით მარტივი იყოს.

მაგალითად, კითხვარში მოსწავლეებს შეიძლებოდა დაუსვით შემდეგი კითხვა: უპასუხე ეთანხმები თუ არა შემდეგ დებულებებს:

დებულება	სრულიად არ ვეთანხმები	არ ვეთანხმები	მეტ-ნაკლებად ვეთანხმები	ვეთანხმები	სრულიად ვეთანხმები
„საკლასო აქტივობებში მონაწილეობისას თავს თავდაჯერებულად ვგრძნობ.”					

შედეგების შედარებისათვის შეგიძლია პასუხებს მიანიჭო ციფრები. მაგალითისათვის:

დებულება	სრულიად არ ვეთანხმები	არ ვეთანხმები	მეტ-ნაკლებად ვეთანხმები	ვეთანხმები	სრულიად ვეთანხმები
	1	2	3	4	5
„საკლასო აქტივობებში მონაწილეობისას თავს თავდაჯერებულად ვგრძნობ.”					

შემდეგ შეგიძლიათ გამოთვალოთ კლასის საშუალო ქულა ინტერვენციამდე და ასევე, საშუალო ქულა ინტერვენციის შემდეგ.

მაგალითად, ინტერვენციამდე კლასის საშუალო ქულა შეიძლება ყოფილიყო 2.2, რაც მიუთითებს, რომ ბევრი მოსწავლე არ იყო დარწმუნებული საკუთარ თავში, ან არ ჰქონდა საკმარისი თავდაჯერებულობა მონაწილეობის მისაღებად. ახალი სტრატეგიის დანერგვის შემდეგ (მაგალითად, სტრუქტურირებული წყვილური დისკუსიები ან ჯგუფურ მუშაობაში უფრო მკაფიო როლები), საშუალო ქულა შეიძლება გაიზარდოს 3.9-მდე.

ეს ცვლილება არ ამტკიცებს, რომ გაუმჯობესების ერთადერთი მიზეზი სწორედ ეს სტრატეგია იყო, თუმცა შეიძლება მიუთითებდეს, რომ მოსწავლეების თავდაჯერებულობა გაიზარდა.

მსგავსი შედარება შესაძლებელია მაშინაც, როდესაც თქვენი მონაცემები გულისხმობს იმის დათვლას, რამდენად ხშირად ხდება რაიმე. საძიებო ეტაპზე შეიძლება დაითვალეთ, რამდენი მოსწავლე პასუხობდა ნებაყოფლობით კითხვებს გაკვეთილის დროს. შესაძლოა, მხოლოდ 4 ან 5 მოსწავლე მონაწილეობდა რეგულარულად. ახალი სტრატეგიის დანერგვის შემდეგ შეგიძლიათ კვლავ ჩაატაროთ დაკვირვება და შენიშნოთ, რომ ახლა უკვე 10 ან 12 მოსწავლე ერთვება გაკვეთილში. ამ რიცხვების შედარება გეხმარებათ დაინახოთ, გაიზარდა თუ არა მონაწილეობა.

ასეთი შედარებები დაგეხმარებათ შექმნათ უფრო მკაფიო სურათი იმისა, თუ რა შეიძლება შეცვლილიყო თქვენს კლასში. თუმცა მნიშვნელოვანია გახსოვდეთ, რომ ეს შედარებები ყოველთვის სრულყოფილი არ არის. მაგალითად, მოსწავლეების ჯგუფი, რომლებმაც შეავსეს კითხვარი ინტერვენციამდე, შეიძლება ზუსტად არ ემთხვეოდეს იმ ჯგუფს, რომელმაც შეავსო იგი ინტერვენციის შემდეგ. ზოგი მოსწავლე შეიძლება არ ესწრებოდა, გადაიყვანეს სხვა კლასში ან მოგვიანებით შეუერთდა. ასეთი შეზღუდვები უნდა იყოს აღნიშნული შედეგების წარდგენისას (იხილეთ თავი 16).

ასევე, რიცხვები მხოლოდ სურათის ნაწილს გვიჩვენებს. მოსწავლეების კომენტარები, რეფლექსიები და დაკვირვებები გვეხმარება უკეთ გავიგოთ, რატომ მოხდა ცვლილება. ზოგიერთ შემთხვევაში, მაგალითად, შეგიძლიათ პირდაპირ ჰკითხოთ მოსწავლეებს, კოლეგებს ან დამკვირვებლებს, შენიშნეს თუ არა რაიმე ცვლილება და თუ კი, რამ გამოიწვია ეს. მაგალითად, შეგიძლიათ მოსწავლეებს დაუსვათ კითხვები: „როგორ შეიცვალა თქვენი მონაწილეობა ბოლო რამდენიმე კვირის განმავლობაში?“ ან „რა დაგეხმარათ საკლასო აქტივობებში უფრო მეტ ან ნაკლებ ჩართულობაში?“. ასეთი პასუხები შეიძლება გაანალიზდეს საერთო თემების გამოვლენით (თუ მონაცემები თვისებრივია) ან პასუხების დათვლით (თუ გამოყენებულია საკონტროლო სია (checklist) ან კითხვარი). ამ ტიპის ინფორმაცია გეხმარებათ გაიგოთ, როგორ აღიქვეს მონაწილეებმა ცვლილება საკუთარი პერსპექტივიდან.

ზოგ შემთხვევაში სასარგებლოა ერთი ან ორი კონკრეტული მოსწავლის გამოცდილების დეტალურად განხილვაც, როგორც „შემთხვევის შესწავლა“ (case study). შემთხვევის შესწავლა არის მაგალითი, რომელიც დეტალურად აღწერს კონკრეტული მოსწავლის (ან მოსწავლეების მცირე ჯგუფის) გამოცდილებას კვლევის განმავლობაში. ამ ეტაპზე შეიძლება გამოიკვეთოს, რა მოხდა ამ პირთან და რას შეიძლება გვეუბნებოდეს ეს ცვლილების მიზეზებსა და შედეგებზე. მაგალითად, შეგიძლიათ აღწეროთ, როგორ დაიწყო კლასში საუბარში იშვიათად მონაწილე მოსწავლემ უფრო აქტიურად ჩართვა ცვლილების შემდეგ, ან მაინც როგორ უჭირდა სხვა მოსწავლეს, მიუხედავად ახალი სტრატეგიისა. ასეთი ინდივიდუალური შემთხვევების განხილვა მნიშვნელოვანია, რადგან გვეხმარება გავიგოთ, როგორ აღიქვა ცვლილება სხვადასხვა მოსწავლემ და არა მხოლოდ მთლიანობაში კლასმა.

ამგვარად, თქვენი მიგნებების ანალიზისას შეეცადეთ ყურადღება გაამახვილოთ არა მხოლოდ იმაზე, რა შეიცვალა მთლიანობაში, არამედ იმაზეც, რატომ მოხდა ან არ მოხდა ეს ცვლილება, ინდივიდუალური გამოცდილებების გათვალისწინებით. მაგალითად, თუ მონაწილეობა გაიზარდა, ეს ხომ არ მოხდა იმიტომ, რომ მოსწავლეებს მეტი დრო ჰქონდათ იდეების მოსამზადებლად, მოლოდინები უფრო მკაფიო გახდა, ან აქტივობების სტრუქტურა შეიცვალა? ცვლილების მიზეზები ყოველთვის არ ემთხვევა თქვენს თავდაპირველ მოლოდინებს, ამიტომ მნიშვნელოვანია ანალიზის პროცესში შეინარჩუნოთ ღია მიდგომა.

მართალია, თქვენი მიგნებების ანალიზის პროცესში მნიშვნელოვანია გახსოვდეთ, რომ სამოქმედო კვლევის მიზანი არ არის დაამტკიცოს, რომ თქვენი ინტერვენცია წარმატებული იყო, არამედ მნიშვნელოვანია გაიგოთ, რეალურად რა მოხდა თქვენს კლასში. ზოგჯერ ცვლილება გამოიღებს იმ შედეგს, რომელსაც ელოდით; ზოგჯერ სიტუაცია მხოლოდ ნაწილობრივ შეიცვლება ან შეიცვლება მოულოდნელი გზებით. ყველა ეს შედეგი მნიშვნელოვანია, რადგან ისინი გეხმარებათ თქვენი სასწავლო კონტექსტის უფრო სიღრმისეულად გაგებაში.

ასევე, სასარგებლოა საკუთარ თავს დაუსვათ დამატებითი კითხვა: რა საკითხები საჭიროებს კვლავ ყურადღებას? მაშინაც კი, როცა ინტერვენცია დადებით შედეგებს იძლევა, ის იშვიათად აგვარებს ყველა პრობლემას. ზოგი მოსწავლე შეიძლება კვლავ სირთულეებს განიცდიდეს, ან ახალი გამოწვევები გამოჩნდეს. ამის წარუმატებლობად აღქმის ნაცვლად, შესაძლებელია ეს აღვიქვათ როგორც საწყისი წერტილი შემდგომი კვლევისთვის, ან სამოქმედო კვლევის ახალი ციკლისთვის.

ამგვარად, მონაცემების ანალიზი გეხმარებათ გასცდეთ მხოლოდ ახალი სტრატეგიის გამოცდას და უფრო ღრმად გაიგოთ თქვენი საკლასო გარემო. იმის გაანალიზებით, თუ რა შეიცვალა და რატომ, შეგიძლიათ მიიღოთ უფრო გააზრებული

გადაწყვეტილებები სწავლების შესახებ და განსაზღვროთ შესაძლო მიმართულებები მომავალი კვლევისთვის.

შემდეგი მაგალითი უფრო დეტალურად აჩვენებს, როგორ გააანალიზეს ქართველმა მასწავლებლებმა თავიანთი ინტერვენციის მონაცემები. კითხვისას დააკვირდით, როგორ განმარტავენ ისინი, რა გაუმჯობესდა, კვლავ რა საჭიროებს ყურადღებას და როგორ ეხმარებათ ეს მომდევნო ნაბიჯების განსაზღვრაში.

მაგალითი 14: წაკითხულის გააზრების უნარების გაუმჯობესება სტრუქტურირებული ინტერაქტიული კითხვის მიდგომის მეშვეობით

ეს სამოქმედო კვლევის პროექტი განხორციელდა ინგლისური ენის ოთხი მასწავლებლის მიერ, რომლებიც ასწავლიდნენ მე-7, მე-8, მე-9 და მე-10 კლასების მოსწავლეებს. მასწავლებლებს ჰქონდათ მსგავსი წუხილი: ბევრ მოსწავლეს უჭირდა წაკითხულის გააზრება და ხშირად არაკომფორტულად გრძნობდა თავს რთულ ტექსტებთან მუშაობისას.

მასწავლებლებმა შენიშნეს, რომ როდესაც მოსწავლეები კითხვისას აწყდებოდნენ სირთულეებს, ბევრი მათგანი ყოყმანობდა დისკუსიებში მონაწილეობაზე ან თავს არიდებდა კითხვებზე პასუხის გაცემას. ამან პედაგოგებს გაუჩინა კითხვა, იყო თუ არა პრობლემა ძირითადად მოტივაციის ნაკლებობა, თუ მოსწავლეებს სჭირდებოდათ მეტი მხარდაჭერა რთული ტექსტების გაგებისა და დამუშავებისთვის.

ახალი მეთოდის დაუყოვნებლივ დანერგვის ნაცვლად, მასწავლებლებმა გადაწყვიტეს საკითხის უფრო ღრმად შესწავლა. მათ დაუსვეს საკუთარ თავს კითხვები:

- როგორ გრძნობენ თავს ჩემი მოსწავლეები, როდესაც წაკითხულის გააზრებაში სირთულეებს აწყდებიან?
- რა სტრატეგიებს ვიყენებ, როდესაც მოსწავლეებს უჭირთ წაკითხულის გააზრება?
- წაკითხულის გააზრების რა ასპექტებს ვუმარტივებ მოსწავლეებს დაგეგმილი აქტივობების მეშვეობით?

სხვადასხვა პერსპექტივიდან სიტუაციის გასაგებად, მასწავლებლებმა შეაგროვეს ინფორმაცია მოსწავლეების კითხვარების, ფოკუს-ჯგუფის დისკუსიებისა და საკუთარი რეფლექსიური დღიურების მეშვეობით.

რა აღმოაჩინეს

საძიებო ეტაპის მიგნებებმა აჩვენა, რომ ბევრი მოსწავლე არაკომფორტულად გრძნობდა თავს რთული ტექსტების კითხვისას. ერთ-ერთი გავრცელებული მიზეზი იყო შეცდომების დაშვების შიში, რაც ამცირებდა მათ თავდაჯერებულობასა და მონაწილეობის სურვილს.

მოსწავლეებმა ასევე აღნიშნეს, რომ მიუხედავად იმისა, რომ მასწავლებლები ხშირად არჩევდნენ საინტერესო ტექსტებს, მათ მაინც სჭირდებოდათ მეტი მხარდაჭერა ლექსიკისა და რთული იდეების გასაგებად. ბევრი მოსწავლე გამოხატავდა ინტერესს ციფრული ინსტრუმენტებისა და ინტერაქტიული აქტივობების გამოყენების მიმართ, რომლებიც დაეხმარებოდათ ტექსტის უკეთ გაგებაში.

მიგნებებიდან მოქმედებამდე: რა შეიძლებოდა შეცვლილიყო?

ამ მიგნებების საფუძველზე, მასწავლებლებმა გადაწყვიტეს დაენერგათ სტრუქტურირებული ინტერაქტიული კითხვის მიდგომა, რომელიც მოსწავლეებს ეტაპობრივად დაეხმარებოდა კითხვის პროცესში.

მიდგომა მოიცავდა ოთხ ეტაპს:

- **კითხვის წინა/ კითხვამდე ეტაპი.** მასწავლებლები აცნობდნენ ძირითად ლექსიკას და ააქტიურებდნენ მოსწავლეთა წინარე ცოდნას ტექსტის წაკითხვამდე.

- **ზოგადი გააზრებისთვის კითხვა.** მოსწავლეები კითხულობდნენ ტექსტს ძირითადი იდეების გამოსავლენად. ამ ეტაპზე მათ ასევე შეეძლოთ ციფრული ინსტრუმენტების გამოყენება ან საკუთარი ინტერესების შესაბამისი ტექსტების შერჩევა.

- **გააზრება და ანალიზი.** მოსწავლეები მუშაობდნენ WH-კითხვებზე (კითხვითი სიტყვებით დაწყებულ კითხვებზე) და თანამშრომლობით დავალებებზე, რათა ტექსტის მნიშვნელობა უფრო სიღრმისეულად გაეანალიზებინათ.

- **რეფლექსია.** აქტივობის ბოლოს, მოსწავლეები იყენებდნენ მარტივ თვითშეფასების რუტინას სახელწოდებით „ორი ვარსკვლავი და ერთი სურვილი“ („Two Stars and a Wish“), რათა დაფიქრებულიყვნენ თავიანთ სწავლაზე.

რა შეიცვალა?

ამ მიდგომის დანერგვის დროს და შემდეგ მასწავლებლებმა შეაგროვეს ახალი ინფორმაცია კითხვარების, ფოკუს-ჯგუფების, კოლეგების დაკვირვებისა და რეფლექსიური დღიურების მეშვეობით.

შედეგებმა აჩვენა, რომ მოსწავლეები უფრო მეტად ერთვებოდნენ პროცესში, როდესაც მათ ჰქონდათ ერთმანეთთან ურთიერთობისა და ციფრული ხელსაწყოების გამოყენების შესაძლებლობა. ისეთი პლატფორმები, როგორიცაა Padlet-ი და Mentimeter-ი, ეხმარებოდა უფრო პასიურ მოსწავლეებს კომფორტულ მონაწილეობაში, ხოლო ჯგუფური მუშაობა ხელს უწყობდა თანამშრომლობასა და დისკუსიას.

თუმცა, გარკვეული გამოწვევები კვლავ არსებობდა. ბევრი მოსწავლე კვლავ განიცდიდა შფოთვას შეცდომების დაშვების გამო, განსაკუთრებით რთულ ტექსტებთან მუშაობისას. ზოგი მოსწავლე ყოყმანობდა დაეწყო საუბარი თუ არა, რადგან ნერვიულობდა გრამატიკულ შეცდომებსა და გამოთქმაზე.

მასწავლებლებმა ასევე შენიშნეს, რომ მიუხედავად იმისა, რომ ინტერესზე დაფუძნებული ტექსტები ზრდიდა მოტივაციას, ბევრ მოსწავლეს მაინც სჭირდებოდა დამატებითი მხარდაჭერა ლექსიკის განვითარებისა და რთული ტექსტების გააზრების სტრატეგიების გასაუმჯობესებლად.

სამომავლო ნაბიჯები

საერთო ჯამში, ახალმა მიდგომამ ხელი შეუწყო მოსწავლეთა ჩართულობისა და მონაწილეობის გაზრდას კითხვის გაკვეთილებზე. თუმცა, მან მხოლოდ ნაწილობრივ გადაჭრა სიღრმისეულ გააზრებასთან დაკავშირებული გამოწვევები.

რის გამოც, მასწავლებლებმა გადაწყვიტეს, რომ მომავალ გაკვეთილებზე უფრო მეტი ყურადღება დაეთმოთ კითხვის სტრატეგიების მკაფიო სწავლებისათვის, ლექსიკის განვითარებისა და რეფლექსიური აქტივობებისათვის, რათა მოსწავლეებს შეძლებოდათ უფრო მეტი თავდაჯერებულობის გამომუშავება რთულ ტექსტებთან მუშაობისას.[14]

[14] მოცემული კვლევა განახორციელეს სალომე ასათიანმა, თამარ აბდალაძემ, სოფიკო ვაშაკიძემ, და ნინო ავალიანმა, კოლეგა-მენტორის ლელა ცაგარეიშვილის ხელმძღვანელობით.

დავალებები

წაიკითხეთ ზემოთ მოცემული მაგალითი და უპასუხეთ კითხვებს.

1. ზემოთ მოცემულ მაგალითში, რა იყო ერთი მნიშვნელოვანი გაუმჯობესება, რომელიც მასწავლებლებმა შენიშნეს სტრუქტურირებული ინტერაქტიული კითხვის მიდგომის დანერგვის შემდეგ?

   ა. მოსწავლეები უფრო მეტად ჩაერთნენ და აქტიურად მონაწილეობდნენ კითხვის აქტივობებში
   ბ. მოსწავლეებმა შეწყვიტეს შეცდომების დაშვება ტექსტების კითხვისას
   გ. მოსწავლეებს კითხვის დროს აღარ სჭირდებოდათ მასწავლებლის მხარდაჭერა
   დ. მოსწავლეებს მხოლოდ ინდივიდუალურად მუშაობა ერჩიათ

2. მაგალითის მიხედვით, რა გამოწვევა დარჩა ინტერვენციის შემდეგაც?

   ა. მოსწავლეები უარს ამბობდნენ ტექსტების კითხვაზე კლასში
   ბ. ბევრი მოსწავლე კვლავ განიცდიდა შფოთვას შეცდომების დაშვების გამო რთული ტექსტების კითხვისას
   გ. მოსწავლეები არ იყვნენ დაინტერესებული ციფრული ინსტრუმენტებით
   დ. მოსწავლეებს ერჩიათ უფრო გრძელი ტექსტების კითხვა

3. ამ თავის მიხედვით, რატომ არის მნიშვნელოვანი საწყისი/საბაზისო მონაცემების შედარება ინტერვენციის შემდეგ შეგროვებულ მონაცემებთან?

სადისკუსიო კითხვები

1. ამ თავში მოყვანილ მაგალითებში ზოგიერთი სტრატეგია აუმჯობესებდა მოსწავლეთა ჩართულობას ან მონაწილეობას, თუმცა სხვა გამოწვევები კვლავ რჩებოდა. როგორ ფიქრობთ, რატომ იძლევა საკლასო ინტერვენციები ხშირად შერეულ შედეგებს?

2. გაიხსენეთ ცვლილება, რომელიც დანერგეთ თქვენი სწავლების პრაქტიკაში. რა ნიშნებმა დაგანახათ, რომ რაღაც გაუმჯობესდა? დარჩა თუ არა რაიმე გამოწვევა?

3. რა შეიძლება ისწავლონ მასწავლებლებმა ისეთი ინტერვენციისგან, რომელიც სრულად არ არის წარმატებული? რატომ შეიძლება ასეთი შედეგები მაინც იყოს ღირებული?

თქვენი კვლევის ჩანაწერები

გამოიყენეთ ეს სივრცე, რათა ჩაიწეროთ შენიშვნები თქვენი კვლევის შესახებ, ამ წიგნში მოცემულ აქტივობებზე მუშაობის პროცესში.

დაწერეთ მოკლე შეჯამება კვლევის საძიებო ფაზაზე თქვენი ყველაზე მნიშვნელოვანი მიგნებების შესახებ.

გამოკვეთეთ ძირითადი ტენდენციები ან დაკვირვებები, რომლებიც ინტერვენციის შემდეგ შეგროვებული მონაცემებიდან იკვეთება.

გამოიყენეთ ეს ცხრილი სიტუაციის შესადარებლად ინტერვენციამდე და ინტერვენციის შემდეგ.

სიტუაციის ასპექტი	**რას აჩვენებს საბაზისო მონაცემი**	**რას გიჩვენებს ახალი მონაცემი**	**რა ცვლილებას ამჩნევთ**
მაგალითი: მოსწავლეების მონაწილეობა	დისკუსიების დროს ჩვეულებრივ მხოლოდ 4–5 მოსწავლე პასუხობდა ნებაყოფლობითად.	დაახლოებით 10–12 მოსწავლე მონაწილეობდა დისკუსიებში.	უფრო მეტი მოსწავლე მონაწილეობდა დისკუსიებში.

დაწერეთ მოკლე რეფლექსია იმის შესახებ, თუ რაზე მიუთითებს ეს მტკიცებულებები.

15 რა იქნება შემდეგი ნაბიჯი?



ახლა დროა შეაჯამოთ ის, რაც ისწავლეთ, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, დაფიქრდეთ, რა შედეგებს მიაღწიეთ თქვენი სამოქმედო კვლევის პროცესში. საძიებო კვლევის ეტაპის დასრულებისას, იმ რეკომენდაციების დიდი ნაწილი, რომელიც მოცემულია მე-9 თავის ბოლოს, მოქმედებს ამ შემთხვევაშიც, თქვენი სამოქმედო კვლევის ციკლის დასრულების ეტაპზე.

ამ ეტაპზე სასარგებლოა თქვენი სამუშაოს ოთხ ასპექტზე რეფლექსია: რა გააკეთეთ, რა შეიცვალა, რა ისწავლეთ პროცესიდან და რა შეიძლება მოხდეს შემდეგ. ამ საკითხებზე ფიქრი დაგეხმარებათ უკეთ გაიაზროთ თქვენი მიგნებები და გააცნობიეროთ, რას აჩვენებს თქვენი კვლევა სწავლებისა და მოსწავლეების სწავლის შესახებ.

კარგი დასაწყისია რამდენიმე მოკლე შეჯამების დაწერა (თითოეული რამდენიმე წინადადებით), ისეთ კითხვებზე პასუხის გაცემით, როგორიცაა: რეალურად რა გავაკეთე ცვლილების მისაღწევად? (რადგან ეს შეიძლება ოდნავ განსხვავდებოდეს თავდაპირველი გეგმისგან); რა შეიცვალა და რა არ შეიცვალა ჩემი ქმედებების შედეგად? (თქვენს ანალიზზე დაყრდნობით, თავი 14); და რა საკითხები რჩება კვლავ გამოწვევად ჩემს კლასში?

მაგალითად, მასწავლებლებმა, რომლებმაც დანერგეს სტრუქტურირებული

კითხვის მიდგომა გააზრების მხარდასაჭერად, შეიძლება ასე შეაჯამონ თავიანთი მუშაობა:

რა გავაკეთეთ:
„ჩვენ დავნერგეთ ეტაპობრივი კითხვის რუტინა, რომელიც მოიცავდა კითხვამდე ლექსიკურ სამუშაოს, მართულ პირველ კითხვას და შემდგომ სადისკუსიო დავალებებს. ამ მიდგომას რეგულარულად ვიყენებდით რამდენიმე კვირის განმავლობაში.“

რა შეიცვალა:
„მოსწავლეები უფრო მეტად იყვნენ ჩართულნი კითხვის აქტივობებში და უფრო მეტი მათგანი მონაწილეობდა დისკუსიებში. ზოგი შედარებით პასიური მოსწავლე უფრო აქტიურად ერთვებოდა წყვილებსა და მცირე ჯგუფებში მუშაობისას.“

რა არ შეიცვალა:
„ზოგიერთ მოსწავლეს კვლავ უჭირდა რთული ტექსტების გაგება, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ლექსიკა/სიტყვები მათთვის უცნობი იყო.“

საკითხები, რომლებიც კვლავ საჭიროებს ყურადღებას:
„ჩვენ კვლავ გვჭირდება ლექსიკის მიმართულებით მეტი მხარდაჭერის უზრუნველყოფა და მოსწავლეების დახმარება, რათა მათ თავი უფრო თავდაჯერებულად იგრძნონ რთულ ტექსტებთან მუშაობისას.“

თქვენი მიგნებების გადახედვისას შესაძლოა შეამჩნიოთ წინააღმდეგობები მონაცემებში. ზოგიერთი მიგნება შეიძლება სრულიად ერთმნიშვნელოვანი არ იყოს. ეს ნორმალურია და უბრალოდ უნდა აისახოს თქვენს დასკვნებში. ძალიან იშვიათია, რომ ყველა პრობლემა ერთი სამოქმედო კვლევის ციკლში მოგვარდეს. მაგალითად, მასწავლებელმა შეიძლება აღმოაჩინოს, რომ კითხვარებში მოსწავლეები ამბობენ, რომ თავს უფრო თავდაჯერებულად გრძნობენ კლასში მონაწილეობისას, მაშინ როცა დაკვირვება აჩვენებს, რომ რეალურად მხოლოდ მცირე ჯგუფი საუბრობს რეგულარულად. ეს არ ნიშნავს, რომ კვლევა წარუმატებელია. პირიქით, შეიძლება მიუთითებდეს, რომ მოსწავლეების თავდაჯერებულობა მზარდია, მიუხედავად იმისა, რომ მათი ქცევა ჯერ კიდევ მნიშვნელოვნად არ შეცვლილა.

შეჩერდით და დაფიქრდით

იფიქრეთ თქვენი სამოქმედო კვლევის მიგნებებზე.

- რა ცვლილებები შეამჩნიეთ თქვენს კლასში?
- რა დარჩა უცვლელი?
- იყო თუ არა რაიმე მიგნება, რომელმაც გაგაკვირვათ?
- იყო თუ არა ისეთი შედეგები, რომლებიც გაურკვეველი ან წინააღმდეგობრივი ჩანდა?

ამ ეტაპზე ასევე სასარგებლოა საკუთარ თავს დაუსვათ უფრო ფართო კითხვები:

- რა ვისწავლე მთლიანობაში ამ პროცესიდან?

- რას ნიშნავს ეს მიგნებები ჩემი სწავლებისა და ჩემი მოსწავლეების სწავლისთვის?
- გახდა თუ არა სიტუაცია უფრო ნათელი?
- იყო თუ არა რაიმე, რამაც გამაკვირვა?
- რა საკითხებში არ ვარ ჯერ კიდევ დარწმუნებელი?

მაგალითად, მასწავლებლებმა, რომლებმაც შეისწავლეს საშინაო დავალებაში ჩართულობა (მაგალითი 13), შეიძლება აღმოაჩინონ, რომ პრობლემა მხოლოდ მოტივაციის ნაკლებობა არ იყო. შესაძლოა კვლევამ აჩვენოს, რომ გაურკვეველი ინსტრუქციები ან სხვადასხვა საგნის დიდი მოცულობის დავალებები გავლენას ახდენდა მოსწავლეების უნარზე, დროულად შეესრულებინათ დავალებები. ასეთი ტიპის მიგნებები მასწავლებლებს მომავალში უფრო გააზრებული გადაწყვეტილებების მიღებაში ეხმარება.
ასევე შეგიძლიათ უპასუხოთ კიდევ ერთ კითხვას: „რა გავლენა მოახდინა ჩემზე, როგორც მასწავლებელზე, საძიებო-სამოქმედო კვლევამ?“
ამ კითხვაზე თქვენი პასუხი თავადაც ერთგვარი „მიგნებაა“, რადგან ამ სახელმძღვანელოში საძიებო-სამოქმედო კვლევის მთავარი მიზანი თქვენი პროფესიული განვითარების მხარდაჭერაა. როგორც მე-9 თავში ავღნიშნეთ, „თქვენი შეხედულებების, რწმენების ან დამოკიდებულებების ცვლილებები მნიშვნელოვანი მიგნებებია, მაშინაც კი, თუ ისინი კვლევის კითხვებად არ იყო ფორმულირებული“.

მაგალითად, შეიძლება გააცნობიეროთ, რომ:

- ახლა უფრო მეტ ყურადღებას აქცევთ სმოსწავლეების პერსპექტივებს;
- უფრო თავდაჯერებული ხართ სწავლების პროცესში მცირე ცვლილებების დანერგვისას;
- უფრო გააზრებულად უდგებით საკლასო გადაწყვეტილებების მტკიცებულებებზე დაფუძნებას.

კიდევ ერთი სასარგებლო კითხვაა:

„რა ახალი საკითხები გამოიკვეთა?“

ხშირ შემთხვევაში, სამოქმედო კვლევა სრულად არ აგვარებს პრობლემას, არამედ ახალ მიმართულებებს ხსნის შემდგომი კვლევისთვის. მაგალითად, ჯგუფურ მუშაობაში მონაწილეობის გაუმჯობესების შემდეგ შეიძლება აღმოაჩინოთ, რომ ზოგიერთ მოსწავლეს კვლავ უჭირს საკუთარი იდეების მკაფიოდ გამოხატვა. ამან შესაძლოა გიბიძგოთ, რომ სამომავალოდ გაკვეთილებზე იკვლიოთ გზები, თუ როგორ დაეხმაროთ მოსწავლეებს საკომუნიკაციო უნარების განვითარებაში.

ამრიგად, შეგიძლიათ საკუთარ თავს ჰკითხოთ:

ეს პროცესის დასასრულია, თუ კიდევ არსებობს ახალი საკითხები შესასწავლად ან ახალი სტრატეგიები საცდელად? მასწავლებლები ხშირად ირჩევენ რამდენიმე შესაძლო შემდეგ

ნაბიჯს. მაგალითად, შეგიძლიათ გადაწყვიტოთ:

ა. დაიწყოთ საძიებო-სამოქმედო კვლევის ახალი ციკლი. თქვენმა მიგნებებმა შესაძლოა ახალი კითხვები გააჩინა ან გამოავლინა საკითხები, რომლებიც კვლავ საჭიროებს ყურადღებას. ამ შემთხვევაში შეგიძლიათ დაიწყოთ ახალი საძიებო და სამოქმედო ციკლი, შეაგროვოთ დამატებითი მონაცემები და სცადოთ ახალი სტრატეგია.

ბ. გააგრძელოთ იმ სტრატეგიის გამოყენება, რომელმაც კარგად იმუშავა.

თუ თქვენს მიერ დანერგილმა ცვლილებამ დადებითი შედეგები გამოიღო, შეგიძლიათ უბრალოდ გააგრძელოთ მისი გამოყენება სწავლების პროცესში. ამ შემთხვევაში შესაძლოა აღარ იგრძნოთ ფორმალურად მონაცემების შეგროვების საჭიროება, მაგრამ სტრატეგია გახდება თქვენი საკლასო პრაქტიკის რეგულარული ნაწილი.

გ. გააგრძელოთ ექსპერიმენტირება სწავლებაში მცირე ცვლილებების დანერგვით.

თქვენმა კვლევამ შესაძლოა დაგანახათ თქვენი კლასის სხვა ასპექტებიც, რომელთა გაუმჯობესებაც შესაძლებელია. ამიტომ შეგიძლიათ სცადოთ დამატებითი ცვლილებები ან უკვე გამოყენებული სტრატეგიის ვარიაციები, რომ უფრო მოქნილად გამოიყენოთ მიღებული გამოცდილება.

დ. გაუზიაროთ თქვენი მიგნებები კოლეგებს.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ნაბიჯია, გაუზიაროთ თქვენი გამოცდილება სხვა მასწავლებლებს. ასეთი განხილვები შეიძლება დაეხმაროს კოლეგებს საკუთარ კლასებში მსგავსი საკითხების გააზრებაში და ხელი შეუწყოს პროფესიულ განვითარებას თქვენს სკოლაში ან საგანმანათლებლო საზოგადოებაში.

თუნდაც მაშინ, თუ დაუყოვნებლივ არ დაიწყებთ ახალ კვლევით პროექტს, საძიებო-სამოქმედო კვლევა რჩება თქვენთვის პრაქტიკულ ინსტრუმენტად. ეს არის პროცესი, რომელსაც შეგიძლიათ დაუბრუნდეთ ყოველთვის, როცა თქვენს სწავლებაში კითხვებს ან გამოწვევებს შეხვდებით. შემდეგი მაგალითი აჩვენებს, როგორ გამოიყენა მასწავლებელთა ჯგუფმა თავიანთი მიგნებები არა მხოლოდ ცვლილებების გასაგებად, არამედ იმის განსასაზღვრადაც, თუ რა უნდა გააკეთონ შემდეგ. კითხვისას დააკვირდით, როგორ აანალიზებენ ისინი როგორც წარმატებებს, ასევე თავიანთი მიდგომის შეზღუდვებს და როგორ მიჰყავს ამ ყველაფერს ისინი არა ერთჯერად ფიქსირებულ გადაწყვეტილებამდე, არამედ ადაპტაციის საჭიროების აღიარებამდე. ასეთი რეფლექსია მნიშვნელოვანია, რადგან ეხმარება მასწავლებლებს გადაწყვიტონ, გააგრძელონ, შეცვალონ თუ უფრო ღრმად გამოიკვლიონ თავიანთი სტრატეგიები სამოქმედო კვლევის მომდევნო ციკლებში.

მაგალითი 15: სტრუქტურირებული აქტივობების მეშვეობით მოსწავლეების მზარდი ჩართულობა გაკვეთილზე

სხვადასხვა საგნის, მათ შორის ქართული ენისა და ლიტერატურის, ინგლისურის, ფიზიკის, მოქალაქეობის, ისტ-ის, ქიმიისა და მათემატიკის ათ მასწავლებლიან ჯგუფს სურდა გაეგო, როგორ გაეხადათ თავიანთი გაკვეთილები უფრო საინტერესო და როგორ უზრუნველყოთ მოსწავლეების მაღალი ჩართულობა.

კითხვარების, გაკვეთილებზე დაკვირვებისა და რეფლექსიური დღიურების მეშვეობით შეგროვებულმა მონაცემებმა აჩვენა მკაფიო ტენდენცია: მოსწავლეები უფრო აქტიურები იყვნენ ინტერაქტიული და პრაქტიკული დავალებების დროს, ხოლო ნაკლებად იყვნენ ჩართულნი რუტინულ, ინდივიდუალურ სამუშაოში. მათ ასევე ერჩიათ ისეთი აქტივობები, რომლებიც მოიცავდა თანამშრომლობას, ვიზუალურ მხარდაჭერას და იდეების გაზიარების შესაძლებლობას.

ამაზე დაყრდნობით, მასწავლებლებმა დანერგეს გაკვეთილის სამფაზიანი სტრუქტურა. გაკვეთილი იწყებოდა მოკლე ვიდეოებით ან კითხვებით ინტერესის გასაღვივებლად, შემდეგ გრძელდებოდა ჯგუფური დავალებებით ან როლური თამაშებით, და სრულდებოდა მოკლე რეფლექსიური აქტივობებით, როგორიცაა “ვიცი, მინდა ვიცოდე, ვისწავლე” (KWL) ცხრილები ან უკუკავშირის მისაღებად დისკუსიები.

რამდენიმე კვირის შემდეგ მათ კვლავ შეაგროვეს მონაცემები. მოსწავლეები უფრო ჩართულნი ჩანდნენ და უფრო მზად იყვნენ მონაწილეობისთვის, განსაკუთრებით თანამშრომლობით აქტივობებში. მასწავლებლებმაც შენიშნეს მეტი ინტერაქცია და ენერგია კლასში.

თუმცა, შედეგებმა ასევე აჩვენა, რომ ეს მიდგომა ყველასთვის ერთნაირად ეფექტური არ იყო. ზოგ მოსწავლეს უჭირდა ვიდეოების გაგება, სხვები თავს არაკომფორტულად გრძნობდნენ დისკუსიებში, ხოლო ზოგს მეტი მხარდაჭერა სჭირდებოდა, განსაკუთრებით ენობრივად. მიუხედავად იმისა, რომ რეფლექსიური ინსტრუმენტები ზოგისთვის სასარგებლო იყო, ყველა მათგანს არ ეხმარებოდა.

საერთო ჯამში, შედეგებმა აჩვენა, რომ სტრუქტურირებული, ინტერაქტიული გაკვეთილები ხელს უწყობს მოსწავლეთა ჩართულობის ზრდას. თუმცა, მასწავლებლებმა ასევე დაინახეს, რომ ეს მიდგომები ყველა მოსწავლისთვის ერთნაირად არ მუშაობდა. ზოგი მოსწავლე უფრო აქტიური და მოტივირებული გახდა, ხოლო სხვებს კვლავ სჭირდებოდათ დამატებითი მხარდაჭერა, განსაკუთრებით მაშინ, როცა დავალებები მოითხოვდა სწრაფ აზროვნებას, ღია დისკუსიას ან ძლიერ ენობრივ უნარებს.

ამან მასწავლებლებს სტრატეგიის დასრულებულად აღქმის ნაცვლად, უბიძგა დაფიქრებულიყვნენ, რა უნდა გაეკეთებინათ შემდეგ. მათ გააცნობიერეს მისი დახვეწისა და ადაპტაციის საჭიროება. განსაკუთრებით გამოიკვეთა განსხვავებული (დიფერენცირებული) მხარდაჭერის მნიშვნელობა და აქტივობების მუდმივი მორგების აუცილებლობა, რათა ყველა მოსწავლემ შეძლოს უფრო კომფორტულად და ეფექტურად მონაწილეობა. ამგვარად, პროექტმა ახალი განვითარების მიმართულებები გახსნა, ნაცვლად იმისა, რომ პროცესი საბოლოოდ დასრულებულიყო..[15]

დავალებები

1. წაიკითხეთ ქვემოთ მოცემული სიტუაციები. თითოეული შემთხვევისთვის განსაზღვრეთ, რა იქნება ყველაზე შესაფერისი შემდეგი ნაბიჯი:

   ა. დაიწყოთ საძიებო სამოქმედო კვლევის ახალი ციკლი
   ბ. გააგრძელოთ სტრატეგიის გამოყენება როგორც სწავლების რეგულარული ნაწილი
   გ. მოახდინოთ სტრატეგიის ადაპტაცია ან დახვეწა
   დ. გაუზიაროთ მიგნებები კოლეგებს

   ა. მასწავლებელმა დაადგინა, რომ ახალმა სტრატეგიამ გაზარდა მოსწავლეთა უმეტესობის მონაწილეობა და ის რამდენიმე კვირის განმავლობაში სტაბილურად კარგად მუშაობდა. _____

   ბ. მასწავლებელმა შენიშნა, რომ ზოგი მოსწავლის ჩართულობა გაუმჯობესდა, თუმცა სხვებს კვლავ უჭირდათ და მეტი მხარდაჭერა სჭირდებოდათ. _____

   გ. მასწავლებლის მიგნებებმა წამოჭრა ახალი კითხვები მოსწავლეთა სირთულეებზე, რომლებიც ადრე არ იყო შესწავლილი. _____

   დ. მასწავლებელი ფიქრობს, რომ გამოცდილება შესაძლოა სასარგებლო იყოს კოლეგებისთვის, რომლებიც მსგავს გამოწვევებს აწყდებიან. _____

2. რა არის სამოქმედო კვლევის ციკლის ბოლოს რეფლექსიის მთავარი მიზანი?
   ა. იმის დამტკიცება, რომ ინტერვენცია წარმატებული იყო
   ბ. მომხდარის შეჯამება და მისი მნიშვნელობის გააზრება
   გ. შედეგების შედარება სხვა მასწავლებლებთან
   დ. ფორმალური ანგარიშის დაწერა

3. შეავსეთ ცხრილი მაგალითი 15-ის შესახებ.

[15] ეს კვლევა ჩაატარეს მაია მიხანაშვილმა, მარეხი მექვაბიშვილმა, მაია მეზვრიშვილმა, თინათინ გნოლიძემ, ნელი კახუბერაშვილმა, ანა ნადირაძემ, ელენე ზერეკიძემ, ქეთევან ცერაძემ, ნინო ბერიძემ და ლეილა გოჩიტაშვილმა, კოლეგა-მენტორის, ხათუნა ხარხელის ხელმძღვანელობით.

კითხვები	თქვენი პასუხები
რა გააკეთეს მასწავლებლებმა?	
რა შეიცვალა?	
რა არ შეიცვალა სრულად/რა გამოწვევა არ აღმოიფხვრა სრულად?	
რომელ საკითხებზეა დამატებით მუშაობა საჭირო?	

სადისკუსიო კითხვები

1. თქვენს გამოცდილებაში, ოდესმე დაგინერგიათ ცვლილება, რომელმაც ზოგიერთ მოსწავლეზე კარგად იმოქმედა, ხოლო სხვებზე კი - არა? რა ისწავლეთ ამ სიტუაციიდან?

2. როდესაც თქვენს სწავლებაზე ახდენთ რეფლექსიას, რა უფრო სასარგებლოა: ყურადღების გამახვილება იმაზე, რაც გაუმჯობესდა, თუ იმაზე, რაც კვლავ საჭიროებს ყურადღებას? რატომ?

3. რა მნიშვნელობა აქვს იმის შენიშვნას, რომ რაღაცამ ისე არ იმუშავა, როგორც მოსალოდნელი იყო? როგორ შეიძლება ეს დაგეხმაროთ, როგორც მასწავლებელს?

თქვენი კვლევის ჩანაწერები

გამოიყენეთ ეს სივრცე, რათა ჩაიწეროთ შენიშვნები თქვენი კვლევის შესახებ, ამ წიგნში მოცემულ აქტივობებზე მუშაობის პროცესში.

ეს სივრცე გამოიყენე შენი სამოქმედო კვლევის შედეგების შესაჯამაბლად.

რა გავაკეთე ცვლილებისათვის

_____

_____

_____

_____

რა შეიცვალა ან არ შეიცვალა

_____

_____

_____

_____

რა ვისწავლე ამ პროცესიდან

_____

_____

_____

_____

შემდეგი შესაძლო ნაბიჯები

_____

_____

_____

_____

ნაწილი 4: მასწავლებლის კვლევის გაფართოება

16 გამოცდილების გაზიარება

ამ და მომდევნო თავში განვიხილავთ სხვადასხვა გზებს, თუ როგორ შეიძლება საძიებო-სამოქმედო კვლევაში მონაწილეობის შედეგად მიღებული გამოცდილების განვითარება. თქვენი კვლევის გაზიარება (როგორც აღნიშნულია ამ თავში) და, შესაძლოა, სხვების მხარდაჭერა კვლევის განხორციელებაში (შემდეგ თავში) დამატებით სარგებელს მოგცემთ და დაგეხმარებათ მიღებული გამოცდილების გაღრმავებაში. პირველ რიგში, განვიხილოთ თქვენი აღმოჩენების გაზიარების მნიშვნელობა, ვისთან შეიძლება მათი გაზიარება, რა უნდა გააზიაროთ და რა ფორმატებში.

დავიწყოთ იმით, თუ რატომ არის თქვენი კვლევის გაზიარება მნიშვნელოვანი. გაზიარება მხოლოდ სხვების ინფორმირებას არ ნიშნავს. ის გეხმარებათ საკუთარი აზრის გამოხატვაში, უკუკავშირის მიღებაში და თქვენი ნამუშევრის ახალი პერსპექტივიდან დანახვაში. ეს ასევე სასარგებლოა სხვებისთვისაც, განსაკუთრებით კოლეგებისთვის, რომლებიც შეიძლება მსგავს კითხვებს აწყდებოდნენ საკუთარ საკლასო პრაქტიკაში ან თქვენი გამოცდილებით შთაგონებულებმა თავადაც დაიწყონ კვლევა. შემდეგი ნაბიჯია იმაზე დაფიქრება, ვისთან და სად შეგიძლიათ თქვენი კვლევის გაზიარება.

შეგიძლიათ დაიწყოთ თქვენთან ახლო კონტექსტში მყოფი ადამიანებით. მაგალითად, თქვენი მოსწავლეები, რომლებიც კვლევაში მონაწილეობდნენ, მათთვის სარგებლის მომტანი იქნება იმის გაგება, თუ რას იკვლევდით და რა შედეგები მიიღეთ. შეგიძლიათ მოკლედ აუხსნათ ეს გაკვეთილის დროს, გაამახვილოთ ყურადღება იმაზე, თუ რა ისწავლეთ მათი იდეებისა და გამოცდილებებისგან

და რა ცვლილებები განახორციელეთ ამის შედეგად. მოსწავლეებისათვის კვლევის შედეგების გაზიარება ასევე ამტკიცებს თქვენს ურთიერთობას მათთან, რადგან ისინი გრძნობენ, რომ მათი ხმა მნიშვნელოვანია და სერიოზულად აღიქმებიან. რამაც, თავის მხრივ, შეიძლება გამოიწვიოს დამატებითი მსჯელობა და ახალი კითხვებიც, შესაძლოა, ახალი კვლევაც!

თუ თქვენ მიერ შერჩეული თემა აქტუალურია თქვენი სკოლის სხვა კოლეგებისთვის, შეგიძლიათ მასწავლებელთა შეხვედრაზე მოკლე პრეზენტაციაც გააკეთოთ. ეს არა მხოლოდ სასარგებლო იქნება მათთვის, არამედ შეიძლება სხვებსაც შთააგონოს კვლევაში ჩართვა ან მინიმუმ, წარმოშვას ნაყოფიერი დისკუსია და უკუკავშირი კოლეგებს შორის.

მას შემდეგ, რაც უფრო თავდაჯერებული გახდებით უშუალო გარემოში გაზიარების შემდეგ, შეგიძლიათ იფიქროთ თქვენი ნამუშევრის უფრო ფართოდ გავრცელებაზე, მაგალითად, ადგილობრივ, რეგიონულ ან ეროვნულ მასწავლებელთა სამუშაო შეხვედრებზე ან კონფერენციებზე. კონკრეტული შესაძლებლობები დამოკიდებულია თქვენს კონტექსტზე, თუმცა მნიშვნელოვანია, წინასწარ დაფიქრება, როგორ წარმოადგენდით თქვენს ნამუშევარს ასეთ სივრცეებში.

მას შემდეგ, რაც განიხილეთ ვისთან და სად გააზიარებთ კვლევას, მნიშვნელოვანია დაფიქრდეთ, როგორ გააზიაროთ იგი. აქ მნიშვნელოვანია ერთი გავრცელებული მცდარი წარმოდგენის განხილვა: მასწავლებლები ხშირად ფიქრობენ, რომ კვლევის ჩატარების შემდეგ აუცილებელია წერილობითი ანგარიშის მომზადება, როგორც ე სუნივერსიტეტში სწავლისას ხდება. ეს შეიძლება დამაშინებლად და დამთრგუნველად ჩანდეს, რადგან აღიქმება რთულ და შრომატევად პროცესად, თუმცა ეს ყოველთვის აუცილებელი არ არის. გაზიარება შეიძლება მოხდეს სხვადასხვა ფორმით: ზეპირი - მაგალითად, მოკლე პრეზენტაციის ან არაფორმალური მოხსენების სახით, ან ვიზუალური — მაგალითად, პოსტერის საშუალებით. წერილობითი ანგარიში მხოლოდ ერთ-ერთი შესაძლო ფორმატია და შესაძლოა უფრო სასარგებლო იყოს მოგვიანებით, მას შემდეგ რაც უფრო მარტივი გზებით გააზიარებთ თქვენს ნამუშევარს.

შეჩერდი და დაფიქრდი

1. როდესაც ფიქრობთ თქვენი კვლევის გაზიარებაზე, რა ფორმა გეჩვენებათ ყველაზე ბუნებრივად და რატომ?

2. არის თუ არა გაზიარების ისეთი გზა, რომელიც თქვენთვის რთული ან არაკომფორტულია? რა განაპირობებს ამ შეგრძნებას?

3. როგორ ფიქრობთ, თქვენი კვლევის გაზიარება როგორ შეიძლება აისახოს თქვენი საკუთარი ნამუშევრის უკეთ გააზრებაზე?

ფორმატი, რომელსაც აირჩევთ, ხშირად დამოკიდებულია აუდიტორიასა და კონტექსტზე. მაგალითად, მოსწავლეებთან ან თქვენს სკოლაში კოლეგებთან გაზიარებისას, შეიძლება

საკმარისი იყოს მოკლე ახსნა ან არაფორმალური პრეზენტაცია. კონფერენციის შემთხვევაში კი შეგიძლიათ გამოიყენოთ სლაიდები ან მოამზადოთ პოსტერი.

პოსტერ-პრეზენტაციები განსაკუთრებით სასარგებლოა, რადგან გაძლევთ შესაძლებლობას გააკეთოთ მოკლე შესავალი და შემდეგ უფრო დეტალურად განიხილოთ თქვენი ნამუშევარი კითხვებისა და ინტერაქციის მეშვეობით. თუ აკეთებთ მოკლე პრეზენტაციას (მაგალითად, 15–20 წუთი), მნიშვნელოვანია, დრო დატოვოთ კითხვებისა და კომენტარებისთვის, რადგან ეს თქვენი ნამუშევრის გაზიარების ერთ-ერთი მთავარი სარგებელია.

რუსუდან კარკაძე უზიარებს საკუთარი კვლევის შედეგებს კოლეგებს პოსტერის მეშვეობით.

მაშ, რა უნდა შეიტანოთ თქვენი კვლევის პოსტერში? პოსტერი უნდა წარმოადგენდეს თქვენს ნამუშევარს მკაფიოდ და ვიზუალურად, ისე, რომ სხვებმა სწრაფად შეძლონ მისი გაგება. ქვემოთ მოცემულია პოსტერის ძირითადი ელემენტები:

- სათაური და ავტორის სახელი. შეინარჩუნეთ მოკლე და მკაფიო ფორმატი, რათა მკითხველმა მაშინვე გაიგოს თქვენი კვლევის ფოკუსი.
- კონტექსტი: მიუთითეთ სად, რას და ვის ასწავლით (მოსწავლეების რაოდენობა, მათი ასაკი და ა.შ.), ასევე რომელი საკითხი შეისწავლეთ.
- საძიებო კვლევის კითხვები: ჩამოაყალიბეთ მკაფიოდ და მოკლედ.
- საძიებო კვლევის ინსტრუმენტები: ჩამოთვალეთ მონაცემთა შეგროვების საშუალებები და რა აღმოაჩინეთ მათი გამოყენებით.
- კვლევის მიგნებები: ინფორმაცია წარმოადგინეთ მოკლედ. ყურადღება გაამახვილეთ ძირითად საკითხებზე და არა დეტალურ განმარტებებზე.
- ინტერვენციების/სამოქმედო გეგმა – კვლევის შედეგებზე დაყრდნობით თქვენი შეთავაზებული ცვლილებები.
- შეფასება და სამოქმედო კვლევის შედეგები – აღწერეთ შეგროვებული მტკიცებულებები და შეაჯამეთ ინტერვენციის ყველაზე მნიშვნელოვანი შედეგები.

გარდა ამისა, პოსტერი უნდა იყოს ვიზუალურად მკაფიო და მიმზიდველი. ეს ნიშნავს, რომ ტექსტი უნდა იყოს მოკლე, უნდა აირიდოთ დიდი მოცულობის აბზაცები და ინფორმაცია ისე უნდა დაალაგოთ, რომ მისი მიყოლა მარტივი იყოს. შეგიძლიათ გამოიყენოთ

სურათები, დიაგრამები, გრაფიკები ან მოსწავლეების ნამუშევრების მაგალითები, რათა უკეთ წარმოაჩინოთ თქვენი იდეები და პოსტერი უფრო ადვილად აღსაქმელი გახადოთ მკითხველისთვის.

წაიკითხეთ შემდეგი მაგალითი და ყურადღება მიაქციეთ, როგორ არის ზემოთ ჩამოთვლილი ელემენტები პოსტერში წარმოდგენილი. დააკვირდით, როგორ არის ინფორმაცია მკაფიოდ და ლაკონურად გადმოცემული და როგორ გამოიყენება ვიზუალური ელემენტები კვლევის მარტივად გასაგებად და განსახილველად.

მაგალითი 16: ინტერაქტიული სწავლების გზით მოსწავლეთა მონაწილეობის გაზრდა

ეს საძიებო-სამოქმედო კვლევა ჩაატარა ხუთმა მასწავლებელმა, რომლებიც ასწავლიდნენ ქართულ ენასა და ლიტერატურას (VIII–X კლასები), ბიოლოგიას (IX კლასი) და მათემატიკას (IX კლასი). მათი მიზანი იყო გაეგოთ, რატომ არ იყვნენ მოსწავლეები აქტიურად ჩართულნი და როგორ შეიძლებოდა მათი ჩართულობის გაზრდა.

მონაცემები შეგროვდა კითხვარების, გაკვეთილზე დაკვირვების და ფოკუს-ჯგუფების მეშვეობით. შედეგებმა აჩვენა, რომ დაბალი ჩართულობა დაკავშირებული იყო ინტერაქტიული აქტივობების შეზღუდულ გამოყენებასთან, რეალურ ცხოვრებასთან სუსტი კავშირის არსებობასთან და ტექნოლოგიების ნაკლებ გამოყენებასთან. საპირისპიროდ კი, მოსწავლეები უფრო მეტად ერთვებოდნენ, როდესაც გაკვეთილები მოიცავდა ჯგუფურ მუშაობას, დისკუსიებს, რეალურ თემებს, განმავითარებელ შეფასებას და პოზიტიურ უკუკავშირს.

ამის საპასუხოდ, მასწავლებლებმა დანერგეს უფრო ინტერაქტიული და მოსწავლეზე ორიენტირებული სტრატეგიები, მათ შორის ჯგუფური დავალებები, როლური თამაშები, რეალურ ცხოვრებასთან დაკავშირებული დისკუსიები, ტექნოლოგიების უფრო ფართო გამოყენება და თანმიმდევრული განმავითარებელი შეფასება.

შედეგებმა აჩვენა მოსწავლეთა ჩართულობის აშკარა გაუმჯობესება. მოსწავლეები უფრო აქტიურად მონაწილეობდნენ, მეტად თანამშრომლობდნენ და აჩვენებდნენ უფრო მაღალ მოტივაციას, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც დავალებები გააზრებაზე ორიენტირებული და მათ გამოცდილებასთან დაკავშირებული იყო. კვლევამ გამოკვეთა, რომ ჩართულობა იზრდება მაშინ, როდესაც გაკვეთილები არის ინტერაქტიული, რელევანტური და ითვალისწინებს სწავლის განსხვავებულ საჭიროებებს.[16]

[16] ეს კვლევა ჩაატარეს თამარ ხადურმა, ხათუნა გაგნიძემ, დარეჯან გაჩეჩილაძემ, მაკა არევაძემ და ნინო ფოფხაძემ კოლეგა მენტორის, დიანა ტაბატაძის ხელმძღვანელობით.

მიუხედავად იმისა, რომ პოსტერები და ზეპირი პრეზენტაციები თქვენი კვლევის გაზიარების სასარგებლო გზებია, თქვენ ასევე შეგიძლიათ გადაწყვიტოთ ანგარიშის დაწერა. ეს განსაკუთრებით სასარგებლოა მაშინ, თუ გსურთ თქვენი იდეების უფრო სრულყოფილად და სტრუქტურირებულად თავმოყრა, ან თუ გსურთ თქვენი ნამუშევრის ფართო აუდიტორიისთვის გაზიარება. კვლევის ანგარიშის დაწერა, ასევე შეიძლება სასარგებლო იყოს პროფესიული მიზნებისთვის, როგორიცაა შეფასება, დაწინაურება ან სწავლის გაგრძელება. ასეთ შემთხვევებში სასარგებლოა საკონტაქტო ინფორმაციის მითითება, რათა სხვებმა შეძლონ თქვენთან დაკავშირება და თქვენი ნამუშევრის შესახებ უკუკავშირის მოწოდება.

თუ გადაწყვეტთ კვლევის ანგარიშის დაწერას, სასარგებლოა მკაფიო სტრუქტურის დაცვა. ამის ერთ-ერთი პრაქტიკული გზა არის სახელმძღვანელო კითხვების გამოყენება. ეს კითხვები დაგეხმარებათ თქვენი იდეების ორგანიზებაში, საძიებო-სამოქმედო კვლევის სხვადასხვა ეტაპის გახსენებაში და იმის უზრუნველყოფაში, რომ ყველა მნიშვნელოვანი ელემენტი იყოს გათვალისწინებული. ნაცვლად იმისა, რომ „ანგარიშის დაწერა" ერთიან დავალებად აღიქვათ, შეგიძლიათ მას მიუახლოვდეთ ეტაპობრივად, კითხვებზე პასუხების გაცემის გზით. შემდეგ თქვენი პასუხები შეიძლება გამოიყენოთ სრული ანგარიშის მოსამზადებლად.

ქვემოთ მოცემული კითხვები დაგეხმარებათ ამ პროცესში.

სახელმძღვანელო კითხვები კვლევის ანგარიშის დასაწერად

ინსტრუქცია: გთხოვთ წაიკითხოთ და უპასუხოთ შემდეგ კითხვებს. ისინი დაგეხმარებათ გაიხსენოთ ყველაზე მნიშვნელოვანი ასპექტები დასრულებული საძიებო-სამოქმედო კვლევის პროექტიდან.

<u>თქვენი სკოლის, სწავლებისა და კონტექსტის შესახებ</u>

1. აღწერეთ თქვენი სწავლების კონტექსტი
   (ინსტიტუცია, მდებარეობა, მოსწავლეთა ფონი; დონე, ასაკობრივი ჯგუფი და სხვა შესაბამისი ინფორმაცია)

_____

_____

<u>თქვენი მთავარი ფოკუსის შესახებ</u>

2. რა სიტუაციის კვლევა აირჩიეთ?
   (აღწერეთ მთავარი საკითხი, რომლის კვლევაც გადაწყვიტეთ)

_____

_____

3. რა მნიშვნელობა აქვს ამ თემას თქვენი სწავლებისთვის?
   (რატომ აირჩიეთ ეს თემა? რატომ არის ის აქტუალური თქვენი სწავლებისა და მოსწავლეთა სწავლისთვის?)

_____

_____

<u>კვლევის პროცესის შესახებ</u>

4. რა იყო თქვენი საძიებო კვლევის კითხვები?
   (ჩამოაყალიბეთ კითხვები, რომლითაც ხელმძღვანელობდით კვლევისას)

_____

_____

5. რა მეთოდები გამოიყენეთ საწყისი მონაცემების შესაგროვებლად? (მაგალითად, კითხვარები, კოლეგის დაკვირვება ან გამოკითხვები და როგორ გამოიყენეთ ისინი)

_____

_____

6. რა პასუხები მიიღეთ საძიებო კითხვებზე? (აქ აღწერეთ თქვენი ძირითადი მიგნებები და მათი ინტერპრეტაცია)

_____

_____

<u>ინტერვენცია/გამოყენებული ღონისძიებები</u>

7. რა ქმედებები განახორციელეთ მიღებული შედეგების საფუძველზე? (აღწერეთ სამოქმედო გეგმა, რომელიც შეიმუშავეთ და განახორციელეთ)

_____

_____

<u>შეფასების შესახებ</u>

8. რა მეთოდები გამოიყენეთ სამოქმედო გეგმის გავლენის შესაფასებლად? (აღწერეთ, როგორ შეაგროვეთ მტკიცებულებები თქვენი ქმედებების გავლენის დასადგენად)

_____

_____

9. რა აღმოაჩინეთ ჩარევის განხორციელების შემდეგ? (აღწერეთ შეგროვებული მტკიცებულებები განხორციელებულ ქმედებებთან დაკავშირებით)

_____

_____

<u>თქვენი სწავლებისა და სამომავლო ქმედებების შესახებ</u>

10. როგორ ასწავლით ამ გამოცდილებიდან მიღებული ცოდნის საფუძველზე?
(შეგროვებული მტკიცებულებების, განხორციელებული პროცესისა და ქმედებების გათვალისწინებით, როგორ შეიცვლება ან გაუმჯობესდება თქვენი სწავლება ამის შედეგად)

_____

_____

11. რა ისწავლეთ ამ გამოცდილებიდან?
(თავისუფლად გამოხატეთ, რა ისწავლეთ ამ მთლიანი პროცესისდაან)

_____

_____

ნახავთ, რომ ზემოთ შემოთავაზებული ელემენტები შეესაბამება საძიებო-სამოქმედო კვლევის სხვადასხვა ეტაპს, რომლებსაც ამ სახელმძღვანელოში გადიხართ. კიდევ ერთი რჩევა, თუ პრეზენტაციას აკეთებთ, მსმენელები ყველაზე მეტად ინტერესდებიან კონტექსტით, კვლევის კითხვებითა და მიგნებებით. გამოყავით საკმარისი დრო ამ საკითხებზე სასაუბროდ, განსაკუთრებით კი მიგნებებზე, და ნუ დახარჯავთ დიდ დროს კვლევის ინსტრუმენტებისა და ანალიზის დეტალურ განხილვაზე. მსმენელებს შეუძლიათ, საჭიროების შემთხვევაში, ამ თემებზე მეტი კითხვა დაგისვან ზოგადი მიმოხილვის მოსმენის შემდეგ.

თუ ანგარიშის დასაწერად სახელმძღვანელო კითხვები არ გამოგიყენებიათ, დასაწყებად ერთ-ერთი პრაქტიკული გზაა, ჩაიწეროთ საკუთარი თავი პრეზენტაციის დროს და შემდეგ ეს ჩანაწერი გამოიყენოთ წერილობითი ნაშრომის საფუძვლად.

და ბოლოს, შეიძლება შენიშნოთ, რომ ამ სტრუქტურაში არ არის გათვალისწინებული აკადემიური ლიტერატურის მიმოხილვა. თუ გსურთ თქვენი ანგარიში გადააქციოთ აკადემიური ჟურნალის სტატიად, ეს მოთხოვნა აუცილებელი იქნება, თუმცა მასწავლებლის კვლევის ანგარიშისთვის ეს საჭირო არ არის. თქვენი მუშაობის მიზანია უკეთ გაიგოთ თქვენი საკუთარი საკლასო გარემო და უპასუხოთ პრაქტიკიდან გამომდინარე კითხვებს, და არა აკადემიურ დებატებში ჩართვა. ყველაზე მნიშვნელოვანი ის არის, რომ თქვენ შეძლოთ საკუთარი კონტექსტის უფრო სიღრმისეულად გაგება და შეძელით ამ ცოდნის სხვებისთვის გაზიარება.

დავალებები

1. წაიკითხეთ ქვემოთ მოცემული მაგალითი 17 და კვლევის წარმოსაჩენად შექმნილი პოსტერი. პოსტერი აჯამებს კვლევას, თუმცა მისი ზოგიერთი ნაწილი არ არის დასრულებული. მაგალითში მოცემული ინფორმაციის გამოყენებით, შეავსეთ სექციები მონაცემთა შეგროვების ინსტრუმენტების, მიგნებებისა და საბოლოო შედეგების შესახებ.

მაგალითი 17: კითხვის უნარების გაუმჯობესება სტრუქტურირებული სტრატეგიების გამოყენების მეშვეობით

ეს კვლევა ჩაატარა შვიდმა მასწავლებელმა, რომლებიც ასწავლიდნენ ბუნებისმეტყველებას (III კლასი), ქართულ ენასა და ლიტერატურას (III და VI კლასები) და ინგლისურ ენას (VI კლასი). მათი მიზანი იყო გაეგოთ, რატომ უჭირდათ მოსწავლეებს წაკითხულის გააზრება და რა შეიძლებოდა დახმარებოდათ ამ უნარის გაუმჯობესებაში

მონაცემები შეგროვდა მოსწავლეების კითხვარების, კოლეგების დაკვირვებისა და ფოკუს-ჯგუფების მეშვეობით. შედეგებმა აჩვენა სამი ძირითადი პრობლემა. პირველ რიგში, მოსწავლეებს უჭირდათ ინტერესისა და კონცენტრაციის შენარჩუნება გრძელი ტექსტების დამუშავებისას, რაც ზეგავლენას ახდენდა მათ მიერ ტექსტის გაგებაზე. მეორე, შეზღუდული ლექსიკა და უცნობი ტერმინები ართულებდა გააზრებას. მესამე, გაკვეთილებზე გამოყენებული აქტივობები ყოველთვის ეფექტური არ იყოს მოსწავლეების მხარდასაჭერად წაკითხულის გააზრებისას.

ამის საპასუხოდ, მასწავლებლებმა დანერგეს სტრუქტურირებული კითხვის პროცესი. ეს მოიცავდა კითხვამდე აქტივობებს, რომლებიც ააქტიურებდა წინარე ცოდნას, მართულ კითხვას, რომელიც ეტაპობრივად უჭერდა მხარს გაგებას, და კითხვის შემდგომ დავალებებს რეფლექსიისთვის. ასევე გამოიყენეს ვიზუალური მასალები, ღია ტიპის კითხვები და თანამშრომლობითი აქტივობები.

შედეგებმა აჩვენა მკაფიო გაუმჯობესება. მოსწავლეთა ჩართულობა გაიზარდა, განსაკუთრებით იმ მოსწავლეებში, რომლებიც ადრე ნაკლებად აქტიურები იყვნენ. ინტერაქტიული აქტივობები, როგორიცაა ჯგუფური მუშაობა და როლური თამაშები, გაკვეთილებს უფრო მიმზიდველსა და სასიამოვნოს ხდიდა. ასევე, მოსწავლეები უფრო თავდაჯერებულები გახდნენ და უფრო აქტიურად მონაწილეობდნენ, რაც ქმნიდა უფრო პოზიტიურ სასწავლო პროცესს..[17]

[17] მოცემული კვლევა განახორციელეს ლია ნათენაძემ, ბელა ჯანგველაძემ, ზაირა მაკარიძე, ნანა ბარდაველიძემ, ქეთევან გოდერიძემ, დავით აბაკელიამ და ნათია ბედინაშვილმა კოლეგა-მენტორის რუსუდან კარკაძის მენტორობით.

2. წაიკითხეთ ამ თავში მოცემული ინფორმაცია და უპასუხეთ შემდეგ კითხვებს:

   ა. დაასახელეთ ორი მიზეზი, თუ რატომ არის თქვენი კვლევის გაზიარება მნიშვნელოვანი.

   ბ. დაასახელეთ ორი განსხვავებული აუდიტორია, ვისთანაც შეგიძლიათ თქვენი კვლევის გაზიარება.

   გ. მოიყვანეთ ერთი მაგალითი იმ ფორმატის, რომელიც შეგიძლიათ გამოიყენოთ თქვენი კვლევის გასაზიარებლად თქვენს სკოლაში.

კითხვები დისკუსიისათვის

1. რა ხდის კვლევის გაზიარების გზას მკაფიოსა და სხვებისთვის ადვილად გასაგებს?

2. როგორ შეიძლება მოსწავლეებისათვის კვლევის გაზიარებამ გავლენა მოახდინოს მათ სწავლაში ჩართულობაზე?

3. თქვენს კონტექსტში, რამ შეიძლება წაახალისოს უფრო მეტი მასწავლებელი, ჩაერთონ კვლევაში?

თქვენი კვლევის ჩანაწერები

გამოიყენეთ ეს სივრცე, რათა ჩაიწეროთ შენიშვნები თქვენი კვლევის შესახებ, ამ წიგნში მოცემულ აქტივობებზე მუშაობის პროცესში.

დაფიქრდით თქვენს საკუთარ კვლევაზე და შეავსეთ ქვემოთ მოცემული ჩანაწერები.

ჩემი შესაძლო სამიზნე აუდიტორია:

_____

_____

_____

სად შემიძლია გავაზიარო ჩემი კვლევის შედეგები:

_____

_____

_____

ფორმატი, რომელსაც გამოვიყენებ (მაგ: პოსტერი, მოკლე წარდგინება მოხსენების სახით):

_____

_____

_____

მნიშვნელოვანი საკითხები, რომელსაც მოვიცავ (კონტექსტი, მიგნებები, ქმედებები/ინტერვენციები):

_____

_____

_____

ერთი კითხვა, რომელსაც სხვებს ჩემი კვლევის შესახებ ვკითხავდი:

_____

_____

_____

17 გამოცდილების გაფართოვება

თუ თქვენთვის ღირებული აღმოჩნდა საძიებო-სამოქმედო კვლევის (EAR) გამოცდილება, შეგიძლიათ დაიწყოთ ფიქრი, როგორ შეიძლება ეს პროცესი მომავალშიც განვითარდეს. თქვენი გამოცდილების გაფართოება აუცილებლად არ ნიშნავს ყველაფრის თავიდან დაწყებას. ეს შეიძლება გულისხმობდეს, როგორც თქვენს კლასში, ასევე მის ფარგლებს გარეთ უკვე მიღებულ ცოდნაზე დაყრდნობით მის სხვადასხვა გზით განვითარებას.

ა) თქვენი მიგნებების უფრო სიღრმისეული შესწავლა

ერთ-ერთი შესაძლო მიმართულებაა თქვენი მიგნებების უფრო ღრმად გაანალიზება. სრულიად ახალ თემაზე გადასვლის ნაცვლად, შეგიძლიათ დაეყრდნოთ იმას, რაც უკვე აღმოაჩინეთ. მაგალითად, თუ თქვენმა კვლევამ აჩვენა, რომ ზოგიერთ მოსწავლეებს კვლავ აქვთ სირთულეები, მიუხედავად განხორციელებული ცვლილებებისა, შეგიძლიათ ყურადღება გაამახვილოთ სწორედ ამ მოსწავლეებზე: რა გამოწვევებს აწყდებიან ისინი კვლავ? რა სახის მხარდაჭერა ეხმარებათ ყველაზე მეტად? ასეთი შემდგომი კვლევა საშუალებას გაძლევთ უკეთ გაიგოთ თქვენი კლასის სირთულეები და უფრო მიზანმიმართულად დახვეწოთ სწავლება.

ბ) კვლევის ინტეგრირება ყოველდღიური სწავლების პროცესში

შეგიძლიათ ასევე გადაწყვიტოთ, რომ კვლევა ყოველდღიური სწავლების პროცესში უფრო მეტად ჩართოთ. კვლევა აღარ უნდა აღიქვათ როგორც ცალკე პროექტი, ის შეიძლება გახდეს თქვენი ყოველდღიური პრაქტიკის ნაწილი. მაგალითად, შეგიძლიათ სისტემატურად შეაგროვოთ მოკლე

უკუკავშირი მოსწავლეებისგან გაკვეთილის ბოლოს, შეინახოთ მოკლე ჩანაწერები იმაზე, თუ რამ იმუშავა და რამ არა, ან სცადოთ მცირე ცვლილებები და დააკვირდეთ მათ გავლენას დროთა განმავლობაში. მაგალითად, მასწავლებელი, რომელმაც შეისწავლა მოსწავლეთა ჩართულობა, შეიძლება კვირიდან კვირამდე ცვლიდეს აქტივობებს და აკვირდებოდეს, როგორ მოქმედებს სხვადასხვა მიდგომა მონაწილეობის ხარისხზე. ამგვარად, კვლევა ხდება გააზრებისა და რეფლექსიის ჩვევა და არა ერთჯერადი აქტივობა.

ეს შესაძლებელია მარტივი და მართვადი გზებითაც განახორციელოთ. შეგიძლიათ დაიწყოთ იმით, რომ შეარჩიოთ თქვენი სწავლების ერთი მცირე ასპექტი და გარკვეული პერიოდის განმავლობაში ყურადღება მიაქციოთ მას. მაგალითად, შეგიძლიათ დაკვირვება გააკეთოთ იმაზე, როგორ აძლევთ ინსტრუქციებს და როგორ რეაგირებენ მოსწავლეები: იწყებენ თუ არა დავალებას სწრაფად, თუ საჭიროებენ განმეორებით ახსნას? ყოველი გაკვეთილის შემდეგ შეგიძლიათ ჩაიწეროთ მოკლე შენიშვნები და დროთა განმავლობაში უკეთ დაინახოთ, რა ეხმარება მოსწავლეებს დავალებების უფრო მარტივად გაგებაში.

კიდევ ერთი შესაძლებლობაა გაკვეთილებში ჩართოთ მოკლე რუტინები, რომლებიც საშუალებას მოგცემთ რეგულარულად შეაგროვოთ ინფორმაცია. მაგალითად, შეგიძლიათ სთხოვოთ მოსწავლეებს, გაკვეთილის ბოლოს ერთ წინადადებაში დაწერონ, რა იყო მათთვის ყველაზე რთული ან ყველაზე სასარგებლო. დროთა განმავლობაში ასეთი მცირე უკუკავშირი დაგეხმარებათ ტენდენციების დანახვაში და გააზრებული ცვლილებების განხორციელებაში. ასევე შეგიძლიათ გამოიყენოთ სწრაფი ხელის აწევით კითხვები, „გასასვლელი ბარათები“ ან მოკლე დისკუსიები, რათა შეამოწმოთ, როგორ აღიქვამენ მოსწავლეები სხვადასხვა აქტივობას. პრაქტიკაში ეს შეიძლება გამოიხატოს მცირე, მაგრამ რეგულარულ ქმედებათა ერთობლიობით, რაც დაგეხმარებათ უკეთ გაიგოთ თქვენი მოსწავლეების საჭიროებები და დროთა განმავლობაში გააანალიზოთ თქვენი სწავლება. მკვლევარ-მასწავლებელი აღწერს, როგორ გახდა ამგვარი უწყვეტი კვლევა მისი ყოველდღიური პრაქტიკის ნაწილი:

მე გავხდი უფრო თვითრეფლექსიური და გახსნილი ჩემი მოსწავლეების საჭიროებების გათვალისწინების კუთხით, მათ ვაძლევ შესაძლებლობას ისაუბრონ და გამოხატონ საკუთარი მოსაზრებები. ვიყენებ გასასვლელ ბარათებს მოსწავლეებისგან უკუკავშირის მისაღებად, და თუ პრობლემას შევამჩნევ, პირველ

რიგში ვცდილობ გავიგო მისი მიზეზები, მათ შორის სოციო-ემოციური ფაქტორებიც.

ასევე ვიყენებ მოსწავლეთა კითხვარებს ან ინტერვიუებს, მაგალითად იმის გასარკვევად, თუ როგორ სურთ მათ საკუთარი ცოდნის დემონსტრირება. ზოგჯერ გაკვეთილის შემდეგ ვაკეთებ ჩანაწერებს და მათ ვიყენებ შემდეგი გაკვეთილის დაგეგმვისას, სწავლების გაუმჯობესების მიზნით. ასევე მოვიწვიე კოლეგები ჩემს გაკვეთილებზე დასაკვირვებლად მაშინ, როცა კონკრეტული საკითხი მაწუხებდა და მჭირდებოდა სხვა პერსპექტივა იმის გასაგებად, როგორ ვმუშაობდით მე და ჩემი მოსწავლეები.

(ინგა მდივანი)

გ) სხვებთან თანამშრომლობა უწყვეტი კვლევის მხარდასაჭერად

სხვებთან თანამშრომლობა ასევე შეიძლება დაეხმაროს ამგვარ უწყვეტ კვლევას. შეგიძლიათ მოიწვიოთ კოლეგა, რომ დააკვირდეს თქვენი გაკვეთილის ერთ კონკრეტულ ასპექტს, ან უბრალოდ არაოფორმალურად გაუზიაროთ მას თქვენი რეფლექსიები. თუნდაც მოკლე საუბარი დაგეხმარებათ, თქვენი პრაქტიკა სხვა კუთხით დაინახოთ და ახალი იდეები შეიმუშავოთ.

მნიშვნელოვანია, ეს პროცესი იყოს რეალისტური და მდგრადი. არ არის საჭირო დიდი მოცულობის მონაცემების შეგროვება ან ყველაფრის დეტალურად ანალიზი. მოკლე ჩანაწერები, მარტივი დაკვირვებები და მოსწავლეთა პერიოდული უკუკავშირი ხშირად საკმარისია შინაარსიანი რეფლექსიისთვის. მიზანი არ არის ფორმალური კვლევის წარმოება, არამედ თქვენი სწავლებისადმი ცნობისმოყვარეობის შენარჩუნება და მოსწავლეების საჭიროებებზე რეაგირება.

დ) კვლევის გაგრძელება ახალი ციკლით

რა თქმა უნდა, თქვენი პირველი კვლევითი პროექტის შედეგად მიღებულ ცოდნასა და გამოცდილებაზე დაყრდნობით, შეიძლება გადაწყვიტოთ, რომ გააგრძელოთ საკუთარი პრაქტიკის კვლევა. თქვენმა კვლევამ შესაძლოა ახალი კითხვები გააჩინა ან გამოავლინა საკითხები, რომლებიც კვლავ საჭიროებს ყურადღებას. მაგალითად, თუ კვლევამ აჩვენა, რომ მოსწავლეები უფრო აქტიურად ერთვებიან ჯგუფურ მუშაობაში, შეიძლება დაგაინტერესოთ: რა ტიპის ჯგუფური დავალებები უწყობს ყველაზე მეტად ხელს ჩართულობას? ან როგორია სხვადასხვა მოსწავლის გამოცდილება ჯგუფური მუშაობისას? ამ გზით თქვენ გადადიხართ პრობლემის ზოგადი გაგებიდან უფრო ფოკუსირებულ და სიღრმისეულ კვლევაზე.

მკვლევარი-მასწავლებელი, ციალა ჭანტურია, აღწერს, როგორ მოხდა ეს მის შემთხვევაში:

ჩემი პირველი კვლევის შემდეგ ჩავატარე მეორე სამოქმედო კვლევა. ამჯერად ყურადღება გავამახვილე მეშვიდე კლასის მოსწავლეების დავალებების შესრულების დაბალ მოტივაციაზე. ეს თემა შევარჩიე, რადგან დავაკვირდი, რომ ბევრი მოსწავლე სრულად არ იყო ჩართული ან არ ასრულებდა დავალებებს სისტემატურად. კვლევის ფარგლებში შევისწავლე ისეთი სტრატეგიები, როგორიცაა დავალებების უფრო რელევანტური გახსნა, უფრო მკაფიო ინსტრუქციების მიცემა და უფრო ინტერაქტიული, მოსწავლეზე ორიენტირებული აქტივობების გამოყენება.

ე) სხვების მხარდაჭერა მენტორობის გზით

ასევე, შეგიძლიათ იკისროთ უფრო აქტიური როლი თქვენი სკოლის ან ადგილობრივი თემის დონეზე კვლევის მხარდასაჭერად. შესაძლოა უკვე შენიშნეთ, რომ კოლეგებს უჩნდებათ ინტერესი, როცა თქვენს გამოცდილებას უზიარებთ, ან ხედავთ შესაძლებლობებს, ჩაერთოთ უფრო ფართო, სასკოლო ან ადგილობრივ პროექტებში. რადგან თავად გაქვთ ამ პროცესის გამოცდილება, შეგიძლიათ დაეხმაროთ სხვებს კითხვების ფორმულირებაში, შესაბამისი ინსტრუმენტების შერჩევასა და შედეგების გააზრებაში. ამგვარად, შეგიძლიათ გახდეთ როლური მოდელი და სხვებს თქვენი გამოცდილებით დაეხმაროთ.

ამგვარი მხარდაჭერა შეიძლება იყოს როგორც არაფორმალური, კოლეგებთან თანამშრომლობის გზით, ასევე უფრო ფორმალური, მენტორის როლში. მენტორობა არ გულისხმობს სხვებისთვის მითითებების მიცემას ან ყველა პასუხის ცოდნას. ის გულისხმობს ყურადღებით მოსმენას, გააზრებული კითხვების დასმას და სხვების დახმარებას, თავად მიიღონ გადაწყვეტილებები საკუთარ კვლევასთან დაკავშირებით. ეს არის მასწავლებლების წახალისება და გაძლიერება, რათა მეტი კონტროლი ჰქონდეთ საკუთარ სწავლასა და პროფესიულ განვითარებაზე.

ერთმა გამოცდილმა მენტორმა საქართველოში პროგრამის ფარგლებში ასე შეაფასა ეს როლი:

მენტორობა დამეხმარა კომუნიკაციისა და ლიდერული უნარების გაუმჯობესებაში, მომცა უკუკავშირის გაცემის გამოცდილება და დამანახა საკითხები სხვადასხვა პერსპექტივიდან. ასევე ვისწავლე გუნდური მუშაობის მნიშვნელობა და განსხვავებული გამოცდილების მქონე ადამიანებთან თანამშრომლობა".

(სალომე ზარქუა)

მკვლევარი-მასწავლებლები კოლეგიალური-მენტორინგის ტრენინგის შემდეგ.

თუ კვლევის პროცესში მენტორისგან მხარდაჭერა გქონდათ, სასარგებლო შეიძლება იყოს ამ გამოცდილებაზე რეფლექსია.

შეჩერდით და დაფიქრდით

- რა შეიძლება იყოს ისეთი, რაც ღირს უფრო სიღრმისეულად შეისწავლოთ და რატომ?
- როგორი ტიპის მხარდაჭერა იყო თქვენთვის ყველაზე სასარგებლო?
- როგორ გიძღვებოდათ მენტორი სხვადასხვა ეტაპზე?

თუ ფიქრობთ, რომ შეძლებდით მსგავსი გზით სხვა მასწავლებლის მხარდაჭერას და გსურთ ამის ცდა, არსებობს რამდენიმე მნიშვნელოვანი საკითხი, რაც უნდა გაითვალისწინოთ.

ქვემოთ მოცემული რეკომენდაციები ეკუთვნით კოლეგა-მენტორებს, რომლებიც ამ სახელმძღვანელოში წარმოდგენილ კვლევით პროექტებში ჩართულ მასწავლებლებს ეხმარებოდნენ. საკუთარი უახლესი გამოცდილებიდან გამომდინარე, ისინი აზიარებენ პრაქტიკულ რჩევებს, რომლებიც დაგეხმარებათ სხვების მხარდაჭერაში სამოქმედო კვლევის პროცესში:

- შექმენით მხარდამჭერი და უსაფრთხო გარემო, სადაც მასწავლებლები კომფორტულად იგრძნობენ თავს იდეების გაზიარებისა და ახალი მიდგომების გამოცდისას.
- დაიწყეთ მასწავლებლებთან საუბრით, რათა გაიგოთ რა სირთულეებს აწყდებიან, და დაეხმარეთ მათ მკაფიო და ფოკუსირებული კვლევითი კითხვის ფორმულირებაში, მათი საკლასო საჭიროებების საფუძველზე.

- წაახალისეთ მასწავლებლები, კონცენტრირდნენ მცირე, კონკრეტულ და მართვად საკითხებზე და არა ამბიციურ ცვლილებებზე, და დაისახონ რეალისტური და მიღწევადი მიზნები.

- იხელმძღვანელეთ არა მითითებებით, არამედ კითხვების დასმით, რეფლექსიის წახალისებით და მასწავლებლების დახმარებით, რომ თავად მიიღონ გადაწყვეტილებები.

- უზრუნველყავით პრაქტიკული მხარდაჭერა, მათ შორის მარტივი ინსტრუმენტების შერჩევაში, საჭიროების შემთხვევაში, საკონტროლო სიების/ სარეკომენდაციო ჩამონათვალის გამოყენებაში, და შედეგების გააზრებაში პროცესის ზედმეტი გართულების გარეშე.

- იყავით პროცესის მაგალითი, გააზიარეთ საკუთარი გამოცდილება და რეალური მაგალითები, რათა მასწავლებლებმა იცოდნენ, რას უნდა ელოდნენ თითოეულ ეტაპზე.

- წაახალისეთ რეგულარული რეფლექსია, თანამშრომლობა და დისკუსია, მათ შორის კოლეგებთან ან „კრიტიკულ მეგობრებთან“ მუშაობა.
- პერიოდულად გადაამოწმეთ, როგორ მიმდინარეობს კვლევა და საჭიროების შემთხვევაში შესთავაზეთ მხარდაჭერა.

- იყავით მომთმენი და მხარდამჭერი მთელი პროცესის განმავლობაში, აღიარეთ მასწავლებლების ძალისხმევა და მიეცით კონსტრუქციული, წამახალისებელი უკუკავშირი.

- აღიარეთ და დააფასეთ მიღწეული პროგრესი, რათა შეინარჩუნონ მოტივაცია და თავდაჯერებულობა.

3) კავშირი უფრო ფართო პროფესიულ საზოგადოებასთან

კიდევ ერთი შესაძლებლობაა თქვენი კვლევის დაკავშირება უფრო ფართო პროფესიულ საზოგადოებასთან. ეს შეიძლება გულისხმობდეს სხვა სკოლების მასწავლებლებთან თანამშრომლობას, რომლებიც მსგავს კითხვებზე მუშაობენ, ან მონაწილეობას ადგილობრივ ან რეგიონულ მკვლევარ-მასწავლებელთა ჯგუფში. მაგალითად, სხვადასხვა სკოლის მასწავლებლებმა შეიძლება ერთად იკვლიონ საერთო საკითხი, როგორიცაა მოსწავლეთა მოტივაცია ან წაიკითხულის გააზრება, და შემდეგ შეადარონ თავიანთი შედეგები განსხვავებულ კონტექსტში. ეს დაგეხმარებათ დაინახოთ, როგორ ვლინდება მსგავსი გამოწვევები სხვადასხვა

კლასებში და გააფართოოთ თქვენი ხედვა შესაძლო რეაგირების გზებზე.

შეიძლება ასევე აღმოაჩინოთ შესაძლებლობები, რომ თქვენი საქმიანობა დაუკავშიროთ უფრო ფართო პროფესიულ კონტექსტს. მაგალითად, საქართველოში მასწავლებელთა პროფესიული განვითარების და კარიერული წინსვლის სქემა ხელს უწყობს მასწავლებლებს ჩაერთონ კვლევაზე დაფუძნებულ პრაქტიკაში და წვლილი შეიტანონ განათლების განვითარებაში. შესაბამისად, კვლევაში მონაწილეობა ან მისი მხარდაჭერა შეიძლება მნიშვნელოვანი იყოს სხვადასხვა პროფესიულ გზაზე.

ზოგადად, თქვენი, როგორც მკვლევარი პროფესიონალის გამოცდილების გაფართოება გულისხმობს კითხვების დასმის გაგრძელებას, საკუთარი პრაქტიკის უფრო სიღრმისეულ შესწავლას და თქვენი საქმიანობის დაკავშირებას უფრო ფართო კონტექსტებთან. ეს შეიძლება სხვადასხვა ფორმით განხორციელდეს: წინა შედეგებზე დაყრდნობით მუშაობის გაგრძელება, ყოველდღიურ სწავლებაში მცირე და მართვადი კვლევითი პრაქტიკის ინტეგრირებით, სხვებთან თანამშრომლობით ან კოლეგების მხარდაჭერით მათივე კვლევაში. სამოქმედო კვლევა არ არის ერთჯერადი აქტივობა, ეს არის მიდგომა, რომელიც დროთა განმავლობაში ვითარდება, გეხმარებათ დარჩეთ მოსწავლეებზე ორიენტირებული და მუდმივად რეფლექსიური, მაშინაც კი, როცა ახალი კითხვები ჩნდება და თქვენი ცოდნა იზრდება.

დავალებები

1. გადახედეთ ქვემოთ მოცემულ ვარიანტებს და მონიშნეთ (✔) ისინი, რომლებიც ასახავს კვლევითი გამოცდილების გაფართოების გზებს:

☐ სრულიად ახალ თემაზე მუშაობის დაწყება, წინა შედეგებზე რეფლექსიის გარეშე

☐ წინა შედეგების კონკრეტული ასპექტის უფრო დეტალურად შესწავლა

☐ გაკვეთილებზე რეგულარულად მცირე მოცულობის მონაცემების შეგროვება

☐ თქვენი კვლევიდან წარმოქმნილი ახალი კითხვების იგნორირება

☐ სხვა სკოლების მასწავლებლებთან ერთად საერთო საკითხზე მუშაობა

2. წაიკითხეთ ქვემოთ მოცემული სიტუაციები. თითოეულისთვის დაწერეთ, რა შეიძლება გააკეთოს მასწავლებელმა, რათა გააგრძელოს თავისი კვლევა:

ა. მასწავლებელმა დაადგინა, რომ ჯგუფურმა მუშაობამ გაზარდა ჩართულობა, თუმცა ზოგიერთი მოსწავლე მაინც არ მონაწილეობდა. რა შეიძლება იკვლიოს მასწავლებელმა შემდეგ?

ბ. მასწავლებელმა შენიშნა, რომ მოსწავლეები კარგად რეაგირებდნენ ვიზუალურ მასალებზე გაკვეთილებზე. რაზე შეიძლება გაამახვილოს ყურადღება მასწავლებელმა, რათა ეს მიმართულება კიდევ უფრო განავითაროს?

გ. მასწავლებელს სურს, რომ კვლევა გახდეს მისი ყოველდღიური სწავლების ნაწილი. რას შეიძლება აკეთებდეს ის რეგულარულად თავის გაკვეთილებზე?

კითხვები დისკუსიისათვის

1. ყველაფრის ერთდროულად გაუმჯობესების მცდელობის ნაცვლად, ეს თავი გვთავაზობს, ყურადღება გავამახვილოთ ჩვენი კვლევის შედეგების უფრო მცირე ასპექტზე. რა შეიძლება მოგვიტანოს ამ მიდგომამ და რა შეიძლება გამოგვრჩეს?

2. ეს თავი წარმოგვიდგენს კვლევის გაგრძელების რამდენიმე გზას (მაგალითად, კვლევის გაგრძელება, ყოველდღიური რეფლექსია, თანამშრომლობა, მენტორობა). თქვენი კონტექსტიდან გამომდინარე, რომელია მათ შორის ყველაზე რეალისტური და რატომ?

3. როდესაც მასწავლებლები უკავშირდებიან სხვებს (კოლეგებს, სხვა სკოლებს ან ქსელებს), როგორ შეიძლება ამან გავლენა მოახდინოს იმაზე, თუ როგორ აღიქვამენ ისინი საკუთარ კლასს?

4. მოცემული თავი მიუთითებს, რომ კვლევა შეიძლება გახდეს ყოველდღიური სწავლების ნაწილი მცირე ქმედებების საშუალებით (მაგალითად, ჩანაწერები, უკუკავშირი, შედარება). რომელი მათგანის დაწყება იქნებოდა თქვენთვის ყველაზე მარტივი და რამ შეიძლება გაართულოს მისი ხანგრძლივად შენარჩუნება?

თქვენი კვლევის ჩანაწერები

გამოიყენეთ ეს სივრცე, რათა ჩაიწეროთ შენიშვნები თქვენი კვლევის შესახებ, ამ წიგნში მოცემულ აქტივობებზე მუშაობის პროცესში.

იფიქრეთ, როგორ შეგიძლიათ გააგრძელოთ თქვენი კვლევა.
რომელი სფეროს სიღრმისეულად შესწავლას ისურვებდით უფრო მეტად?

_____

_____

_____

რატომ არის ეს მნიშვნელოვანი თქვენი სწავლებისა და თქვენი მოსწავლეების სწავლისთვის?

_____

_____

_____

უფრო რომელი კონკრეტული კითხვის კვლევა შეგიძლიათ განახორციელოთ?

_____

_____

_____

როგორ შეგიძლიათ გააგრძელოთ დაკვირვება ან ინფორმაციის შეგროვება თქვენს გაკვეთილებზე?

_____

_____

_____

რა შესაძლო კავშირების დამყარება შეგიძლიათ თქვენი საკლასო ოთახის მიღმა (მაგალითად, სხვა მასწავლებლებთან, სკოლებთან ან ქსელებთან)?

_____

_____

_____

ნაწილი 5:
დავალებების პასუხები

თავი 1 - პასუხები

პასუხები

დავალება 1.

ა. მაგალითი 2
ბ. ორივე
გ. ორივე
დ. მაგალითი2
ე. ორივე
ვ. ორივე
ზ. ორივე

დავალება 2.

ვინ მიიღო სარგებელი როგორ დაეხმარა კვლევა?

მასწავლებლები	მოსწავლეთა დამოუკიდებლობის ნაკლებობა უკეთ გააცნობიერა; გამოავლინა უფრო მკაფიო მითითებებისა და დიფერენცირების საჭიროება; დაგეგმა პრაქტიკული სტრატეგიები, როგორიცაა "ჩეკლისტები", რუბრიკები, დროის მართვის ინსტრუმენტები და ჩართულობისა და მოტივაციის გამაძლიერებელი აქტივობები.
მოსწავლეები	დაისახეს უფრო მკაფიო მოლოდინები და მიიღეს სტრუქტურირებული მხარდაჭერა; განივითარეს მეტი დამოუკიდებლობა; გახდნენ უფრო მოტივირებულები და თავდაჯერებულები საკუთარი სწავლის მართვაში.

დავალება 3.

ბ. როგორ შეუძლია განმავითარებელი შეფასების პრაქტიკებს, განსაკუთრებით უკუკავშირს, გააუმჯობესოს მოსწავლეთა მოტივაცია, თავდაჯერებულობა და მონაწილეობა.

მასწავლებლებმა გამოიკვლიეს, როგორ და როდის უნდა მიეწოდოს უკუკავშირი, რათა გაიზარდოს მოსწავლეთა მოტივაცია, რაც აჩვენებს, რომ მათი ყურადღება მიმართული იყო განმავითარებელი შეფასების პრაქტიკების გაუმჯობესებაზე.

თავი 2 - პასუხები

პასუხების

დავალება 1.

ა – 2
ბ – 3
გ – 4
დ – 1
ე – 5

დავალება 2.

- ✔ მოსწავლეთა კითხვარები
- ✔ ფოკუს ჯგუფები
- ✔ რეფლექსიური ჟურნალები
- ✖ გაკვეთილზე კოლეგიალური დაკვირვება
- ✖ გასასვლელი ბარათები
- ✖ სკოლაში დანერგილი საერთო პროტოკოლი

თავი 3 - პასუხები

სწორი პასუხები:

ნანული: მოსწავლეთა ჩართულობა ჯგუფურ მუშაობაში; სხვებზე დამოკიდებულება; წერილობითი მათემატიკური დავალებების გააზრების სირთულე.

ქეთი: ჯგუფური მუშაობის ქაოსურობა; არათანაბარი მონაწილეობა; დისციპლინის პრობლემები.

ლიკა: სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეების ჩამორჩენა შერეულ ჯგუფებში; მაღალი აკადემიურუ მოსწრების მქონე მოსწავლეების მხრიდან მოტივაციის დაკარგვა; ზოგადად დაბალი მოტივაცია.

თავი 4 - პასუხები

საძიებო კითხვა	ფოკუსის არეალი
რა სირთულეებს აწყდებიან მოსწავლეები ინსტრუქციების გაგებასა და შესრულებაში?	სხვების აღქმები
რა სტრატეგიებს ვიყენებ ამჟამად, რომლებიც ეხმარება მოსწავლეებს ინსტრუქციების უკეთ გაგებაში?	თვითაღქმა
რამდენად ახერხებენ ჩემი მოსწავლეები ინსტრუქციების შესრულებას?	ქვევა

კითხვებზე პასუხები **კითხვა**	**SMART?**	**იმ შემთხვევაში თუ არა — რომელი კრიტერიუმი არ მოდის შესაბამისობაში?**
რატომ არ არიან მოტივირებული ჩემი მოსწავლეები?	☐ არა	M (Measurable) – not observable or specific enough; A (Accurate/clear) – vague wording_ M (გაზომვადი) – არ არის დაკვირვებადი ან საკმარისად კონკრეტული; A (ზუსტი/ნათელი) – შინაარსი ბუნდოვანია
როდის იღებენ ჩემი მოსწავლეები უფრო აქტიურ მონაწილეობას ჯგუფურ მუშაობაში?	☐ კი	
რა არის საუკეთესო გზა მოსმენის უნარების შესასწავლად?	☐ არა	S – სვამს კითხვას „საუკეთესო გზა“ ნაცვლად იმისა, რომ შეისწავლოს მიმდინარე სიტუაცია; R (რეალისტური) – სცდება ერთი მასწავლებლის საკლასო გარემოს
რამდენად ხშირად ვაძლევ გასაგებ, ნაბიჯ-ნაბიჯ ინსტრუქციებს აქტივობების დაწყებამდე?	☐ კი	
რატომ ვერ იგებს ზოგიერთ მოსწავლე გრამატიკულ ახსნა-განმარტებებს?	☐ არა	M – რთულია „რატომ“-ის გაზომვა მიზეზების განხილვის გარეშე;
რომელ საკლასო აქტივობებში საუბრობენ და ერთვებიან ჩემი წყნარი და მორცხვი მოსწავლეები უფრო აქტიურად?	☐ კი	

თავი 5 - პასუხები

პასუხები

1. შესაბამისი მონაცემი: ა (მასწავლებლის რეფლექსიური ჩანაწერები)

2. შესაბამისი მონაცემი: გ (მოსწავლეებთან ინტერვიუს/საუბრის ჩანაწერები)

3. შესაბამისი მონაცემი: დ (დაკვირვების ჩანაწერები ან საკონტროლო სია)

სავარაუდო პასუხები

1. კითხვარი ყველაზე სასარგებლოა მაშინ, როდესაც საძიებო კითხვისთვის საჭიროა ფაქტობრივი ან რაოდენობრივი ინფორმაცია, მაგალითად სიხშირე (რამდენად ხშირად ხდება რამე), შეფასებები ან ჯგუფის ზოგადი ტენდენციები. მაგალითი: „რამდენად ხშირად ითხოვენ მოსწავლეები დახმარებას წყვილებში მუშაობისას?“ — ამ კითხვაზე ეფექტურად შეიძლება პასუხის გაცემა მარტივი აღრიცხვის ან რაოდენობრივი მონაცემებით.

2. კითხვარი ნაკლებად სასარგებლოა მაშინ, როდესაც საძიებო კითხვისთვის საჭიროა განმარტებები, განცდები ან მოულოდნელი პერსპექტივები — განსაკუთრებით მაშინ, თუ კითხვები დახურულია და შეზღუდავს მოსწავლეების პასუხის არჩევანს. მაგალითი: „რატომ ითხოვს ზოგიერთი მოსწავლე დახმარებას წყვილებში მუშაობისას, ხოლო სხვები არა?“ — დახურული კითხვებით ეს საკითხი ვერ იქნება სრულად შესწავლილი, რადგან არ შეიძლება ყველა შესაძლო მიზეზის წინასწარ პროგნოზირება.

- კითხვარი ყველაზე სასარგებლოა, როცა გჭირდებათ <u>ფაქტობრივი ან რაოდენობრივი ინფორმაცია, მაგალითად რამდენად ხშირად ხდება რამე, რამდენი მოსწავლე დაეთანხმა დებულებას.</u>

- კითხვარი ნაკლებად სასარგებლოა, როცა <u>თქვენი კითხვა მოითხოვს უფრო პერსონალურ განმარტებებს ან მოულოდნელ პერსპექტივებს, რადგან დახურული კითხვები ზღუდავს ადამიანების მიერ მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობას.</u>

თავი 6 - პასუხები

პასუხები

ა. კითხვის ტიპი:

1. მაგალითი 1: ქცევა ან შესრულება

   ეს ეხმარება კლასში ქცევაზე დაკვირვებითი ჩანაწერების შეგროვებას, მაგალითად, როგორ რეაგირებენ მოსწავლეები ინსტრუქციებზე, იწყებენ თუ არა დავალებას დაუყოვნებლივ, ან სვამენ თუ არა კითხვებს.

2. მაგალითი 2: საკუთარი აღქმები

   ეს ეხმარება მასწავლებლის რეფლექსიებისა და შეხედულებების შეგროვებას, მაგალითად, რა შეამჩნია მან, მისი აზრით რამ იმუშავა ან არ იმუშავა, და როგორ განმარტავს მოცემულ სიტუაციას.

ბ. გამოყენებული ინსტრუმენტი:

1. მაგალითი 1: დაკვირვების ჩარჩო

შესაძლო დამატებითი ინსტრუმენტები:

- გაკვეთილის ვიდეოჩანაწერი
- მასწავლებლის დაკვირვების ჩანაწერები
- კოლეგის მიერ ჩატარებული დაკვირვების საკონტროლო სია/ ჩეკლისტი

2. მაგალითი 2: მასწავლებლის რეფლექსიური წერა

შესაძლო დამატებითი ინსტრუმენტები:

- კოლეგასთან საუბრის ჩანაწერები
- რეფლექსიური აუდიოჩანაწერი
- რეფლექსიისთვის განკუთვნილი კითხვები ან დღიურის ჩანაწერები

პასუხები

1. კითხვა 2: „ხომ არ არის ეს შენი სიმორცხვით განპირობებული?“ წინასწარ განსაზღვრავს ერთ მიზეზს; მორცხვობას.

2. კითხვა 6: „რა გეხმარება უფრო აქტიურად მონაწილეობაში...?“ ერთ პასუხში ორი იდეაა: მეგობრებთან ჯდომა და დავალებით სიამოვნების მიღება.

3. კითხვა 3: „რამდენად ხშირად საუბრობ შენს ჯგუფში?“ ითხოვს სიხშირეს, მაგრამ არ სვამს კითხვას, რატომ?

4. კითხვა 4: „რას ფიქრობ ჯგუფურ მუშაობაზე და რა ქმნის კარგ ჯგუფს?“ ორი კითხვა ერთშია გაერთიანებული, რამაც შეიძლება მოსწავლეები დააბნიოს.

5. კითხვა 1: „მოგწონს სკოლა?“ არ არის დაკავშირებული ჯგუფურ მუშაობაში მონაწილეობასთან.

6. კითხვა 5: „რატომ გსიამოვნებს ჯგუფური მუშაობა?“ გულისხმობს, რომ მოსწავლეებს მოსწონთ, რაც შესაძლოა ყველასთვის სიმართლეს არ შეესაბამებოდეს.

თავი 7 - პასუხები

პასუხები

მოქმედებები, რომლებიც აუცილებელია მონაცემების შეგროვების დაწყებამდე:

- ✓ შეატყობინოთ სკოლის ხელმძღვანელობას თქვენი კვლევის შესახებ
- ✓ აუხსნათ მოსწავლეებს კვლევის მიზანი
- ✓ მიიღოთ მშობლების თანხმობა, თუ მოსწავლეები არასრულწლოვნები არიან
- ✓ გადაწყვიტოთ, როგორ დაიცვათ კონფიდენციალურობა და ანონიმურობა
- ✓ დაგეგმოთ, როგორ გამოირიცხოს მონაცემები მათთვის, ვინც არ თანხმდება
- ☐ დაუყოვნებლივ დაიწყოთ მონაცემების შეგროვება კითხვების შედგენის შემდეგ (ეს არ უნდა იყოს მონიშნული)

თავი 8 - პასუხები

პასუხები

ქვემოთ მოცემულია კოდების ჩამონათვალის შესაძლო ვარიანტები. სხვა მსგავსი ფორმულირებებიც მისაღებია.

1. ინტერაქტიული აქტივობები

2. პოზიტიური უკუკავშირი

3. კითხვების დასმა მოსწავლეების გააქტიურებისთვის

4. დავალებების დიფერენცირება

5. შეცდომებიდან სწავლა

6. დავალებების დიფერენცირება სირთულის დონის მიხედვით

7. პოზიტიური უკუკავშირი

8. ინტერაქტიული აქტივობები

9. ეტაპობრივი მხარდაჭერა (“სკაფოლდინგი”)

10. შეცდომებზე სწავლა

თავი 9 - პასუხები

პასუხები – დავალება 1

1. ა – მიგნება
2. ა – მიგნება
3. ბ –ინტერპრეტაცია
4. ა – მიგნება
5. გ – გადაწყვეტილება შემდეგი ნაბიჯების შესახებ

პასუხები – დავალება 2

პასუხგაცემული კვლევითი კითხვები

- მათ დააზუსტეს, რა სირთულეები ჰქონდათ მოსწავლეებს კითხვის დროს და რომელი სტრატეგიები უწყობდა ხელს მათ ჩართულობას.

დარჩენილი პრობლემების იდენტიფიცირება

- მათ შენიშნეს, რომ გააზრების გაუმჯობესება შეზღუდული იყო, კითხვის სტრატეგიები მწირი და ლექსიკა კვლავ პრობლემად რჩებოდა.

მიგნებების ინტერპრეტაცია

- მათ დაასკვნეს, რომ ჩართულობის გაზრდა ავტომატურად ვერ უზრუნველყოფდა გააზრების გაუმჯობესებას.

გადაწყვეტილების მიღება შემდეგი ნაბიჯების შესახებ

- მათ გადაწყვიტეს კიდევ ერთი კვლევის ციკლის ჩატარება, დაუყოვნებლივ ახალი მოქმედებების დაწყების ნაცვლად.

(მსგავსი ფორმულირება მისაღებია, თუ იდეები მკაფიოა)

თავი 10 - პასუხები

პასუხები

1. გ

2. ბ

თავი 11 - პასუხები

პასუხები

ნაწილი I

1. ბ
2. გ
3. ბ

ნაწილი II

1. ბ
2. გ
3. ა
4. დ

თავი 12 - პასუხები

პასუხები

1.

ა. როგორ ცვლის მკაფიოდ განსაზღვრული დისკუსიის როლები მოსწავლეების მონაწილეობას ჯგუფურ მუშაობაში?
ბ. რა (თუ საერთოდ) ცვლილება ხდება მოსწავლეების მიერ ისტორიული მოვლენების გაგებაში, როდესაც გამოიყენება ვიზუალური გეგმა-გრაფიკები?
გ. როგორ ცვლის თანატოლთა უკუკავშირი მოსწავლეების უნარს, გაიუმჯობესონ წერითი უნარები?

(სხვა ფორმულირებაც მისაღებია, თუ იგივე სტრუქტურას მიჰყვება.)

2. არსებული საკლასო სიტუაციის გასაგებად, როგორ წარადგენს მასწავლებელი მათემატიკურ ამოცანებს, როგორ უდგებიან მათ მოსწავლეები და რა სირთულეებს აწყდებიან ისინი (განსაკუთრებით არაქართულენოვანი მოსწავლეები).

3.

ინფორმაციის ტიპი	კი / არა
ა. კითხვები მოსწავლეების პრობლემების გადაჭრის დროს შექმნილი სირთულეების შესახებ	✔
ბ. კითხვები იმის შესახებ, თუ როგორ ეხმარება მასწავლებელი მოსწავლეებს	✔
გ. კითხვები კონკრეტული ინტერვენციის შესახებ, რომლებიც გამოყენებულია გაკვეთილის დროს	✖
დ. კითხვები დავალების შესრულების დროს მოსწავლეების ჩართულობის შესახებ	✔

4. ✔ კითხვები იმის შესახებ, რომელი ინტერვენციები იქნა გამოყენებული გაკვეთილის განმავლობაში
✔ კითხვები იმის შესახებ, რომელი ინტერვენცია იყო ყველაზე ეფექტური

თავი 13 - პასუხები

პასუხები

1. რადგან სტრატეგიის უფრო ხანგრძლივი დროით განხორციელება აძლევს მოსწავლეებს დროს, რომ შეეგუონ ცვლილებას და მასწავლებელს კი საკმარის შესაძლებლობებს, რომ სტრატეგია თანმიმდევრულად გამოიყენოს. ასევე, ეს აადვილებს კანონზომიერებებზე დაკვირვებას და საკმარისი მტკიცებულებების შეგროვებას იმის შესაფასებლად, მოახდინა თუ არა ინტერვენციამ რეალური ცვლილება.

2.

✔ როდის განხორციელდება ცვლილება;
✔ რამდენ ხანს გაგრძელდება ინტერვენცია;
✔ როგორ შეგროვდება მონაცემები ცვლილების შესაფასებლად.

3. ეს ართულებს იმის შეფასებას, მოახდინა თუ არა სტრატეგიამ რეალური ცვლილება, რადგან მოსწავლეებს ძალიან ცოტა დრო აქვთ ცვლილებასთან შეგუებისთვის და მასწავლებელს, კი ძალიან მცირე შესაძლებლობები დაკვირვებისთვის ან მნიშვნელოვანი მტკიცებულებების შესაგროვებლად. სამოქედო კვლევაში ინტერვენცია, როგორც წესი, უნდა განხორციელდეს თანმიმდევრულად რამდენიმე გაკვეთილის ან კვირის განმავლობაში, რათა მისი გავლენა უფრო სანდოდ შეფასდეს.

თავი 14 - პასუხები

პასუხები

1. ა

2. ბ

3. საწყისი/საბაზისო მონაცემებისა და ინტერვენციის მონაცემების შედარება ეხმარება მასწავლებლებს გაიგონ, რა შეიცვალა ახალი სტრატეგიის დანერგვის შემდეგ, სხვა სიტყვებით - რა გავლენა იქონია განხორციელებულმა სტრატეგიამ.

თავი 15 - პასუხები

პასუხები:

1.
ა. ბ – გააგრძელეთ სტრატეგიის გამოყენება
ბ. დ – მოახდინეთ სტრატეგიის ადაპტაცია ან დახვეწა
გ. ა – დაიწყეთ საძიებო-სამოქმედო კვლევის ახალი ციკლი
დ. დ – გაუზიარეთ მიგნებები კოლეგებს

2. ბ

3. შემოთავაზებული პასუხები:
- რა გააკეთეს მასწავლებლებმა?
  შემოიღეს სამფაზიანი გაკვეთილის სტრუქტურა ინტერაქტიული და რეფლექსიური აქტივობებით.

- რა შეიცვალა?
  მოსწავლეები უფრო მეტად ჩაერთვნენ და მონაწილეობდნენ, განსაკუთრებით თანამშრომლობითი დავალებების დროს.

- რა არ შეცვლილა სრულად?
  ზოგიერთ მოსწავლეს კვლავ უჭირდა მონაწილეობა ან გარკვეული აქტივობების შესრულება.

- რა საკითხები საჭიროებს ყურადღებას?
  საჭიროა უფრო დიფერენცირებული მხარდაჭერა და აქტივობების ადაპტაცია.

თავი 16 - პასუხები

პასუხები:

1. მონაცემთა შეგროვებისთვის გამოყენებული იყო მოსწავლეების კითხვარები, კოლეგების დაკვირვება და ფოკუს-ჯგუფები. პირველი მიგნება აჩვენებდა, რომ მოსწავლეებს უჭირდათ ინტერესისა და კონცენტრაციის შენარჩუნება გრძელი ტექსტების დამუშავებისას, რაც გავლენას ახდენდა მათ გაგებაზე. ერთ-ერთმა საბოლოო შედეგმა აჩვენა, რომ ინტერაქტიული აქტივობები, როგორიცაა ჯგუფური მუშაობა და როლური თამაშები, გაკვეთილებს უფრო მიმზიდველსა და სასიამოვნოს ხდიდა. (სხვა ფორმულირებაც შესაძლებელია. იხილეთ სრული პოსტერი ქვემოთ)

2.

ა. გაზიარება გეხმარებათ თქვენი მოსაზრების გამოკვეთაში და საშუალებას გაძლევთ მიიღოთ უკუკავშირი (ასევე: ეხმარება სხვებს სწავლაში ან ახალი პერსპექტივების დანახვაში).
ბ. შესაძლო აუდიტორია მოიცავს მოსწავლეებსა და კოლეგებს (ასევე: მასწავლებელთა უფრო ფართო საზოგადოებას).
გ. შესაძლო ფორმატები მოიცავს მოკლე პრეზენტაციას, არაფორმალურ წარდგენას ან პოსტერს.

თავი 17 - პასუხები

პასუხები

1.

- ✔ წინა შედეგების კონკრეტული ასპექტის უფრო სიღრმისეულად შესწავლა
- ✔ რეგულარულად მცირე მოცულობის მონაცემების შეგროვება
- ✔ სხვა სკოლების მასწავლებლებთან თანამშრომლობა

2.

ა. მასწავლებელმა შეიძლება გაამახვილოს ყურადღება იმაზე, თუ რატომ არ მონაწილეობს ზოგიერთი მოსწავლე და გამოიკვლიოს, რა ტიპის მხარდაჭერა სჭირდებათ მათ.

ბ. მასწავლებელმა შეიძლება გამოიკვლიოს, ყველა მოსწავლე ერთნაირად სარგებლობს თუ არა ვიზუალური მასალებით და როგორ შეიძლება მათი ადაპტირება სხვადასხვა მოსწავლის საჭიროებების მიხედვით.

გ. მასწავლებელმა შეიძლება რეგულარულად შეაგროვოს უკუკავშირი, აწარმოოს მოკლე რეფლექსიური ჩანაწერები და მოსინჯოს მცირე ცვლილებები, ამასთანავე, დააკვირდეს მათ გავლენას.

ნაწილი 6:
დანართები

დანართები

1. მონაცემების შეგროვების ინსტრუმენტების დიზაინის სარეკომენდაციო ჩამონათვალი

ა. ნებისმიერი მონაცემების შეგროვების ინსტრუმენტისთვის

- ☐ დავწერე თუ არა ჩემი საძიებო კვლევის კითხვები პროექტის დასაწყისში (ან თვალსაჩინო ადგილას), რათა დიზაინის პროცესში მათზე გავაკეთო ფოკუსი?
- ☐ არის თუ არა ინსტრუმენტი ჩემი კონტექსტისთვის მართვადი (არ არის ძალიან გრძელი და რეალისტურია დროის ფარგლების გათვალისწინებით)?
- ☐ შექმნის თუ არა ეს ინსტრუმენტი ისეთ მონაცემებს (სიტყვები, რიცხვები, ნამუშევრების მაგალითები და ა.შ.), რომლებიც შეესაბამება იმ ტიპის შეკითხვას, რომელსაც ვსვამ (აღქმები თუ ქცევა/შესრულება)?
- ☐ არის თუ არა ენა ნათელი და შესაბამისი იმ ადამიანებისთვის, ვინც გამოიყენებს მას (მოსწავლეები, კოლეგები, მშობლები)?
- ☐ შევამოწმე თუ არა, რომ კითხვები არ არის დამაბნეველი, მიმანიშნებელი ან ორმაგი (ერთ შეკითხვაში ორი კითხვა)?
- ☐ გავითვალისწინე თუ არა ეთიკური საკითხები (მაგალითად, მიზნის ახსნა, თანხმობის მიღება ჩაწერის შემთხვევაში, პასუხების კონფიდენციალურობა)?
- ☐ ვთხოვე თუ არა კოლეგას, გადახედოს ჩემს ნამუშევარს და მომცეს უკუკავშირი?
- ☐ თუ საჭიროა, გამოვცადე თუ არა ინსტრუმენტი ერთ ადამიანზე (ან მცირე ჯგუფზე) წინასწარ, რომ დავრწმუნდე მის ფუნქციონირებაში („პილოტირება“)?

ბ. კითხვარები

- ☐ დავწერე თუ არა მოკლე შესავალი, რომელიც განმარტავს კითხვარის მიზანს და როგორ იქნება გამოყენებული ინფორმაცია?
- ☐ უკავშირდება თუ არა თითოეული კითხვა ჩემს კვლევის კითხვებს?
- ☐ არის თუ არა ყველა კითხვა მოსწავლეებისათვის მარტივი და გასაგები ენით გაწერილი?
- ☐ თუ ანონიმურობა მნიშვნელოვანია, ავუხსენი თუ არა, რომ პასუხები დარჩება ანონიმური?
- ☐ გადავწყვიტე თუ არა, რომელი ენა(ები) გამოვიყენო, რათა რესპონდენტებმა შეძლონ კომფორტულად და გულწრფელად პასუხის გაცემა?

- ☐ ავიცილე თუ არა ორმაგი პასუხის ვარიანტები (მაგალითად, „ბედნიერი და მშვიდი“)?
- ☐ არის თუ არა პასუხის ვარიანტები ლოგიკური და ერთმანეთისგან განსხვავებული?
- ☐ შევარჩიე თუ არა დახურული და ღია კითხვების შესაბამისი კომბინაცია?
- ☐ ჩავრთე თუ არა მინიმუმ ერთი ან ორი ღია კითხვა საკითხის სიღრმისეული შესწავლისათვის?
- ☐ შევამოწმე თუ არა, რომ კითხვები არ შეიცავს დამალულ დაშვებებს? (მაგალითად, იმის ვარაუდით, რომ მოსწავლეებს რაღაც მოსწონთ ან სიამოვნებთ)?
- ☐ თავიდან ავიცილე თუ არა მიმანიშნებელი კითხვები?
- ☐ ავარიდე თუ არა თავი ისეთი ქცევების შესახებ კითხვების დასმას, რომელთა შესახებაც მოსწავლეები შესაძლოა არ იყვნენ ინფორმირებულნი (მაგ., „როგორ იქცევით ინსტრუქციების დაწყებისას?“), თუ ეს არ არის დაკავშირებული უფრო შესაბამის მონაცემთა შეგროვების ინსტრუმენტთან (მაგალითად, დაკვირვებასთან)?
- ☐ გადავამოწმე, რომ პასუხის ვარიანტები არ ზღუდავს მონაწილეებს და არ აიძულებს მათ ისეთი პასუხების არჩევას, რომლებიც შესაძლოა მათ რეალურ გამოცდილებას არ ასახავდეს?
- ☐ გადავამოწმე, რომ კითხვების თანმიმდევრობა ბუნებრივია (იწყება უფრო მარტივი, ზოგადი კითხვებით და შემდეგ გადადის უფრო კონკრეტულ ან რეფლექსიურ კითხვებზე)?
- ☐ გადავამოწმე, რომ რესპონდენტებს მინიმალური დრო დასჭირდებათ შევსებისთვის, რათა ამან არ შეუშალოს ხელი სასწავლო პროცესს?
- ☐ არის თუ არა კითხვარი მაქსიმალურად მოკლე, მაგრამ მაინც მაძლევს საჭირო ინფორმაციას (არ შეიცავს ზედმეტ კითხვებს)?
- ☐ გადავამოწმე, რომ ეს ინსტრუმენტი (კითხვარი) მაძლევს საჭირო ტიპის ინფორმაციას (რიცხვები, მოკლე ფაქტობრივი პასუხები), თუ უფრო შესაფერისი იქნებოდა ინტერვიუები/რეფლექსიური ჩანაწერები?
- ☐ არის თუ არა განლაგება მკაფიო და ადვილად გასაგები (მაგალითად, ნუმერაცია, ინტერვალები, სკალები, თუ არის გამოყენებული)?
- ☐ ვთხოვე თუ არა კოლეგას ან სხვა კლასის ერთ მოსწავლეს, გამოსცადოს კითხვარი და მიუთითოს ნებისმიერი გაუგებარი ნაწილი?

გ. დაკვირვების ინსტრუმენტები (თანამშრომლის ან თვითდაკვირვება)

- ☐ დავწერე თუ არა ძალიან მოკლე შესავალი, რომელიც ხსნის ამ ინსტრუმენტის მიზანს და იმას, თუ როგორ იქნება გამოყენებული მიღებული ინფორმაცია?
- ☐ მკაფიოდ განვსაზღვრე თუ არა დაკვირვების დროს ძირითადი მიმართულებები ან ასპექტები (მაგალითად, მოსწავლეთა მონაწილეობა, ინსტრუქციები, მშობლიური ენის გამოყენება)?
- ☐ დაკვირვების ფორმაში მითითებები ან კითხვები მოუწოდებს თუ არა დამკვირვებელს აღწეროს ის, რასაც ხედავს (და გაწეროს მხოლოდ რჩევა და შეფასება)?
- ☐ გადავამოწმე თუ არა, რომ კითხვები ფოკუსირებულია ისეთ საკითხებზე, რომლებიც რეალურად არის დაკვირვების საგანი და არ არის გრძნობები თუ აზრები, რომლებიც პირდაპირ არ ჩანს?
- ☐ ავირიდე თუ არა კითხვარის სტილის ფორმატის გამოყენება, რომელიც დამკვირვებელს მხოლოდ მონიშვნაზე ზღუდავს, თუ სპეციალურად არ მჭირდება სიხშირეები ან რაოდენობრივი მონაცემები?
- ☐ თუ ფორმა ქაღალდზეა წარმოდგენილი, დავტოვე თუ არა საკმარისი ადგილი, რათა დამკვირვებელმა შეძლოს გაკვეთილიდან დეტალური ჩანაწერებისა და მაგალითების გაკეთება?
- ☐ წინასწარ ვესაუბრე თუ არა დამკვირვებელს და შევთანხმდით დაკვირვების თარიღზე, დროზე და ფოკუსზე?
- ☐ მკაფიოდ ავუხსენი თუ არა დამკვირვებელს, რომ დაკვირვება არის კვლევისა და რეფლექსიისთვის და არა გაკვეთილის შეფასებისა ან შეფასების მინიჭებისთვის?
- ☐ თუ ვგეგმავ გაკვეთილის ჩაწერას (აუდიო ან ვიდეო), მოვამზადე თუ არა შესაბამისი მოწყობილობა და გავითვალისწინე მოსწავლეებისა და სკოლის თანხმობა?
- ☐ თუ მე ან ჩემი კოლეგა ვაპირებთ ჩანაწერების გაკეთებას, შევთანხმდით თუ არა, როგორ და სად გაკეთდება ჩანაწერები (მაგალითად, ბლოკნოტში, ფორმაში თუ ლეპტოპზე)?

დ. ინტერვიუები ან არაფორმალური საუბრები

- ☐ თავდაპირველად შევადგინე თუ არა შესაძლო კითხვების გრძელი სია და შემდეგ შევამცირე იგი მხოლოდ ყველაზე მნიშვნელოვან კითხვებამდე?
- ☐ არის თუ არა ჩემი ინტერვიუს კითხვები კონკრეტული, ღია და მარტივად გასაგები (არა გრძელი ან დამაბნეველი)?

- ☐ შევზღუდე თუ არა ძირითადი კითხვების რაოდენობა (მაგალითად, დაახლოებით ხუთზე მეტი არა), რათა დარჩეს დრო დამაზუსტებელი კითხვებისა და სიღრმისეული პასუხებისთვის?
- ☐ მოვამზადე თუ არა რამდენიმე შესაძლო დამაზუსტებელი კითხვა (მაგალითად, „შეგიძლიათ ამაზე მეტი მითხრათ?“ „შეგიძლიათ მაგალითი მოიყვანოთ?“)?
- ☐ გადავწყვიტე თუ არა, ჩავატარებ ინტერვიუს ინდივიდებთან, წყვილებთან თუ მცირე ჯგუფებთან, და რამდენ ხანს გაგრძელდება იგი?
- ☐ გადავწყვიტე თუ არა, ჩავწერ ინტერვიუს თუ ჩანაწერებს გავაკეთებ?
- ☐ თუ ვგეგმავ ჩაწერას, მოვამზადე თუ არა ჩამწერი მოწყობილობა და მახსოვს თუ არა ნებართვის აღება?
- ☐ თუ ვგეგმავ ჩანაწერების გაკეთებას, გადავწყვიტე თუ არა, როგორ გავაკეთებ ამას (მაგალითად, ბლოკნოტში, შაბლონის მეშვეობით თუ ლეპტოპზე)?
- ☐ შევარჩიე თუ არა ინტერვიუსთვის მშვიდი და კომფორტული ადგილი და შესაბამისი დრო?

ე. ფოკუს-ჯგუფები

- ☐ მოვამზადე თუ არა მცირე რაოდენობის მკაფიო და ღია კითხვები (მაგალითად, ოთხი ან ხუთი), რომლებიც დისკუსიის წარმართვაში დამეხმარება?
- ☐ ხომ არ არის ჯგუფი ზედმეტად დიდი (მაგალითად, რვა მონაწილეზე მეტი)?
- ☐ გააზრებულად შევარჩიე თუ არა მონაწილეები, იმის მიხედვით, რაც ყველაზე მეტად დამეხმარება ჩემი კვლევითი კითხვის გაგებაში?
- ☐ ვიფიქრე თუ არა, როგორ წავახალისო ყველა მონაწილი და არა მხოლოდ უფრო თავდაჯერებულები?
- ☐ გადავწყვიტე თუ არა, ჩავწერო ფოკუს-ჯგუფი აუდიო/ვიდეო ფაილად, თუ ხელით ჩანაწერებს გავაკეთებ, და როგორ განხორციელდება ეს?
- ☐ თუ ჩაწერას ვგეგმავ, მოვამზადე თუ არა ჩამწერი მოწყობილობა და (საჭიროების შემთხვევაში) მივიღე თუ არა მონაწილეთა, ხოლო არასრულწლოვანთა შემთხვევაში — მშობლების ან მეურვეების თანხმობა?
- ☐ შევარჩიე თუ არა შესაბამისი სივრცე, სადაც მონაწილეები შეძლებენ დასხდნენ ისე, რომ ხელი შეეწყოს დისკუსიას (მაგალითად, წრეზე ან მაგიდის გარშემო)?

- ☐ დავგეგმე თუ არა, როგორ დავიწყებ დისკუსიას (მაგალითად, წესების განსაზღვრით, მოკლე შესავალი კითხვით) და როგორ დავასრულებ მას (მაგალითად, მონაწილეთათვის მადლობის გადახდით, ძირითადი საკითხების შეჯამებით)?

3. მასწავლებლის რეფლექსიური ჩანაწერები

- ☐ მაქვს თუ არა ჩემი კვლევითი კითხვები დაწერილი სადმე თვალსაჩინო ადგილას, ჩემს ჟურნალში ან რვეულში?
- ☐ გადავწყვიტე თუ არა რამდენიმე ძირითადი სფერო ან ასპექტი, რომლებზეც ჩემს ჩანაწერებში გავამახვილებ ყურადღებას (მაგალითად, მონაწილეობა, ინსტრუქციების სიცხადე, მასალების გამოყენება)?
- ☐ შევიტანე თუ არა ჩემს ჟურნალში მარტივი სათაურები ან დამხმარე კითხვები, რომლებიც ამ საკითხებზე წერაში დამეხმარება?
- ☐ თუ გაკვეთილებზე ვწერ, დაგეგმილი მაქვს თუ არა, რომ ჩანაწერები გავაკეთო სწავლების დასრულებისთანავე და ყოველთვის დავურთო თარიღი?
- ☐ თუ ვიკვლევ უფრო ფართო საკითხს (არა მხოლოდ ცალკეულ გაკვეთილებს), დაგეგმილი მაქვს თუ არა რეგულარულად ჩანაწერების გაკეთება, როცა რაიმე მნიშვნელოვანს შევამჩნევ?
- ☐ მოიცავს თუ არა ჩემი ჩანაწერები იმას, რა მოხდა, რას დავაკვირდი და რას ვფიქრობდი ან ვგრძნობდი ამის შესახებ (და არა მხოლოდ მოვლენების ჩამონათვალს)?
- ☐ ავღწერ თუ არა სიტუაციებს საკმარისი დეტალებით, რომ მოგვიანებით, ჩანაწერების წაკითხვისას, ნათლად გავიგო ისინი?
- ☐ ვინარჩუნებ თუ არა ჩანაწერებს ფოკუსირებულს ჩემს კვლევით თემაზე, და ამავდროულად ვაძლევ თუ არა თავს უფლებას შევამჩნიო ახალი, დაკავშირებული საკითხებიც?

8. მოსწავლეების რეფლექსიური ჩანაწერები

- ☐ შევქმენი თუ არა ერთი ან ორი მკაფიო, ღია კითხვა, რომლებზეც მოსწავლეები დაწერენ (არა „დიახ/არა“ ტიპის კითხვებზე პასუხებს)?
- ☐ არის თუ არა კითხვები დაწერილი მარტივ, მოსწავლეებისთვის გასაგებ ენაზე, რომ ყველას შეეძლოს მათი გაგება?
- ☐ გადავწყვიტე თუ არა, მოსწავლეები თავიანთი სახელის მითითებით დაწერენ თუ ანონიმურად, იმის მიხედვით, რამდენად გულწრფელი პასუხები მსურს?
- ☐ დაგეგმილი მაქვს თუ არა, როდის დაწერენ მოსწავლეები (მაგალითად, გაკვეთილის ბოლოს), რომ ეს აქტივობა ბუნებრივად შეესაბამებოდეს გაკვეთილის დროს?

- ☐ არის თუ არა წერითი დავალება მოკლე და მართვადი (5–10 წუთი), რათა არ აღიქმებოდეს დამატებით საშინაო დავალებად ან ტესტად?
- ☐ ავუხსენი თუ არა მოსწავლეებს, რატომ ვთხოვ მათ წერას და დავარწმუნე თუ არა, რომ „სწორი“ ან „არასწორი“ პასუხები არ არსებობს?
- ☐ საჭიროების შემთხვევაში მივაწოდე თუ არა მარტივი დამხმარე მინიშნებები (მაგალითად: „ერთი რამ, რაც დღეს დამეხმარა, იყო...“, „ერთი რამ, რაც გამიჭირდა, იყო...“)?
- ☐ დაეხმარება თუ არა ეს მინიშნებები მოსწავლეებს, მხოლოდ მოვლენები კი არ ჩამოთვალონ, არამედ აღწერონ, რას ფიქრობენ, გრძნობენ ან ამჯობინებენ,?
- ☐ მოვნახე თუ არა პრაქტიკული გზა მოსწავლეთა ნაწერების შესაგროვებლად (მაგალითად, ყუთი, საქაღალდე ან ფოტოების გადაღება)?
- ☐ შევამოწმე თუ არა, რომ კითხვები ნამდვილად შეესაბამება იმ კვლევით თემას, რომლის გაგებაც მსურს?

თ. მოსწავლეთა ნამუშევრების ნიმუშები

- ☐ შევარჩიე თუ არა ნიმუშები, რომლებიც პირდაპირ უკავშირდება ჩემს კვლევით კითხვას (მაგ., ინსტრუქციები, წერის დავალებები, პრობლემის გადაჭრის დავალებები)?
- ☐ შევარჩიე თუ არა ის ნიმუშები, რომლებიც ყველაზე კარგად შეესაბამება იმას, რის გაგებასაც ვცდილობ (მაგ., მსგავსი ნიმუშები ან განსხვავებული ნიმუშები)?
- ☐ საჭიროების შემთხვევაში წავშალე თუ არა მოსწავლეთა სახელები, რათა ყურადღება თავად ნამუშევარზე გავამახვილო და დავიცვა კონფიდენციალურობა?
- ☐ გადავწყვიტე თუ არა, რა კონკრეტულ მახასიათებლებს დავაკვირდები ნიმუშებში (მაგ., გაუგებრობები, შეცდომების ტენდენციები, ჩართულობის ნიშნები, დავალების შესრულება)?
- ☐ შევქმენი თუ არა მარტივი ცხრილი ან ჩამონათვალი (ჩეკლისტი), რომელიც დამეხმარება ნიმუშების თანმიმდევრულად გაანალიზებაში?
- ☐ ჩავრთე თუ არა საკმარისი დეტალები ჩემს ჩანაწერებში, რათა მოგვიანებით გავიხსენო, რატომ შევარჩიე თითოეული ნიმუში?
- ☐ პროცესი მართვადია - ვაანალიზებ მხოლოდ იმ რაოდენობის ნამუშევრებს, რამდენსაც რეალურად ვასწრებ?

www.britishcouncil.org

BRITISH COUNCIL